

მამია ყოლბაია

# სკოლის ფსიქოლოგია

გამომცემლობა “ცის ნაში”  
თბილისი 2008

რედაქტორი: პროფ. ნ. იმედაძე

რეცენზენტი: პროფ. ქ. მაყაშვილი

კომპიუტერული წყობა და დაკაბადონება:

---

© მამია ყოლბაია  
ISBN 978-99928-63-76-3

## წინასიტყვაობა

სკოლებში ფსიქოლოგიური სამსახურის დანერგვა გასული საუკუნიდან დაიწყო. ყოფილ საბჭოთა კავშირის განათლების სისტემა ამ პროცესს ყველაზე გვიან შეუერთდა. რუსეთში სკოლის ფსიქოლოგის შტატი 1989 წელს დაუშვეს. მალე საქართველოს მთავრობის დადგენილებით ფსიქოლოგი ჩვენს სკოლებშიც შევიდა, მაგრამ ამისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდით. არ გვყავდა სკოლის ფსიქოლოგთა კადრები და არც მათი მომზადება ხდებოდა საქართველოში. კადრების მომზადების საქმე ასე თუ ისე მოგვარდა, მაგრამ არ გვქონდა და არც ახლა გვაქვს ქართულ ენაზე სახელმძღვანელო იმის შესახებ, თუ რა უნდა აკეთოს ფსიქოლოგმა სკოლაში. სკოლაში კი ფსიქოლოგს იმდენი სპეციფიკური სამუშაო აქვს, რომ უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური სპეციალობა დამთავრებული ახალგაზრდა, თუ მას ფსიქოლოგიური სამსახურის კურსი არ მოუსმენია, ნაყოფიერად ვერ იმუშავებს.

სკოლის ფსიქოლოგი ზოგადფსიქოლოგიურთან ერთად სპეციალურ ფსიქოლოგიურ განათლებასაც საჭიროებს. ამას სერიოზულად უშლის ხელს მაპროფილებელ საგანში “სკოლის ფსიქოლოგია” ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს არარსებობა. სტუდენტებისათვის უცხო ენებზე არსებული ლიტერატურით სარგებლობას ხელს უშლის არა მხოლოდ ენის უცოდინარობა, არამედ საჭირო ლიტერატურის შოვნის სიძნელეც. ვფიქრობთ, ამ ხარვეზს რამდენადმე ამოავსებს შემოთავაზებული შრომა, რომელიც ეყრდნობა ავტორის მიერ ამ კურსის კითხვის მრავალწლიან გამოცდილებას.

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ფორმირება ჯერაც არ არის დამთავრებული. სხადასხვა ქვეყნის განათლების მესვეურები განსხვავებულად უდგებიან სკოლის წინაშე მდგარი ფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრის საქმეს. არავინ უარყოფს

იმას, რომ სკოლას სჭირდება ფსიქოლოგიური სახის დახმარება. აზრთა სხვადასხვაობა ეხება იმას, თუ როგორ და რა ფორმით უნდა იქნას ის გამოყენებული. ზოგი თვლის, რომ ამ საქმეს სკოლის გარეთ არსებული საკონსულტაციო ცენტრები უნდა ემსახურებოდნენ, ზოგის აზრით კი, ფსიქოლოგი თავისი შტატით უნდა მუშაობდეს სკოლაში. ყველაზე მისაღებად ჩვენ მეორე მოდელი მიგვაჩნია, რადგან მაშინ ფსიქოლოგი შესძლებს არა მხოლოდ კონსულტაცია გაუწიოს დაინტერესებულ პირს, არამედ უშუალოდ ჩაუდგეს სათავეში მოსწავლეთა შორის გავრცელებულ სხვადასხვა სახის გადახრათა კორექციის საქმეს.

სკოლაში მომუშავე ფსიქოლოგის წინაშე იმდენი მოთხოვნა დგას, რომ მათი მართო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. მათ გადაჭრაზე მუშაობა შეუძლია მრავალმხრივ განათლებული, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე ადამიანს. ამიტომ სჭირდება სკოლის ფსიქოლოგს საფუძვლიანი სპეციალური მომზადება. წინამდებარე შრომაში ნაცადია იმ უმთავრესი პრობლემის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლებიც სკოლის ფსიქოლოგს შეიძლება შეხვდეს პრაქტიკული მუშაობის პროცესში. შრომა განკუთვნილია ფსიქოლოგებისათვის, რომლებიც სკოლებს ემსახურებიან, მაგრამ მას შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს სკოლის დირექტორებს და პრობლემურ ბავშვებთან მომუშავე პედაგოგებსაც.

ჩვენი შრომა ქართულ ენაზე სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის შესახებ სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. თუ დაინტერესებული პირი მოგვაწვდის თავის მოსაზრებებს ამ საკითხებზე, მაღლიერების გრძნობით მივიღებთ.



**თავი 1.**

**სიძნელეები ბავშვის პიროვნების ფორმირებაში**

***1.1.1. პიროვნების ფორმირებაზე ხელმძღ-  
ვანელობის საჭიროება***

ყოველი საზოგადოება დაინტერესებულია ისეთი ახალგაზრდების აღზრდით, რომლებიც უმტკივნეულოდ ჩაერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და წარმატებით გააგრძელებენ უფროსების ფუნქციებს, მათ მიერ დაწყებულ საქმიანობას. ეს ფუნქციები მრავალფეროვანია: მმართველობა, შრომითი საქმიანობა, სამხედრო საქმე, მოღვაწეობა მეცნიერების, კულტურის სფეროში და ა. შ. ახალგაზრდას ზრდის დამთავრების შემდეგ უნდა შეეძლოს, იპოვოს მისი შესაძლებლობისა და განათლების შესატყვისი ადგილი საზოგადოებაში. მას უნდა შეეძლოს წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, მიიღოს შრომის საზღაური და იცხოვროს როგორც დამოუკიდებელმა, თავისუფალმა მოქალაქემ. ამიტომ, საზოგადოება ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს დღესაც, აღზარდოს ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც შესწევს უნარი ჩაერთოს საზოგადოების მშენებლობაში. ამისთვის საზოგადოება ადგენს, თუ როგორი უნდა იყოს იმ ახალგაზრდის პიროვნება, რომელიც მის ინტერესებს მოემსახურება და როგორ, რა საშუალებებით უნდა ჩამოყალიბდეს იგი. ამისათვის ღვინდება, თუ რა განათლება უნდა ჰქონდეს და როგორი პიროვნული თვისებები უნდა განუვითარდეს აღსაზრდელს. ის იმასაც ადგენს, თუ დაახლოებით

როგორი ცოდნის პატრონი უნდა იყოს საზოგადოების მომავალი მშენებელი ახალგაზრდა. რაც შეეხება პიროვნების ფორმირებას, აქ მთავარია თუ როგორი მოთხოვნილებები ღომინირებენ მასში, ხასიათის როგორი თვისებები ჩამოუყალიბდა და რამდენადა აქვს განვითარებული ინტელექტი.

საზოგადოება ქმნის სწავლებისა და აღზრდის ისეთ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდის ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებას. ამისთვის იქმნება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებიან ახალგაზრდის პოტენციურ ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობათა განვითარებას, მათი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას. მათ ერთიანობას განათლების სისტემას ეძახიან. ამჟამად, ჩვენში ასეთ სისტემას წარმოადგენენ: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სხვადასხვა ტიპის სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები.

### *1.1.2. ბავშვის განვითარების ფაქტორები*

ბავშვის პოტენციურ შესაძლებლობათა განვითარება (გაადამიანების პროცესი) რთულია. მას მემკვიდრეობით ცოდნა-გამოცდილება არ გადაეცემა. ბავშვს მხოლოდ მათი შეძენის შესაძლებლობა დაჰყვება, რასაც *ნასახს* ეძახიან. ნასახი, რომლის განვითარების პროცესშიც პიროვნება ყალიბდება, მისი(პიროვნების) ფორმირების ერთერთი აუცილებელი ფაქტორია. მაგრამ ის, თუ ნასახიდან როგორი პიროვნება ჩამოყალიბდება, გარემო პირობებზეა დამოკიდებული. ნასახი შეიძლება სულ არ განვითარდეს, თუ მას მისი ფორმირებისათვის საჭირო პირობები არ დახვდა. მცირე ასაკიდან ნადირთა შორის მოხვედრილი და იქ გაზრდილი ბავშვები ადამიანურ ფსიქიკას არ ფლობდნენ, თუმცა ფსიქიკის ნორმალური განვითარებისათვის საჭირო თავის ტვინით იყვნენ დაბადებულნი. ამგვარად, ბავშვის ფსიქიკური განვითარების მეორე აუცილებელ პირობას *გარემო* წარმოადგენს. როცა ეს ორი პირობა ერთმანეთს ხვდება, ბავშვის განვითარებას ხელსაყრელი

პირობა ექმნება.

გარემო, რომელშიც ბავშვის ზრდა-განვითარება მიმდინარეობს, მრავალ კომპონენტს შეიცავს, რომელთაგან ზოგიერთი გამოსადეგია პიროვნების სასურველი მიმართულებით ფორმირებისათვის, მაგრამ მათ შორის მრავლადაა ისეთებიც, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი თვისებების ჩამოყალიბება. გარემოს იმ კომპონენტებიდან, რომლებიც ბავშვის პიროვნების ფორმირებას განსაზღვრავენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა *სოციალურ ფაქტორებს* ენიჭებათ. პიროვნება სოციალური ფენომენია და მას სოციალური გარემო აყალიბებს. სამწუხაროდ, სწორედ სოციალურ გარემოშია ბევრი ისეთი ფაქტორი, რომელთაც შეუძლიათ სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებას შეუშალონ ხელი. ამიტომ საზოგადოებამ ისე უნდა მოაწესრიგოს ბავშვის გარემო, ისეთი ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ უნდა მოაქციოს ის, რომ მოცემული საზოგადოების მშენებელი ადამიანის პიროვნების ფორმირება იყოს შესაძლებელი. ამ პროცესს აღზდას ეახიან.

ადამიანები ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილებისა და სპეციალური კვლევის შედეგად მიღებული ცოდნის საფუძველზე ადგენენ, თუ როგორი უნდა იყოს ის სოციალური გარემო, რომელიც საჭიროა ბავშვის პიროვნების მიზანმიმართულ განვითარებისათვის. საქმეს ართულებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ბავშვის განვითარებას მრავალი წელი სჭირდება და ამიტომ მის აღსაზრდელად საჭირო გარემო სულ იცვლება. 10 წლის ბავშვს 8 წლის ბავშვისთვის შექმნილი გარემო არააფერს მისცემს. ის უკვე გავლილი საფეხურია. მაგრამ 12 წლის ბავშვისთვის საჭირო გარემოც დიდად არ გამოადგება, რადგან მისგან მომდინარე მოთხოვნების საპასუხო ფსიქიკური ძალები მას ჯერ მომწიფებული არა აქვს. ამიტომ საჭიროა ბავშვს შეუქმნათ *ასაკობრივი გარემო* (უზნაძე 5), უწყვეტად განვითარების მთელი პერიოდისათვის.

ბავშვის პიროვნების სრულფასოვანი აღზდისათვის მარტო ასაკობრივი გარემოს შექმნა არ არის საკმარისი. ბავშვი და.

ასაკობრივი გარემო ერთმანეთს უნდა მოერგონ. ბავშვის გარშემო მარტო ჩვენი შექმნილი გარემო როდი ფუნქციობს. ფაქტორთა აუარებელი კომბინაციები იქმნება, რომელთაგან ზოგი ძალიან ცუდად მოქმედებს მის აღზრდაზე. ბავშვს ჩვენ უნდა მივალდებინოთ სასურველი სააღმზრდელო გარემო, რასაც ცოდნა და სათანადო ხელმძღვანელობა სჭირდება. ამას პედაგოგიკა აკეთებს. პეაგოგიური ზემოქმედების პროცესში ბავშვი საჭირო ცოდნასაც იძენს და მისი პიროვნებაც სასურველი მიმართულებით ვითარდება. ეს გარემოება ადვილად გვეძლევა თეორიული ანალიზის გზით, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება უაღრესად ძნელი საქმეა. სწორედ აქ დასჭირდა სკოლის პედაგოგიკას ფსიქოლოგიის მხარდაჭერა.

ბავშვმა მისი პიროვნული თვისებები სწავლითა და პრაქტიკული გამოცდილების გზით უნდა შეიძინოს. ის ბავშვობიდან საზოგადოებაშია ჩართული, დაკვირვებისა და პრაქტიკული მოქმედების გზით იძენს ბევრ რამეს, რაც საზოგადოებრივი ცხოვრებისთვისაა საჭირო. ასეთია ცოდნა, პრაქტიკული საქმიანობის ჩვევები, სხვებთან ურთიერთობის წესები. მაგრამ თუ მას თავისთავის ანაბარა დავტოვებთ, ვერ გახდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. საქმე ისაა, რომ დღეს კაცობრიობას იმდენი ცოდნა აქვს დაგროვილი სხვადასხვა მეცნიერებების სახით, მაღალ ტექნიკურ დონეზე გამართული წარმოება ისეთ უნარ-ჩვევებს მოითხოვს, რომ სწავლების გარეშე ახალგაზრდა დამოუკიდებლად მათ ვერ შეიძენს. ამიტომ შეიქმნა მრავალფეროვანი სასწავლებლები, რომლებშიც ახალგაზრდები ცოდნას, კვალიფიციურ შრომით ჩვევებს იძენენ. გარდა ამისა, ახალგაზრდას სჭირდება ზნეობრივი აღზრდაც. ის არა მხოლოდ უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, არამედ უნდა გახდეს მისი თავსებადი, მისაღები წევრი. ის არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას ან შრომით ჩვევებს უნდა ფლობდეს, არამედ საზოგადოების სხვა წევრებთან თანამშრომლობის ჩვევაც უნდა შეიძინოს.

ბავშვის აღზრდას, მისი პიროვნების ფორმირებას სჭირდება, რომ გააღამიანების ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები იყოს

ნორმალური. ნორმალურობა იმას ნიშნავს, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს მონაცემები, რომლებიც მეტ-ნაკლები წარმატებით მაგრამ მაინც მისცემენ მას შესაძლებლობას, აითვისოს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისთვის საჭირო ცოდნა-გამოცდილება. ამისათვის კი აუცილებელია მის ირგვლივ შეიქმნას შესაფერისი გარემო პირობები. *ბავშვზე ზემოქმედ პირობათა ერთიანობას, რომელიც მისი გაადამიანების პროცესზე ახდენს გადამწყვეტ გავლენას, სოციალური გარემო ეწოდება.*

სოციალური გარემო მოიცავს როგორც საზოგადოების მიერ დაკანონებულ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს, ისე ადამიანებთან ურთიერთობის ყველა სხვა სახეს, რომელთაც ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე შეუძლიათ გავლენის მოხდენა.. ასეთებია: ოჯახი, ოჯახის მეგობრები, სხვა მცირე ჯგუფები, რომლებთანაც ბავშვს უხდება ურთიერთობა(სანათესაო, მეზობლები, ქუჩის ბავშვები და სხვა). როგორც წესი, ბავშვზე ზემოქმედება სხვადასხვა მხრიდან ხორციელდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა იმასა აქვს, თუ რაჩვენად ძლიერია ის ზემოქმედებები, რომლებიც ბავშვის პიროვნების საზოგადოებისათვის მისაღები მიმართულებით ფორმირებას უწყობენ ხელს.

იმის გამო, რომ ყოველი ბავშვი განვითარების რამდენადმე განსხვავებულ პოტენციურ მონაცემებს ფლობს და ასევე განსხვავებულ სოციალურ ზემოქმედებას განიცდის, მათი პიროვნებებიც განსხვავებულ მახასიათებლებს იძენენ. ამიტომაც ყოველი ადამიანის პიროვნება უნიკალური, განუმეორებელი. იმისათვის რომ ბავშვის პიროვნება საზოგადოებისათვის მისაღები პიროვნული თვისებებით აღიჭურვოს, ხანგრძლივი და მძიმე შრომა საჭირო. ამაში შედის როგორც საკუთრივ ორგანიზებული სწავლება, ისე მოზარდის მრავალფეროვანი ქცევა (შრომა, გართობა, სხვადასხვა სახის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება). ყველა ისინი იმდაგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ახალგაზრდას დადებითი, საზოგადოებისათვის მისაღები პიროვნული თვისებები ჩამოუყალიბდეს. ესაა ადამიანის შვილის *სოციალიზაციის პროცესი*. იგი ყოველთვის უმტკივნეულოდ

არ მიმდინარეობს. მრავალი ფაქტორი არსებობს ისეთი, რომელთაც შეუძლიათ ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესის მიმდინარეობა შეაფერხონ, ან ზოგჯერ სრულიად მიუღებელი, ასოციალური ქცევის სუბიექტად აქციონ იგი.

როგორც ითქვა, ბავშვის სოციალიზაციის პროცესი მარტო სწავლებით არ შემოიფარგლება. მასზე სასწავლო დაწესებულებების გარეთ არსებული ფაქტორებიც მოქმედებენ, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდის პიროვნების ფორმირების ძირითადი საშუალება სასწავლებლებია, რომელთაგან ყველაზე უნივერსალური(ყველა ბავშვი რომ ხვდება) და მნიშვნელოვანი მაინც სკოლაა. ახალგაზრდა იქ ცოდნასაც იძენს და დადებით პიროვნულ თვისებებსაც ივითარებს. ამიტომ, საზოგადოებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, თუ როგორ სწავლობს ბავშვი სკოლაში და როგორ ეუფლება მისაღებ ქცევის ნორმებს. თუ მოსწავლე თავისი შესაძლებლობით სწავლობს, სკოლის მოთხოვნების შესატყვისად იქცევა, უკონფლიქტოა პედაგოგებთან და თანაკლასელებთან, მაშინ ის ნორმალურ მოსწავლედ ითვლება და მისი სოციალიზაციის, საზოგადოებაში შეზრდის პროცესიც უმტკივნეულოდ ხორციელდება.

სამწუხაროდ, ბავშვის სწავლითი საქმიანობა ყოველთვის ასე შეუფერხებლად არ მიმდინარეობს. ზოგიერთ მათგანს უჭირს სწავლა, ყოველ შემთხვევაში, ცუდად სწავლობს. ის ვერ ითვისებს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას და აკადემიურად ჩამორჩენილი ხდება. ეს რაც სწავლას შეეხება. ზოგიერთ ბავშვს არ გამოსდის სხვებთან ურთიერთობა(არღვევს დისციპლინას, ხულიგნობს, იზოლირებულია თანაკლასელებისაგან და ა.შ.). ხშირად ასეთი მოსწავლეები ცუდადაც სწავლობენ, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. ყველა შემთხვევაში, საქმე ეხება მოსწავლის სწავლაში ჩამორჩენას თუ დისციპლინის დაუცველობას, დარღვეულია სოციალიზაციის პროცესის ნორმალური მიმდინარეობა. საფრთხე ემუქრება საზოგადოების მომავალი წევრის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

ასეთ დროს ერთადერთი გამოსავალი არსებობს, უნდა აღმოვუჩინოთ დახმარება იმათ. რომელთა სოციალიზაციის პროცესი შეფერხდა. მას დახმარება უნდა გაეწიოს იმ მიმართულებით, რომ დაძლეულ იქნან ის ხელშემშლელი ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ბავშვის სწავლასა და ყოფაქცევაზე.

*ბავშვის სოციალიზაციის პროცესის ნორმალური მიმდინარეობის ხელშემშლელი მიზეზები შეიძლება იყოს: უნარშეზღუდულობა, ფსიქოპათოლოგიური გადახრები და არახელსაყრელი სოციალური გარემოს ზემოქმედებები (ძნელი ოჯახი, ასოციალური მცირე ჯგუფების გავლენა და სხვა).* ამ ფაქტორთაგან ზოგიერთი ობიექტურია, ბავშვის ფსიქიკურ შესაძლებლობებზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ არც ისე იშვიათად, ბავშვის განვითარებას ფსიქიკური უნარების არასაკმარისი გამოყენება უშლის ხელს. ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა სოციალიზაციის პროცესის გამრუდებაში ფსიქოლოგიური ფაქტორი მონაწილეობს (უმრავლეს შემთხვევაში ეს ასეცაა), მდგომარეობის გამოსასწორებლად ფსიქოლოგი უნდა იქნას მოხმობილი.

ბავშვის სოციალიზაციის პროცესის ხელშემშლელ ფაქტორთა სიმრავლე მოითხოვს, რომ ვინც მათ დაძლევაზე მუშაობს, მას აღმინანის ფსიქიკის შესახებ მრავალმხრივი ცოდნა უნდა ჰქონდეს, რაც სპეციალურ მომზადებას საჭიროებს. ასეთი ცოდნით აღჭურვილი პიროვნება უნდა იყოს სკოლის ფსიქოლოგი. იმ ფუნქციას, რასაც ფსიქოლოგი სკოლაში ასრულებს *სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურს* ეძახიან.

### 1.1.3. ფსიქოლოგიური სამსახურის ცნება

ადამიანს მრავალი მოთხოვნილება გააჩნია, რომლებიც აიძულებენ მას განუწყვეტლად იზრუნოს მის დაკმაყოფილებაზე. მოთხოვნილება დანაკლისის სახით განიცდება. რათა აღსდგეს მასა და გარემოს შორის წონასწორობა, ადამიანმა უნდა მოიხსნას დანაკლისის განცდა, რაც მხოლოდ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით ხდება შესაძლებელი. ამიტომ ის სისტემატურად მიმართავს მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო მიზანშეწონილ მოქმედებებს, რომელთაც ქცევას ეძახიან. ადამიანის ქცევაში მაშინაც, როცა ის მოტორული აქტიურობით ხორციელდება, ფსიქიკურია ჩართული, რომელიც ქცევის მოძრაობით კომპონენტებს აზრიან მოქმედებებად აქცევს.

არსებობს ორი სახის ქცევა: იმპულსური და ნებისმიერი. იმპულსურის დროს მოთხოვნილება გააზრების გარეშე, პირდაპირ გადადის მოქმედებაში. მაგალითად, მწყურვალ ადამიანი მიდის ონკანთან, წყლით ავსებს ჭიქას და მიირთმევს. ასეთ ქცევას არ სჭირდება გაცნობიერება იმისა, თუ რატომ აკეთებს ამას? ეს მისთვის ჩვეული მოქმედებაა. ამიტომ ეძახიან მას იმპულსურს. ასეთი სახის ქცევა, მიუხედავად სიმრავლისა, ადამიანის საქმიანობაში არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე. მისთვის მთავარია გაცნობიერებული მოქმედება, როცა მან იცის არა მხოლოდ ის, თუ რას აკეთებს, არამედ ისიც, თუ რისთვის აკეთებს ამას. ასეთ ქცევას ნებისმიერს ეძახიან. სწორედ მას აქვს მიზანი (რა უნდა გააკეთოს) და მოტივი-რისთვის სჭირდება ის, რასაც აკეთებს. ასეთ ქცევას ნებისმიერს იმიტომ ეძახიან, რომ მის განხორციელებაში ნებისყოფაა ჩართული. ხშირად, ნებისმიერი ქცევის განხორციელება დიდ სიძნელებებს აწყდება და მისი რეალიზებისათვის ნებისყოფის დაძაბვა ხდება აუცილებელი.

ნებისმიერ ქცევაში ჩართულია როგორც ფსიქიკური (მოთხოვნილება, ცნობიერებისა და ნებისყოფის აქტები), ისე ფიზიკური კომპონენტები (დაკმაყოფილებისათვის საჭირო სიტუაცია). ცხოვრებაში ასეთი ქცევა ყოველთვის არ სრულდება



უმტკივნეულოდ. ზოგჯერ ადგილი აქვს მის შეფერხებას ან სრულ აღკვეთასაც. ამის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ფსიქიკური ისე ფიზიკური ფაქტორი. მაგ. მოსწავლე ცუდად სწავლობს, თუმცა ნორმალური ინტელექტის პატრონია და არც ოჯახური პირობები უშლის ხელს. მძლოლმა მანქანა დააზიანა, რადგან უყურადღებოდ მართადა მანქანას. ასეთ შემთხვევებში ქცევის განხორციელებას სუბიექტური ფაქტორები უშლიან ხელს. მაგრამ თუ მოსწავლე ვერ ასწრებს ხშირი ავადმყოფობის გამო, ხოლო მძლოლს კი მანქანა გაუმართაობის გამო გაუფუჭდა, უკვე ობიექტურმა ფაქტორებმა ითამაშეს როლი.

იქ, სადაც ქცევის განხორციელებას ობიექტური ფაქტორი უშლის ხელს, ფსიქოლოგს არაფერი აქვს გასაკეთებელი. შეელა იმ სამსახურებს მოეთხოვებათ, რომელთაც ასეთ ფაქტორებთან აქვთ საქმე. მაგრამ თუ ქცევის შეფერხების მიზეზი ფსიქოლოგიური ბუნებისაა, მაშინ მდგომარეობის გამოსწორება ფსიქოლოგის კომპეტენციაში შედის და საქმეს მან უნდა მოუაროს. მაგალითად, ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრების ერთ-ერთი წევრი ვარჯიშის დროს დვირიდან ჩამოვარდა და დაიმტვრა. ცხადია, ის კარგახანს გამოეთიშა სპორტს და რამდენადაც ტრავმა ობიექტური მიზეზია, მისი მკურნალობა სხვა დარგის(მედიცინის) კომპეტენციას განეკუთნება. მაგრამ ამ სცენის მნახველმა მეორე ქალიშვილმა ისეთი სტრესი განიცადა, რომ ვერაფრით შესძლო ამ იარაღზე ვარჯიში, თუმცა მანამდე ამას ის მშვენივრად აკეთებდა. აქ ქცევის შეფერხების მიზეზი ფსიქოლოგიური ფაქტორია და საქმეში ფსიქოლოგი უნდა ჩაერთოს. კერძოდ, მსგავსი ტრავმების რეაბილიტაცია სპორტის ფსიქოლოგიის საქმეა. *ამდენად, ფსიქოლოგიური სამსახურის მიზანია ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ქცევის შემაფერხებელი ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოვლენა, და შესწავლა, მათი დაძლევის გზებისა და საშუალებების გამოსანახავად.*

ქცევის შეფერხებაში მარტო იმ ფაქტს არ ვგულისხმობთ, რომ მისი შესრულება საერთოდ შეუძლებელია, არამედ ისეთ შემთხვევებსაც, როცა მისი რეალიზაცია არასწორად, სოციალურად

მიუღებელი სახით ხდება. მოსწავლე გაკვეთილების მომზადების ნაცვლად საღამომდე თამაშითაა დაკავებული. საღამოს მეცადინეობის დაწყებისთანავე ჩაეძინება. მეორე დღეს ის სკოლაში მიდის გაკვეთილ მოუმზადებელი. მან ქცევა, რომელიც მოეთხოვებოდა (გაკვეთილის მომზადება) არასრუყოფილად შესარულა. თუ ასე გააგრძელა, ის სწავლაში ჩამორჩენილი გახდება. ამას ექიმი ვერ უშველის. საჭიროა საქმეში ფსიქოლოგის ჩართვა. ხულიგანი მოზარდიც გარკვეულ საქციელს სჩადის, მაგრამ ასეთი ქცევა საზოგადოებისათვის მიუღებელი, ასოციალური ქმედებაა. აქაც გადახრის გამოსწორებაში მასწავლებელს ფსიქოლოგი უნდა დაეხმაროს. ყველგან, სადაც ადამიანები, საზოგადოებრივად მისაღები ქცევის შესრულებაში ფსიქოლოგიური სახის სიძნელეებს განიცდიან ან ვერ ანხორციელებენ მას, თუმცა ეს მათ უნდათ, საჭიროებენ ფსიქოლოგის დახმარებას. ასეთი დახმარება სჭირდებათ: მოსწავლეებს, სპორტსმენებს, სამხედროებს, წარმოებაში დასაქმებულ ხალხს და ა.შ. *ფსიქოლოგი, რომელიც ასეთ საქმიანობას ეწევა ფსიქოლოგიური სამსახურითაა დაკავებული.* შესაბამისად სკოლის ფსიქოლოგი სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურს წარმართავს.

### ***1.1.4. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ცნება***

ქცევის შეფერხებას ადგილი აქვს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ის ხშირად იჩენს თავს სწავლით საქმიანობაშიც. რაც, არც ისე იშვიათად, სერიოზულ პრობლემებს ბადებს სკოლის წინაშე. მოსწავლე ვერ ითვისებს სასწავლო მასალას ერთ ან რამდენიმე საგანში. ზოგიერთმა მოსწავლემ, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, არაფერი იცის იქიდან, რაც ასწავლეს. სწავლაში ბავშვის ჩამორჩენის მიზეზი შეიძლება იყოს ობიექტური ფაქტორი: ბავშვის სწავლისთვის მოუმწიფებლობა, ასაკისთვის შეუფერებელი მასალა, თვალსაჩინო მასალის უქონლობა, ცუდი ოჯახური პირობები, როცა ბავშვს ნორმალურად მეცადინეობის შესაძლებლობა არა აქვს და ა.შ.

ჩამოთვლილი ფაქტორები ობიექტური ხასიათისაა და მათი დაძლევა სათანადო სამსახურებს ევალებათ და არა ფსიქოლოგს. მაგრამ ზოგჯერ, სწავლაში წარუმატებლობის მიზეზი თვით მოსწავლეშია და ფსიქოლოგიური ბუნებისაა: სიზარმაცე, სწავლის მოტივაციის სისუსტე და ა.შ. ამ დროს მოსწავლეს დახმარება ფსიქოლოგმა უნდა აღმოუჩინოს. ასეთ საქმიანობას ვეძახით სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურს.

სკოლა სიძნელეებს მარტო მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის გამო კი არ აწყდება. არც ისე იშვიათად ადგილი აქვს მოსწავლეთა უღისციპლინობას. ბავშვები არღვევენ სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, უხეშობენ, ხულიგნობენ. ასეთი ასოციალური ქცევის არსი ისაა, რომ ბავშვი ვერ ახერხებს მასწავლებელთან, მის ამხანაგებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. ზოგიერთი მათგანი სკოლის გარეშეც ცუდად იქცევა, მაგრამ რამდენადაც ის მოსწავლეა ამაშიც პასუხისმგებლობა სკოლას აკისრია. ასეთი მოსწავლე მხოლოდ თავისთავს როდი ენებს, როგორც სიზარმაცის დროს, არამედ სხვებსაც უშლის ხელს, ძაბავს ემოციურ ატმოსფეროს ჯგუფში, მასწავლებელს ხელს უშლის გაკვეთილის ნორმალურად ჩატარებაში და ამით ზიანს აყენებს მთელ კლასს. მოსწავლის ასეთი საქციელი არ ესადაგება ქცევის იმ ნორმებს და მოლოდინებს, რომელიც მიღებულია მოცემულ საზოგადოებაში. ბავშვებს, რომელთაც სერიოზული ქცევითი დარღვევები აქვთ, *ძნელადაღსაზრდელს* უწოდებენ. ეს ტერმინი ზუსტია, რამდენადაც ასეთი ბავშვები აღმზრდელების წინაშე დიდ სიძნელეებს ქმნიან. მათი გამოსწორება უფრო ძნელია, ვიდრე სწავლაში ჩამორჩენის ლიკვიდაცია. მაგრამ სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორად დაგეგმილი და განხორციელებული საკორექციო მუშაობა კარგ შედეგს იძლევა.

ამგვარად, *სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური ესაა მოსწავლის სწავლასთან და ქცევით დარღვევებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემების შესწავლა, მათ დასაძლევად საჭირო საკორექციო ღონისძიებების დაგეგმვა და მის რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობის*

*მიღება.* უშუალოდ საკორექციო ღონისძიებებს სკოლის ფსიქოლოგი ვერ განახორციელებს. ისინი რეალიზებული უნდა იქნან პედაგოგების მიერ ფსიქოლოგთან აქტიური თანამშრომლობით. მოსწავლის სწავლაში ჩამორჩენას ფსიქოლოგი ვერ აღკვეთს. ის მასწავლებელი არ არის. ეს უნდა გააკეთოს ბავშვის პედაგოგმა, რომელიც მონაწილეობს საკორექციო ღონისძიებების დაგეგმვაში. ფსიქოლოგმა კი უნდა აკონტროლოს მისი მიმდინარეობა(ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ).

რომ წარმოვიდგინოთ ისეთი იდეალური მდგომარეობა, როცა სკოლაში ყველა მოსწავლე თავისი შესაძლებლობით სწავლობს და უდისციპლინოდ არ იქცევიან, პედაგოგებიც სათანადო ტაქტიკითა და მონდომებით ასწავლიან, მაშინ იქ სკოლის ფსიქოლოგს არაფერი ექნებოდა გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ასეთი იდეალური მდგომარეობა სასწავლო დაწესებულებებში არ არის. პირიქით, ყველა სკოლა აწყდება დიდ სიძნელებებს ასეთ საკითხებში. ეს ასეა ყველა ქვეყანაში. ამიტომ საზღვაგარეთის ქვეყნებში ჩვენზე ადრე ჩამოყალიბდა სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური. მოზარდი თაობის სწავლასა და აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემები, შერბილებული თუ უფრო მწვავე სახით ყველა სკოლის წინაშე დგას. ზოგან სწავლის დეფიციტი პრევალირებს, ზოგან დისციპლინისა, მაგრამ მათი არსებობა ყველა სკოლაში იგრძნობა და ამდენად ხელს უშლის სასწავლო-სააღმზღდელო მუშაობას. როგორც ჩვენი ისე საზღარგარეთელი ქვეყნების სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც დრო გადის სკოლის წინაშე მდგარი სიძნელებები კი არ ნიველირდება, არამედ კიდევ უფრო რთულდება. სწორედ ამან გამოიწვია სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის შემოღება.

## 1.1.5. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საჭიროება

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური განათლების ფსიქოლოგიის ახალი დარგია. ის გასული საუკუნის შვილია. მისი ფორმირება ჯერაც არ არის დამთავრებული და ეს იმ დროს. როცა სასკოლო სწავლებას საუკუნეების ისტორია აქვს. ფსიქოლოგიური სამსახურის საჭიროებას ადრე სკოლა არ გრძნობდა და, ცხადია, არც მოთხოვნები ყოფილა მისი შემოღების შესახებ. ახლა კი ყველა განვითარებული ქვეყანა გრძობს ამის საჭიროებას. საკითხავია, რა მოხდა გასულ საუკუნეში ისეთი, რომ სკოლას დამხმარედ ფსიქოლოგი მოუვლინეს?

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის შემოტანა ორი ფაქტორით იყო გაპირობებული. ჯერ ერთი, ძალიან გაუჭირდა სკოლას. კერძოდ, სკოლაში ჩარიცხულ ბავშვთა შორის განვითარების (სწავლის) ფსიქიკური შესაძლებლობებითა და პიროვნული, პირველ რიგში, ხასიათის თვისებებით დიდმა განსხვავებამ იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთაგან ზოგი ცუდად სწავლობდა, ვერ ითვისებდა სასწავლო მასალას და მყარი ოროსანი ხდებოდა. ამათ გვერდით ისეთი ბავშვებიც აღმოჩნდნენ, რომელთათვისაც ეს მასალა იმდენად მსუბუქი იყო, რომ ხელს არ უწყობდა მათი შესაძლებლობათა მაქსიმალურად განვითარებას.

სასკოლო სწავლებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მეოცე საუკუნემდე სკოლების რაოდენობა ცოტა იყო და იქ ისეთი ბავშვები მიჰყავდათ, რომელთაც სწავლა ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ. თუ აქა იქ რომელიმე ბავშვს ეძნელებოდა სწავლა, უმტკივნეულოდ ტოვებდა სკოლას. შემდეგში კი მომრავლდა სკოლების რაოდენობა, კოლოსალურად გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი. ბევრგან საყოველთაო სავალდებულო სწავლებაც იქნა შემოტანილი. საკმოდ დაიწია სასკოლო ასაკმაც. რვა წლიდან ის თანდათანობით 6 წლამდე ჩამოვიდა. ორ წელს ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

იმ საკითხებში, 8 წლის ბავშვი რომ გებულობს, 6 წლისა ვერ გაერკვევა. ახლა კი უკვე გაჩნდნენ სწავლაში ჩამორჩენილებიც.

განვითარებულ საზოგადოებას ნასწავლი ხალხი სჭირდება. ამიტომ თუ ადრე ბავშვებს წერა-კითხვასა და არითმეტიკას ასწავლიდნენ, ახლა მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების შედეგად საჭირო გახდა ცოდნის ფართო პროფილისა და გაცილებით ღრმად განსწავლული ახალგაზრდობა, რასაც მოჰყვა სკოლებში რთული მეცნიერებების სწავლების შემოტანა. ამან კიდევ უფრო გაზარდა სწავლაში ჩამორჩენილთა რაოდენობა. შემდეგ, სკოლებში ბავშვთა დიდი კონტინგენტის თავმოყრამ უარყოფითად იმოქმედა მოსწავლეთა მიერ სკოლის შინაგანაწესის დაცვაზე. გახშირდა უღისციპლინობა, შეუთავსებლობა მოსწავლე-მასწავლებელსა და თვით მოსწავლეთა შორის. სხვადასხვა სოციალური წრისა და განსხვავებული ოჯახური აღზრდის გავლენა მოსწავლეთა საქციელზე აშკარა გახდა. იმატა უღისციპლინობამ, რომელიც ზოგჯერ აშკარად გამოკვეთილ ხულიგნობაში გადადის (ძნელად აღსაზრდელობა).

სკოლებში ფსიქოლოგიური სამსახურის გვიან შემოტანის კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ მე-19-ე საუკუნის ბოლომდე არ არსებობდა მეცნიერება, რომელსაც შეეძლო ამ საქმეში სკოლისათვის დახმარების აღმოჩენა. სწორედ ამ პერიოდში ჩაისახა მეცნიერული (ექსპერიმენტული) ფსიქოლოგია და იწყო სწრაფი განვითარება. დაბოლოს, ფსიქოლოგიური სამსახურის შემოღების ერთერთი მიზეზი ისიცაა, რომ თვითონ მასწავლებლებმა არ იციან როგორ აღმოფხვრან აღმოცენებული სიძნელეები. ამის გარეშე კი სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვა შეუძლებელია. ამაში მათ სერიოზული დახმარება სჭირდებათ.

ზოგადად რომ ვთქვათ, პრობლემამ ასეთი სახე მიიღო-რატომ არ სწავლობს მოსწავლეთა ის ნაწილი, რომლებიც ჩამორჩენილები არიან? რატომ ხდებიან ზოგიერთნი უღისციპლინონი, უხეშები? რა სახის ღონისძიებების გატარებაა საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად?

რაც შეეხება ბავშვის სწავლაში ჩამორჩენას, ამის მიზეზი შეიძლება ვეძიოთ ან მასწავლებლის საქმიანობაში ან ბავშვში. როცა კლასის 25 მოსწავლიდან 22 ნორმალურად სწავლობს და მხოლოდ სამს უჭირს, ძნელია მასწავლებელი გაამტყუნო. უდაოდ, მოსწავლე სცოდავს, მაგრამ მაინც რაშია საქმე? ამან შეაშფოთა მე-19-ე საუკუნის ბოლოს ევროპის ქვეყნების პედაგოგები, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მასწავლებლები.

სწავლაში ჩამორჩენის მიზეზის დადგენა ძნელი საქმეა, რადგან მას ბევრი საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. პირველ რიგში, დასადგენია ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონე. შეუძლია კი მას პროგრამული მასალის ათვისება? თუ შეუძლია, მაშინ ჩამორჩენის სხვა მიზეზებია საძებარი, რომელთაც ბავშვისთვის სწავლაში ხელის შეშლა შეუძლიათ. თითოეული ცალ-ცალკე უნდა იქნას გამოვლენილი და შესწავლილი. ამის გაკეთება პედაგოგებს არ შეუძლიათ. ასეთი საკითხების შესწავლა ფსიქოლოგების მოვალეობაა. პედაგოგებისათვის ის არ უსწავლებიათ და ამის გაკეთება მათ მოვალეობაში არც შედის.

პედაგოგებს სერიოზული დახმარება სჭირდებათ ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობაში. აქ ხომ არ არსებობს აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანი რეცეპტი, რომელიც შეიძლება ყველა ბავშვის მიმართ იქნას გამოყენებული. გარდა ბავშვთა შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებებისა, ძნელად აღსაზრდელობის ყოველ შემთხვევას განსხვავებული გამომწვევი მიზეზი გააჩნია, ხოლო მათი შესწავლა და საკორექციო ღონისძიებების შემუშავება მასწავლებელთა უმრავლესობის შესაძლებლობებს აღემატება.

ზემოთაღნიშნულის გარდა, სკოლის წინაშე სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც დგას. მან არა მხოლოდ ცოდნა უნდა მისცეს ბავშვს, არამედ მომავლის გზაც უჩვენოს. სკოლაშივე უნდა ზღებოდეს იმის გარკვევა, როგორი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები გააჩნიათ ბავშვებს და რომელი პროფესიების დასაუფლებლად გამოდგებიან ისინი ყველაზე მეტად. ეს უკვე პროფესიული ორიენტაციის საკითხია და აქაც ფსიქოლოგის

დახმარებაა საჭირო. სამწუხაროდ, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში პრობლემებს ზოგჯერ თვითონ პედაგოგებიც ქმნიან. აღზრდას სჭირდება აღსაზრდელის ფსიქიკური თავისებურებების საფუძვლიანი ცოდნა, რაშიც ყველა პედაგოგი როდია ერთნაირად ძლიერი. საგნის საფუძვლიანი ცოდნა კარგია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი პედაგოგი უსათუოდ კარგი აღმზრდელიც იქნება. ცოდნასთან ერთად მას დადებითი პიროვნული თვისებები, კარგი პედაგოგიური ალლო და ტაქტი უნდა ჰქონდეს. ბავშვებთან ურთიერთობაში პედაგოგიური ტაქტი და მათ მიმართ ემპათია ნორმალური სააღმზრდელო მუშაობის აუცილებელი პირობაა. არც აქაა ყველაფერი რიგზე. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური ვერც ამ პრობლემას აუვლის გვერდს.

მოზარდი თაობის სწავლება-აღზრდის საქმეში სკოლის წინაშე მდგარი სიძნელეები სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. ამიტომ სკოლებიდან წამოსული სიგნალი “SOS” სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა, ამ მოთხოვნას ფსიქოლოგებიც გამოეხმაურნენ და მე-20-ე საუკუნის ბოლოსათვის სკოლის ფსიქოლოგიურმა სამსახურმა საკმაოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო, თუმცა ამ მიმართულებით ახლაც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.



## სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საფუძვლების შემზადება

### 1.2.1. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნის პირობები

როგორც ვნახეთ, სკოლას გაუჭირდა და შველა ითხოვა. ისიც ცხადი გახდა, რომ ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენების გარეშე პრობლემები არ გადაწყდებოდა. სწავლა ბავშვის ფსიქიკას ეყრდნობა და ამ სფეროში აღმოცენებულ სიმნელეებს ფსიქოლოგმა უნდა უპასუხოს. მაგრამ ერთია სკოლიდან წამოსული მოთხოვნა, - აღმოუჩინონ დახმარება ბავშვის სწავლებაში ხელშემშლელ ფაქტორთა შესწავლასა და დაძლევაში და მეორეა-იყო კი ამ დროს ფსიქოლოგიური მეცნიერება იმ დონემდე განვითარებული, რომ ასეთი პასუხისმგებლობა ეკისრა? ეს ხომ მე-19-ე და მე-20-ე საუკუნეების მიჯნაა. თუ გადავხედავთ ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიას ვნახავთ, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის მას მოეპოვებოდა საჭირო მონაცემები სკოლის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის მისაღებად. ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელი იყო ასეთი სამსახურისათვის საფუძვლის ჩაყრა. ცხადია, დაწყება ძნელ იყო, მაგრამ თუ არ დაიწყე ისე წინ ვერ წახვალ.

ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი ექსპერიმენტული მეცნიერება, მე-19-ე საუკუნის ბოლო მეოთხედში იწყებს ჩამოყალიბებას. 1879 წლის შემდეგ, რაც ვ. ვუნდტმა ქ. ლაიფციგში ლაბორატორია ჩამოაყალიბა ფსიქიკურ პროცესთა ექსპერიმენტულად შესწავლის მიზნით, ფსიქოლოგიის განვითარება სწრაფი ტემპით წავიდა წინ. პირველ რიგში, ფსიქოლოგიურ მეცნიერებად ზოგადი ფსიქოლოგია შეიქმნა. ის ზრდასრული

ადამიანის ფსიქიკას შეისწავლის, თანაც ამუშავებს ძირითად ფსიქოლოგიურ პრობლემებს და ადგენს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ზოგად კანონზომიერებებს. ფსიქოლოგიის ყველა დარგი მის მონაცემებს ეყრდნობა. ზოგად ფსიქოლოგიას მალე გამოეყო ბავშვის ფსიქოლოგია და იწყო სწრაფი განვითარება.

ბავშვი საზოგადოების მომავალია და მის სწავლებასა და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის იქცევენ ყურადღებას. ამ კონტექსტში ფრიად აქტუალური გახდა ფსიქიკის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებების ცოდნა. ამას თეორიულთან ერთად, პრაქტიკული საჭიროებაც ედო საფუძვლად. ბავშვისა და მოზარდის სწავლების ორგანიზება აუცილებლობით საჭიროებს იმის ცოდნას, თუ რა სიძნელისა და მოცულობის მასალის გაგება და ათვისება შეუძიათ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს. ბავშვის ფსიქიკის შესწავლის საქმე ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ ჯერ კიდევ 1882 წელს გაჩნდიდა ვ. პრაიერის ცნობილი შრომა “ბავშვის სული”. სულ მალე ამას მოჰყვა ისეთი ცნობილი ფსიქოლოგების შრომები, როგორებიც არიან: ვ. შტერნი, კ. ბიულერი. კ. კოფკა, კ. გროსი, ფ. გიზე და სხვები

ასეთი კვლევების შედეგად ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესახებ მდიდარი მასალა დაგროვდა და შესაძლებელი გახდა მისი ჩაყენება პედაგოგიკის სამსახურში. მცდელობამაც არ დააყოვნა. ბავშვის ფსიქოლოგიის პარალელურად იწყო ჩამოყალიბება განვითარების(პედაგოგიურმა) ფსიქოლოგიამაც. ფსიქოლოგიის ამ ახალი დარგით დაინტერესება უფრო ადრე მე-19-ე საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო, მაგრამ “ნამდვილი პედაგოგიური ფსიქოლოგია მხოლოდ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძველზე შეიქმნა”(9. 86) დიდი წვლილი განვითარების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში მიუძღვის ე. მოიძანს. მან 1911 წელს გამოაქვეყნა კაპიტალური შრომა “ლექციები ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავლისათვის”, ხოლო სამი წლის შემდეგ, 1914 წელს მას მოჰყვა ასევე ცნობილი შრომა “ექსპერიმენტული პედაგოგიკის ნარკვევები”. ამ შრომებმა ეპოქა შექმნეს განათლების ფსიქოლოგიაში. შემდეგში ამათ მოჰყვა

ვ. შტერნის, ე. პეტერსის, ლ. ნაგის, ფ. ბარტის შრომები. ამით განათლების ფსიქოლოგიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ბავშვის ასაკობრივი განვითარების ფსიქოლოგიის შესწავლით მოპოვებული მონაცემების სკოლის საჭიროებისთვის გამოყენების მიმართულებით.

იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბებას. ეს იყო დიფერენციალური ფსიქოლოგიის ასევე სწრაფი განვითარება. ზოგადი ფსიქოლოგიის პრობლემების ინტენსიური შესწავლისას გამოირკვა, რომ ადამიანთა შორის, იმ ზოგადის გარდა, რაც მათ ადამიანის ცნებაში აერთიანებს, არის აგრეთვე საგრძნობი ინდივიდუალური განსხვავებები. ზოგიერთი მათგანი იმდენად სერიოზულია, რომ ადამიანთა პიროვნებებს უნიკალურს, განუმეორებელს ხდის. ყოველი პიროვნება კიდევ ჰგავს სხვებს და კიდევ განსხვავდება მათგან. ადამიანთა შორის არსებულ ფსიქოლოგიურ სხვაობებს დიფერენციალური ფსიქოლოგია სწავლობს. დიდი ღვაწლი დიფერენციალური ფსიქოლოგიის საფუძვლების დამუშავებაში მიუძღვის ვ. შტერნს, რომლის ფუნდამენტური შრომა “დიფერენციალური ფსიქოლოგია” 1911 წელს გამოქვეყნდა. ფსიქოლოგიის ამ ახალ დარგს შეეძლო ეჩვენებინა იმ სპეციფიკური თავისებურებების ბუნება, რითაც პრობლემური მოსწავლეები ხასიათდებიან. იმის დადგენას, რომ ადამიანები მრავალი ნიშნით, მათ შორის ინტელექტუალური შესაძლებლობებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, დიდი მნიშვნელობა აღმოაჩნდა განვითარების ფსიქოლოგიისათვის. მაშინათვე გაჩნდა ეჭვი, რომ მოსწავლეთა ნაწილის სწავლაში ჩამორჩენა შეიძლება ამ ფაქტორითაც იყოს გამოწვეული.

ამგვარად, მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედისათვის უკვე საკმაოდ იყო განვითარებული სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ფორმირებისათვის საჭირო სამი დარგი: ბავშვის, განათლებისა და დიფერენციალური ფსიქოლოგიები. თავიდანვე მათი წარმატებები სკოლის მოთხოვნებით არ იყო გაპირობებული, მაგრამ, როცა ასეთი სამსახურის ჩამოყალიბების საჭიროება

გაჩნდა, აღმოჩნდა, რომ მისი შექმნისათვის აუცილებელი მონაცემები უკვე არსებობდა. ფსიქოლოგიის ჩამოთვლილი დარგების მონაპოვრების გამოყენება შესაძლებელი იყო ბავშვის სწავლაში ჩამორჩენისა და ასოციალური ქცევის მიზეზების დასადგენად. მაგრამ არსებობდა ერთი სერიოზული დაბრკოლება, კერძოდ, ჯერ კიდევ არაყინ იცოდა რა მეთოდით, რა ხერხებით მოეხდინათ ბავშვთა შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებების ზუსტად დადგენა. ყველაზე მეტად ჭირდა ბავშვის გონებრივი განვითარების დონის დადგენა. ამის გარეშე მოპოვებული ცოდნის სკოლის საჭიროებისათვის გამოყენება შეუძლებელი იყო

*ფსიქოლიაგნოსტიკის ფორმირება.* ზრდასრული ადამიანის ფსიქიკური თავისებურებების საკვლევად შემუშავებული იქნა გარკვეული მეთოდები: დაკვირვება, ექსპერიმენტი და სხვა. მათი გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი ზრდასრული ადამიანის ფსიქიკის შესწავლა. სხვანაირადაა საქმე ბავშვის შემთხვევაში. აქ მარტო დაკვირვება და ექსპერიმენტი საკმარისი არ აღმოჩნდა. ბავშვის ფსიქიკა უწყვეტ განვითარებაშია. ამიტომ სხვადასხვა ასაკის ბავშვის ფსიქიკური თავისებურებები, მათ შორის ინტელექტუალური განვითარების პოტენციური მონაცემები, ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. მე-19-ე საუკუნის ბოლომდე ჯერ კიდევ არ არსებობდა მეთოდი, რომლის გამოყენებითაც ამ განსხვავებათა ჩვენება იქნებოდა შესაძლებელი.

ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესაფასებლად წლებს კი არა თვეებსა და კვირებსაც აქვს მნიშვნელობა. ამიტომ 5 და 6 წლის ბავშვის გონებრივი განვითარების დონეებს ერთი და იმავე მასალით ვერ შეისწავლი. ამიტომ საჭირო გახდა ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც პედაგოგიკისათვის საინტერესო ფსიქიკურ პროცესთა ასაკობრივი განვითარების დონის დადგენას გახდიდა შესაძლებელს. რადგან სწავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა შემუშავებით პროცესებს აქვთ. ამიტომ ხელი მოკიდეს ისეთი მეთოდის შექმნას, რომელიც ამ ამოცანის შესაფერისი იქნებოდა. ასე შეიქმნა გონებრივი ტესტები (უფრო ვრცლად ქვემოთ).

## 1.2.2. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის თანამედროვე მდგომარეობა

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური კარგა ხანია რაც არსებობს და წარმატებით ართმევს თავს მის წინაშე მდგარ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ყველგან ერთნაირად რთული არ არის. რაც უფრო წარმატებით წყვეტდა ფსიქოლოგია სკოლის საჭიროებიდან მომდინარე მოთხოვნებს მით უფრო ახალ-ახალი პრობლემები იწვევდნენ წინა პლანზე. ამან კიდევ ერთხელ უჩვენა სიმრავლე იმ სიტუაციებისა, რომელთაც სკოლა აწყდება. ეს გარემოება უკუგავლენას ახდენდა ფსიქოლოგიის შემდგომ განვითარებაზე. რამდენადაც მეტად სჭირდება მეცნიერება საზოგადოებას. მით მეტი სტიმული ეძლევა მის განვითარებას. ფსიქოლოგიის წინაშე გაჩნდა როგორც თეორიული კვლევების გაშლის ისე მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენების საჭიროება.

თუმცა დღეისათვის სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური ბევრ ქვეყანაში ფუნქციობს, ყველაზე განვითარებული მაინც ამერიკის შეერთებულ შტატებშია და “დღეისათვის წარმოადგენს თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე ცხოვრებისეულ და ქმედით დისციპლინას“ (36, 10). ა.შ.შ-ში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, ყველაზე დამუშავებული ფსიქოდიაგნოსტიკა აღმოჩნდა. ამიტომაც ხელი მოჰკიდეს ტესტირების გზით, გონებრივი განვითარების დონის დადგენას. ბინე-სიმონისა და მისი ანალოგიით შედგენილი სხვა ტესტები ამის შესაძლებლობას იძლეოდნენ. ამ გზით ხდებოდა იმ ბავშვების გამოვლენა, რომელთა სწავლაში ჩამორჩენა ინტელექტის უკმარისობით იყო გამოწვეული. თუ ბავშვს ასეთი შეზღუდვა აღმოაჩნდებოდა, ცხადია, ის ჩვეულებრივ სკოლაში ვერ ისწავლიდა და სპეციალურ სწავლებას უნდა დაქვემდებარებოდა.

მოსწავლეთა ტესტირებით ადგენდნენ ბავშვის გონებრივი განვითარების დონეს, ხოლო მისი ფიზიოლოგიურ ასკოთან

შედარებით გამოყავდათ ნიჭიერების კოეფიციენტი. სხვადასხვა ბავშვს განსხვავებული კოეფიციენტი ჰქონდა. დაბალი კოეფიციენტის მქონენი სპეციალურ სწავლებაზე გადაჰყავდათ. ამას მოჰყვა “ჰაიდენსის” სამსახურის აღმოცენება და განვითარება. 1945-60-იან წლებში “ჰაიდენსის” სამსახურის სპეციალისტ-კონსულტანტთა პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა ტესტირება. ტესტირების გამოყენებამ აქცია “ჰაიდენსის” სამსახური ამერიკის სკოლების სელექციურ მექანიზმად.

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ფსიქოლოგიურმა სამსახურმა საგრძნობი ევოლუცია განიცადა თვით ამერიკის სკოლებშიც. ფსიქოლიაგნოსტიკას დღესაც დიდი ადგილი უკავია, მაგრამ მასთან ერთად სხვა პროგრამებმაც წამოიწიეს წინა პლანზე. საჭირო გახდა ფსიქოლოგიური სამსახურის სხვადასხვა ნიუანსების იურიდიული გაფორმება. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1973 წელს უელსში ჩატარებულ კონფერენციას, რომელზეც განიხილეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის მიზნები და ამოცანები, იურიდიული და ეთიკური საფუძვლები, სკოლის ფსიქოლოგის პროფესიული მომზადება, ამისათვის საჭირო პროგრამის შინაარსი და რიგი სხვა საკითხებისა.

ტენდენცია, სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის სახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო დონეზე ორგანიზებისა, სულ უფრო და უფრო იკრებდა ძალებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წელს ჩამოყალიბდა სკოლის ფსიქოლოგთა პროფესიული ორგანიზაცია, ხოლო 1980 წელს შეიქმნა სკოლის ფსიქოლოგთა ეროვნული ასოციაცია (NASP).. რაც დრო გადიოდა, იცვლებოდა სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურისადმი მიდგომა. თვისობრივი გარდაქმნები დაიწყო იმის შემდეგ, რაც ტესტირება ჩათვლილი იქნა არა როგორც ფსიქოლოგიური სამსახურის უნივერსალურ საშუალებად, არამედ მის ერთერთ კომპონენტად. ასეთი მიდგომა ახასიათებს დღეს ამერიკის ფსიქოლოგთა დიდ ნაწილს. მათი აზრით, ფსიქოლოგიური სამსახური სამ კომპონენტს

მინც შეიცავს. პირველი, რასაკვირველია, ტესტირებაა. ის ისევ რჩება სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად და ასეთად დარჩება მომავალშიც.

ბევრი ფსიქოლოგის აზრით, ნამდვილი ფსიქოლოგიური სამსახური იწყება მეორე ღონიდან.. იმის შემდეგ, რაც ტესტირებით მიღებული ბალები დაჯამდება, უნდა მოხდეს გადასვლა მოსწავლის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ და კლინიკურ შესწავლაზე. დაბოლოს, დასმული დიაგნოზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ვითარების ადექვატური წინადადებები და კონსულტაციები(მესამე კომპონენტი).

მინც ბევრ ქვეყანაში, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფსიქოლოგიური სამსახურის უმთავრეს რგოლს ისევ ფსიქოდიაგნოსტიკური მუშაობა წარმოადგენს. უკვე გააზრებულია ამ სამსახურის ფართო წრე, რომელიც სკოლის საქმიანობაში ფსიქოლოგის აქტიურ ჩართვას გულისხმობს. ასე მაგალითად, დოკუმენტში “სკოლაში ფსიქოლოგიური სამსახურის უზრუნველყოფის, სკოლის ფსიქოლოგიური ეროვნული ასოციაციის სახელმძღვანელოში”, გარკვევითაა ნათქვამი, რომ სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური მიეკუთვნება განათლების სისტემას სკოლამდელი აღზრდიდან ვიდრე უმაღლეს განათლებამდე. მისი უმთავრესი მიზანია ბავშვებისა და ახალგაზრდების ფსიქიკურ აღზრდის საქმისადმი სამსახური..

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურისადმი ამერიკელ ფსიქოლოგთა მიდგომა გააზრებულია როგორც მრავალპლანიანი სისტემა, რომლიდანაც შეიძლება შემდეგი ძირითადი პუნქტების გამოყოფა:  
1.ფსიქოდიაგნოსტიკური მუშაობა, რაც დაკავშირებულია სწავლისათვის საჭირო ფსიქიკურ უნართა გაზომვასა და ბავშვებისა და მოზარდების სწავლისათვის გამოსადეგობის შეფასებასთან.

2.მოსწავლეთა კოგნიტურ, აფექტურ და სოციალურ განვითარებაზე სკოლის ეფექტური ზეგავლენის განხორციელებაში ფსიქოლოგის აქტიური მონაწილეობა. ბავშვებზე ზრუნვის საკითხებზე სკოლის

პედაგოგიური პერსონალისა და მშობლების კონსულტირება სპეციალური პროგრამების მიხედვით.

3. სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე სკოლის პედაგოგიური პერსონალისა და მშობლების ერთობლივი სწავლება სპეციალური პროგრამების მიხედვით. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების სკოლის ფსიქოლოგიურმა სამსახურმა საქმიანობა დაიწყო ფსიქოლინგვისტიკით ანუ, როგორც იხინი უწოდებენ, გაზომვებით, შემდეგში კი თანდათანობით სწავლებისა და აღზრდის საკმაოდ რთულ და მრავალფეროვან პრობლემებზე გადავიდა.

შეერთებული შტატების შემდეგ სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური კარგადაა განვითარებული საფრანგეთში. ეს არცაა გასაკვირი. ბავშვთა გონებრივი მანვითარების დონის გაზომვის მეთოდის (ტესტების) ავტორის ა. ბინეს სამშობლოში ყოველთვის იყო ინტერესი ფსიქოლოგიური ცოდნის სკოლის სამსახურში ჩაყენებისადმი. ბინე-სიმონის ცნობილი გონებრივი ტესტები სწორედ საფრანგეთის განათლების სამინისტროს მიერ იყო თავის დროზე შეკვეთილი. ა. ბინემ მუშაობა ამ მიმართულებით ადრე დაიწყო (1894 წ.) ხოლო 1897 წელს გამოქვეყნდა დაწყებითი განათლების ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი შრომა, რომელმაც განათლების სამინისტროს ყურადღება მიიქცია. ამიტომ, როცა სკოლებიდან წამოვიდა დაუნიებული მოთხოვნა, - დახმარებოდნენ მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის მზეზების დადგენაში, სამინისტროს შესვეურებმა ბინეს მიმართეს დახმებისათვის. ბინეც ჩაერთო მუშაობაში და გასული საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა ბავშვის გონებრივი განვითარების დონის დასადგენი ბინე-სიმონის ცნობილი ტესტი, რომელმაც ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ამ სფეროში.

საფრანგეთი პირველი ევროპული ქვეყანა იყო, სადაც 1909 წელს ჩამოყალიბდა სკოლის პროფესიული ფსიქოლოგიური სამსახური. თავდაპირველად აქაც, მოსწავლეთა გონებრივი განვითარების გაზომვებით იყვნენ დაკავებულნი. მაგრამ ამერიკის მსგავსად, დროთა განმავლობაში, საფრანგეთშიც სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურს უფრო ფართო გასაქანი მიეცა. 1947



წელს პარიზში პროფესორ ა. ვალონის ხელმძღვანელობით მუშაობას იწყებს სკოლის ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომელმაც პრიორიტეტულად მიიჩნია არა ბავშვთა სელექციის, არამედ უკლებლივ ყველა ბავშვისათვის დახმარების აღმოჩენა, მათი სწავლებისა და აღზრდისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა. 1951 წელს საფრანგეთის განათლების სამინისტრომ პირველად ჩაატარა სკოლის ფსიქოლოგების ფუნქციების აღწერა. ეს დოკუმენტი დაედო საფუძვლად კამბურგში 1952 და 1954 წლებში იუნესკოს მიერ ჩატარებულ კოლოკვიუმებს, რომლებიც მიემდგვნა სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საკითხებს. სამწუხაროდ, მომდევნო ორი ათეული წლის განმავლობაში საფრანგეთში შეფერხდა სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის შემდგომი განვითარება და სკოლის ფსიქოლოგები პედაგოგებად გადაიყვანეს. მაგრამ სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საჭიროება სულ უფრო და უფრო საგრძნობი იყო, რასაც კვლავ მოჰყვა მისი ხელახალი აღორძინება.

განსაკუთრებით მწვავედ იდგა იმ ბავშვთა სელექციის საკითხი, რომელთაც რიგ მიზეზთა გამო, დაწყებითი სკოლის პროგრამული მასალის ათვისება უჭირდათ. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, 1960 წელს გაიხსნა ფსიქოლოგიური სამსახურის ოთხი ცენტრი: პარიზში, ბორდოში, გრენობლში და ბეზანსონში. ამის შემდეგ, საფრანგეთის სკოლის ფსიქოლოგიურმა სამსახურმა საგრძნობი ცვლილება განიცადა და 1970 წლიდან სხვა სახის ორგანიზაციული ფორმა იქნა გამონახული. ფსიქოლოგიური სამსახურის ძირითად ორგანიზაციულ ფორმად იქცა ე. წ. ფსიქოლოგო-პედაგოგიური ჯგუფი (CAAP). ასეთი ჯგუფი სამი წევრისაგან შედგება. ესენია: სკოლის ფსიქოლოგი, სწავლების ფსიქოლოგი და განვითარების ფსიქოლოგის სპეციალისტი.

ფსიქოლოგიური სამსახურის ყოველ ასეთ ჯგუფზე მიმაგრებული იყო სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები 800-1000 ბავშვის რაოდენობით. თუ ამ კონტინგენტს რამდენიმე სკოლის მოსწავლეები აესებდნენ, მაშინ ჯგუფი ტერიტორიულად

ერთერთი მათგანის შენობაში იყო განთავსებული. პირველ რიგში, ასეთი ჯგუფის შესწავლის ობიექტი იყო სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები(2-12 წ.), მაგრამ უპირატესობა ენიჭებოდა 3-7 წლის ბავშვებს. ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბავშვების სწავლების შესაძლებლობასა და ქცევის პრობლემებს. საკითხისადმი ასეთი მიდგომის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადარჩევა იმ ბავშვებისა, რომლებიც სწავლების განსაკუთრებულ ფორმებს საჭიროებენ. მათ მუშაობაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღნიშნულ პრობლემებზე პედაგოგებისა და მშობლების კონსულტირებას.

საფრანგეთში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის რეორგანიზაცია ამით არ დამთავრებულა. 1980 წლიდან იწყება ამ სამსახურის განვითარების შემდგომი ეტაპი. 1985 წელს ამ მიზნისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ხუთი სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან(ANOP). მან სცადა განესაზღვრა ქვეყანაში სკოლის ფსიქოლოგის ფუნქცია. წამოყენებული იქნა შემდეგი დებულება-განვითარების ფსიქოლოგის, როგორც ნებისმიერი ფსიქოლოგის, ფუნქციას კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, სკოლის ფსიქოლოგს საქმე აქვს ბავშვის ფსიქიკური განვითარების მთელ პროცესთან. ასეთმა სამსახურმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. ფსიქოლოგს უფლება აქვს საქმეში ჩართოს სკოლის პედაგოგები და მოსწავლის მშობლები. სკოლის ფსიქოლოგს შეუძლია დაუპირისპირდეს ოჯახურ და სასკოლო აღზრდის სისტემას და შეეცადოს მისი სტანდარტების შეცვლას, თუ თვლის, რომ ისინი ხელს უშლიან ბავშვის პიროვნების პროგრესულ განვითარებას.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური უწყვეტად განიცდის განვითარებას. ამჟამად, კვლავ დგას მისი შემდგომი რეორგანიზაციის საკითხი. განიხილება ახალი პროექტი, რომლის მიზანია სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ერთიანი სისტემის შემოღება. რომელსაც დაეკისრება სწავლაში ჩამორჩენის თავიდან აცილება, ბავშვთა სწავლებისა

და სოციალური ადაპტაციისათვის ხელის შეწყობა, უნარშეზღუდულ ბავშვთა ნორმალურ მოსწავლეებთან ინკლუზიურ და ინტეგრირებულ სწავლებაში ჩართვის უზრუნველყოფა. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის ხელის შეწყობა, სკოლების, სოციალურ სფეროში მომუშავეთა, ადმინისტრაციის და სახალხო განათლების სხვა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად შვეციაში, ფსიქოლოგი მუშაობს სამი კაცისაგან შემდგარ “გუნდში”. ისინი მიდიან სკოლაში და წყვეტენ მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის წამოჭრილ პრობლემებს. ამისათვის ისინი აწარმოებენ გამოკითხვას, საუბრებს, ტესტირებას. ატარებენ კონსულაციებს იმ კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც დამკვეთს აინტერესებს.

საკმაოდ კარგადაა განვითარებული სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში: ჩეხეთში, უნგრეთში, პოლონეთში. ამ ქვეყნებში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური მოქმედებს რაიონულ და საოლქო ფსიქოლოგო-პედაგოგიური ცენტრების ან კონსულტაციების სახით. იქ ეს სამსახური ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის სისტემის განუყოფელი ნაწილია. ჩეხეთში 1980 წელს შემუშავდა დებულება აღზრდის საკითხებზე კონსულტაციების გაწვევის შესახებ, რომელიც შევიდა მთავრობის მიერ სკოლის შესახებ გამოცემულ კანონში. უნგრეთში გამოიცა აღზრდის საკითხებზე კონსულტაციების გაწვევის შესახებ მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია.

ჩეხეთში ფსიქოლოგ კონსულტანტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის ფსიქოლიაგნოსტიკური მუშაობა, რომლის საფუძველზე ისმება ფსიქოლოგიური დიაგნოზი, ამ უკანასკნელის მიხედვით, დაინტერესებულ პირებს ეძლევათ სათანადო რეკომენდაციები. მაგალითად, ფსიქოლოგს შეუძლია გააკეთოს ორგანიზაციული ხასიათის დასკვნა იმის შესახებ, თუ სად უნდა ჩაირიცხოს გამოკვლეული მოსწავლე: სპეციალურ თუ დამხმარე სკოლაში, დაწყებითი სკოლის სპეციალურ კლასებში, სპეციალურ საბავშვო ბაღში და ა. შ. მას შეუძლია წამოაყენოს

წინადადება ბავშვის სწავლების ყველაზე შესაფერისი ფორმის, მოსწავლის შესაძლებლობის შესატყვისი პროფესიის არჩევის შესახებ. მანვე უნდა შესთავაზოს ოჯახსა და სკოლას სწავლებისა და აღზრდისათვის გამოსადეგი მეთოდები, ფსიქოთერაპიის სხვადასხვა ფორმები, რეკომენდაცია მისცეს სკოლის დირექციას თუ დამხმარე პერსონალს ამა თუ იმ მოსწავლის სამედიცინო შემოწმების საჭიროების შესახებ.

ჩეხეთში ფართოდ მიმართავენ კონსულტირებას. მასში დიდი ადგილი უკავია ბავშვის სწავლისთვის მომწიფების დადგენას. ბავშვი რომ 6 წლის გახდა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ფსიქოლოგიურად მომწიფებულია სწავლისათვის. ბავშვთა დიდ ნაწილს ამ ასაკში მართლაც შეუძლია სწავლა, მაგრამ დადგინდა ისიც, რომ მათი ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ამისათვის მომწიფებული. კერძოდ, ასეთია ექვსწლიანთა საკმაო რაოდენობა.

ისიც გაირკვა, რომ ბავშვთა მცირე ნაწილი ადრეც აღწევს სწავლისთვის მზადყოფნის კონდიციას. ამიტომ სკოლის ფსიქოლოგმა უნდა მისცეს რეკომენდაცია ბავშვის სკოლაში დროზე ადრე, დროზე თუ, ცოტა გვიან შეყვანას. სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობაა ბავშვის აღსაზრდელთა ფსიქოლოგიური შესწავლა და მშობლებისა და აღმზრდელებისათვის რეკომენდაციების მიცემა მათი განვითარების თავისებურებების შესახებ. ასევე მათ ევალებათ რეკომენდაციების მიცემა ექვსწლიანთა სწავლისთვის მზადყოფნის შესახებ. ჩეხი და სლოვაკი ფსიქოლოგების აზრით, იმ ბავშვთა 16%, რომელთაც 6 წელი შეუსრულდათ, ჯერ არ არიან სწავლისთვის მომწიფებული.

ინდივიდუალურ კონსულტაციებზე და საკონსულტაციო ცენტრებში მიმდინარეობს სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიძნელეების დიაგნოსტიკა. იმ მოსწავლეთა შორის, სწავლა რომ უჭირთ, ხვდებიან ბავშვები პირველადი შეზღუდვებით, როგორცაა: მაგალითად, ფსიქიკური განვითარების შეფერხება, რომელთა რაოდენობა არც ისე ცოტაა. მათი ოპტიმალური განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად

სწორი დიაგნოზი იქნა გაკეთებული შემოწმების დროს. ამის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები მათი სწავლებისა და აღზრდის მეთოდების შესახებ.

ფსიქოლოგიური შესწავლის შედეგად მუშავდება რეკომენდაციები იმ მოსწავლეთა აღზრდელობითი ღონისძიებების შესახებ, რომელთაც პიროვნული ხასიათის გადახრები გააჩნიათ. ცენტრის თანამშრომლები თვლიან, რომ უდისციპლინო ბავშვთა რაოდენობა, მოსწავლეთა კონტინგენტის 30%-ს შეადგენს. ძნელად აღსაზრდელ და პედაგოგიურად ხელმიშვებული ბავშვების ფსიქოლოგიური შესწავლის შემდეგ არკვევენ მის გამომწვევ მიზეზებს და სახავენ საჭირო აღმზრდელობით ღონისძიებებს.

ზოგ ქვეყანაში მაგალითად, უნგრეთში ფსიქოლოგიური სამსახური ძირითადად მიმართულია იმ პირთა კონსულტირებისაკენ, რომელთაც ბავშვები მოჰყავთ ოჯახიდან ან სკოლიდან. ფსიქოლოგს ევალება იმ ბავშვებთან მუშაობა, რომელთაც ახასიათებთ ქცევითი გადახრები და რომელთა გამოსწორება ჩვეულებრივი პედაგოგიური ხერხებით შეუძლებელია. ასეთებია: გადაჭარბებული მგრძობილობა, გულჩათხრობილობა, სიმხდალე, უყურადღებობა, თავშეუკავებლობა, გაკვეთილის მოყოლის შიში, ქურდობა, მატყუარობა, სახლიდან ან სკოლიდან გაქცევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვის ქცევის მოულოდნელ შეცვლას. მაგალითად, მოსწავლე კარგი მოსწრებისა იყო და უეცრად ცუდად დაიწყო სწავლა, დაეწყო ხარვეზებით მეტყველება და ა. შ. ასევე ყურადღებას იმსახურებს ბავშვის ჯანმრთელობაში მომხდარი ცვლილება: თავის ტკივილების გახშირება, უძილობა, სწრაფი დაღლაობა და სხვა.

სპეციალისტები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული ფსიქოლოგიური სამსახურის ნაკლს იმაში ხედავენ, რომ ის მოწყვეტილია სკოლას, მასში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. საკონსულტაციო პუნქტებში თუ ცენტრებში ბავშვთა შემოწმება აუცილებლობით არ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან. ფსიქოლოგს უშუალო კავშირი არა აქვს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და არ

არის ჩართული მის საქმიანობაში. ბევრი ბავშვი, რომლებიც კონსულტაციაზე არ მოუყვანიათ, მაგრამ პედაგოგიური ხასიათის დახმარებას საჭიროებს, რჩება ასეთი დახმარების გარეშე. ყოფილ საბჭოთა კავშირში საკმაო ხნის იგნორირების შემდეგ, დაგვიანებით მაგრამ მაინც, გაიშალა ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნის მიმართულებით აქტიური მუშაობა. იმის შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ პედოლოგია შეიძულა, მოსწავლთა ტესტირება შეუძლებელი გახდა. სამოცდაათიანი წლებიდან ჩუქჩუძე დაიწყო ტესტების გამოყენება, მაგრამ ყველა გაურბოდა გონებრივი განვითარების დონის დასადგენი ტესტის ხმარებას. არადა, ამის გარეშე ბავშვის გონებრივი ჩამორჩენილობის დადგენა, უბრალოდ, შეუძლებელია. იყო სხვა შეზღუდვებიც. ამიტომ სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა ყველაზე გვიან საბჭოთა კავშირში დაიწყო. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ბალტიისპირეთში გადაიდგა. ესტონეთში ფსიქოლოგები 1975 წლიდან მუშაობდნენ ძნელად დასაზრდელთა სპეციალურ სკოლაში. 1980 წლიდან კი ექსპერიმენტის სახით ფსიქოლოგები მუშაობას იწყებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც. მაგრამ ეს მაინც არაორგანიზებული ფსიქოლოგიური სამსახური იყო. არ იყო დამუშავებული თუ რა უნდა ეკეთებინა ფსიქოლოგს სკოლაში, მოუგვარებული იყო სამსახურის ორგანიზაციული საფუძვლები (ტატიები, დებულება, კადრების მომზადება).

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის დანერგვის მიმართულებით მუშაობამ ორგანიზებული სახე მიიღო იმის შემდეგ, რაც ამ საქმეს რსფსრ-ს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია ჩაუდგა სათავეში. ასეთი სამსახურის ჩამოყალიბების საქმეში უმნიშვნელოვანეს ეტაპად იქცა მოსკოვში პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით და რსფსრ-ს განათლების სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელებული ექსპერიმენტი, რომლის მიზანი იყო სკოლის ფსიქოლოგის საჭიროების დასაბუთება. დამუშავდა სკოლის ფსიქოლოგის შტატის დაშვების

თეორიული და ორგანიზაციული პრობლემები, მათ შორის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის მოდელის შექმნა, შემდგომში მისი სახალხო განათლების სისტემაში დანერგვის მიზნით.

ექსპერიმენტის მსვლელობაში შემოწმდა ამ სამსახურის ორი მოდელი: ფსიქოლოგის მუშაობა უშუალოდ სკოლაში (სკოლის ფსიქოლოგი) და ფსიქოლოგის მუშაობა განათლების რაიონულ განყოფილებაში, რაიონის სკოლებისათვის დახმარების გასაწევად. ექსპერიმენტის დროს დამუშავდა სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის მიზნები, ამოცანები, მისი მეცნიერულ-მეთოდურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. დადგინდა სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის შინაარსი და ფორმები, ფსიქოლოგის ძირითადი ფუნქცია, უფლება-მოვალეობანი. ყოველივე ამის საფუძველზე შეიქმნა სახალხო განათლების სისტემაში ფსიქოლოგიური სამსახურის შესახებ დებულება (გამოიცა 1989 წელს მოსკოვში).

უფრო ადრე, 1987 წელს მოსკოვში ჩატარდა საკავშირო კონფერენცია — “სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის თეორიული, მეთოდური და მეცნიერულ-პრაქტიკული პრობლემები”. კონფერენციაზე განისაზღვრა სკოლაში ფსიქოლოგის მუშაობის ძირითადი მიმართულებები. ამასთან გამოიკვეთა სადისკუსიო საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდნენ. კონფერენციაზე არაკის დაუყენებია ეჭვქვეშ სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საჭიროება. მსჯელობის საგანი იყო ის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ის. კონფერენციის გადაწყვეტილებებში ჩაიწერა, რომ ამჟამად სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბება არის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ფორმა ფსიქოლოგიური ცოდნის დანერგვისა ქვეყნის სახალხო განათლების სისტემაში. ამას მოჰყვა სკოლის ფსიქოლოგის შტატის დაშვება. ფსიქოლოგი შევიდა სკოლაში. მალე, რუსეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შემდეგ, ფსიქოლოგის შტატის დაშვების შესახებ, საქართველოს მინისტრთა საბჭომაც 1991 წელს მიიღო

გადაწყვეტილება სკოლის ფსიქოლოგის შტატის დამტკიცების შესახებ. იმადროულად დაამტკიცეს ბალის ფსიქოლოგის შტატიც.

ჩვენ ჩავატარეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნის საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა. ვნახეთ, რომ არსებობს სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული ფორმებისა და მუშაობის შინაარსის გაგების მრავალფეროვნება. სხვადასხვა ქვეყანა თავისებურად უდგება იმას, თუ როგორ, რა სახით შეიძლება არსებობდეს სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური. აზრთა ერთიანობა არც იმაშია, თუ რა ფუნქციებს უნდა ასრულებდეს ის. ზოგან მას შედარებით ვიწრო ფუნქციები გააჩნია (დიაგნოსტიკა), ზოგან კი საკმაოდ ფართე უფლებამოსილება აქვს მინიჭებული.

მოწინავე ქვეყნებში დანერგილი სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ფართო ასპექტით გაცნობა ბევრ საყურადღებო აზრს ბადებს. მაინც ყურადღება ორი მიმართულებითაა გასამახვილებელი: 1. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის არსებობის ორგანიზაციული ფორმების დადგენა. უნდა გაირკვეს, რა სახით უნდა არსებობდნენ ისინი: სკოლაში ფსიქოლოგის მუშაობის სახით, თუ სკოლის გარეთ დაფუძნებული საკონსულტაციო ცენტრის ფორმით. ეს კი დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, რამდენად უკეთ შეასრულებენ ისინი სკოლის დაკვეთებს. 2. როგორი უნდა იყოს მისი მუშაობის შინაარსი, რა უნდა აკეთონ ფსიქოლოგებმა სკოლაში და რა ფარგლებში, როგორია მათი უფლება-მოვალეობანი.

საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი გარემოება. სრულყოფილი ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნისათვის საჭიროა პრაქტიკოს ფსიქოლოგთა კადრების არსებობა, რომელთაც შეუძლიათ იტვირთონ სკოლისთვის ფსიქოლოგიური დახმარების ეს ახალი ფუნქცია. საჭიროა კადრების მომზადებაზე 5-6 წლით ადრე ზრუნვა, ვიდრე სამსახური ჩამოყალიბდებოდეს. არადა, შეიძლება მოხდეს ამ ახალი საჭირო საქმის დისკრედიტირება იმიტით, რომ თანამდებობზე დაინიშნებიან არაკვალიფიციური სპეციალისტები



და მათ მიერ საქმის გაფუჭება შეიძლება აღქმული იქნას როგორც ფსიქოლოგიური სამსახურის უვარვისობა.

### **1.2.3. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ფორმები**

დღეს არაერთ დაობს იმაზე, არის თუ არა საჭირო სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური. ამის საჭიროებას ყველა ხედავს. პრობლემა ისაა, თუ როგორი უნდა იყოს ის და რა სახით შეიძლება არსებობდეს. სწორია ი. დუბროვინა (36), როცა წერს- ყველაზე გავრცელებულია სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ორი მოდელი. ერთია, ფსიქოლოგის საქმიანობა უშუალოდ სკოლაში და მეორეა, საკონსულტაციო ცენტრის(კაბინეტის) თანამშრომლად მუშაობა. ცენტრი შეიძლება არსებობდეს განათლების რაიონულ განყოფილებებთან და მიმაგრებული იყოს სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთა გარკვეული კონტინგენტი.

ფსიქოლოგიური სამსახურის ამ ორ ფორმას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველ შემთხვევაში, ფსიქოლოგი სკოლაში მუშაობს, სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წევრია. მეორე მოდელის დროს კი ის სკოლის გარეთ იმყოფება და მასთან მისულ პირთა კონსულტირებითაა დაკავებული. ის, თუ სად მუშაობს ფსიქოლოგი, სკოლაში თუ მის გარეთ, უდაოდ ახდენს გავლენას, როგორც მის წინაშე მდგარ მოთხოვნებზე, ისე მათი რეალიზაციის ხასიათზე. განსხვავებულია ფსიქოლოგის მონაწილეობა სკოლის წინაშე წამოჭრილ სიძნელეთა დაძლევის საქმეში.

ფსიქოლოგიური ცოდნის მაქსიმალურად გამოიყენებისა და ფსიქოლოგის შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას იძლევა ფსიქოლოგის მუშაობა უშუალოდ სკოლაში(შტატით). იქ მას შესაძლებლობა აქვს აწარმოოს არა მხოლოდ ფსიქოდიაგნოსტიკური მუშაობა(გამოიკვლიოს სწავლაში ჩამორჩენისა და ქცევითი დარღვევების მიზეზები), არამედ დასახოს მათი გამოსწორების გზები და რაც ძალიან

მნიშვნელოვანია, მისდიოს მათი რეალიზაციის პროცესს.

ფსიქოლოგის ჩართვა საკორექციო-პედაგოგიურ საქმიანობაში იმიტომაცაა საჭირო, რომ დაგეგმილი საკორექციო ღონისძიებები, როგორც საქმის ცოდნითაც არ უნდა იყოს ჩაფიქრებული, მაინც წარმოადგენს ალბათურ სქემას, რომელსაც შეიძლება დასჭირდეს შესწორება, გარკვეული კორექტივების შეტანა. ამ საქმეში ფსიქოლოგი უნდა მონაწილეობდეს, რადგან ისაა საკორექციო გეგმის შედგენის ორგანიზატორი. ამასთან მას სხვებზე უკეთ შეუძლია აქ დაშვებული ხარვეზების გათვალისწინება შემდეგში მსგავსი სიტუაციის აღმოცენებისას. ყოველივე ამის გამო, ფსიქოლოგი მისი ინიციატივით დაგეგმილ საკორექციო ღონისძიებების რეალიზაციას ბოლომდე უნდა მიჰყვებოდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფსიქოლოგის მუშაობა სკოლაში არ შემოიფარგლება ბავშვთა მარტო იმ კონტინგენტით, რომელიც საკონსულტაციოდ მიჰყავთ კაბინეტში თუ საკონსულტაციო პუნქტში. მისი თვალთახედვის არეში იქნება იმ სკოლის მოსწავლეთა მთელი კოლექტივი, სადაც მუშაობს, რაც ბავშვების ფსიქიკური განვითარებისათვის უკეთესი მეთვალყურეობის, კერძოდ ინდივიდუალური მიდგომის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. რომელი ბავშვი გაიგზავნება ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე, ეს მასწავლებლის შეხედულებაზეა დამოკიდებული. ის კი ვერ ახერხებს ყველა იმ ბავშვის შერჩევას, რომელსაც კონსულტირება სჭირდება. ამის გამო, ზოგიერთი ბავშვი, რომელიც დახმარებას საჭიროებს., ამის გარეშე რჩება. განსაკუთრებით უყურადღებოდ რჩებიან ნიჭიერი მოსწავლეები.

უშუალოდ სკოლაში ფსიქოლოგის მუშაობის კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ მას შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს სწავლების პროცესთან დაკავშირებული სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში. სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეთა ჯანსაღი კოლექტივის ფორმირება. ყოველი კლასი არის მცირე სოციალური ჯგუფი და იქ მიმდინარე პროცესები(ჯგუფის წევრთა შორის არსებული

პირადი ურთიერთობები) დიდ გავლენას ახდენენ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებასა და ყოფაქცევაზე. ასეთ პრობლემებს სოციალური ფსიქოლოგია სწავლობს და სკოლის ფსიქოლოგი სხვა პედაგოგებზე უკეთ ფლობს ცოდნის ამ დარგს.

სკოლის ფსიქოლოგს შეუძლია ჩაერთოს იქ ჩატარებულ ნებისმიერ აღმზრდელობით ღონისძიებებში და მართოს ის უკეთესობისაკენ. ვეთანხმებით ი. ღუბროვინას იმაში, რომ “სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური უნდა იყოს სახალხო განათლების სისტემის ორგანული ნაწილი და პრაქტიკოსი ფსიქოლოგი არ უნდა იქცეს “შეკვეთების მაგიდად”, რომელიც მხოლოდ დიაგნოსტიკურ და სხვა დაეალებებს ასრულებს. მას აქვს თავისი მუდმივი მოქმედების სარბიელი და შეუძლია საკუთარი ინიციატივით აირჩიოს ისეთი პრობლემები, რომელთა გადასაწყვეტად საჭირო იქნება დიაგნოსტიკური თუ სხვა სახის ჩარევა”(36. 17).

მეორე მოდელია, ფსიქოლოგის მუშაობა საკონსულტაციო ცენტრში ან კაბინეტში, რომელიც განათლების რაიონულ ან საქალაქო განყოფილებებთან იარსებებს. მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ბავშვის ფსიქიკური განვითარების დიაგნოსტიკა. უნდა მოხდეს არა მხოლოდ ბავშვის გონებრივი განვითარების ღონის დადგენა, არამედ პიროვნების ფორმირებაში შემჩნეული გადახრების გამოვლენა და მასზე რეაგირების გზების გამონახვა. ამ მოდელის უპირატესობაა ის, რომ ფსიქოლოგს შეუძლია გაუწიოს კონსულტაცია როგორც სკოლის მოსწავლეებს, ისე სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, სულერთია ბაღიდან მოიყვანენ მათ, თუ ოჯახიდან.

ფსიქოლოგიური სამსახურის ამ მოდელის ნაკლი ისაა, რომ მოწყვეტილია სკოლაში მიმდინარე რეალურ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას. ასევე ფსიქოლოგი, როგორც წესი, მოკლებულია შესაძლებლობას გააკონტროლოს, თუ როგორ სრულდება მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ასეთი მოდელის დროს ფსიქოლოგი არ არის სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წევრი. მისი საქმიანობა ჰგავს ადამიანის საქმიანობის

სხვა სფეროებში გაწეულ გამოყენებით სამსახურს, მაგალითად იურიდიულ კონსულტაციას. იურისტი, რომელიც კლიენტს კონსულტაციას აძლევს, არ არის ვალდებული თვალ-ყური ადევნოს იმას, თუ კლიენტმა როგორ გამოიყენა მისი რჩევა. სკოლაში მიმდინარე პედაგოგიური პროცესი კი სხვანაირ მიდგომას საჭიროებს. პრაქტიკოსმა ფსიქოლოგმა, რომელსაც მოსწავლის საქმიანობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოვლენასა და კორექციულ ღონისძიებათა დასახვასთან აქვს საქმე, ბოლომდე უნდა მიადევნოს თვალი გაწეული მუშაობის ეფექტურობას. ეს მისი მოვალეობაა.

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მასწავლებელთა ფსიქოლოგიურ განათლებაზე ზრუნვა. ამ მიზნით, შესაძლებელია ლექციებისა და კონსულტაციების ჩატარება (შეიძლება კვალიფიციური ფსიქოლოგის მოწვევა), ფსიქოლოგიის საკითხებზე მულტიმექტული სემინარის ჩამოყალიბება და სხვა. ამის შესაძლებლობას ფსიქოლოგიური სამსახურის ორივე მოდელი იძლევა. ცხადია, მეორე მოდელის დროს ფსიქოლოგს ასეთი ღონისძიების ჩატარების შეკვეთა უნდა ჰქონდეს.

ისმება კითხვა, ფსიქოლოგიური სამსახურის რომელი მოდელი იქნება უფრო გამოსადეგი ჩვენი ქვეყნისათვის? გაკეთებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასაწუნი არც ერთი არ არის. მოუხედავად ამისა, დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ვნახოთ, თუ როგორ მოერგება თითოეული მათგანი ჩვენს სინამდვილეს.

სკოლაში ფსიქოლოგის მუშაობის უპირატესობაზე უკვე გვექონდა საუბარი და ამიტომ მისი დანერგვა ძალიან კარგი იქნება. მაგრამ მხოლოდ ამ მოდელზე, თუ შეეჩერდებით, მაშინ საკმაო რაოდენობის სკოლა დაგვრჩება ფსიქოლოგიური სამსახურის გარეშე. ფსიქოლოგს დაუნიშნავენ დიდ კონტინგენტთან სკოლებს, მაგრამ ასეთი სამსახურის გარეშე დაგვრჩება მცირეკონტინგენტის სკოლები, რომელთა რაოდენობა საქართველოში ბევრია, განსაკუთრებით მთავორიან რეგიონებში.

ისეთ სკოლებს, რომელთაც ასამდე მოსწავლე ჰყავს, ფსიქოლოგს არ დაუნიშნავენ. გარდა ამისა, მთიან რეგიონებში ბევრია დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლები, რომელთაც მით უფრო არ ეყოლებათ ფსიქოლოგი.

საკონსულტაციო ცენტრს, რომელშიც ფსიქოლოგთა ჯგუფი მუშაობს, შეუძლია მოემსახუროს მოსწავლეთა გარკვეულ კონტინენტს, ვთქვათ 800-1000 მოსწავლეს. ცხადია, ამაში რამდენიმე პატარა სკოლა იქნება გაერთიანებული. თუ ასეთი საკონსულტაციო ცენტრი შეიქმნება რომელიმე რაიონის განათლების განყოფილებასთან, მაშინ მას შეეძლება დაფაროს ყველა ის სკოლა, რომელთაც ცალკე ფსიქოლოგი არ ეკუთვნით.

ასეთი საკონსულტაციო ცენტრი არ არის მთლიანად საზღვარგარეთის ქვეყნებში დანერგილ საკონსულტაციო ცენტრების ანალოგი, რომელთაც მხოლოდ მსურველები აკითხავენ. ჩვენს მიერ რეკომენდირებული ცენტრები ვალდებულნი იქნებიან მოემსახურონ მათზე გაპიროვნებულ სკოლებს. ამგვარად, ჩვენი სინამდვილისათვის უკეთესი იქნება შერეული მოდელის გამოყენება. ქალაქებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში მომქმედ სკოლებს ეყოლებათ ფსიქოლოგები შტატით. ზოგიერთ დიდკონტინენტთან სკოლას შეიძლება რამდენიმე ფსიქოლოგიც ჰყავდეს. ხოლო პატარა სკოლები საკონსულტაციო ცენტრებზე(პუნქტებზე) იქნებიან მიმაგრებული. ამ გზით, შესაძლებელი იქნება ფსიქოლოგიური სამსახურით დაიფაროს რესპუბლიკის სკოლების მთელი ქსელი.

#### **1.2.4. სკოლის ფსიქოლოგია და სპეციალური ფსიქოლოგია**

გამოყენებითი ფსიქოლოგიის მრავალი დარგი არსებობს. ისინი სწავლობენ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ზოგადი კანონზომიერებების გამოყენების შესაძლებლობას საქმიანობის სხვადასხვა დარგში. რასაც არ უნდა აკეთებდეს ადამიანი, ის საქმიანობს თავისი ფსიქიკური შესაძლებლობების გამოყენებით.

მაგრამ ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს თავისი სპეციფიკა გააჩნიათ და ადამიანის ფსიქიკურ შესაძლებლობებს განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ. ამიტომ დგება იმის შესწავლის საჭიროება, თუ როგორ მოვარგოთ საკუთარი ფსიქიკური შესაძლებლობები ამ მოთხოვნებს ან თუ საჭირო გახდა, როგორ განვავითაროთ ისინი ჩვენი საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის. ამ საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნა გამოყენებითი ფსიქოლოგიის მრავალი დარგი: განათლების, იურიდიული, საინჟინერო(ინდუსტრიული), სამხედრო, რეკლამის და რიგი სხვა ფსიქოლოგიებისა.

დღევანდელი საზოგადოება განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ბავშვების სწავლებისა და აღზრდისადმი. ამ საქმეს ემსახურება განათლების ფსიქოლოგია, რომელსაც ადრე პედაგოგიურ ფსიქოლოგიასაც ვეძახდით. ის პედაგოგიკას აწვდის სწავლებისა და აღმზრდელობითი ზემოქმედების პროცესში ბავშვის ფსიქიკის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებების შესწავლით მოპოვებულ მასალას.

განათლების ფსიქოლოგია რთული პრობლემების წინაშე დგას. მისი მოვალეობაა ბავშვების სწავლებისა და აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღება, მაგრამ მისი შესწავლის ობიექტი, - მოსწავლეთა კონტინგენტი საკმაოდ ჭრელ მასას წარმოადგენს. მათ შორის არიან ისეთნი, რომელთაც მეტნაკლები წარმატებით მაგრამ მაინც შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისთვის განკუთვნილი მასალის ათვისება. მაგრამ მათ შორის გვხვდებიან ისეთები, რომლებიც ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გავლენით ვერ ახერხებენ თავიანთი განვითარების შესაძლებლობის რეალიზებას. ასეთებს სკოლა უნდა დაეხმაროს სწავლაში ხელშემშლელი ფაქტორების დაძლევაში და სწავლების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომაში, რასაც კორექციას ვეძახით. ამ საქმეს სკოლის ფსიქოლოგია აკეთებს. ამიტომ შეუშვეს ფსიქოლოგი სკოლაში.

სასკოლო ასაკის ბავშვთა შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომელთაც ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გავლენით

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლა არ შეუძლიათ. ისინი ან საერთოდ ვერ ერევნიან ამ მასალას ან სპეციალური დახმარების გარეშე იქ ვერ ისწავლიან. ამაში მათ ხელს უშლის ფსიქიკური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების შეზღუდვა(გონებრივი ჩამორჩენილობა) ან ისეთი სახის ორგანული დაზიანება, რომელიც ბავშვის შემეცნებითი პროცესების ამოქმედებას აფერხებს(მხედველობის, სმენის დაზიანება) თუ ისინი არ დაიძლია ბავშვის ფსიქიკური განვითარება სერიოზულად დაზარალებდა. ასეთ ბავშვებს ეძახიან უნარშეზღუდულებს.

ფსიქიკური განვითარების უნარშეზღუდვა სპეციფიკური მდგომარეობაა და მას სკოლის ფსიქოლოგია ვერ შეისწავლის. აქ საჭიროა განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების დადგენა და შესწავლა, ხოლო ამის შემდეგ მათი დაძლევისა და ნორმალური ფსიქიკური განვითარების საშუალებების მოძიება. აქაც კორექციაა საჭირო, მაგრამ ეს გაცილებით რთული საქმეა და ამის გაკეთება სპეციალურ ფსიქოლოგიასა და სპეციალურ პედაგოგიკას ეკისრებათ. ორივე ფსიქოლოგია კორექციულია, მაგრამ სხვადასხვა საკორექციო ობიექტებთან აქთ საქმე.

### **1.2.5. სკოლის ფსიქოლოგია და პედაგოგიკა**

არ არსებობს მეცნიერება სხვა მეცნიერებასთან (მეცნიერებებთან) კავშირის გარეშე. სინამდვილის ბევრ მოვლენას რამდენიმე მეცნიერება სწავლობს, ოღონდ სხვადასხვა ასპექტით. ასეთ მეცნიერებებს მოსაზღვრე მეცნიერებებს უწოდებენ. ფსიქოლოგიისათვის ერთ-ერთ ასეთ მოსაზღვრე მეცნიერებას პედაგოგიკა წარმოადგენს. ხშირად საკითხები, მოსაზღვრე მეცნიერებები რომ სწავლობენ, იმდენად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მიღებული შედეგები იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ ერთი მეცნიერების მონაპოვარი გეგონება. მაგალითად, ანტიკურ ხანაში ჰიპოკრატეს მიერ დადგენილ ტემპერამენტის 4 ტიპს(სანგვინიკი, ფლეგმატიკი, ქოლერიკი და მელანქოლიკი) საოცრად ჰგავს მეოცე საუკუნეში ი. პავლოვის მიერ გამოყოფილი

უმაღლესი ნერვული მოქმედების ასევე 4 ტიპი (ძლიერი, გაწონასწორებული, ძვრადი; ძლიერი, გაწონასწორებული, ინერტული; ძლიერი, გაუწონასწორებელი და სუსტი ტიპები). კვლევის მონაპოვართა ასეთი მსგავსება იმის მაჩვენებელია, რომ მოსაზღვრე მეცნიერებებმა სინამდვილის ერთი და იგივე მოვლენა (ადამიანის ნერვული სისტემის მოქმედება) შეისწავლეს, ოღონდ სხვადასხვა ასპექტით. ერთმა ნერვულ სისტემაში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები იკვლია, მეორემ ამ პროცესებით განპირობებული ფსიქიკური რეალობა. მეცნიერებებს შორის არსებულ ასეთ კავშირს *საგანთაშორის კავშირებს* უწოდებენ.

საგანთაშორისი კავშირების გამო, იქ სადაც ერთი მეცნიერების მონაპოვრის დემონსტრირება ხდება, არც ისე იშვიათად, მოსაზღვრე მეცნიერების მიერ მოპოვებული ცოდნის ჩართვასაც მიმართავენ ხოლმე, რათა უფრო გასაგები გახდეს არსებული კანონზომიერება. ასე მოიქცა დ. უზნაძე, როცა მის კაპიტალურ შრომაში “ზოგადი ფსიქოლოგია” შეიტანა მონაცემები ადამიანის კონსტიტუციის, შინაგანი სეკრეციის, ნერვული სისტემის შესახებ. ხოლო “ბავშვის ფსიქოლოგია” გაამდიდრა სხვადასხვა ასაკის ბავშვის ფიზიკური განვითარების შესახებ ინფორმაციით (ფიზიკური სტატუსი, ნერვული სისტემის განვითარება). მოსაზღვრე მეცნიერებათა ასეთი მონაპოვრების დემონსტრირება უფრო გასაგებს ხდის განსახილველ საკითხს. მოსაზღვრე მეცნიერებებს შორის კავშირი ზოგჯერ ისეთი სრულყოფილი ხდება, რომ მათი შეხების ადგილას ახალი მეცნიერება აღმოცენდება. თანამედროვე ეპოქაში ახალი მეცნიერებები სწორედ კარგად განვითარებული მეცნიერებების შესაყარზე აღმოცენდებიან ხოლმე.

ასე აღმოცენდა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის შესაყარზე განათლების (ადრე იწოდებოდა პედაგოგიური) ფსიქოლოგია. მისი მიზანია ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესახებ მონაცემების პედაგოგიკის სამსახურში ჩაყენება. ის სწავლობს ბავშვის ფსიქიკის ასაკობრივ განვითარებას პედაგოგიური ზემოქმედების პროცესში. ამდენად, იმაზე უფრო მჭიდრო კავშირი მეცნიერებებს



შორის, რასაც განათლების ფსიქოლოგია ქმნის, ძნელი წარმოსადგენია. შეუძლებელია მეხუთე კლასის მოსწავლეებისათვის ღრმა მეცნიერულ საფუძვლებზე აგებული მათემატიკის სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენა, თუ არ არის ცნობილი II წლის ბავშვის შემეცნებითი პროცესების (ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების და ა.შ) განვითარების დონე, რა სიძნელის საკითხების გაგება შეუძლია მას, როგორაა განვითარებული მისი უნარები და სხვა.

პედაგოგიკისათვის ფსიქოლოგიის დახმარების მწვავე საჭიროება ამით არ თავდება. კარგად შედგენილი სახელმძღვანელოებისა და სწავლების სწორი პედაგოგიური ხერხების არსებობის დროსაც ხშირია მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების შემთხვევები. ზოგიერთი მათგანი ვერ ასწრებს ერთ ან რამდენიმე საგანში. რატომ ხდება ასე? თუ არ იცი სწავლაში მოსწავლის წარმატების შემაფერხებელი მიზეზი, ვერც მას აღმოფხვრი. ვინ უნდა გააკეთოს ეს? ცხადია, პედაგოგმა, მაგრამ თუ სწავლაში მოსწავლის ხელშემშლელი მიზეზი ფსიქიკურია, მას პედაგოგი ვერ გამოიკვლევს, უკეთუ ამის გაკეთება მისთვის არ უსწავლებიათ.

სკოლის კიდევ ერთი თავსატეხი პრობლემაა მოსწავლეთა უდისციპლინობა. აქაც პედაგოგს, სანამ ბავშვის ახლებურად აღზრდაზე ზრუნვას დაიწყებდეს, მისი ხასიათის, მოთხოვნილებების და რიგი სხვა ფსიქოლოგიური მონაცემების ცოდნა სჭირდება, რისთვისაც ის იძულებულია კვლავ ფსიქოლოგიას მიმართოს. სკოლაში არის კიდევ რიგი პრობლემებისა, რომელთა მოგვარებაში ფსიქოლოგის დახმარება უაღრესად სასარგებლო იქნება.

ყველა იმ პრობლემის დაძლევა, სკოლის წინაშე რომ დგას, მოითხოვს მეტად კოორდინირებულ პედაგოგიურ ზემოქმედებათა სისტემის შემუშავებას და რეალიზებას. მასწავლებლები ცალ-ცალკე ამას ვერ გააკეთებენ. მათემატიკის მასწავლებელი მისი საგნის სწავლებითაა დაკავებული და არ იცის რა ხდება სხვა საგნების სწავლებაში. გარდა ამისა, სწავლაში

ხელშეშლელი ზოგიერთი მიზეზი ფსიქიკურია და მას პედაგოგი საფუძვლიანად ვერ შეისწავლის.. ის ამის სპეციალისტი არ არის.

ერთი რამ ცხადია, პედაგოგის მიერ ჩატარებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის წინაშე წამოჭრილი სიმძნელების შესწავლისა და დაძლევის საქმეს ვილაცა უნდა ჩაუდგეს სათავეში და ის მხოლოდ ამ საქმით უნდა იყოს დაკავებული. მან კარგად უნდა იცოდეს მოსწავლის ფსიქოლოგიური თავისებურებები, მათი ფორმირება, ხოლო, საჭიროების დროს, ახლებურად გარდაქმნის გზები და საშუალებები. ამ საქმის გაკეთება, ყველაზე უკეთ, შეუძლია სკოლის ფსიქოლოგს. ცხადია, ის ამისათვის კარგად უნდა იყოს მომზადებული.

## თავი 3. ფსიქოლოგი სკოლაში

### 1.3.1. სკოლის ფსიქოლოგის წინაშე მდგარი მოთხოვნები

მასწავლებლის წინაშე ორი რიგის უმნიშვნელოვანესი ამოცანა დგას: პირველ რიგში, მან უნდა ასწავლოს თავისი საგანი თანამედროვე მოთხოვნების ღონეზე. მისი, როგორც საგნის მასწავლებლის, შეფასება ძირითადად იმის მიხედვით ხდება, თუ რამდენად წარმატებით ართმევს თავს ამ მოვალეობას. მაგრამ ამის გარდა, პედაგოგი აღმზრდელიცაა. ის თავისი პედაგოგიური საქმიანობით და პირადი მაგალითით ხელს უწყობს ახალგაზრდაში დადებითი პიროვნული თვისებების ფორმირებას და ამით თავისი წვლილი შეაქვს მისი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ პედაგოგს აკისრია ასეთი მოვალეობა, საქმისადმი მათ დამოკიდებულებაში მაინც ღომინირებს პირველი-საგნის სწავლება. თუ ისტორიის მასწავლებლის რომელიმე მოსწავლე ცუდად სწავლობს მათემატიკას, ეს მას არ ეხება. მას ამისთვის პასუხს არავინ თხოვს. ესეც არ იყოს, მან არც იცის, თუ რა უჭირს მოსწავლეს მათემატიკაში და როგორ შეიძლება მისთვის დახმარების აღმოჩენა.

პედაგოგი სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის ზოგადი საკითხით უფრო მაშინაა დაკავებული, როცა კლასის ხელმძღვანელია. ისტორიის მასწავლებელი, როცა კლასის ხელმძღვანელია, ვალდებულია გაერკვეს, თუ რატომ სწავლობს ზოგიერთი მოსწავლე ცუდად მათემატიკას. მაგრამ რა შეუძლია მას გააკეთოს? ვითარების გამოსწორების მისი მცდელობა იმით ამოიწურება, რომ ჩაუტარებს ბავშვს საუბარს და მშობლებს ჩააყენებს საქმის კურსში. სხვა უფრო სერიოზული დახმარების

აღმოჩენა პირადად მას არ შეუძლია.

კონკრეტულად რა არ შეუძლია კლასის ხელმძღვანელს? მას არ შეუძლია ზუსტად დაადგინოს მოსწავლის სწავლაში ჩამორჩენის მიზეზი. ამას სერიოზული გამოკვლევა სჭირდება. ბავშვის ცუდად სწავლის მიზეზი ყოველთვის სიზარმაცე არ არის. ხშირად ამის დასადგენად რთული დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენებაა საჭირო. ამიტომ, პედაგოგი ველარც სწავლაში ჩამორჩენის სალიკვიდაციო ღონისძიებებს დაგეგმავს ისე, როგორც საჭიროა. ამის გარდა, ჩამორჩენის მიზეზების დადგენას სჭირდება ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერების ცოდნა, მოტივაციურ სფეროზე ზემოქმედების უნარის ფლობა. კლასის ხელმძღვანელს ამის ცოდნა არ გააჩნია, რადგან ის მისთვის არ უსწავლებიათ.

გარდა ამისა, ყოველ კლასში, სხვადასხვა ვარიაციით, მაგრამ მუდმივად ერთი და იგივე პრობლემები დაკავშირებული როგორც სწავლასთან, ისე დისციპლინასთან. ყოველი კლასის ხელმძღვანელი დამოუკიდებლად იღწვის მათ მოსაგვარებლად. მათი მუშაობა კი ცუდადაა კოორდინირებული. ამიტომ სკოლას სჭირდება თანამშრომელი, რომელმაც იცის განვითარების ფსიქოლოგია, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია კვლევის დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენება, წამოჭრილი სიმბლემების შესახებ ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმა და მის საფუძველზე საკორექციო ღონისძიებების დასახვა. სკოლაში ასეთი თანამშრომელი შეიძლება იყოს ფსიქოლოგი.

ისმება კითხვა – ვინ არის ფსიქოლოგი, რომელიც დაინიშნა სკოლაში, ხოლო მისი საგანი იქ არ ისწავლება? ცხადია, ის არ არის მასწავლებელი ჩვეულებრივი გაგებით, უკეთუ ფსიქოლოგია იქ არც ისწავლება. ჩვეულებრივი გაგებით, ის არც აღმზრდელია, რადგან ცალკე აღმზრდელის შტატი სკოლაში არ არის. ისე ჩანს, რომ ფსიქოლოგი მხოლოდ უნდა დაეხმაროს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს წამოჭრილი სიმბლემების დაძლევაში. გამოდის, რომ ის არის “გაჭირვების ტალკვესი”, რომელიც ეხმარება იმათ, რომელთაც უჭირთ, როგორც სწავლებაში ისე

დისციპლინის დაცვაში.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ არის სწორი. არ შეიძლება სკოლის ფსიქოლოგის ფუნქცია მასწავლებლების დამხმარე პირის მოვალეობასთან გაეაიგივოთ. სხვების დამხმარის როლში მყოფი ფსიქოლოგი ვერ გახდება ავტორიტეტული პირი სკოლაში. მას დამოუკიდებელი ფუნქცია უნდა ჰქონდეს. ცხადია, ის ესმარება გასაჭირში მყოფ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მაგრამ მისი ფუნქცია არ არის “მეხანძრის ფუნქცია”.

*სკოლის ფსიქოლოგი არის პედაგოგიური კოლექტივის სრულუფლებიანი წევრი, რომელსაც ვეალება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წამოჭრილი პრობლემების შესწავლა, პედაგოგებთან ერთად პრობლემის დასაძლევად საჭირო სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.* თავის საქმიანობაში ფსიქოლოგი მჭიდრო კონტაქტშია პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. რაც შეეხება დახმარებას, ფსიქოლოგი ესმარება ყოველ პედაგოგს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების დაძლევაში, მაგრამ თვითონ მას პრაქტიკულად ვერავენ დაეხმარება. მას დამოუკიდებელი მოვალეობა აკისრია, რომელსაც მხოლოდ თვითონ უნდა მოუაროს.

ცხადია, სკოლის ფსიქოლოგს ძნელი ამოცანები აქვს მოსაგვარებელი და მათ წინაშე ის მარტოდმარტო დგას. რა რესურსები გააჩნია მას მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად? მის განკარგულებაში საკმაოდ ბევრი შესაძლებლობაა. დავიწყოთ იქიდან, რომ ის არის ბავშვის, განათლების, სოციალური ფსიქოლოგიების სპეციალისტი. ამიტომ თავის საქმიანობაში იყენებს ბავშვის ფსიქიკის ასაკობრივი განვითარებისა და პიროვნების ქმნადობის კანონზომიერებების ცოდნას. სოციალური ფსიქოლოგიიდან მან იცის კლასში, როგორც მცირე სოციალურ ჯგუფში, მოსწავლეთა ურთიერთობის საკითხები, რაც დაეხმარება კონფლიქტების დარეგულირებასა და მოსწავლეთა შეკრული კოლექტივის ჩამოყალიბებაში.

დაბოლოს, ფსიქოლოგი ფლობს ფსიქოდიანგნოსტიკურ

მეთოდებს, რომელთა გამოყენებით შეუძლია სწავლაში თუ ქცევაში ნორმიდან გასვლის ფსიქოლოგიური მიზეზების დადგენა. ხოლო პრობლემების წარმოშობი მიზეზის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ შეიძლება დაიგეგმოს ზუსტი საკორექციო ღონისძიებები.

ამიტომ, როცა ბავშვის სწავლაში წარუმატებლობის, თუ ქცევის ანომალიის მიზეზები ფსიქოლოგიური ბუნებისაა, მაშინ მათი შესწავლისა და საკორექციო საშუალებების გამონახვის საქმეში ფსიქოლოგი შეუცვლელია. ამიტომაც “ის სკოლის პედაგოგიური კოლექტივის სრულყოფილებიანი წევრი და პასუხისმგებელია სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების იმ მხარის მიმართ, რომლის საქმის ცოდნით უზრუნვეყოფა მასზე უკეთ არავის შეუძლია. სწორედ, ის აკონტროლებს მოსწავლეთა ფსიქიკურ განვითარებას და მაქსიმალურად უწყობს ხელს ამ პროცესს” ( 36, 22-23).

### *1.3.2. მოსალოდნელი სიძნელები*

საინტერესოა, თუ რა სახის სიძნელებებს შეიძლება წააწყდეს ფსიქოლოგი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან ურთიერთობის პროცესში? სკოლაში ფსიქოლოგი მრავალ სიძნელეს შეიძლება გადაეყაროს. ყველა მათი წინასწარ დასახელება ძნელია. ზოგიერთ მათგანს უკვე შევეხეთ. ამჟამად გვინდა იმ ძირითად პრობლემებზე შევჩერდეთ, რომელთაც ფსიქოლოგი ნებისმიერ სკოლაში შეიძლება წააწყდეს. პრობლემის არსი ისაა, რომ პედაგოგები არასაკმარისად არიან მომზადებულნი ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით ბავშვისა და განათლების ფსიქოლოგიაში. ამიტომ მათ კარგად არ ესმით, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია მათთვის ფსიქოლოგს.

მასწავლებლის მოლოდინი ფსიქოლოგის მიმართ დაახლოებით ასეთია, თუ კლასში ზოგიერთი მოსწავლე ცუდად სწავლობს, შეიძლება მან რაიმე იღონოს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგრამ თუ კლასში მკვეთრად გამოხატული სწავლაში ჩამორჩენილი ან უღისციპლინო მოსწავლეები არ არიან, მაშინ

მასწავლებელს, როგორც წესი, ფსიქოლოგი არ სჭირდება. მისთვის მოულოდნელია ფსიქოლოგისაგან რაიმე სასარგებლო რჩევის მიღება სწავლება-აღზრდის არსებული სისტემის უკეთ წარმართვის შესახებ. “ძლიერ იჩენს თავს მასწავლებელთა ორიენტირება საგნის სწავლებისადმი და ბევრ მათგანს არ გააჩნია ინტერესი მოსწავლის პიროვნების განვითარების მიმართ” [36. 30]. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ მოსწავლე მიწოდებულ მასალას ითვისებს, მასწავლებელი კმაყოფილია და მის წინაშე არ დგება საკითხი იმის შესახებ, რასაც ის აკეთებს უწყობს კი ხელს მოსწავლის პიროვნების მაქსიმალურად განვითარებას.

საქმისადმი ასეთ მიდგომას ხშირად აქვს ადგილი პრაქტიკაში. ვთქვათ, კლასში არის მათემატიკის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლე. ის ადვილად ითვისებს მიწოდებულ მასალას მათემატიკურ საგნებში. ცხადია, მთელი კლასისაგან გამოირჩევა ბრწყინვალე ცოდნით. მასწავლებელი აღტაცებულია ასეთი მოსწავლით, შეიძლება სულ მის ქებაში იყოს და ბავშვის აზროვნების სრულყოფილ განვითარებაზე ზრუნვაც ამით მთავრდება. ხშირად, მასწავლებელი არ უფიქრდება იმას – უწყობს კი ხელს მოსწავლის ნიჭიერების პოტენციური შესაძლებლობის მაქსიმალურად განვითარებას მათემატიკის სწავლების ის დონე, რაც მოსწავლეთა საერთო მასისთვის არის გათვლილი. ასეთი ნიჭიერი ბავშვები რომ არიან სწორედ იმან განაპირობა, თავის დროზე, ე. წ. ფიზიკა-მათემატიკური პროფილის სკოლების გახსნა(შემდეგში კი სხვა საგნების გაძლიერებული სწავლებაც შემოვიდა). პედაგოგმა უნდა სცადოს, რომ ასეთი ბავშვი სპეციალიზებულ სკოლაში მოხვდეს, მაგრამ, თუ ეს ვერ მოხერხდება, უნდა იზრუნოს ბავშვზე: მისცეს იმაზე უფრო ძნელი საშინაო დავალება, ვიდრე, სხვებს, მოამზადოს ბავშვი ოლიმპიადებისათვის, კონკურსებში მონაწილეობისათვის, მიაწოდოს საჭირო ლიტერატურა თავის საგანში, ესაუბროს და გააცნოს საინტერესო მინაღწევრები მათემატიკაში. ცოდნის მიწოდებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეს შეაყვაროს საგანი. თუ ის დაინტერესდა საგნით და დარწმუნდა

თავის შესაძლებლობებში, მერე კარგ წარმატებასაც მიაღწევს. ასეთ პრობლემებზე მუშაობა ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას მოითხოვს, რაც სკოლის პედაგოგებს არ გააჩნიათ.

გამოცდილი კლასის ხელმძღვანელები უფრო გრძნობენ პედაგოგიურ პროცესში ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენების საჭიროებას, მაგრამ მთელი სიგრძე-სივანით მისი მნიშვნელობა არც მათ აქვთ გაცნობიერებული. ამიტომ, გამოცდილი ფსიქოლოგიც კი ახალ პედაგოგიურ კოლექტივში მოხვედრისას, თუ იქ მანამდე სკოლის ფსიქოლოგს არ უშუშავია, ფრთხილად უნდა იყოს მსგავსი პრობლემების გადაჭრაში ჩარევის დროს, რადგან “პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ცოდნა არ არის საკმარისად ინტეგრირებული მასწავლებლის ცნობიერებაში. ისინი გვერდი-გვერდ იმყოფებიან. ეს გარემოება ხელსაყრელი არ არის სკოლის ფსიქოლოგიის საქმიანობისათვის. ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას პედაგოგთა მომზადებისა და გადამზადების ნაკლოვანებებით, რის გამოც არ ხორციელდება პედაგოგიურ პროცესზე, როგორც ერთ მთლიანზე, წარმოდგენის ფორმირება” (40, 31).

სკოლაში არის რიგი მტკივნეული პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უშუალოდ პედაგოგიურ საქმიანობასთან და აუცილებელია ჩარევა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ავიღოთ თუნდაც ე.წ. “პედაგოგიური ტაქტის” საკითხი. სამწუხაროდ, არც ისე იშვიათად, მასწავლებლები უხეშობენ მოსწავლეებთან ურთიერთობის პროცესში. საქმე ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მიდის. ასეთი მასწავლებელი, თავისი საგნის როგორი მცოდნეც არ უნდა იყოს, ცუდი აღმზრდელია. ვინ უნდა ჩაერთოს ამ მიზეზით გამოწვეული კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში? ცხადია, ეს სკოლის დირექციის საქმეა, მაგრამ მას საქმის ცოდნით მხარში ფსიქოლოგი უნდა ედგას. ამან შეიძლება პედაგოგის გაღიზიანება გამოიწვიოს და ფსიქოლოგი “არამკითხე მოამბედ” ჩათვალოს. აქ დიდი პასუხისმგებლობა სკოლის ხელმძღვანელობას ეკისრება. მათ უნდა დაიყვანონ ყოველი პედაგოგის ცნობიერებამდე ფსიქოლოგის



ფუნქციები და მოვალეობები, რომ ასეთ სიტუაციებში ჩარევა და მომავალში მსგავსი ინციდენტების გამეორების თავიდან აცილება მისი პირდაპირი მოვალეობაა.

სრულყოფილი ფსიქოლოგიური სამსახური დახმარებას უნდა უწევდეს ყველა ბავშვს და არა მხოლოდ იმათ, რომლებიც ცუდი სწავლითა და ყოფაქცევით გამოირჩევიან. მაგრამ, დღემდე, როგორც წესი, დახმარების გარეშე რჩება ბავშვთა ის ძირითადი მასა, სწავლაში ჩამორჩენილად რომ არ ითვლებიან და უდისციპლინოდ არ იქცევიან. ესენი სპეციალურ ნიჭს არ ამჟღავნებენ და ამიტომ ითვლება, რომ სწავლობენ ისე, როგორც შეუძლიათ. თუმცა ისიც ცნობილია, რომ მათ საკმაო ნაწილს გაცილებით უკეთ შეუძლია ისწავლოს. ესენიც დახმარებას საჭიროებენ და თუ აქაც შემაფერხებელი მიზეზი ფსიქიკურია, იმათაც ფსიქოლოგმა უნდა მიხედოს. ეს კი სკოლაში სრულყოფილი ფსიქოლოგიური სამსახურის არსებობის დროსაა შესაძლებელი. ცხადია, თავიდან უფრო მტკიცენული პრობლემები(სწავლაში ჩამორჩენა, უდისციპლინობა) გვარდება, მერე კი საყოველთაო დახმარებაზე შეიძლება გადასვლა.

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის წინაშე კიდევ ერთმა სიძნელემ შეიძლება იჩინოს თავი. მასწავლებელი, რა ნაზავს, რომ ბავშვთა სწავლაში ჩამორჩენისა და უდისციპლინობის სალიკვიდაციო სამსახურს ფსიქოლოგი ჩაუდგა სათავეში, თვითონ შორს გადგება საქმისგან და ყველაფერს ფსიქოლოგს გადააბარებს. ეს ძალიან ცუდია. მარტო მასწავლებლებს რომ შესძლებოდათ პრობლემის მოგვარება, სკოლის ფსიქოლოგი საჭირო არ იქნებოდა. ასევე მარტო ფსიქოლოგი ვერაფერს გახდება, თუ პედაგოგები არ ამოუდგნენ გვერდში. მხოლოდ ერთობლივ ძალისხმევას მოსდევს წარმატება.

ამიტომ, ჩვენი აზრით, გამოცდილი ფსიქოლოგიც კი, როცა ის მუშაობას იწყებს ისეთ სკოლაში, სადაც ადრე ასეთი სამსახური არ ფუნქციობდა, ერთბაშად არ უნდა შეეჭიდოს აღნიშნული სახის ურთულეს პრობლემებს. თავიდან მან მთელი ენერგია უნდა წარმართოს სკოლის წინაშე მდგარი შედარებით

მარტივი, კონკრეტული სიძნელეების სალიკვიდაციოდ. როცა ფსიქოლოგის ხელმძღვანელობით პედაგოგები ჩაერთებიან ერთად დაგეგმილ საკორექციო ღონისძიებებში, როცა ისინი ირწმუნებენ ფსიქოლოგიური სამსახურის სიკეთეს, შეიძლება მათი ჩაბმა უფრო რთულ პრობლემებზე მუშაობაში. მათზე მუშაობა დროშიც და ეტაპობრივადაც გვიან იწყება ხოლმე.

### **1.3.3. ახალბედა ფსიქოლოგის პირველი ნაბიჯები**

რთულ მდგომარეობაშია ფსიქოლოგი, რომელიც პირველად იწყებს პრაქტიკულ საქმიანობას. ჯერ ერთი, ის არ იცნობს სკოლაში არსებულ სიტუაციას და მეორეც, თვითონაც სკოლისათვის სიახლეა. ამასთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ახალბედა საგნის მასწავლებელი. მას სჭირდება იმ კლასების ცოდნა, რომლებშიც მან გაკვეთილები უნდა ჩაატაროს.. მან იცის საგანი სწავლების მეთოდიკით, აქვს საგნის პროგრამა, სახელმძღვანელო და შეუძლია მაშინათვე დაიწყოს მუშაობა. სკოლის ფსიქოლოგმა კი, როცა ის მუშაობას იწყებს, არ იცის რა ხდება სკოლაში და, მით უფრო, რითი დაიწყოს. მნიშვნელობა აქვს იმასაც, ადრე მუშაობდა თუ არა ამ სკოლაში ფსიქოლოგი. თუ ის პირველია, ვითარება კიდევ უფრო გართულებულია, რადგან მასწავლებლებმა არ იციან, რა უნდა აკეთოს ამ უსაგნო პედაგოგმა.

როცა ფსიქოლოგი პირველად მოდის სკოლაში, მას ყველა ინტერესით აკვირდება, ყველას ერთი კითხვა აწუხებს-ვინ არის ის? და რა უნდა აკეთოს მან სკოლაში? ამიტომ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ “ჩაეწერება” ფსიქოლოგი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში. ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში უაღრესად ღირებულია თანამშრომლის შესახებ შექმნილი პირველი შთაბეჭდილება. ფსიქოლოგს, რაკი გაკვეთილებს არ ატარებს, პირველ ხანებში, ბევრს არ თხოვენ. ამიტომ მან შეიძლება “კიდევ წაუყრუოს” და ღიდი არაფერი გააკეთოს. ეს კი ძალიან ცუდია. ასეთი ქმედებით შეიძლება სახელი გაუტყდეს

ფსიქოლოგსაც და ფსიქოლოგიურ სამსახურსაც.

სამწუხაროდ, თუ ფსიქოლოგმა ცუდად იმუშავა, მასზე დროთა განმავლობაში იქმნება ისეთი შეხედულება, რომ ის არაფრის გამკეთებელია, შეიძლება თვითონაც განეწყოს “მშვიდი ცხოვრებისათვის”. მას კი უსაქმურობის მიუხედავად მაინც იტანენ, რადგან მისი უმოქმედობა ისე არ არის თვალში საცემი, როგორც სხვა მასწავლებელთა ანალოგიური ქმედება. ამის გამო, შეიძლება მასწავლებლებში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის მიმართ ნეგატიური შეხედულება შეიქმნას. ასეთი რამ რომ არ მოხდეს, ფსიქოლოგი სკოლაში მისვლისთანავე უნდა ჩაერთოს აქტიურ საქმიანობაში. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას ჯერ არა აქვს პრაქტიკული მუშაობის ისეთი გამოცდილება, რომ ძალიან რთულ პრობლემებს მოეჭიდოს. მან ისეთ საქმეებს უნდა მოჰკიდოს ხელი, რომელთაც უსათუოდ დაძლევა.

საკითხავია, თუ რომელია ის პრობლემები, რომელთა დაძლევა ახალბედა ფსიქოლოგს არ უნდა გაუჭირდეს? სპეციალისტი ფსიქოლოგის წინაშე არ უნდა დადგეს საკითხი, თუ რა უნდა აკეთოს? ეს მას ნასწავლი აქვს და ერთგვარი პრაქტიკაც გაუვლია, მაგრამ ყველაფრის პრაქტიკული განხორციელება, რაც მან იცის, ძალიან გაუჭირდება. მას, მართალია, აქვს თეორიული ცოდნა, მაგრამ ის ყოველთვის არ არის საკმარისი უმტკივნეულოდ პრაქტიკაში გამოსაყენებლად. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა სახის პირველ ნაბიჯებს გადადგამს ის სკოლაში მისვლის შემდეგ.

ახალბედა ფსიქოლოგმა არ უნდა იჩქაროს. ის კარგად უნდა გაეცნოს სკოლას, იქ არსებულ სიტუაციას, გაიცნოს პედაგოგიური კოლექტივი. ფსიქოლოგმა მჭიდრო ურთიერთობა უნდა დაამყაროს დირექციის წარმომადგენლებთან, უკეთუ მათ კარგად იციან სკოლაში არსებული სიტუაცია. მან მათგან უნდა გაიგოს სკოლის ყველაზე მტკივნეული პრობლემები და ჩაინიშნოს ისინი, რომ მერე ამათგან გამოჰყოს საკითხთა ის წრე, რომლებზე მუშაობაც მისთვის ძნელი არ იქნება. ფსიქოლოგი ხშირად უნდა ხვდებოდეს პედაგოგებს და მათგან იღებდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უჭირთ და გაიაზროს

კონკრეტულად რა პრობლემების მოგვარებაში შეუძლია დახმარების აღმოჩენა. ის ესწრება გაკვეთილებს იმ კლასებში, რომლებშიც ხშირია სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეები. ეს განსაკუთრებით ეხება დაწყებით კლასებს. მისთვის უაღრესად ღირებული შეხვედრები კლასების ხელმძღვანელებთან. მათ კარგად იციან თუ რა ვითარებაა მათ სადამრიგებლო კლასებში. სკოლის ფსიქოლოგი არა მხოლოდ უნდა ეცნობოდეს არსებულ პრობლემებს, არამედ განსაკუთრებული გულისყური მიაპყროს იმას, თუ აქამდე რა სახის ღონისძიებები იქნა გატარებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ფსიქოლოგი ესწრება პედაგოგიური საბჭოს სხდომებს და იქიდანაც იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას. თუ სკოლას ჰყავს ექიმი, ფსიქოლოგმა მასთან კონტაქტში უნდა გაიგოს, ხომ არ არიან ფსიქონერვული გადახრების მქონე მოსწავლეები. მას უსათუოდ დასჭირდება იმის გაგება, თუ როგორია პრობლემურ მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობა.

პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობისას ფსიქოლოგმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რას მოელიან ისინი ფსიქოლოგისაგან, ხოლო თავისთვის მოხაზოს პრობლემათა ის წრე, რომელთა მოგვარება მას ხელეწიფება. ცუდია, თუ მასზე შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ დიდი არაფერი შეუძლია, მაგრამ არც ის ვარგა, ისე მოაჩვენოს თავი, რომ ყველაფრის პანაცეა იყოს. მისი პოზიცია უნდა იყოს ასეთი-გულდასმით შევისწავლოთ შექმნილი ვითარება და ცვალოთ მდგომარეობის გამოსწორება. ფსიქოლოგი ჯადოქარი როდია, რომელსაც სასწაულის მოხდენა შეუძლია. მას წარმატების მიღწევაში ობიექტური პირობებიც უნდა უწყობდეს ხელს და სწორედ აქ სჭირდება მას პედაგოგების მხარში ამოდგომა.

ის, თუ რამდენხანს გაგრძელდება ადაპტაციური პერიოდი ფსიქოლოგის მუშაობაში, დამოკიდებულია რიგ ობიექტურ ფაქტორზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია პედაგოგიური კოლექტივის მხარდაჭერა. მას საქმე აქვს ურთულეს პრობლემებთან, რომელთაც პედაგოგები ვერ აგვარებენ. შეიძლება

ზოგიერთ რამეს ფსიქოლოგიც ვერ მოერიოს, რადგან მათი დაძლევა მის შესაძლებლობებს აღემატება. მაგრამ მან რიგი პრობლემების მოგვარება უნდა შესძლოს. ამიტომ ვურჩევთ ახალბედა ფსიქოლოგებს დაგეგმონ კარგად აწონდაწონილ საკითხებზე მუშაობა, რათა იმიჯი არ გაიფუჭონ.

ჩვენში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური დიდი ხანი არ არის რაც შემოვიდა. ამიტომ გასაკვირი არ იქნება, მასწავლებლები ვერ ერკვეოდნენ იმაში, თუ რა დახმარების აღმოჩენა შეუძლია მათთვის ფსიქოლოგს. სკოლის ფსიქოლოგის პირველი ნაბიჯები მიმართული უნდა იყოს მისთვის შედარებით კარგად ცნობილი პრობლემების მოგვარებისაკენ. არ ვარგა ფაცა-ფუცი, როცა იგი ერთბაშად ბევრ და თანაც რთული პრობლემების მოგვარებას კიდებს ხელს, მაგრამ ვერც ერთი მიჰყავს ბოლომდე. ამიტომ სჯობია, რასაც ხელს მოკიდებს უსათუოდ იყოს შედეგიანი.

დასაწყისისათვის, ყველაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფსიქოლოგიაში შედარებით კარგად დამუშავებული საქმით დაკავება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ის პედაგოგიური პრობლემები, რითაც დაიწყო სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ისტორია. ესაა ფსიქოდიანოსტიკა. ფსიქოლოგი იცნობს იმ ფსიქოდიანოსტიკურ მეთოდებს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა გონებრივი განვითარების დონის დადგენა. მუშაობის დაწყების პირველ წელს ის შეიძლება დაკავდეს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის მიზეზების დადგენით. ცხადია, ბავშვთა უმეტესობა ნორმალური ინტელექტისა იქნება. მაშინ სხვა ფაქტორები უნდა გამოიკვლიოს. ასეთია ოჯახური პირობები, ბავშვის დღის რეჟიმი, მისი რიგი პიროვნული თვისებები (სიმორცხვე, გულჩათხრობილობა, გაუბედაობა და ა.შ.).

როცა ყველა საჭირო მონაცემი მოგროვდება, გაკეთდება დიანოზი იმის შესახებ, თუ რა უშლის ბავშს ხელს სწავლაში. საკორექციო ღონისძიებების შემუშავების დაწყებამდე ფსიქოლოგმა მოსწავლის პედაგოგს დეტალურად უნდა გააცნოს მისი გამოკვლევის შედეგები, იქნებ მას აღმოაჩნდეს საყურადღებო

მოსაზრება, რომლის გათვალისწინებაც მისთვის სასარგებლო იქნება.

მოსწავლის შესახებ მასალის შეგროვების, განსაკუთრებით ტესტირების დროს, საჭიროა სიფრთხილე. ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ ზოგიერთ მოსწავლეს რაღაც ნაკლოვანებების გამო სწავლობენ. პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, რომ ფსიქოლოგს აინტერესებს მოსწავლეთა ზოგიერთი ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა. ამიტომ ფსიქოლოგმა სხვა, კარგი წარმატების მქონე ბავშვების ტესტირებაც უნდა ჩაატაროს. ეს ისე უნდა კეთდებოდეს, რომ მოსწავლეებმა არ იცოდნენ, მათ შორის რომელია სპეციალური შესწავლისა და ზემოქმედების ობიექტი.

მანაც რომელი პრობლემებით სჯობია დაკავდეს ახალბედა სკოლის ფსიქოლოგი პირველ ხანებში? მუშაობის დაწყება სჯობია ფსიქოლიაგნოსტიკით და ისიც დაწყებით კლასებში. მით უფრო ეს სამსახური თავიდანვე დაწყებითი განათლების წინაშე მდგარმა სიძნელებმა დაბადა. ფსიქოლოგმა მუშაობა ასე უნდა დაიწყოს. მან უნდა სთხოვოს დაწყებითი კლასების პედაგოგებს, მიაწოდონ იმ მოსწალებების სია, რომლებიც ცუდად სწავლობენ. მიიღოს მათგან დეტალური ინფორმაცია ბავშვების შესახებ, ხოლო თუ საჭიროდ ჩათვლის, შეამოწმოს მათი გონებრივი შესაძლებლობები. ის ამ კლასებში გაკვეთილებსაც უნდა დაესწროს და თავად დაინახოს პრობლემურ მოსწავლეთა ინტელექტუალური აქტივობის თავისებურებები. ის უსათუოდ უნდა გაეცნოს მოსწავლეთა დახასიათებას, რომელსაც პედაგოგები სასწავლო წლის ბოლოს ადგენენ. ასევე აუცილებელია იმ ღონისძიებების გაცნობა, რაც მასწავლებლებს ჩაუტარებიათ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმის შემდეგ პედაგოგთან ერთად უნდა დაისახოს საკორექციო ღონისძიებები. ამასობაში ფსიქოლოგი უფრო საფუძვლიანად გაეცნობა სკოლაში არსებულ სიტუაციას და შესაძლებლობა მიეცემა შემდგომ წლებში სხვა აქტუალურ პრობლემებსაც მოკიდოს ხელი.

## სკოლის ფსიქოლოგის კონტაქტები

სკოლის ფსიქოლოგს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ურთიერთობა უწევს ძირითადად მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან. სხვა კონტაქტები ეპიზოდური ხასიათისაა და არსებით ზეგავლენას არ ახდენს ფსიქოლოგის საქმიანობაზე. ზემოთჩამოთვლილი ურთიერთობები განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებენ, რაც ფსიქოლოგმა უნდა იცოდეს.

### 1.4.1. ფსიქოლოგის კონტაქტი მოსწავლეებთან

ფსიქოლოგი სკოლაში სასწავლო მუშაობას არ ეწევა და ამიტომ იმის გაგება, თუ რა ხდება კლასებში, როგორ სწავლობენ ბავშვები და როგორ იცავენ წესრიგს, მას პედაგოგებისაგან უხდება. ამიტომ, მას სისტემატური კონტაქტი აქვს მასწავლებლებთან, დაწყებული დიაგნოსტიკური მუშაობით და დამთავრებული საკორექციო ღონისძიებების ერთობლივი ჩატარებით. ამიტომ, პირველ ხანებში მისი ურთიერთობა აღსაზრდელებთან გაშუალებულია მასწავლებლით.

შემდეგში, სიტუაციისა და მოსწავლეთა გაცნობის კვალობაზე, ფსიქოლოგი თავად გადის ბავშვებთან კონტაქტზე. ფსიქოლოგსა და მოსწავლეს შორის ეფექტური ურთიერთობის ერთერთ აუცილებელ პირობას მოსწავლის ნდობის მოპოვება წარმოადგენს. ფსიქოლოგი ხშირად პედაგოგთან ერთად მუშაობს და ბავშვთან ნდობის ფაქტორი მაშინაცაა საჭირო, მაგრამ ყველაზე უფრო სჭირდება მას მოსწავლის ნდობა, როცა ისინი პირისპირ რჩებიან. თუ მოსწავლემ არ ირწმუნა, რასაც ფსიქოლოგი ურჩევს, არ შეასრულა მისი მოთხოვნები, კორექციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგალითად, ფსიქოლოგი დიაგნოსტიკური

მუშაობისას ფსიქოლოგმა სხვადასხვა მეთოდების(დაკვირვება, საუბარი, ტესტირება) გამოყენებით უნდა დაადგინოს, თუ რატომ სწავლობს ბავშვი ცუდად. ასეთ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდება მასა და ბავშვს შორის, რამდენად სერიოზულად მოეკიდება მოსწავლე დავალების შესრულებას, არის მისი პასუხები გულწრფელი თუ არა. თუ მას ტესტებით იკვლევინ, მთელი მონდომებით უნდა ჩაერთოს დავალების შესრულებაში, უნდა შეიქმნას თანამშრომლობის ატმოსფერო. ამის გარეშე ფსიქოლოგის მუშაობა უნაყოფო იქნება..

ფსიქოლოგისტიკური მუშაობის დაწყებას აზრი აქვს იმის შეძღვევ, რაც მოსწავლე ნდობით განიშსტვალება ფსიქოლოგის მიმართ, ანუ როგორც იტყვიან, “გაიხსნება” მის წინაშე, უპასუხებს მის შეკითხვებს გულახდილად, დაუფარავად, შიშის გარეშე, შეასრულებს მის მიერ მიცემულ დავალებას. სხვა შემთხვევაში, ფსიქოლოგი ვერ მიიღებს სანდო ინფორმაციას მოსწავლისაგან. რეალობად ჩათვლის იმას, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ურთიერთნდობის ატმოსფეროს შესაქმნელად საჭიროა თვითონ ფსიქოლოგიც “გაიხსნას” ბავშვის წინაშე. მასში ბავშვმა უნდა დაინახოს მისადმი კეთილად განწყობილი პირი. ამიტომ, ყოველად დაუშვებელია მოსწავლესთან მუშაობის დროს საქმისადმი ზერეულ დამოკიდებულება(“ბიჭო შენ ეს გააკეთე”, “რამ გამოგაშტერა” და მსგავსი მიმართვები).

თუ ფსიქოლოგი პატარებს პირველად ხვდება, მაშინათვე არ უნდა შეუდგეს გამოკვლევით გათვალისწინებულ სამუშაოს. მან ჯერ ბავშვს საუბარი უნდა გაუბას, ცოტახანს ეთამაშოს კიდევ, რაღაც დაახატვინოს. მოკლედ, მან ბავშვის ნდობა უნდა მოიპოვოს. თუ პირველი შეხვედრისას ბოლო მომენტამდე ვერ მოხერხდა ბავშვის მიჩვევა, მისი ნდობის მოპოვება, ემოციურად სასიამოვნო საუბრის გამართვა, სჯობს იმ დღეს საერთოდ არ ჩატარდეს ტესტირება ან გამოკვლევისათვის დაგეგმილი საუბარი და ის სხვა დროისათვის იქნას გადატანილი..

ფსიქოლოგს საქმეს ურთულებს ისიც, რომ მას მუშაობა



უხდება სხვადასხვა კლასის და სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან, თანაც მათთან განსხვავებულ პრობლემებზე უნდა იმუშაოს. არ შეიძლება დაწყებითი და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს ერთნაირად ელემენტარული ან ერთნაირი მითხოვნები წაუყენო. ასევე, სრულიად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვენ სწავლაში ჩამორჩენილი და ასოციალური ქცევის ბავშვები.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უცხო პირის მიმართ, მეტწილად, მორიდება აქვთ, მასთან ურთიერთობაში დამფრთხლნი, გაუბედავნი არიან. კლასში ახლადშესული მასწავლებელი, არც პირველკლასელებისთვისაა მთლად უცხო პირი. ბავშვებმა სკოლაში მისვლისთანავე იციან, რომ პედაგოგი ეყოლებათ, რომლის მოთხოვნებსაც ისინი უნდა დაემორჩილონ.. მაგრამ ფსიქოლოგი, თუნდაც ამ სკოლაში მომუშავე, რომლის შესახებ მათ არაფერი იციან, მათთვის უცხო პირია. თანაც ის მათ ისეთ რაღაცეებს ეკითხება და ავალებს, რასაც სწავლასთან კავშირი არა აქვს. ამის გამო, თუ ბავშვი წინასწარ არ განეწყო საპასუხოდ, მიცემული დავალების შესასრულებლად, გამოკვლევის შედეგი არ იქნება სანდო.

ზოგჯერ ბავშვი უცხო პირთან ურთიერთობისას ხმას არ იღებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ შეუძლია. ხდება, რომ ბავშვი ასრულებს დავალებას, მაგრამ უგულოდ და ამიტომ მთლიანად არ ავლენს იმას, რაც შეუძლია. დაკვირვების ან ტესტირების დამთავრების შემდეგ, ფსიქოლოგი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ბავშვმა შემოწმების დროს მთელი თავისი შესაძლებლობა გამოავლინა. არადა, საჭირო იქნება ჩატარებული პროცედურის გამეორება სხვა დროს.

სხვა ვითარებაა ზედა კლასების მოსწავლეებთან. ისინი გამოკვლევისას ნაკლებად არიან დამფრთხლები, შეშინებულები, მაგრამ აშკარა ეჭვით ეკიდებიან დიაგნოსტიკურ პროცედურებს. ამიტომ ფსიქოლოგმა უნდა სცადოს გამოკვლევის ისე ჩატარება, რომ მოსწავლემ არ აღიქვას ის როგორც პირადად მისი შემოწმება, მით უფრო, რომ მან მშვენივრად იცის პედაგოგების მისადმი დამოკიდებულება. ამასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებას

უნდა მიექცეს ყურადღება.

არ ვარგა, როცა კლასებიდან თითო ან ორ-ორ, თანაც პრობლემურ ბავშვებს გამოიყვანენ და შემოწმებას დაუწყებენ. რაც არ უნდა უარყო, ბავშვები ხვდებიან, თუ რაშია საქმე. ამის მერე ისინი უკვე ეჭვით უყურებენ ფსიქოლოგს. სჯობია პროცედურა ჩატარდეს ბავშვთა გარკვეულ ჯგუფზე, რომელთა შორის მოწინავე მოსწავლეებიც იქნებიან, რათა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ტარდება მოსწავლეთა საერთო ტესტირება. დადასტურებულია, რომ თუ მოსწავლემ “იწნოს”, რომ ფსიქოლოგი მის გამოსწორებაზე მუშაობს, მყისვე უნდობლად განეწყობა მის მიმართ და ძნელად დაემორჩილება ზემოქმედებას.

გარკვეული სიძნელეები შეხვდება ფსიქოლოგს მოზარდებთან(გარდამავალი ასაკი) მუშაობის დროსაც. ესაა ე. წ. “ძნელი ასაკი” (11-13 გოგონებისთვის და 12-14 ვაჟებისათვის), ამ დროს თავს იჩენს გარკვეული სიძნელეები დიდებთან მათ დამოკიდებულებაში. მოზარდები უფრთხილდებიან მათი ცხოვრების თუ განცდების ინტიმურ სფეროს. ძნელად თუ ვინმეს ჩაახედინებენ მასში. მათთან ურთიერთობაში ასეთსავე სიძნელეს წაწყდება ფსიქოლოგიც. ძნელია ფსიქოლოგის წინაშე “გაიხსნას” ამ ასაკის მოსწავლე. ამიტომ საჭიროა მასთან ხანგრძლივი მუშაობა, მისი ნდობის მოპოვება. თუ ეს მიღწეული იქნა, ზელა კლასების მოსწავლეები თვითონ მიმართავენ ფსიქოლოგს მათი პრობლემების მოსაგვარებლად რჩევისათვის.

ყველაზე რთული ძნელად აღსაზრდელებთან ურთიერთობის დამყარებაა. ისინი უნდობლად უყურებენ ყველას, ვინც მათზე აღმზრდელით ზემოქმედებას შეეცდება. მსგავსი ბედი ელის ფსიქოლოგსაც. ასეთი მოსწავლე თუ არ დარწმუნდა მისით ფსიქოლოგის გულწრფელ დაინტერესებაში, მისადმი კეთილგანწყობაში, დახმარების აღმოჩენის სურვილში, არაფერი არ გამოვა.

ზრდასრული ადამიანები, როგორც ჩამოყალიბებული პიროვნებები, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარეშეებთან ურთიერთობის დამყარების უნარით. ფსიქოლოგებიც ასეთები

არიან. ყველა მათგანს ერთნაირად არ ეხერხება მოსწავლეებთან, თანაც სულ სხვადასხვა ასაკის აღსაზრდელებთან კონტაქტში შესვლა. მაგრამ ფსიქოლოგი, თუ ის ამას არ ცდილობს, ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ეს ძნელია, “მაგრამ ყოვეთვის შეიძლება ამ უნარის გარკვეულ ფარგლებში განვითარება, პრაქტიკაში განმტკიცება და ბავშვებთან თავისებური მიდგომის გამომუშავება. ბავშვის ცხოვრების ყველა საკითხისადმი დაუოკებელი ინტერესი წარმოადგენს ბავშვისადმი ფსიქოლოგიური მიდგომის საფუძველს” (85,72). დიახაც, ფსიქოლოგის ბავშვის ბედით დაინტერესება მოჩვენებითი, მხოლოდ გამოკვლევის საჭიროებით კი არ უნდა იყოს გამოწვეული, არამედ მას ეს მოთხოვნილებად უნდა ჰქონდეს გადაქცეული.

ახალბედა სკოლის ფსიქოლოგის ავტორიტეტი ბევრადაა დამოკიდებული მის დადებით პიროვნულ თვისებებზე, იმაზე, თუ რამდენად ჰუმანურია ის, რამდენად ეხერხება დაამყაროს თბილი ურთიერთობა როგორც პედაგოგებთან ისე მოსწავლეებთან. “პრაქტიკული ფსიქოლოგიის სფეროში მომუშავე ყველა მკვლევარი ერთხმად მიუთითებს თავად ფსიქოლოგის როლზე, რომელიც ასრულებს დიაგნოსტიკურ-საკორექციო და დიაგნოსტიკურ-აღმზრდელობით საქმიანობას. ფსიქოლოგიური დასკვნის სიღრმე და სიზუსტე გაპირობებულია არა მხოლოდ სწორად შერჩეული და ვალიდური ფსიქოლოგიური მეთოდებით, არამედ გარკვეული ხარისხით, ბავშვებთან სკოლის ფსიქოლოგის წარმატებული პირადი ურთიერთობით. ეს კი მოითხოვს მოთმინებას, მიხვედრილობას, საკუთარი მოქმედების გაკონტროლების უნარს, ასევე მისი პიროვნებისადმი სიმპატიის, დადებითი დამოკიდებულებისა და ნდობის გამოწვევის ნიჭს” (36, 119).

ფსიქოლოგის მხრივ ემპატიურ დამოკიდებულებას ბავშვები მშვენივრად ამჩნევენ და თავადაც კეთილი განწყობით პასუხობენ. მოკლედ, ფსიქოლოგის მცდელობა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ მასა და მოსწავლეებს შორის დამყარდეს თანამშრომლობის ატმოსფერო (ამაზე უფრო ვრცლად სხვაგან).

## 1.4.2. ფსიქოლოგი და სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან ფსიქოლოგის კონტაქტი იწყება ღირეექციის მიერ მასწავლებლებისათვის მისი წარდგენით. ამას აკოებს ღირეექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე. ეს პროცედურა განსხვავებულია იმის მიხედვით, პირველად მოდის ფსიქოლოგი იმ სკოლაში, თუ ადრეც მუშაობდა იქ მისი კოლეგა. როცა პედაგოგები გაცნობილნი არიან სკოლის ფსიქოლოგის მუშაობას, იციან მისი უფლება-მოვალეობები, გაცნობა უბრალო წარდგენით მთავრდება. მაგრამ, თუ სკოლაში ფსიქოლოგს მანამდე არ უმუშავია, მაშინ პედაგოგებს უნდა ეცნობოს მისი ფუნციები

სკოლაში ახლადდანიშნული ფსიქოლოგისა და მასწავლებლის მდგომარეობა განსხვავებულია. პედაგოგმა დანიშნვისთანავე იცის, თუ რომელ კლასს (კლასებს) უნდა ასწავლოს და მის საქმიანობას არაფერი უშლის ხელს. სხვანაირ ვითარებაშია სკოლის ფსიქოლოგი. მან არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა მწვავე პრობლემები დგას სკოლის წინაშე, რომელ ბავშვებთან მოუწევს მუშაობა. დიდკონტინგენტიან სკოლებში კი უამრავი პრობლემებია და ათობით ბავშვთანაა საჭირო მუშაობა.

როგორ ეცნობა ფსიქოლოგი პრობლემურ ბავშვებს? აქ უკვე მოქმედებას იწყებს “დაკვეთის ფაქტორი”. თვითონ პედაგოგებმა უნდა თხოვონ(დაუკვეთონ) ფსიქოლოგს ისეთ მოსწავლეებთან საკორექციო მუშაობაში დახმარება, რომელთაც პრობლემები აქვთ სწავლასთან ან დისციპლინასთან დაკავშირებით და რომელთა დაძლევა ისინი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებენ. ესეც არ იყოს, დაკვეთის გარეშე ფსიქოლოგი ვერ იპოვნის ობიექტს, რომელთანაც მან უნდა იმუშაოს. ცხადია, დაკვეთა იმას არ ნიშნავს, რომ პედაგოგმა პრობლემური ბავშვი ფსიქოლოგს გადააბაროს და თვითონ გვერდზე გადგეს. შემდეგში მათ მოუწევთ

ერთობლივად მუშაობა ამ ბავშვისათვის პრობლემის მოსახსნელად.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ერთი სოციალური ჯგუფია და მისი წევრები ერთმანეთთან კოლექტიურ დამოკიდებულებაში უნდა იყვნენ. ისინი პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთს და საჭიროების შემთხვევაში მხარში უნდა ედგნენ კოლექტებს საერთო პრობლემების მოსაგვარებლად. ასეთ დარაზმულ მცირე სოციალურ ჯგუფში სუფევს სასიამოვნო ემოციური მიკროკლიმატი და სკოლისათვის სასარგებლო საქმე ადვილად კეთდება. ფსიქოლოგის მიზანი უნდა იყოს მის სკოლაში ასეთი კლიმატის შექმნა. მაგრამ სანამ ეს მოხდება თვითონ უნდა “ჩაეწეროს” სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში, მათ უნდა მიიღონ ის სრულყოფილებიან წევრად.

სკოლის ფსიქოლოგს, რიმელსაც სოციალური ფსიქოლოგია უსწავლია, ამის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს. ამიტომ მხოლოდ ჩამოვთვლით მისი ქცევის ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც აადვილებენ ფსიქოლოგის უმტკივნეულოდ ჩართვას სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში. ესენია: კომუნიკაბელურობა, როცა ადამიანი ადვილად ამყარებს ურთიერთობას გარეშეებთან, თანაც ამას აკეთებს სასიამოვნო ფორმაში; კოლექტივისათვის თანაგრძნობისა და დახმარებისათვის მზადყოფნა, გულდიაობა, თავმდაბლობა, იუმორის გრძნობა, უკონფლიქტობა. განსაკუთრებით ფასობს მაღალი პროფესიონალიზმი. როცა მასწავლებლები დარწმუნდებიან, რომ ფსიქოლოგი სასარგებლო საქმეს აკეთებს, მის ავტორიტეტსაც დააფასებენ. მაგრამ თუ ფსიქოლოგს ჩამოთვლილი დადებითი პიროვნული თვისებების დეფიციტი გააჩნია, მაშინ მარტო ფსიქოლოგიის კარგი ცოდნა საქმეს ვერ უშველის. გულახდილად რომ ვთქვათ, ყველა ჩამოთვლილი თვისებებით აღჭურვილი ადამიანი იშვიათია. ზემოთჩამოთვლილიდან რაც უფრო მეტი დადებითი თვისება გააჩნია ფსიქოლოგს, რაც უფრო გამოკვეთილია ისინი, მით უფრო წარმატებით გაართმევს თავს მოვალეობას.

ჩამოთვლილი დადებითი პიროვნული თვისებები ფსიქოლოგს

უფრო სჭირდება, ვიდრე პედაგოგიური კოლექტივის ნებისმიერ სხვა წევრს თავისი სპეციფიკური მდგომარეობის გამო. თუ პედაგოგი გაკვეთილების ჩატარებაში, მოსწავლეებთან ურთიერთობაში დახმარებას თითქმის არ საჭიროებს, ფსიქოლოგი ყველაფერს თავის კოლეგებთან ერთად აგვარებს. მას მუდმივი კონტაქტი აქვს ერთდროულად მრავალ კოლეგასთან. ნაკლებ კოლეგიალურ პიროვნებას ამის გაკეთება უდაოდ გაუჭირდება. ამიტომ ფსიქოლოგს განსაკუთრებით სჭირდება ზრუნვა სკოლის მასწავლებლებთან კოლეგიალური ურთიერთობის დამყარებაზე.

ფსიქოლოგის მუშაობის პრინციპი უნდა იყოს: -ყოველ ბავშვთან მუშაობის დაწყება, მასზე მასწავლებლის შეკვეთით და პედაგოგთან ერთად საკორექციო მუშაობის დაგეგმვა, კიდევ მეტი. ფსიქოლოგის კონტაქტი ბავშვის მშობლებთან გაშუალებული უნდა იყოს პედაგოგის მონაწილეობით. ისინი ერთად სწავლობენ პრობლემური ბავშვის ოჯახურ მდგომარეობას, როცა ამის საჭიროება დადგება, ერთად აღგენენ საკორექციო ღონისძიებას და ასევე ერთად ახდენენ მის რეალიზებას.

კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია ფსიქოლოგის კოლეგებთან ურთიერთობის ფორმა. ის პედაგოგიურ კოლექტივში არ უნდა ჩანდეს როგორც სხვების მასწავლებელი, სხვებზე მაღლა მდგარი. უფლებრივად და მორალურად ის ისეთივე პედაგოგია, როგორც მისი კოლეგები. თუ მან ბავშვის ფსიქოლოგიაში თავის კოლეგებზე მეტი იცის, სამაგიეროდ მათ მასზე უკეთ იციან თავიანთი საგანი. “შენ ეს არ იცი”, “შენ ეს არ გცოდნია”, “შე შენ გასწავლი” და სხვა მსგავსი გამოთქმები არ უნდა ისმოდეს ფსიქოლოგისაგან, მიუხედავად იმისა, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მან მართლაც სხვებზე მეტი იცის. .

ფსიქოლოგის მიერ მუშაობის დაწყებიდან გარკვეული დროის განმავლობაში, როცა პედაგოგებმა ჯერ კიდევ არ იციან, თუ რისი გაკეთება შეუძლია მას, მათი მხრიდან შეკვეთების შემოთავაზება შეზღუდული იქნება. ფსიქოლოგმა კი უნდა იმუშაოს. თუ ის პირველ ხანებში დაკავდება დაწყებით კლასებში არსებული

პრობლემებით, მან პედაგოგებს უნდა უთხრას, თუ რისი გაკეთება სურს, რომ შეუძლია შეისწავლოს და დაადგინოს სწავლაში მოსწავლეთა ჩამორჩენის მიზეზები, ხოლო შემდეგ მათთან ერთად, დაგეგმოს საკორექციო ღონისძიებები. ამიტომ, მათ უნდა სთხოვოს ფსიქოლოგიური გამოკვლევებისათვის იმ ბავშვების სია, რომლებშიც გარკვეულ პრობლემებს ხედავენ. არც ერთი პედაგოგი ასეთ კოლეგიალურ თხოვნაზე უარს არ იტყვის. მათ თვითონ აწუხებთ ზოგიერთი მოსწავლის სწავლაში ჩამორჩენა და დაინტერესებულნი არიან მისი მიზეზის გაგებით. გავიხსენოთ სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის აღმოცენების გარიჟრაჟზე საფრანგეთის სკოლების დაწყებითი კლასების პედაგოგთა დაჟინებული თხოვნა განათლების მინისტრისადმი, დახმარებოდნენ იმის დადგენაში, თუ რატომ ვერ სწავლობდა ზოგიერთი ბავშვი.

მაშინ ამის დადგენა უადრესად ძნელი იყო, დღეს კი ადვილია და დავიწყოთ ამით. როცა ფსიქოლოგი მონიშნულ ბავშვთა სწავლაში ჩამორჩენის მიზეზების დადგენას მორჩება და დიაგნოზს დასვამს, იწყება საკორექციო საბუშაოების დაგეგმვა, რომელსაც ხელმძღვანელობს ფსიქოლოგი პედაგოგის მონაწილეობით. ზოგიერთი ღონისძიება, რომლის გატარებას ფსიქოლოგი საჭიროდ ჩათვლის, იქნებ ნაცადია მასწავლებლის მიერ, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია, მაშინ სხვა საჭირო საშუალებები უნდა გამოინახოს.

ფსიქოლოგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაგეგმილი საკორექციო ღონისძიებები, სკოლის შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელებადია, რაც ზოგჯერ მასწავლებელმა უკეთ იცის. თუ საკორექციო ღონისძიებები იგეგმება მასწავლებლის მონაწილეობით, მის განხორციელებაშიც ის აქტიურად უნდა იყოს ჩართული. მას სიამოვნებს კიდევ, პრობლემურ მოსწავლეებთან საკორექციო მუშაობაში ჩართვის წინადადება. გარკვეული სიძნელეებია მოსალოდნელი ე. წ. გარდამავალი ასაკის მოსწავლეებთან მუშაობისას. მოზარდი ძალიან მგრძნობიარე და საკმაოდ ჭირვეული ხდება მოზრდილებთან ურთიერთობაში. ამ დროს მისი პიროვნული თავმოყვარეობის უხეშად შელახვა არა

მხოლოდ აფუჭებს ურთიერთობას მასა და პედაგოგს შორის, არამედ ნეგატიურ კვალს ტოვებს მოზარდის ფსიქიკაში. ფსიქოლოგის უპირველესი მოვალეობაა ასეთი სახის არაპედაგოგიური საქციელის წინააღმდეგ ბრძოლა., ოღონდ როგორც აღინიშნა, მისი მხრიდანაც საჭიროა გარკვეული ტაქტის დაცვა.

მასწავლებლის უტაქტობის წინააღმდეგ სკოლის დირექციაც იბრძვის. ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა. მაგრამ ისინი უფრო აღმინსტრირების მეთოდს იყენებენ: გაკიცხვა, გაფრთხილება, ბრძანებით საყვედური და ა. შ. სკოლაში ფსიქოლოგიური მუშაობა, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, ადამიანის ფსიქიკაზე ისეთ ზემოქმედებას გულისხმობს, როცა პიროვნებას დარიგებით, ახსნა-განმარტებით, დამარწმუნებელ ფაქტებზე ოპერირებით აცვლევინებენ მცდარ შეხედულებას, აცვლევინებენ ფიქსირებულ განწყობას, რასაც ხშირად. შემუშავებულ სტერეოტიპს ეძახიან. ძალადობა, ისე როგორც სხვაგან, მიუღებელია პედაგოგიურ საქმიანობაშიც.

ფსიქოლოგი მაშინათვე კი არ უნდა ჩაერთოს მასწავლებლის ფსიქოლოგიურ “დამუშავებაში”, როცა ის დირექციისაგან მიღებული საყვედურებით აფექტურ მდგომარეობაშია, არამედ დამშვიდების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხელ გულზე ფსიქოლოგის ჩარევამ შეიძლება მძაფრი უკურეაქცია გამოიწვიოს მასწავლებლის მხრივ. არ არის გამორიცხული, რომ ამან გააფუჭოს შემდეგში მათ შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა.

იმის შემდეგ, რაც მუშაობის დაწყებიდან გარკვეული დრო გავა(ერთი წელი მაინც), სკოლაში ფსიქოლოგი უკვე “გაშინაურდება”. ის უკვე გაცნობილია პედაგოგებს, საკმაოდ კარგად იცის სკოლის წინაშე მდგარი პრობლემები. ახლა მას შეუძლია გააფართოვოს მუშაობის არეალი, მოჰკიდოს ხელი სწავლაში ჩამორჩენისა და უღისციპლინობის პრობლემებს უფროს კლასებშიც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან ამ პერიოდში საქმის მცოდნე და კომუნიკაბელური ადმიანის იმიჯი



შეიქმნას.

ფსიქოლოგი, რაც უფრო ზედა კლასების მოსწავლეებთან დაიწყებს მუშაობას, მით უფრო გაიზრდება საქმეში ჩართულ პედაგოგთა კონტინგენტი. ყველა პედაგოგი რამდენადმე განსხვავებული პიროვნებაა და განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. ამიტომ ფსიქოლოგმა კარგად უნდა შეისწავლოს მათი პიროვნული თვისებები და ეს ცოდნა გამოიყენოს მათთან ურთიერთობის პროცესში. მას ყველა მათგანზე უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, დამოუკიდებლად იმისა, ჩართულია მათთან ერთად საკორექციო მუშაობაში თუ არა. ვინ იცის, როდის დასჭირდება მათთან ურთიერთობის პროცესში ამ ცოდნის გამოყენება.

თუ სკოლის წინაშე მწვავედ დგას პედაგოგიური ტაქტიკის პრობლემა, მაშინ შეიძლება გარკვეული საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება: სკოლის ან მოწვეული ფსიქოლოგის მიერ ამ საკითხზე ლექციის წაკითხვა, განათლების ფსიქოლოგიის შემსწავლელი მუდმივმოქმედ სემინარზე ამ საკითხის დამუშავება, პედაგოგიური ტაქტიკის შესახებ არსებული პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ლიტერატურის რეკომენდირება და ა. შ.

### **1.4.3. სკოლის ფსიქოლოგის კონტაქტი მშობლებთან**

სკოლის ფსიქოლოგს ხშირად მოუწევს ურთიერთობა მოსწავლეების მშობლებთან. ამის საჭიროება ორი გარემოებითაა გამოწვეული. პირველი-ფსიქოლოგს დიაგნოზის დასმისათვის ბავშვის შესახებ მრავალი მონაცემი სჭირდება. ზემოთ ითქვა, რომ ფსიქოლოგიური დიაგნოზისადმი საჭიროა კომპლექსური მიდგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ფსიქოლოგი პრობლემურ ბავშვთან იწყებს მუშაობას, საჭიროა მან მის შესახებ მრავალი მონაცემი მოაგროვოს, ყოველ შემთხვევაში, მისთვის ხელმისაწვდომ ფარგლებში. ამას ანამნეზურ მასალას ეძახიან. არ შეიძლება დაყრდნობა მარტო ტესტირების შედეგებზე ან პედაგოგის მიერ შედგენილ დახასიათებაზე. ფსიქოლოგმა ისინი უნდა

გაითვალისწინოს, მაგრამ მას სხვა მონაცემებიც უნდა დაუმატოს(ოჯახური პირობები, ფსიქონერვული გადახრები, მიკროსოციალური წრის გავლენა და სხვები).

ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის მშობლებისაგან მიღებული ინფორმაცია. ბავშვი სკოლაში ოჯახიდან მოდის და ისევ ოჯახში ბრუნდება. დღის უმეტეს ნაწილს სახლში ატარებს. იმ ზემოქმედებებს, რომელთაც ბავშვი ოჯახში განიცდის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი პიროვნების ფორმირებისათვის. როცა მოსწავლე ცუდად სწავლობს ან უღისციპლინოდ იქცევა, საჭიროა იმის გაგება, თუ რა ხდება ბავშვის ოჯახში: როგორ მეცადინეობს, გააჩნია თუ არა დღის რეჟიმი, მშობლები როგორ არეგულირებენ ბავშვის ქცევას აღზრდის როგორი სტილია გაბატონებული და სხვა. სიტუაცია ოჯახში თავად ფსიქოლოგმა უნდა ნახოს და მოუსმინოს მშობლებს. მოსწავლის მშობლებთან ფსიქოლოგის კონტაქტის სერიოზული საჭიროება საკორექციო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას დგება. საკორექციო მუშაობა, ეხება ის სწავლაში ჩამორჩენის დაძლევას თუ ქცევის დარეგულირებას, მშობლების აქტიური მონაწილეობით უნდა ხორციელდებოდეს.

საკორექციო ღონისძიებების რეალიზების ორი ძირითადი რგოლი არსებობს. ესენია ოჯახი და სკოლა. ისინი სინქრონულად უნდა მოქმედებდნენ. სკოლაში განხორციელებულ ზემოქმედებებს ოჯახი უნდა ანმტკიცებდეს. ზოგჯერ თავს იჩენს ისეთი ღონისძიების ჩატარების საჭიროებაც, რომელიც მარტო მშობლებმა უნდა უზრუნველყონ. პრობლემურ ბავშვზე პედაგოგიური ზემოქმედების სინქრონულობა ეფექტური მაშინაა, როცა მშობელი თავიდანვეა ჩართული საკორექციო ღონისძიებების დაგეგმვაში. ჯერ ერთი, ის განეწყობა აქტიური მოქმედებისათვის და მეორეც, ბევრ რამეს გებულობს შვილის პრობლემურობის გამომწვევებზე „მიზეზზე“, ბავშვის განკარგულებაში არსებულ სარეზერვო ძალებზე და შესაძლო საკორექციო ღონისძიებების ხასიათზე.

სკოლის ფსიქოლოგის მშობლებთან კონტაქტის ეს მეორე ასპექტი დროში მეტხანს გრძელდება, ვიდრე პირველი და

პრაქტიკულად მთელ საკორექციო პერიოდს მოიცავს. ამ დროს ხშირად ხდება ინფორმაციის გაცვლა ფსიქოლოგსა და მშობელს შორის, მიღწეული შედეგების გაანალიზება და საჭიროებისას რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობაში გარკვეული კორექტივების შეტანა

მშობლებთან კონტაქტის ფორმები. სკოლის ფსიქოლოგი პრობლემური მოსწავლის მშობლებს პედაგოგთან ერთად უნდა გაეცნოს. მასწავლებელმა მშობელს უნდა უთხრას, ვინაა ფსიქოლოგი, რომ მას ავალთა მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში დახმარება გაუწიოს როგორც პედაგოგებს ისე მშობლებს. მშობელთან პირველ კონტაქტს, იმას, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს ფსიქოლოგი მასზე, დიდი მნიშვნელობა აქვს მათი შემდგომი თანამშრომლობისათვის

ფსიქოლოგის სტუმრობა მშობელთან ან მისი გაცნობა სკოლაში ისე არ უნდა იქნას აღქმული, თითქოს ის მხოლოდ მისი შეილით იყოს დაინტერესებული. მოცემულ მომენტში ეს მართლაც ასე რომ იყოს, მშობელს უნდა ეუწყოს, რომ ფსიქოლოგი ყველა მოსწავლის ბედითაა დაინტერესებული.

ფსიქოლოგის ურთიერთობა მოსწავლის მშობლებთან უნდა იყოს თბილი, უნდა იგრძნობოდეს დახმარების, მხარში ამოღების სურვილი. მას, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა ეკავოს მშობლის განმანათლებლის პოზიცია. ფსიქოლოგი არ უნდა ხმარობდეს ისეთ გამოთქმებს, როგორცაა: “თქვენი ბრალია”, “ეს როგორ არ იცოდით”, “ასეთი რამ არ უნდა მოგსვლოდათ” და სხვა მსგავსი სენტენციები. ეს არ უნდა გაკეთდეს მაშინაც, როცა მშობელს რაღაცა მართლაც არ სცოდნია, რაღაც შეშლია. ზოგი მშობელი ასეთ ეპითეტებს იტანს(თუმცა არავის არ სიამოვნებს),ზოგს კი აშკარად აღიზიანებს და მასთან შემდგომ ურთიერთობას ართულებს.

სკოლის ფსიქოლოგს მუშაობაში ხელშეწყობისათვის კიდევ ერთი პრობლემის მოგვარება საჭიროდება, რომელიც მისი გასაკეთებელი არ არის და სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა უნდა უზრუნველყონ. საქმე ისაა, რომ ფსიქოლოგი

ეხმარება პედაგოგებს მათ წინაშე წამოჭრილი რთული პრობლემების მოგვარებაში. დახმარება არ უნდა იყოს ცალმხრივი, თვითონ პედაგოგებიც უნდა ეხმარებოდნენ ფსიქოლოგს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დახმარება იმაში გამოიხატება, რომ მასწავლებლებმა უნდა ურჩიონ პრობლემური ბავშვების მშობლებს, კონსულტაციისათვის მიმართონ სკოლის ფსიქოლოგს, ცხადია, როცა მათ დამოუკიდებლად უჭირთ მოუარონ საქმეს.

თუ სკოლაში ფსიქოლოგიური სამსახური ახლად ჩამოყალიბებულია-(ზმირად შემდეგაც)-თავისი ინიციატივით მშობლები იშვიათად მიმართავენ რჩევისათვის ფსიქოლოგს. მშობლის პოზიცია ასეთია- როცა შვილს უჭირს მათემატიკაში, რატომ უნდა თხოვოს მან დახმარება ფსიქოლოგს, რომელსაც მათემატიკასთან არაფერი აკავშირებს და არა უშუალოდ ამ საგნის მასწავლებელს. ამიტომ პედაგოგმა, იმავე მათემატიკის მასწავლებელმა, როცა უჭირს დამოუკიდებლად პრობლემის მოგვარება, უნდა ურჩიოს მშობელს დახმებისათვის მიმართოს ფსიქოლოგს. ფსიქოლოგისათვის კარგი იმიჯის შექმნა ხელს უწყობს მშობლების აქტიურ ჩართვას საკორექციო ღონისძიებებში.

დრო და დრო ისეთი პრობლემებიც აღმოცენდებიან, რომელთა მიმართ მშობლისა და ფსიქოლოგის მიდგომა განსხვავებული იქნება და ამიტომ მას ძალიან გაუჭირდება მასთან საერთო ენის გამონახვა. მაგრამ ფსიქოლოგმა არ უნდა გააფუჭოს მშობელთან ურთიერთობა, უნდა დაიტოვოს მომავალში თანამშრომლობის განახლების პერსპექტივა. აქ მისთვის. კარგი სამსახურის გაწევა მასწავლებლებს შეუძლიათ. ვთქვათ, მოსწავლე შეძლებული ოჯახის ერთადერთი შვილია. მას ყველა თავზე ევლება, ყველა სურვილს უსრულებენ. ამის გამო ბავშვი განებივრებულია და გახდა ძნელად აღსაზრდელი.. ის ზმირად ეურჩება მასწავლებელს, ტირის როცა რამეს უკრძალავენ და ა. შ. ბავშვის საქციელი მასწავლებლისთვის მიუღებელია, მაგრამ მშობელი ასე არ თვლის. მას ვერ წარმოუდგენია, სხვანაირად როგორ აღზარდონ ოჯახის ერთადერთი შვილი. ზოგიერთი

მშობლის დარწმუნება შვილის აღზრდისადმი არასწორ მიდგომაში უფრო ძნელია ვიდრე თვითონ ბავშვის ახლებურად აღზრდა.

მშობელთან საერთო ენის გამონახვისათვის ფსიქოლოგს სჭირდება ავტორიტეტი, რომელიც მშობლების თვალში მას პედაგოგებმაც უნდა შეუქმნან. ეს საბოლოო ჯამში, მათაც გამოადგებათ, რადგან პრობლემურ ბავშვებთან მუშაობა, პირველ რიგში, მათი საქმეა. ფსიქოლოგი ეხმარება მათ ამ საქმის უკეთ ორგანიზებაში. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს სკოლებისათვის დაშვებული იქნა სკოლის ფსიქოლოგის შტატი და ჯერჯერობით ცოტა სკოლას ყავს კვალიფიცირებული ფსიქოლოგი. სკოლების დიდი უმრავლესობისათვის სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური ახალი ხდის და მშობლებს კი არა, ხშირად არც პედაგოგებს გააჩნიათ მის შესახებ საკმარისი ინფორმაცია.

იქ, სადაც სკოლის ფსიქოლოგი უკვე მუშაობს და კარგი ავტორიტეტი აქვს, მის შესახებ მშობლებმაც იციან და სიამოვნებითაც მიმართავენ დახმარებისათვის, სულ ერთია კონსულტაცია იქნება ის, თუ სადიაგნოსტიკო-საკორექციო ღონისძიებებში ჩართვა.

#### ***1.4.4. კლასებში თანამშრომლობის ატმოსფეროს დანერგვა***

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური მხოლოდ და მხოლოდ პრობლემურ ბავშვებთან მუშაობით არ უნდა იყოს დაკავებული. მართალია, ფსიქოლოგიური სამსახურის უმნიშვნელოვანესი ასპექტი ესაა, მაგრამ მას სხვა ფუნქციებიც გააჩნია. კერძოდ, სკოლის ფსიქოლოგს პედაგოგებთან მუშაობაც მოეთხოვება. ცხადია, ეს მუშაობაც პედაგოგიური ხასიათისაა. სკოლაში გარკვეულ პრობლემებს პედაგოგებიც ქმნიან. ავიღოთ თუნდაც ე.წ. “პედაგოგიური ტაქტის” საკითხი. სამწუხაროდ, პედაგოგთა ერთ ნაწილს ლოიალური დამოკიდებულება არა აქვს აღსაზრდელებთან, უხეშად ექცევა მათ, უყვირის, ლანძღავს და

რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ფიზიკურადაც უსწორდება ბავშვებს.

სკოლაში მასწავლებლის სოციალური პოზიცია ისეთია, რომ მას ადვილად განაწყობს ავტორიტარული ხელმძღვანელობისადმი. ამას გარკვეული საფუძველი გააჩნია: მასწავლებელი ზრდასრული ადამიანია, მოსწავლე ჯერ კიდევ ბავშვია და ამიტომ უფროსთან მიმართებაში მისი პოზიცია სუსტია, მასწავლებელი დიდი უფლებებითაა აღჭურვილი (ასწავლის, ნიშნებს უწერს, მოსწავლისაგან წესრიგის დაცვას მოითხოვს- შეუძლია დასაჯოს ის და ა.შ.) მოსწავლეს კი ასეთი უფლებები არ გააჩნია და ვერც გამოიყენებს. ამიტომ პედაგოგთა საკმაო ნაწილი თანდათანობით განეწყობა ავტორიტარული ხელმძღვანელობისადმი და ზოგიერთი მათგანი ბოროტადაც იყენებს მას. აბა რა უნდა ეწოდოს პედაგოგის ისეთ საქციელს, როგორცაა: ბავშვის ლანძღვა და ცემა.

კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა რეკომენდირებული ფიზიკური დასჯა ბავშვისა (კუთხეში დაყენება, სახაზავით ცემა და სხვა), მაგრამ ზოგიერთი პედაგოგი კვლავ იყენებს მოსწავლეთა დასჯის უხეშ ფორმებს. ასეთ მასწავლებელს არ ესმის, რომ ფიზიკური დასჯა უეფექტოა როგორც სწავლაში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, ისე უღისციპლინობის აღსაკვეთად. როდესაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დაპირისპირება იჩენს თავს (ცხადია, ზოგჯერ ამაში მოსწავლეს სცოდავს), პედაგოგიური ზემოქმედება უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური (დარიგება, ახსნა-განმარტება, საჭიროების შემთხვევაში მოფერება, წახალისება), რომელიც გულისხმობს, სიტყვიერი ზემოქმედების გარდა, პედაგოგის ემპათიურ დამოკიდებულებას ბავშვისადმი. ბავშვები უნდა გრძნობდნენ პედაგოგის სიყვარულს მათდამი, კეთილგანწყობას ყველა მოსწავლისადმი. ბავშვს უნდა სჯეროდეს თავისი პედაგოგის, უნდა გაურბოდეს მის წინაშე შერცხვენას. ცემის ან უხეშად გალანძღვის შემდეგ პედაგოგსა და მოსწავლეს შორის ხიდი ჩატეხილია. ბავშვს არ სჯერა იმ მასწავლებლისა, რომელმაც

ლანძღვითა და ცემა-ტყეპით გაამწარა.,

დღეს სწავლება, როგორც სკოლაში ისე უმაღლეს სასწავლებელში, მასწავლებელ-მოსწავლეს შორის თანამშრომლობისკენ შემობრუნდა. მოსწავლე გაკვეთილზე უბრალოდ კი არ უნდა ისმენდეს და იმახსოვრებდეს იმას, რასაც მასწავლებელი ეუბნება, არამედ სწავლის პროცესის თანამონაწილე უნდა იყოს. მასწავლებელმა გაკვეთილის პროცესი უნდა მართოს, მოსწავლეები კი უნდა მუშაობდნენ. ამ პროცესში წაქეზება, წახალისება, შექება, გამხნეება იმისი, ვისაც უჭირს, მასწავლებლის ტაქტიკის აუცილებელი კომპონენტები უნდა იყოს. კლასში უნდა სუფევდეს სიმშვიდე, არ უნდა იგრძნობოდეს დაძაბულობა. აბა, რას აძლევს ბავშვს ისეთი გაკვეთილი, სადაც მასწავლებლის ყვირილი და წყევლა-კრულვა მეზობელ საკლასო ოთახებში ისმის და მეცადინეობას უშლის ხელს.

რისი გაკეთება შეუძლია ამ მიმართულებით ფსიქოლოგს? ცხადია, ფსიქოლოგსაც სჭირდება ტაქტი. არ შეიძლება ის პირში ეცეს გაბრაზებულ მასწავლებელს. მასთან საუბარი უნდა შედგეს იმის შემდეგ, რაც ის დამშვიდდება, თუნდაც ეს მომდევნო დღეებში მოხდეს. ასეთ დროს, ძალიან კარგია დირექციის ჩარევა. როცა დადასტურდება მოსწავლისადმი მასწავლებლის უხეში მოპყრობის ფაქტი. დირექტორმა ან მოადგილემ უნდა მიუთითოს მას ამის შესახებ, ამასთან გაუკეთონ ორგანიზება მასწავლებლისა და ფსიქოლოგის დიალოგს იმის ირგვლივ,, რაც მოხდა. ასეთ დროს ფსიქოლოგს თავისუფლად შეუძლია გამოთქვას თავისი მოსაზრება მოსწავლეზე პედაგოგიური ზემოქმედების საკითხებზე, მისცეს პედაგოგს სათანადო რჩევა(მას ხომ თხოვეს თავისი აზრის გამოთქმა). ასეთი დიალოგი შეიძლება პერიოდულად მოეწყოს მასწავლებელთა ჯგუფთან, რომელთა შორის უხეშობით გამორჩეულნიც უნდა იყვნენ.

თუ სკოლაში პედაგოგიური ტაქტიკის პრობლემა დგას, სკოლის დირექტორს შეუძლია დანიშნოს ფსიქოლოგის ლექციების ციკლი განათლების ფსიქოლოგიის საკითხებზე, მათ შორის პედაგოგიურ ტაქტიკაზეც. ასეთ ლექციას დირექტორიც

უნდა დაესწროს და სათანადო ფაქტების მოშველიებით მხარი დაუჭიროს ფსიქოლოგის მოსაზრებას.

ურთიერთთანამშრომლობაზე უნდა იყოს ორიენტირებული სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი. ცუდია, როცა პედაგოგებს შორის კონფლიქტია, დავაა, ურთიერთდაპირისპირებას აქვს ადგილი. ასეთი რამ პერიოდულად თუ მუდმივად ძალიან ხშირადაა პედაგოგთა კოლექტივებში. კონფლიქტს უნდა მართვა. არსებობს კონფლიქტების მართვის დიპლომატია, რაც კარგადაა ცნობილი სოციალურ ფსიქოლოგიაში. მას იცნობს სკოლის ფსიქოლოგი და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მისი გამოყენება, თუნდაც იმითი, რომ რეკომენდაცია მისცეს ღირექციას კონფლიქტის მოსაგვარებლად.

არც ისე იშვიათია კონფლიქტი მშობლებსა და პედაგოგებს შორის. აქაც “მომრიგებელ მოსამართლედ” შეიძლება ფსიქოლოგი გამოვიდეს. მოსწავლეებსა და პედაგოგებს, მშობლებსა და პედაგოგებს შორის დამოკიდებულება არის საზოგადოების ე.წ. მცირე სოციალური ჯგუფების წევრებს შორის არსებული პირადურთიერთობათა სისტემის ანარეკლი.. დღეისათვის სოციალურ ფსიქოლოგიას საკმაო გამოცდილება გააჩნია მსგავს დაპირისპირებათა მართვისათვის და იქ, სადაც სკოლაში ფსიქოლოგი მუშაობს, საჭიროა მისი გამოყენება ამ საქმისათვის.

ძალიან კარგია, როცა მსგავსი კონფლიქტების დარეგულირებაში სკოლის ღირექცია ფსიქოლოგს ჩართავს ხოლმე. მაშინ ფსიქოლოგი “არამკითხე მოამბის” როლში კი არ გამოდის, არამედ ღირექციის დავალებას ასრულებს. ამას კი პედაგოგი წინ ვერ აღუდგება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფსიქოლოგი სკოლაში მხოლოდ ღირექტორის დაკვეთებს ასრულებს, მაგრამ თუ ასეთი დაკვეთა იქნება, ფსიქოლოგმა უსათუოდ უნდა მოახდინოს მასზე რეაგირება.



**თავი 5**

**ფსიქოდიაგნოსტიკური გაზომვები**

პრობლემურ ბავშვებთან საკორექციო მუშაობის დაწყებას წინ უსწრებს საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცედურების ჩატარება იმის დასადგენად, თუ რა სახის ხელშემშლელ დაბრკოლებასთან გვაქვს საქმე. თუ მოსწავლის წინაშე მდგარი სიძნელეები ფსიქოლოგიური ხასიათისაა, მაშინ (ავადმყოფურ ფაქტორებს მედიცინა სწავლობს) ის ფსიქოლოგმა უნდა გამოიკვლიოს და მის შესახებ დასვას ფსიქოლოგიური დიაგნოზი. ამას ფსიქოდიაგნოსტიკას ეძახიან.

**2.5.1. ფსიქოდიაგნოსტიკის შინაარსი.**

ფსიქოდიაგნოსტიკა არის ფსიქოლოგიის ერთერთი დანაყოფი, რომლის დანიშნულებაც ადამიანის ფსიქიკური პროცესების თავისებურების, მათი განვითარების დონისა და არსებულ გადახრათა გამოვლენა, გაზომვა და დიაგნოზის დასმა. ფსიქოდიაგნოსტიკის უმთავრესი კომპონენტია ადამიანთა შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებების ან ერთი და იმავე ინდივიდის მიერ განსხვავებულ სიტუაციებში გამოვლენილ რეაქციათა გაზომვა, შესწავლა.

სკოლაში ფსიქოდიაგნოსტიკურ მუშაობას ორი მიმართულება აქვს. ერთ შემთხვევაში ხდება მოსწავლის ფსიქიკური განვითარების ამა თუ იმ ასპექტის ხანგრძლივი შესწავლა პედაგოგიური ზემოქმედების პროცესში. ასეთი კვლევები დაკვირვებისა და ექსპერიმენტის გამოყენებით ხორციელდება. მიღებული შედეგები ბავშვის ფსიქიკური განვითარების ზოგად

კანონზომიერებებს ასახავს და ამიტომ, ძირითადად, განვითარებისა და განათლების ფსიქოლოგიების მიერ გამოიყენება. კვლევის ეს მიმართულება მოსწავლის ფსიქიკური განვითარების შესწავლას ემსახურება.

ფსიქოლინგვისტიკური მუშაობის მეორე გზა გამოიყენება გამოსაკვლევი ფენომენის შედარებით მოკლე დროში გამოვლენისა და გაზომვისათვის. ამ დროს კვლევის წინაშე ამოცანად იზღენად ის კი არ ღვას, თუ როგორ ვითარდებიან ბავშვის ფსიქიკური პროცესები, რამდენადაც იმის გამოვლენა და გაზომვა, თუ განვითარების რა დონეს არიან მიღწეულნი ისინი ამჟამად, ამ მოცემულ მომენტში, ახასიათებთ თუ არა რაიმე გადახრა და თუ ასეთი რამ დასტურდება, მაშინ როგორია ის. ასეთ დროს კვლევის ძირითად მეთოდად იყენებენ დაკვირვებასა და ტესტირებას.

ფსიქოლინგვისტიკა საჭიროებს სხვადასხვა სახის გაზომვებს და მიღებულ მონაცემთა ურთიერთშედარებას. ამ გზით დგინდება საკვლევი მოვლენა ნორმის ფარგლებშია, თუ გადას ნორმიდან. კორექცია სჭირდება იმას, რაც ნორმიდან გადახრით ხასიათდება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ როგორია გადახრა და რამდენად სცილდება ნორმას. ამის დასადგენად კი მიმართავენ სხვადასხვა სახის გაზომვებს და მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლების გაანალიზებას. ეს რომ გაკეთდეს საჭიროა ორი სახის მონაცემის არსებობა. პირველი—უნდა ვიცოდეთ, თუ რა არის ნორმა(იხ. 2.-5.-7.). თუ ეს არ ვიცით, ვერც გადახრის მნიშვნელობაზე ვილაპარაკებთ. მეორე— საჭიროა გაიზომოს იმ გადახრის ოდენობა, რომელიც ნორმიდან არის გასული. ამ ორი მონაცემის ურთიერთშედარებით შეიძლება ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმა.

დიაგნოზში გარკვევით უნდა ჩანდეს თუ გონებრივი განვითარების როგორი დონის პატრონია ბავშვი. თუ განვითარების დაბალი დონეა, მითითებული უნდა იყოს რომელს ეკუთვნის. ინტელექტის დაქვეითების ოთხი ძირითადი დონეა საყურადღებო: ფსიქიკური განვითარების შეფერხება, დებილობა, იმბეცილობა და იდიოტია. ამათგან, განვითარებაშეფერხებული ბავშვი, საშუალო

სკოლის კონტინგენტი და მას სკოლამ უნდა მოუაროს. თუ ბავშვი დებილია ან დამხმარე სკოლაში იგზავნება ან, თუ ამის პირობები არსებობს, ინკლუზიურ სწავლებაში ჩართავენ. ფსიქოლოგიური დიაგნოზი ასეთი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

## 2.5.2. ტესტირების საფუძვლები

პრობლემურ ბავშვებთან მუშაობის დროს ყოველთვის დგება იმის გაგების საჭიროება, თუ როგორია მათი ფსიქიკური წყობა. კერძოდ, როცა ბავშვი ცუდად სწავლობს, საჭიროა მიზეზის დადგენა. პირველ რიგში, უნდა გავიგოთ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობა. იქნებ ის ისეა დაქვეითებული, რომ არ შეუძლია იმ მასალის ათვისება, რასაც ვაწვდით. თუ შემეცნებითი პროცესების განვითარების დონე ნორმის ფარგლებშია, მაშინ სწავლაში ჩამორჩენის სხვა მიზეზები უნდა დაეადგინოთ. თუ გაკვეთილზე ბავშვი თავმუშავებლად იქცევა, ჯერ უნდა დავადგინოთ, ხომ არ არის ამის მიზეზი მის ემოციურ სფეროში მომხდარი ცვლილება. სანამ ამას არ გაეარკვევთ, სხვა ფაქტორების ძიება შედეგს არ მოგვცემს. ასეა ბავშვის ქცევის დარღვევების ყველა სფეროში.

ადამიანის ნებისმიერი ქცევა (თამაში, სწავლა, შრომა) ფსიქიკური პროცესების აქტიურობითაა წარმართული. როცა ქცევის მიმდინარეობა ბრკოლდება, ამ პროცესების გამართულობა, ფუნქციონების ნორმალურობა უნდა იქნას შესწავლილი. სიძნელე სწორედ აქ იჩენს თავს. ქცევის ფსიქიკური კომპონენტის შესწავლა ყველაზე ძნელია. ფსიქიკური გარედან, უშუალო დაკვირვებისათვის მიუწვდომელია და ეს შემოვლილი გზებით უდა გაკეთდეს. როცა ექიმი ავადმყოფობის დიაგნოზის დასამზებ მუშაობს, სხვადასხვა სახის გაზომვით მიღებულ მონაცემებს აგროვებს. ყველა ისინი ობიექტური მონაცემების სახით არსებობს(სიცხე, წნევა, პულსი და სხვა) და შეიძლება, სათანადო ხელსაწყოების გამოყენებით ზუსტად გაიზომოს. ფსიქიკური

პროცესების შესწავლა ასე იოლი არ არის. ხელსაწყო-აპარატებით ადამიანის მაღალ ფსიქიკურ პროცესებს(აზროვნება, ნებისყოფა და ა. შ.) ვერ გავზომავთ. აქ სულ სხვა საშუალებებს იყენებენ.

ადამიანის ფსიქიკა მის ქცევაში ვლინდება. მან უნდა მოგვცეს ინფორმაცია მისი განცდების შესახებ. ადამიანს ისეთი საქმიანობა უნდა შეეთავაზოთ, რომელშიც მისი ფსიქიკის ჩვენთვის საინტერესო თვისება გამოვლინდება. მოკლედ, ფსიქიკას “შემოვლითი”, არაპირდაპირი გზით სწავლობენ. ასე ხდება ბავშვის ფსიქიკის შესწავლაც. მაგრამ აქ გარკვეული სიძნელეც იჩენს თავს. ზრდასრული ადამიანის ფსიქიკა ჩამოყალიბებულია და მის ქცევაზე დაკვირვებით მიღებული მონაცემები, თუ ისინი სწორია, გამოსადეგია სხვადასხვა ასაკის მოზრდილთა ფსიქიკური ცხოვრების დასახასიათებლად. ბავშვის შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. ბავშვის ფსიქიკა მუდმივ განვითარებაშია, იცვლება მისი ფსიქიკის ყველა მახასიათებელი. ამიტომ, მონაცემები, რომლებიც ვთქვამთ, ნ წლის ბავშვის შესწავლით მივიღეთ, 8 და მით უფრო მაღალი ასაკის ბავშვის ფსიქიკის დასახასიათებლად არ გამოდგება. სწორედ ამის გამო საკმაო ხანს ვერ მოხერხდა ამ სიძნელის გადალახვა. საქმეს ეშველა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პორიზონტზე ბინე-სიმონის ტესტები გამოჩნდა და დაიწყო ტესტირება.

ტესტირებით მარტო ბავშვის გონებრივი განვითარების დონეს როდი იკვლევენ, თუმცა ეს ძალიან მნიშვნელოვანია, არამედ შეიძლება შევისწავლოთ მისი ემოციების თავისებურება. უფროს კლასელებთან შესაძლებელია ინტერესების და მრავალი ცხოვრებისეული ღირებულებების დადგენა.

### 2.5.3. ტესტების მეთოდი

ტესტი (ინგლ. test—გამოცდა, შემოწმება) არის ფსიქოლოგიის მეთოდი, რომლითაც ხდება ინდივიდის ფსიქოლოგიური თავისებურებების დადგენა. ტესტი არის მოკლედ ფორმულირებული დავალება(კითხვა), რომლის შესრულების ხასიათის მიხედვით კეთდება დასკვნა შემოწმებული ფსიქიკური უნარის თუ გარკვეული პიროვნული თვისების შესახებ. ფსიქოლოგიაში ტესტს ეძახიან იმ მასალასაც, რომლითაც შემოწმება სწარმოებს..

ადამიანის ფსიქიკის შესასწავლად ბევრი მეთოდი არსებობს, მათ შორის ისეთი ძირითადი მეთოდები, როგორებიცაა: დაკვირვება და ექსპერიმენტი. მათი საშუალებით სწავლობენ ადამიანის ფსიქიკის სტრუქტურულ თავისებურებებს, ფსიქიკურ წარმონაქმნთა ბუნებას, მათ განვითარებას და ა, შ. მათგან განსხვავებით, ტესტი არის არა ფსიქიკის შესწავლის, არამედ შემოწმების, გამოვლენისა და გაზომვის საშუალება. ტესტებით დგინდება ადამიანის ფსიქიკის ამა თუ იმ თავისებურების ამჟამინდელი დონე, ის, თუ როგორია ის ახლა, ამ მოცემულ მომენტში. ადამიანის საქმიანობის ბევრ სფეროში საჭირო ხდება იმის გაგება, თუ როგორია ამა თუ იმ პირის კონკრეტული ფსიქოლოგიური მახასიათებლის თავისებურება, განვითარების დონე. მაგალითად, ავტომატიზებულ სისტემაში ოპერატორად მუშაობის მსურველს სჭირდება ოპერატიული აზროვნების მაღალი დონე. ასეთ დროს შეიძლება ტესტირებით მისი გაზომვა და იმის დადგენა, გამოდგება თუ არა გამოსაკვლევე პირი ასეთ სისტემაში სამუშაოდ. ხშირად სპორტის ამა თუ იმ სახეში კარგი წარმატების მისაღწევად საჭიროა იმის გაგება თუ როგორია სპორტსმენის რეაქციის სისწრაფე, მოძრაობის სისწრაფე და ა.შ. ამის გაგება ტესტირებით სიძნელეს არ წარმოადგენს.

ტესტების შემუშავება ხანგრძლივი და უაღრესად შრომატევადი საქმეა. ტესტი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე მოთხოვნას, რომელთაგან უმთავრესია: სტანდარტულობა, ვალიდობა და

საიმედობა. სტანდარტულობა გულისხმობს იმას, რომ ტესტირების შედეგები ერთნაირი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც მას იყენებს. სადაც, რა დროს და ვის მიერაც არ უნდა ტარდებოდეს ტესტირება, მიღებული შედეგი არ უნდა იცვლებოდეს. ყოველ ტესტს თან ახლავს გასაღები, რომელიც ტესტირების შედეგების ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ის ყველა მკვლევარის მიერ ერთნაირად იკითხება.

ვალიდობა ტესტის სრულყოფილების ერთერთი უმთავრესი მაჩვენებელია და იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად ზუსტად იზომება გამოსაკვლევი მოვლენა, რამდენად სუფთად ხდება იმისი გამოვლენა, რაც ტესტირებით უნდა შეფასდეს. ყოველი ტესტი ადეკვატურად უნდა ასახავდეს გამოსაკვლევი მოვლენის ცალკეულ კომპონენტებს. საიმედობას ეძახიან ტესტირების შედეგების მუდმივობას, უცვლელობას. ტესტის საიმედობა მოწმდება მისი პირველი და განმეორებით გამოყენების შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის არსებული კორელაციით. შეიძლება ამ მიზნისთვის გამოყენებული იქნას ტესტის შედეგების სხვა ექვივალენტური ტესტით მიღებულ მონაცემებთან შედარება.

ტესტის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება ისაა, რომ ის შესაძლებლობას იძლევა შესასწავლი მოვლენა არა მხოლოდ გამოვლინდეს და აღიწეროს, არამედ გაიზომოს კიდევ. ამ ასპექტით, ტესტირება უაღრესად ღირებულთაა განვითარების ფსიქოლოგიისათვის. მაგალითად, შეიძლება გაიზომოს სხვადასხვა ასაკის(კლასის) მოსწავლეთა აზროვნების, მეხსიერების, ყურადღების და სხვა შემეცნებითი პროცესების განვითარების დონეები. მათი ურთიერთ შედარებით შეიძლება ვნახოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ინტელექტუალური პროცესების ასაკობრივი განვითარება.

ტესტი არის კონკრეტული დავალება ან დასმული შეკითხვა, რომელზეც საჭიროა პასუხის გაცემა. პასუხის ანალიზით (რამდენად სწორია ის) ადგენენ საკვლევი უნარის განვითარების დონეს ან მის თავისებურებას. ადამიანის ფსიქიკის მახასიათებლები იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია მის შესახებ

ერთი ტესტით დამაკმაყოფილებელი მონაცემის მოპოვება, ამიტომ, როგორც წესი, ტესტური მასალა რამდენიმე ცალკე ტესტისაგან შედგება. მათ ერთობლიობას ტესტების სერიას ან ბატარეას უწოდებენ. ტესტების ზოგიერთი სერია ათობით ტესტისაგან შედგება.

#### **2.5.4. ტესტირების მოკლე ისტორია**

თვლიან, რომ ტესტირებას ინგლისში ჩაეყარა საფუძველი. ტესტირების იდეა ეკუთვნის ვ. გალტონს. პირველი მასობრივი ტესტირება ჩატარდა 1884 წელს ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე. იქ შეიქმნა სპეციალური ანტროპომეტრული ლაბორატორია, სადაც სწავლობდნენ ადამიანის მგრძობელობის სხვადასხვა მახასიათებლებს. ამგვარად, ტესტირებას, როგორც ადამიანის ფსიქიკურ მახასიათებელთა გამოვლენის საშუალებას, მე-19-ე საუკუნის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. ამ საქმეს ხელი ყველაზე ენერგიულად ფსიქიატრებმა მოჰკიდეს. მათ სცადეს ტესტირების გზით ფსიქიკურ მოშლილობათა ბუნების გაგება. 1884 წელს რიგერმა სცადა ტვინის ჭრილობითა და ზოგიერთი სხვა გაურკვეველი სიმპტომით სულით ავადმყოფთა აღქმის, მეხსიერების, გაგების და რიგ სხვა უნართა დასადგენად გამოცდების ჩატარება. დაახლოებით ამ დროს ჩ. ლომბროზო შეეცადა ტესტების გამოყენებით დაედგინა დამნაშავეთა ფსიქიკური თავისებურებები. 1890 წელს რ. კეტელმა აშშ-ი “გონებრივი ტესტების” საშუალებით სცადა ადამიანთა ინტელექტუალური “ფიზიონომიის” განსაზღვრა.

ამ დროიდან თავი იჩინა ტესტების შემუშავების ეპიდემიამ. ფსიქოლოგები ერთმანეთს არ აცლიან სამეცნიერო საზოგადოებისათვის ახალ-ახალი ტესტების შეთავაზებას. ცნობილ ფსიქოლოგთაგან ეს გააკეთეს: პ. მიუნსტერბერგმა 1891 წ. ბოლტონმა და ჟ. იასტროვმა 1892 წ. სკრიპტიურმა 1893 წ. სამწუხაროდ, შემოთავაზებული ტესტების სიუხვე არ ასახავდა ფსიქიკური პროცესების გამოკვლევისადმი მიდგომათა სიუხვეს.

ყველა ავტორი ძირითად აქცენტს აკეთებდა შედარებით მარტივ ფსიქიკურ პროცესთა გამოვლენასა და გაზომვაზე. სწორედ ეს უსაყვედურეს თავიანთ კოლეგებს ა. ბინემ და ვ. ანრიმ. ისინი 1896 წელს დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნავენ, რომ ადამიანის ფსიქიკის გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალი შემეცნებითი პროცესების ტესტირებას და არა მოძრაობისა და შეგრძნებების კვლევას. მალე ამას მოჰყვა ე. ტულუზის, გიუიჩიარდის და გ. ფერარის რამდენიმე გონებრივი ტესტის გამოქვეყნება. კვლავ აქტიურობენ ფსიქიატრები (რ. ზომერი 1899) ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ ტესტირებით შეძლებდნენ ავადმყოფთა ფსიქიკური აშლილობის მიზეზების დადგენას.

მიუხედავად ტესტების სიუხვისა და მათი რაოდენობის განუწყვეტელი ზრდისა, მაღალ ფსიქიკურ პროცესთა დიაგნოსტიკა, ე. კლაპარედის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, “ერთი ნაბიჯითაც არ წასულა წინ.” ტესტებით გატაცებისა და მათი სიმრავლის მიუხედავად “, ნიჭიერების შესახებ ექსპერიმენტულ დიაგნოსტიკას ამ პერიოდში ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ და საჭირო გახდა კიდევ მთელი ათი წელი ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, ბინეს გენიის წყალობით არ შევიძინეთ დიდი ხნის ნანატრი ინსტრუმენტი” (42, 15).

რა მოხდა, რა გააკეთა აღფრედ ბინემ ისეთი, რომ ტესტი პიროვნების შემეცნებითი პროცესების შესწავლის აღიარებულ საშუალებად იქცა? ამ კითხვაზე დამაჯერებელ პასუხს იძლევა კლაპარედი. ის აღრინდელი უამრავი ტესტის ძირითად ნაკლს იმაში ხედავს, რომ არც ერთ მათგანს არ ახლდა გრადუირების(რანჟირების) შკალა. “ამ დროს ფსიქოლოგები იქცეოდნენ ისე, როგორც მოიქცეოდნენ ფიზიკოსები, რომლებიც ბაზარს აავსებდნენ ისეთი გირებით, სახაზავებით, თერმომეტრებით, რომლებიც გამოუსადეგარი იქნებოდნენ ასაწონად, გასაზომად გრადუირების უქონლობის გამო. ამიტომ ისინი როგორც ზომა-წონის საშუალებები სრულიად უვარგისნი იქნებოდნენ გამოსაყენებლად” (42, 15).



ბინე-სიმონის ტესტის ღირსება ისაა, რომ ის იძლევა გრადუირების საშუალებას. გამოსაკვლევი მოვლენა რაოდენობრივად შედარებად მაჩვენებლებში(რიცხვებში) აღიწერება. მაგალითად, მისი გამოყენებით ხერხდება ყოველი ტესტირებული ბავშვის გონებრივი განვითარების ღონის დადგენა. ეს კი შესაძლებლობას იძლევა მრავალ ბავშვთა მონაცემის ურთიერთშედარებით დაეადგინოთ როგორც ამ უნართ ერთი ასაკის ბავშვებს შორის არსებული განსხვავება, ისე მისი ასაკობრივი განვითარების დინამიკაც.

რამდენადაც საოცარი არ უნდა იყოს, ბინე-სიმონის ტესტებმა სერიოზული ყურადღება ვერ მიიქციეს მათ სამშობლოში-საფრანგეთში. სამაგიეროდ, მათი იდეა აიტაცეს იმ დროისათვის ყველა კულტურული ქვეყნის ფსიქოლოგებმა. ზოგმა მოახდინა ბინე-სიმონის ტესტების მშობლიურ ენაზე თარგმნა და აპრობირება(დეკროლმა-ბელგიაში, დეკლერმა-შვეიცარიაში, გოდარმა-აშშ-ი, ბობერტაგმა-გერმანიაში, იედერგოლდმა-შვეიცარიაში, ტრევესმა და საფიტომ იტალიაში). სულ მალე ბინე-სიმონის რედაქტირებული ან ორიგინალური, მაგრამ მათ პრინციპებზე შედგენილი ტესტები მთელ მსოფლიოს მოეფინა.

ტესტების მეთოდის შესახებ ეს მოკლე ექსკურსი იმიტომ გაკეთდა, რომ სკოლის ფსიქოლოგის პრაქტიკაში ტესტირებას ხშირად აქვს ადგილი. სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობა ის კი არ არის, რომ იკვლიოს თუ როგორია ბავშვის ფსიქიკური ცხოვრების თავისებურებანი, ფსიქიკური პროცესების განვითარების კანონზომიერებები, არამედ არსებული ცოდნის გამოყენებით შეისწავლოს აღმოცენებული გადახრა, მისი ოდენობა და სცადოს დარღვევის გასწორება, ნორმის ფარგლებში დაბრუნება ან მისი საგრძნობი ნიველირება მაინც.

## 2.5.5. გონებრივი განვითარების დონის დადგენა

რამდენიმეჯერ აღინიშნა, რომ როცა მოსწავლე ცუდად სწავლობს, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, საჭიროა მისი გონებრივი შესაძლებლობების დადგენა. სწორედ ამას ემსახურება ტესტური შემოწმება. ამის გაკეთება არც ისე იოლია და თეორიულ მომზადებასთან ერთად სათანადო პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს. ბავშვის გონებას ხელსაწყობით ვერ გავზომავთ. ამ საქმისათვის შემუშავებულია სხვადასხვა გონებრივი ტესტები. ისინი საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ, თუ როგორია ამა თუ იმ ბავშვის გონებრივი განვითარების თავისებურება შემოწმების მომენტიდან. ამ გზით ხდება ბავშვის გონებრივი განვითარების დონის დადგენა.

გონებრივი ასაკის ცნება. ტესტირება გვაძლევს ბავშვის გონებრივი განვითარების შესახებ გარკვეულ რიცხვობრივ მაჩვენებელს. ასე მაგალითად, 6 წლის ბავშვების ტესტირებით თითოეული მათგანისათვის შეიძლება მივიღოთ რიცხვები: 6,3, 6, 5,9, 5,5 და ა.შ. სხვადასხვა ბავშვს სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებელი აღმოაჩნდება. ესაა ამ ბავშვების ე. წ. გონებრივი ასაკი, რომელსაც აღნიშნავენ სიტყვით-mental age (ინგ-გონებრივი ასაკი). გონებრივ ასაკს ადგენენ იმის მიხედვით, თუ ბავშვმა მიწოდებული ტესტებიდან რამდენი გადაწყვიტა სწორად. მას ჯერ აწვდიან მისი რეალური, ფიზიოლოგიური ასაკის ტესტს. აქ შესაძლებელია სამი ვარიანტი: 1) ყველა გადაწყვიტა, 2) ვერც ერთი ვერ გადაწყვიტა 3) ნაწილი გადაწყვიტა და ნაწილი ვერა. თუ ყველა გადაწყვიტა, მაშინ აძლევენ ზედა ასაკის ტესტებსაც, სანამ არ მიაღწევენ ასაკს, რომლის ვერც ერთ ტესტს ბავშვი ვერ წყვეტს. ბავშვს ეთვლება ზედა ასაკის გადაწყვეტილი ტესტების ქულებიც. თუ ბავშვმა მისი ასაკის ვერც ერთი ტესტი ვერ გადაწყვიტა, მაშინ აწვდიან ქვედა ასაკის ტესტებს და ჩერდებიან იმ ასაკზე, რომლის ყველა ტესტი გადაწყდება. როცა ბავშვი მისი ასაკის ტესტების ნაწილს წყვეტს და ნაწილს

ვერა, მაშინ ეძლევა როგორც ზედა ისე ქვედა ასაკის ტესტები. გადაწყვეტილი ტესტების შესატყვისი ქულების დაჯამებით დგინდება ბავშვის გონებრივი ასაკი.

პირველად ბავშვთა გონებრივი განვითარების დონის დადგენა შესაძლებელი გახდა ბინე-სიმონის ტესტების გამოყენებით., მაგრამ აქაც გარკვეული სიძნელე წარმოიშვა. ერთი და იგივე ასაკის ბავშვები ინტელექტის განსხვავებულ დონეს უჩვენებდნენ. მაგალითად, 7 წლის პირველკლასელების (M. A.) იყო 7; 7,2; 6,8; 6,9 და ა.შ. გასარკვევი იყო, თუ რას გვეუბნებიან აღნიშნული რიცხვები. ნორმალური გონებრივი განვითარებისაა ყველა ეს ბავშვი, თუ ზოგიერთი გადის ნორმიდან? გარდა ამისა, მაშინაც, როცა ერთი და იმავე ასაკის, ეთქვამთ, 6 წლის ბავშვები ერთიდაიმავე გონებრივ ასაკს უჩვენებენ, ისინი მართლაც ერთნაირი შესაძლებლობისანი არიან? ექვსი წლის ბავშვთაგან ერთი 6 წლისაა, მეორე კი 6 წლისა და 11 თვისა. განა ამ 11 თვეს მისი გონებრივი განვითარებისათვის მნიშვნელობა არა აქვს? დიახაც აქვს. ამ ასაკში 11 თვეს კი არა ერთ თვესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტიც გასათვალისწინებელია. ამიტომ ბინე-სიმონის ტესტების გამოჩენიდან ცოტა ხნის შემდეგ ვ. შტერნმა შეპოიტანა ნიჭიერების კოეფიციენტის ცნება.

### 2.5.6. ნიჭიერების კოეფიციენტი

ნიჭიერების კოეფიციენტი I. (ინგ, *intelligense quota*-გონიერების ნორმა), გამოიყვანება გონებრივ ასაკთან ფიზიოლოგიური ასაკის შეფარდებით. მას ასე ანგარიშობენ  $I Q = \frac{M A}{P A} \times 100$ -ზე, სადაც MA არის გონებრივი ასაკი, ხოლო PA საპასპორტო ასაკი. ასეთი ოპერაციების შედეგად, მეტწილად ათწილადები მიიღება. მაგალითად, მიიღება სიდიდეები: 0,96, 1, 1,15 და ა.შ. (გაყოფას წყვეტენ წილადის მესაღებზე). წილადების თავიდან მოსაშორებლად, მიღებულ სიდიდეს ამრავლებენ 100-ზე. მიიღება ნატურალური რიცხვები: 96, 100, 115 და ა. შ. ნიჭიერების კოეფიციენტი უფრო ზუსტად გამოხატავს

გამოკვლევის მომენტი სათვის ტესტირებული ბავშვის გონებრივი განვითარების დონეს, ვიდრე მხოლოდ გონებრივი ასაკი.

საბჭოთა ფსიქოლოგიაში ნიჭიერების კოეფიციენტის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა. ეს შიში ზოგიერთ ფსიქოლოგს დღესაც აწუხებს, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ. საქმე ისაა, რომ ზოგიერთმა ფსიქოლოგმა ბავშვის ნიჭიერების კოეფიციენტში უცვლელი სიდიდე დაინახა. მათი აზრით, თუ მაგალითად, 6 წლის ბავშვის ნიჭიერების კოეფიციენტია 75, რომელიც არც ისე მაღალი მაჩვენებელია, მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინტელექტის ეს დონე ექნება. ეს იყო მცდარი, სრულიად დაუსაბუთებელი მტკიცება, რომელსაც არც ბინე იზიარებდა და არც შტერნი. ეს დებულება საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში. პედოლოგიას, როცა ის საბჭოთა კავშირში აიკრძალა, ერთერთ ცოდვად ნიჭიერების კოეფიციენტის უცვლელობაც წაუყენეს. ცხადია, ჩვენთვის მიუღებელია I. Q-ს უცვლელობა. ნიჭიერების კოეფიციენტი არის ბავშვის გონებრივი განვითარების დონის ფიზიოლოგიურ ასაკთან მიმართების მაჩვენებელი ახლა, ამ მოცემულ მომენტში. მომავალში ის შეიძლება შეიცვალოს როგორც უკეთესობის (გახდეს უფრო მაღალი) ისე უარესობისაკენ. ეს დამოკიდებული იქნება იმ გამავითარებელ ზემოქმედებაზე, რაც მომავალში იმოქმედებს ბავშვზე.

### 2.5.7. ნორმის ცნება

თავისთავად ბავშვის ტესტირებით დადგენილ გონებრივ ასაკს თუ ნიჭიერების კოეფიციენტს მნიშვნელობა არა აქვს, თუ ის წარმოდგენას არ მოგვცემს მისი (ბავშვის) ინტელექტის ნორმალურობის შესახებ. ვთქვათ, ორი ექვსწლიანი ბავშვიდან ერთის ნიჭიერების კოეფიციენტი აღმოჩნდა 100, მეორის 110, ხოლო მესამისა 90. როგორ შევაფასოთ ისინი? შეუძლიათ თუ არა მათ ნორმალურად აითვისონ ის საგნები, რომელთაც სკოლაში ახლა ასწავლიან ან შეასწავლიან მომავალში? გონებრივი

ტესტებით შემოწმებამ სწორედ ამაზე უნდა გაგვცეს პასუხი. ამაზე პასუხის გაცემა შეიძლება მაშინ, თუ გაგვაჩნია ნორმის ცნება. მაშინ ნორმის ფარგლებიდან გასვლის შემთხვევები ჩაითვლება ანომალიად.

სასკოლო პრაქტიკა უჩვენებს, რომ ნებისმიერი კლასის ერთი ასაკის მოსწავლეები, რომლებიც ნორმალურად სწავლობენ, ტესტური შემოწმების შედეგად განსხვავებულ კოეფიციენტს იძლევიან. ამიტომ ბავშვის გონებრივი განვითარების დონის მაჩვენებელი ნორმა არ უნდა იყოს ერთი მკაცრად განსაზღვრული რიცხვობრივი ოდენობა. უნდა დადგინდეს ბავშვების გონებრივი განვითარების გარკვეული დიაპაზონი, რომლის ფარგლებში ინტელექტი ნორმალურად ჩაითვლება.

ნორმის დადგენა საჭიროა ყველგან, ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, თუ იქ საქმიანობის შედეგების გაზომვა ხდება. ადგილი აქვს ოპტიმალური დროის, ენერჯის ხარჯვის, დამზადებული პროდუქციის რაოდენობის და ა. შ. გაზომვას. მიღებული შედეგები რაღაც დიაპაზონში ითვლება ნორმად. იგი, როგორც წესი, დგინდება ადამიანთა დიდი რაოდენობის მიერ შესრულებული მუშაობის საშუალო ოდენობის მიხედვით. ისინი, რომლებიც ნორმის დიაპაზონში თავსდებიან, ითვლებიან ამა თუ იმ საქმიანობისათვის გამოსადეგად (ნორმალურებად). დანარჩენები ცუდად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას ან საერთოდ ვერაფერს გახდებიან ასეთ საქმეებში.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ფსიქოლოგიაშიც. ბავშვის გონებრივი განვითარების ნორმად ითვლება ნიჭიერების კოეფიციენტთა ის დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს მეტ-ნაკლები წარმატებით მაგრამ მაინც შეუძლიათ იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც გონებრივ აქტიობას მოითხოვენ. მოსწავლისათვის ასეთია მისი ასაკისათვის განკუთვნილი სასწავლო მასალა, ზნეობრივი ქცევის ნორმების გაგება, ცხოვრებისეულ მოვლენებში სწორად ორიენტირება და ა. შ. ეს ნორმა სხვადასხვა ეპოქისათვის განსხვავებულია, რადგან ნორმამ უნდა უზრუნველჰყოს იმ მოთხოვნების რეალიზება, რასაც

მოცემული საზოგადოება უყენებს მოსწავლე ახალგაზრდობას. ის მოთხოვნები, რომლებიც, ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნეში დაწყებითი სკოლის მოსწავლეების წინაშე იდგა, სრულიად განსხვავებულია დღევანდელი საშუალო სკოლის იმავე ასაკის ბავშვების წინაშე წაყენებული მოთხოვნებისაგან. თუ მაშინ ისინი წერა-კითხვას, არითმეტიკას და ენებს სწავლობდნენ, დღეს ბავშვები სკოლაში მრავალი მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებიან.

გონებრივი ტესტების გამოყენებისას აუციებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ნიჭიერების კოეფიციენტი 100, დადგენილი მეოცე საუკუნის დასაწყისსა და ოცდამეერთეს დასაწყისში, რაოდენობრივად ერთი და იგივეა, მაგრამ შინაარსეულად ძალიან განსხვავებულია. ის უნარები, რაც წინა საუკუნეში 100-ს უტოლდებოდა, ამჟამად საკმაოდ დაბალია და შესაძლებელია ნორმის ქედა ზღვარზე მოექცეს. და ეს იმიტომ, რომ მაშინდელი ტესტები უფრო იოლი და მარტივი იყო, ვიდრე დღევანდელი. ბინე-სიმონის ტესტები დღევანდელი მოსწავლეებისათვის საკმაოდ იოლია. გარდა ამისა, უტყუარად არის დადასტურებული, რომ გასული საუკუნე იყო მოზარდი თაობის ინტელექტუალური შესაძლებლობების დაჩქარებული განვითარების წლები, რაც აქცელერაციის ფენომენის სახელით მოინათლა. დღევანდელი 6 წლიანი ბავშვის გონებრივი განვითარების დონე გასული საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ბავშვის შესატყვის მაჩვენებელს 1,5-2 წლით აღემატება.

სხვადასხვა ასაკის ბავშვის წინაშე განსხვავებული სირთულის ამოცანებზე რეაგირების საჭიროება დგება, სულ ერთია, საქმე ეხება სწავლას თუ ცხოვრებისეულ სიტუაციებს. ზოგი ბავშვი ამას წარმატებით ახერხებს, ზოგი ნაკლები ეფექტურობით, მაგრამ მათი პასუხები, ამ ასაკის ბავშვის წინაშე მდგარი მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად. რითი ვარკვევთ ამას? რის საფუძველზე ვთვლით ზოგიერთი ბავშვის ქცევას ნორმალურად და ზოგისას ანომალურად? ცხადია, უნდა არსებობდეს ნორმა როგორც ადამიანთა საქმიანობის შეფასების საფუძველი.


მოსწავლის საქმიანობის ნორმად ითვლება იმ პროგრამული მასალის ათვისება, რომელიც მას სკოლაში მიეწოდება. არიან სწავლაში ფრიადოსნები, კარგოსნები, სამოსნები, მაგრამ ყველა ისინი ნორმალურ მოსწავლეებად ითვლებიან. ისინი კი, რომლებიც ვერ ითვისებენ პროგრამულ მასალას, ყველა ან უძრავლეს საგნებში, ვარდებიან ნორმალურთა კონტინგენტიდან. ცხადია, ამ შემთხვევაში ნორმას ბავშვის სწავლაში წარმატების შესაძლებლობა განსაზღვრავს.

ის გარემოება, რომ ბავშვის სწავლაში წარმატება მისი შემეცნებითი პროცესების აქტიურობაზეა დამოკიდებული, ეჭვს არ იწვევს. სწავლაში წარმატება გაპირობებუელია მოსწავლის აზროვნების, აქტიური ყურადღების, მეხსიერების და რიგი სხვა შემეცნებითი პროცესების განვითარების დონით. ისიც ცხადია, რომ ამ პროცესების მაღალი დონე ყველა ბავშვს ერთნაირი არა აქვს. ამიტომ გადაწყდა, ბავშვთა გონებრივი განვითარების ნორმად ჩათვლილიყო ნიჭიერების კოეფიციენტთა გარკვეული დიაპაზონი, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, უპასუხონ იმ მოთხოვნებს, რასაც მათ სკოლა უყენებს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მისი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი ყოველთვის ზუსტად არ ასახავს ბავშვის ნიჭიერების დონეს. ძალიან ნიჭიერი ბავშვიც შეიძლება სწავლაში არც ისე წარმატებული იყოს. სწორედ ამიტომაც ტესტური შემოწმება კარგი, რადგან ამ დროს იზომება არა ის თუ რა იცის ბავშვმა, არამედ ის თუ რა შეიძლებოდა სცოდნოდა მას ხელსაყრელ პირობებში, რისი მიღწევა შეუძლია მონღომების შემთხვევაში.

სხვადასხვა ტესტებისათვის გონიერების ნორმა განსხვავებულია, მაგრამ ის ყველგან შეადგენს კოეფიციენტთა გარკვეულ დიაპაზონს. მაგალითად, ბინე-სიმონის ტესტებისათვის ნორმად იყო ჩათვლილი კოეფიციენტთა დიაპაზონი 75 - 115 - ის ფარგლებში. ბავშვის ნორმალური გონებრივი განვითარების უტყუარი ნორმაა 100. ეს ის შემთხვევაა, როცა გონებრივი ასაკი ზუსტად ემთხვევა ფიზიოლოგიურ ასაკს. მაგრამ ასეთი რამ იშვიათობაა. ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობის ნიჭიერების

კოეფიციენტი ან 100-ზე მეტია ან ნაკლები. იმ ბავშვთა დიდი უმრავლესობა, რომელთა IQ 100-ს ქვემოთაა, მაინც ნორმალური გონიერების პატრონია და შეუძლია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში ისწავლოს.

ნორმას აქვს ზედა და ქვედა ზღვარი. ბავშვები, რომლებიც ზედა ზღვარს სცილდებიან, ნიჭიერი ბავშვები არიან. სკოლის წინაშე მწვავე პრობლემებს ის ბავშვები ქმნიან, რომელთა ნიჭიერების კოეფიციენტი ნორმის ქვემოთ თავსდება. ისინი უნარშეზღუდულებად ითვლებიან. მათ გონებრივად ჩამორჩენილებს ანუ ოლიგოფრენებსაც უწოდებენ. არც ეს კონტინგენცია ერთგვაროვანი (იხ. ნახ. 1). მათ შორის შეიძლება სამი ჯგუფის გამოყოფა.



ნახ.1

1. ნორმალური ინტელექტის დიაპაზონი:  $IQ=75-115$
2. ნიჭიერი ბავშვები:  $IQ$  115-ზე მაღალია
3. გონებრივად ჩამორჩენილობის დიაპაზონი  $IQ=75$ -ზე ქვევით. ამათგან სამ ფორმას გამოყოფენ:
  - A. გონებრივი ჩამორჩენილობის მსუბუქი ფორმა (დებილობა):  $IQ=75-50$ .
  - B. გონებრივი ჩამორჩენილობის საშუალო დონე:  $IQ=50-25$  (იმბეცილობა)
  - C. გონებრივი ჩამორჩენილობის ღრმა ფორმა:  $IQ=25$ -ზე დაბალია (იდიოტია)



## 2.5.8. გონებრივი განვითარების დონის დადგენისადმი კომპლექსური მიდგომა

ფსიქოლინგვისტიკური მუშაობის დამაგვირგინებელი ეტაპია დიაგნოზის დასმა, მაგრამ, აქ საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა. მიზანშეწონილად ეთვლით, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს არ გაკეთდეს მარტო ტესტირების მონაცემებზე დაყრდნობით. ტესტირების შედეგად, ზოგ შემთხვევაში, როცა ბავშვის გონებრივი განვითარების დონე ნორმისა და ანომალიის ზღვარზეა, ზუსტი დიაგნოზის დასმა ჭირს. ამიტომ, ხელთ უნდა გვექონდეს სხვა მონაცემებიც, რომლებსაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე. ასეთ მონაცემებს ანამნეზურ მასალას ეძახიან. ისეთ შემთხვევებში, როცა ტესტური შემოწმება ბავშვის ინტელექტის ნორმალურობას უჩვენებს, სწავლაში წარუმატებლობის მიზეზი მთლიანად ანამნეზურ მონაცემებში უნდა ვეძებოთ..

ანამნეზი (ბერძ. anamnesis—მოგონება) ეწოდება ავადმყოფის შესახებ იმ მონაცემთა ერთიანობას, რომელსაც ექიმი აგროვებს სწორი დიაგნოზის დასასმელად. ეს ტერმინი მედიცინიდან შემოვიდა კორექციულ ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაშიც და გულისხმობს ყველა იმ მასალის თავმოყრას, რომელთაც შეიძლება კავშირი ჰქონდეთ ბავშვის განვითარებაში აღმოცენებულ გადახრასთან. ამაში შედის როგორც პათოლოგიური ისე სოციალური ფაქტორები.

ანამნეზური ცნობებიდან განსაკუთრებით ღირებულა: 1. ინფორმაცია მშობლების შესახებ. ხომ არ არის მათ შორის რომელიმე მსუბუქი ოლიგოფრენი ან წინაპართა შორის ხომ არ იყვნენ ასეთები, მშობლების მიდრეკილება ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისადმი. 2. დედის ინფორმაცია ორსულობისა და მშობიარობის მიმდინარეობის შესახებ. ორსულობის დროს გადატანილი ავადმყოფობები(მოწამლვა, ხანგრძლივი მძიმე სტრესული მდგომარეობა), როგორი იყო მშობიარობა(ტრამეები, ბავშვის

ასფიქსიაში დაბადება და სხვა), ბავშვის განვითარება ჩვილ და სკოლამდელ ასაკში, გადატანილი ავადმყოფობები, ბავშვის ქცევაში შემჩნეული უცნაური საქციელი. 3. ამონაწერი ექიმის მიერ შეღვენილი ბავშვის განვითარების ისტორიიდან, რომელშიც მოცემული იქნება მშობიარობის შემდგომ პერიოდში ბავშვის მიერ გადატანილი ავადმყოფობების ისტორია. 4. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მასწავლებლის პედაგოგიური დახასიათება, რომელიც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დგება. ზოგჯერ ასეთი დახასიათება საკმაოდ ზერელედ იწერება, მაგრამ ის, რაც აკლია და ფსიქოლოგს აინტერესებს, შეიძლება შევსებული იქნას უშუალოდ მასწავლებლისაგან მიღებული ინფორმაციით. ფსიქოლოგი უნდა დაინტერესდეს, თუ რა სახის ღონისძიებები გატარდა პრობლემის სალიკვიდაციოდ და რა შედეგი მოჰყვა მას. 5. საჭიროა ბავშვის წერიითი ნამუშევრების(საკლასო და საშინაო დავალებების რეგულაციების) გაცნობა. 6. აუცილებელია ოჯახური პირობების შესწავლა. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორი პირობები აქვს ბავშვს მეცადინეობისათვის, გააჩნია თუ არა დღის რეჟიმი, კონტროლდება თუ არა მის მიერ გაკვეთილების მომზადება 7. ინფორმაცია ბავშვის ასოციალური ქცევის შესახებ. თუ სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაფიქსირებულია ბავშვის კანონსაწინააღმდეგო ქმედება, უნდა მოძიებული იქნას ამის შესახებ არსებული მასალა.

ცხადია, ყველა ბავშვის მიმართ ამდენი მონაცემის მოგროვება არ იქნება საჭირო. გააჩნია, რა პრობლემას აწყდება ბავშვი. ამის მიხედვით, ხან მეტი ინფორმაცია იქნება მოსაგროვებელი, ხან ნაკლები, მაგრამ ფსიქოლოგი მზად უნდა იყოს საჭიროების დროს მათ მოსაპოვებლად

### **2.5.9. ფსიქოლოგიური დიაგნოზი**

ფსიქოდიაგნოსტიკური მუშაობის დამაგვირგვინებელი ეტაპია დიაგნოზის დასმა დიაგნოზი (ბერძ. diagnosis-გამოცნობა),

ფართოდ გამოიყენება მედიცინაში. ექიმი ავადმყოფის მკურნალობას არ დაიწყებს სანამ არ დასვათ დიაგნოზს იმის შესახებ, თუ რა სჭირს პაციენტს, რა სახის ავადმყოფურ პროცესებთან აქვს საქმე. ამისათვის მას სჭირდება ავადმყოფის მრავალმხრივი შესწავლით მიღებული მონაცემები. მსგავსი პროცედურაა საჭირო, როცა პრობლემური ბავშვის ფსიქიკურ წყობაში მომხდარი ცვლილების შესახებ კეთდება დასკვნა. აქაც ისმება დიაგნოზი. მაგალითად, თუ ბავშვი ცუდად სწავლობს, ჯერ უნდა გაირკვეს თუ რაა სწავლაში ჩამორჩენის მიზეზი, რა სახისაა ის, რამდენად ღრმაა გადახრა. მიზეზი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე. საჭიროა თითოეულის წვლილის დადგენა. ზოგი სავარაუდო მიზეზი გამოირიცხება, ზოგი დარჩება. ამის შემდეგ ისმება დიაგნოზი.

ფსიქოლოგიურ დიაგნოზში დასკვნის სახით ფორმულირებული უნდა იყოს გადახრის გამომწვევი მიზეზები, გადახრის სიღრმე. მაგალითად, მოსწავლის სწავლაში ჩამორჩენის მიზეზის შესწავლისას მოპოვებული უნდა იქნას შემდეგი სახის მონაცემები: ცოდნის დონე, მისი შემეცნებითი პროცესების განვითარების დონე, სწავლის მოტივაციის ხარისხი, რაც მშობლების საყვედურებსა და პედაგოგთა მიერ ცოდნის დაბალი შეფასებისას აისახება (გულგრილად ხვდება ორიანის მიღებას, თუ განიცდის მას), ოჯახური პირობები, მშობლების ხელშეწყობა და ა.შ. ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასასმელად საჭიროა აგრეთვე იმის დადგენა, თუ რა რესურსები გააჩნია ბავშვს ჩამორჩენის დასაძლევად. ამდენად, დიაგნოზი პროგნოსტული უნდა იყოს- მომავლისკენ უნდა იყოს ორიენტირებული.

ხდება რომ ზოგჯერ ერთი სახის მონაცემიც საკმარისია დიაგნოზის დასასმელად. თუ მაგალითად ბავშვის გონებრივი განვითარების დონე ნორმასთან შედარებით საკმაოდ დაბალია, ცხადია, ის გონებრივად ჩამორჩენილია და იმ სკოლაში ვერ ისწავლის, სადაც ირიცხება. მაგრამ ხშირად ბავშვის გონებრივი განვითარების დონე ნორმის ფარგლებშია, მაგრამ ცუდად სწავლობს. ამის მიზეზი ასე ადვილი დასადგენი არ არის.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეთ ბავშვებს მასწავლებლები დებილებს უწოდებენ და ხელი აქვთ ჩაქნული, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ მდგომარეობას. აი, ასეთ დროს არ კმარა მართო ტესტირების შედეგი. საჭიროა დამატებით სხვადასხვა ფაქტორის გაანალიზება და დიაგნოზის ისე დასმა.

საერთოდ, ფსიქოლოგიური დიაგნოზი უნდა შეიცავდეს ორი სახის მონაცემს: 1. რა დანაკარგი გააჩნია ბავშვს, როგორია შეზღუდვის ხარისხი. ამას მეტწილად ტესტირების გზით ადგენენ. ფსიქოლოგიაში კარგა ხნის განმავლობაში, და ზოგან დღესაც, დიაგნოსტიკის მხოლოდ ამ მხარეს ექცეოდა ყურადღება. ცხადია, ეს საჭიროა. თუ არ იცი ინტელექტის რა დანაკარგი აქვს ბავშვს, კორექციაზე ფიქრიც არ შეიძლება, მაგრამ ასეთი მონაცემი, ხშირ შემთხვევაში, საკმარისი არ არის. 2. ბოლო ხანებში გამახვილდა ყურადღება იმის მიმართ, თუ რა ფსიქიკური შესაძლებლობები შემორჩა ბავშვს, განვითარების როგორ რესურსებს ფლობს ის. ეს აუცილებლად უნდა აისახოს ფსიქოლოგიურ დიაგნოზში, რათა საკორექციო სამუშაოს დაგეგმვისას შესაძლებელი იყოს მათი გათვალისწინება. თუ ზუსტად ვიცით ბავშვის ფსიქიკური შესაძლებლობების დანაკარგი და მის ხელთ არსებული რეზერვი, მაშინ საკმაო სიზუსტით შეიძლება რეაბილიტაციისათვის საჭირო რესურსების მოძიება და საქმეში ჩართვა.

საერთოდ, მოსწავლის წინაშე წამოჭრილი სიძნელები ფაქტორთა ორი რიგითაა გაპირობებული: ორგანულითა და ფსიქოლოგიურით. ორგანულის დროს სწავლაში ხელშემშლელ ფაქტორად ორგანიზმში მომხდარი პათოლოგიური ცვლილება გამოდის. ასეთები შეიძლება იყოს; შეგრძნების ორგანოების დაზიანება(მხედველობისა და სმენის ორგანოების დაზიანება, ცენტრალურ-ნერვული სისტემის პათოლოგია). თუ სწავლაში ბავშვის ჩამორჩენის მიზეზად ასეთი ფაქტორი დასახელდა, მიზეზი გარკვეულია და ცნობილია თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ასეთ დროს.

მაგრამ, თუ სწავლაში ბავშვის ჩამორჩენა ორგანული მიზეზით

არ არის გამოწვეული, მაშინ საქმისადმი სხვაგვარი მიდგომა საჭირო. ამ დროს პრობლემას ფსიქოლოგიური ან სოციალური ფაქტორები ქმნიან. მათი აღკვეთა ან საჭირო მიმართულებით შეცვლა არის საჭირო და თუ ამას მარტო პედაგოგი ვერ ართმევს თავს, მაშინ დამხმარედ ფსიქოლოგი უნდა გამოვიდეს. ამგვარად, სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ამოცანაა სწავლაში ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა და მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებების შემუშავება. იგივე ხდება მოსწავლეთა ქცევითი დარღვევების აღკვეთის დროსაც. სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები უნდა გამოვლინდეს, გულდასმით იქნას გაანალიზებული და ამის შემდეგ შემუშავდეს საკორექციო ღონისძიებები. საკორექციო მუშაობას აქაც წინ უძღვის ფსიქოლოგიური დიაგნოზი ქცევის დერივაციის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

ფსიქოლოგიური დიაგნოზი, რომლის დასმაც სკოლის ფსიქოლოგს მოეთხოვება, უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ იმის კონსტანტაციას, თუ რა სჭირს ბავშვს, არამედ იმასაც თუ რამ გამოიწვია ის და რა მიმართულებით შეიძლება მდგომარეობის შეცვლა, საჭირო პირობების ვარიანტების გზით. ამდენად, ფსიქოლოგიური დიაგნოზი პროგნოზირების საშუალებასაც უნდა იძლეოდეს. ეს მომენტი უაღრესად ღირებულია, რადგან ის საკორექციო მუშაობისათვის მიმართულების მიმცემია. საკორექციო ღონისძიებების შემუშავებისას, პირველ პლანზე, წამოიწევენ იმ მეთოდებისა და ხერხების გამოძებნა, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება. თუ დადასტურდა, რომ მოსწავლის დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი სიზარმაცეა, იწყება მისი სწავლის მოტივაციის გასაძლიერებელ ღონისძიებათა შემუშავება, რომელშიც შეიძლება ჩაერთონ როგორც პედაგოგები ისე მშობლები. ეს პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ;

სწავლაში ჩამორჩენა – განვითარების პერსპექტივა – საკორექციო ღონისძიებები.

## 2.5.10. ფსიქოლოგიური დიაგნოზის ალბათური ხასიათი

ფსიქოლოგმა, ისე როგორც საკორექციო მუშაობაზე პასუხისმგებელმა პედაგოგმა, უნდა იცოდეს, რომ როგორც ფსიქოლოგიური დიაგნოზი ისე დასახული საკორექციო ღონისძიებების კომპლექსი შეიძლება გარკვეული ღონით შეიცავდეს ცდომილებას(უზუსტობას). ადამიანის ფსიქიკა იმდენად სათუთია და იმდენად ძნელია შესასწავლად, რომ იქ მომხდარ ცვლილებებს ისე ზუსტად ვერ გაზომავ, როგორც მაგალითად, ადამიანს ტემპერატურას უზომავენ. ამიტომ არ არის გამორიცხული დიაგნოზში მოხდეს რაიმე უზუსტობა, გადახრისთვის დამახასიათებელი რაიმე მომენტი გამოგვრჩეს ან, პირიქით, გადახრას ისეთი ნიშანი მიეწეროს, რასაც სინამდვილეში ადვილი არა აქვს. ტესტირების შედეგების ინტერპრეტაციაშიც ხომაა შესაძლებელი სუბიექტური მომენტების შეტანა, რაც ასევე იმოქმედებს დიაგნოზის სისწორეზე. ამიტომ ფსიქოლოგიურ დიაგნოზს უნდა შევხედოთ არა როგორც რაღაც გაქვავებულ წარმონაქმს, არამედ როგორც დინამიურ სქემას, რომელშიც დასაშვებია გზადაგზა (კორექციის პროცესის მიმდინარეობისას) გარკვეული კორექტივების შეტანა.

იგივე ითქმის საკორექციო ღონისძიებებზეც. მათი შემუშავებაც ყოველთვის არ ხერხდება აბსოლუტური სიზუსტით. ამიტომ კონკრეტული მოსწავლის სწავლაში ჩამორჩენის, თუ ქცევაში გადახრის სალიკვიდაციო ღონისძიებებიც ალბათურია და მის განხორციელების პროცესშიც შეიძლება საჭირო გახდეს ერთგვარი კორექტივის შეტანა. ეს მით უფრო უნდა ახსოვდეს ფსიქოლოგს, რომელმაც იცის, რომ ყოველი მოსწავლე სხვებისგან რამდენადმე(ზოგჯერ საკმაოდ) განსხვავებული პიროვნებაა. ამიტომ გარკვეული სახის გადახრაზე ერთ ბავშვთან განხორციელებულმა საკორექციო მუშაობის დადებითმა ეფექტმა მეორესთან შეიძლება არ იჩინოს თავი. ამიტომ მივუთითებთ ასე ხშირად იმის საჭიროებაზე, რომ ფსიქოლოგმა უწყვეტად უნდა მიაღწევოს თვალი

მისი მონაწილეობით დაგეგმილ საკორექციო მუშაობის მიმდინარეობას.

ფსიქოლოგიური დიაგნოზის ამ სპეციფიკაზე მიუთითებდა კ. როჯერსი, როცა აღნიშნავდა, რომ ბავშვის ქცევის არა მხოლოდ ლაბორატორიულ, არამედ რეალურ ცხოვრებისეულ პირობებში შესწავლისას მოსალოდნელია დაშვებულ იქნას გარკვეული ცდომილება. კიდევ მეტი, როჯერსის აზრით, ხშირად შეცდომას ვუშვებთ კვლევით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის დროსაც. დასკვნა, რომელსაც ფსიქოლოგი აკეთებს, ყოველთვის შედარებითია, რადგან ის რამდენიმე მეთოდის გამოყენებით მიღებული მასალის გადამუშავებით კეთდება, ფსიქოლოგს კი მასში სუბიექტური მომენტებიც შეაქვს. შეცდომები კიდევ უფრო იზრდება, როცა დარღვევები არ არის წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათის. ამ დროს მოსწავლე უნდა გაიგზავნოს იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც კომპეტენტურია ამ საქმეში.

მიუთითებენ კიდევ ერთ გარემოებაზე,, როცა ფსიქოლოგი დასმულ დიაგნოზს აცნობს პედაგოგებს ან მშობლებს, მან გასაგებ ენაზე უნდა აუხსნას მათ საქმის ვითარება. მან მისი ნათქვამი უნდა გაცხრილოს ძნელადგასაგები ფსიქოლოგიური ტერმინებისაგან და მათთვის მისაწვდომი სახით მიაწოდოს. მაგალითად, ბავშვის გონებრივი განვითარების შემოწმების ინტერპრეტაციისას ის არ უნდა დასჯერდეს ტერმინების “გონებრივი ასაკის”, ან “ნიჭიერების კოეფიციენტის” გამოყენებას მათი სათანადოდ გაშიფრვის გარეშე, რადგან შესაძლებელია მსმენელს მათი მნიშვნელობა არ ესმოდეს.

**თავი 6**

**ფსიქოლოგის მუშაობის მიმართულებები**

როგორც საკითხების აქამდე ჩატარებულმა განხილვამ აჩვენა, სკოლის ფსიქოლოგს მრავალფეროვანი სამუშაო აქვს. მას საქმე აქვს არა მხოლოდ ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც ცუდად სწავლობენ ან ცუდად იქცევიან, არამედ იმათთანაც, რომლებიც განვითარების ბრწყინვალე შესაძლებლობას ფლობენ (ნიჭიერი ბავშვები). ის უნდა დაეხმაროს ზედა კლასების მოსწავლეებს პროფესიის არჩევაში, უნდა ჩაატაროს კლიენტებთან კონსულტაციები, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება არც ეხებოდეს სწავლას ან დისციპლინას. ამიტომ, იმისათვის, რომ ფსიქოლოგმა წარმატებით გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობას, საჭიროა მისი მუშაობა რაც შეიძლება რაციონალურად იყოს დაგეგმილი.

**3.6.1. დაგეგმვა და მისი სახეები**

სკოლაში ფსიქოლოგს საქმე ექნება ორი სახის დაგეგმვასთან. პირველ რიგში, იგეგმება ფსიქოლოგის წლიური სამუშაო. სასწავლო წლის დასაწყისშივე მას უნდა გააჩნდეს მთელი წლის განმავლობაში ჩასატარებელ სამუშაოთა გეგმა დამტკიცებული სკოლის დირექციის მიერ. სკოლაში საგნების მასწავლებლებმა რა უნდა აკეთონ გასაგებია, თუმცა მათი მუშაობაც იგეგმება. ხოლო იმას, თუ რა უნდა აკეთოს ფსიქოლოგმა, ასეთი გეგმის გარეშე, კაცი ვერ გაიგებს. მართალია, ფსიქოლოგის წლიური სამუშაო გეგმა რამდენადმე პირობითია, რადგან ძნელია ყველა იმ პრობლემის წინასწარ გათვალისწინება, რამაც წლის განმავლობაში შეიძლება იჩინოს თავი და საქმეში ფსიქოლოგის



ჩართვა მოითხოვოს, მაგრამ ძირითადი საშუალებები უნდა დაიგეგმოს. ზოგი მათგანი გადმოდის წინა წლიდან. მაგალითად, დაწყებულია ძნელად აღსაზრდელთან მუშაობა, რომელიც მომავალ წელსაც უნდა გაგრძელდეს ან საჭირო გახდა რომელიმე კლასში მოსწავლეთა მეგობრული კოლექტივის ჩამოყალიბება და ეს საშუაოც ერთ წელს არ მთავრდება.

რაც შეეხება სასწავლო წლის დაწყების შემდეგ წამოჭრილ მწვავე საკითხს, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს, ის საშუაო გეგმაში შეიტანება, როგორც დამატებითი ღონისძიება. ყოველ სასწავლო წელს რამდენიმე ასეთი საშუაო გაჩნდება და წლიური საშუაო გეგმის შედგენისას ფსიქოლოგმა უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ მას გზადაგზა გამოუჩნდება გაუთვალისწინებელი საშუალებებიც. ცხადია, სასწავლო წლის ბოლოს ხდება ყველა შესრულებული საშუაოს აღრიცხვა.

ფსიქოლოგმა გეგმა გულდასმით, საქმის ცოდნით უნდა შეადგინოს. ის უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ დაგეგმილი საკითხები შესრულებადია, რომ ის შესძლებს მათ მოგვარებას. ცხადია, მათ შორის იქნება ზოგიერთი წინა წელს დაწყებული საშუაოც. საშუაოს სწორად დაგეგმვაში ფსიქოლოგს სჭირდება დახმარება. ამ საქმეში მას მხარში უნდა ამოუდგინონ: სკოლის დირექცია, კლასის ხელმძღვანელები და ის პედაგოგები, რომელთაც თვითონ აქვთ პრობლემები მოსწავლეებთან ურთიერთობაში. ისინი ხომ საერთო საქმეს აკეთებენ და ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე მათგანმა უარი უთხრას ფსიქოლოგს დახმარებაზე, მით უფრო თუ ისინი დარწმუნებული არიან მის კომპეტენტურობაში.

ამიტომ, ფსიქოლოგმა, სანამ ახალ სერიოზულ საკორექციო საშუაოს გეგმაში შეიტანს, საფუძვლიანად უნდა განიხილოს ის სკოლის იმ სუბიექტებთან, რომელთაც მასთან უშუალო შეხება აქვთ. მერვეკლასელი ბიჭი ჩათრეულია ასოციალური ქცევის მოზარდთა წრეში. ცხადია, ფსიქოლოგი ვალდებულია მასთან იმუშაოს. მაგრამ სანამ ის ამ საქმეს ხელს მოკიდებს, ეს საკითხი სერიოზულად უნდა განიხილოს დირექციასთან, კლასის ხელმძღვანელთან, სხვა დაინტერესებულ პედაგოგებთან (თუ ასეთნი

არიან). შესაძლოა მშობლებთან დაკავშირებაც გახდეს საჭირო. ის უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მოზარდის ახლებურად აღზრდის საქმე მოგვარებადია. არადა, პარიპარად დაწყებულმა მუშაობამ შეიძლება უარესი შედეგი მოიტანოს. თუ ძნელად აღსაზრდელმა დანასა (მიხვდა), რომ ზემოქმედების ობიექტია, ძალიან გაძნელდება მასთან მუშაობა. ის ყოველნაირად შეეცდება წინააღმდეგობა გაუწიოს აღმზრდელობით ზემოქმედებას. ამიტომ სამუშაო გეგმაში მასთან საკორექციო-აღმზრდელობითი მუშობის დაწყება უნდა შევიდეს იმის შემდეგ, რაც საამისოდ საჭირო პირობები დადგინდება. უკვე ითქვა, რომ ფსიქოლოგს წლის განმავლობაში ბევრ წინასწარ დაუგეგმავი ექსტრემალური სამუშაოებითაც მოუწევს დაკავება. ამიტომ გეგმა თავიდანვე არ უნდა იყოს საკითხებით გადატვირთული.

დაგეგმვის მეორე სახე წლიურ გეგმაში შეტანილ ცალკეულ საკითხთა რეალიზაციას(კორექციას) ეხება წლიურ სამუშაო გეგმაში შეტანილი ყოველი საკითხის რეალიზება გულდასმით უნდა იყოს დაგეგმილი. მათი რეალიზებაზე მუშაობა წლის სხვადასხვა დროს დაიწყება, ამიტომ დაგეგმარებაც სხვადასხვა დროს ხდება. ასეთ გეგმაში უნდა ჩანდეს, თუ რა თანმიმდევრობით უნდა ჩატარდეს მუშაობა, ვინ უნდა იყოს მათში ჩართული და ა.შ. მაგალითად, დაწყებითი კლასის მოსწავლეს მასწავლებელი უჩივის, რომ არაფერი არ იცის და ვერც ვერაფერს აგებინებს. ცხადია, ბავშვი საკორექციო ზემოქმედების ობიექტია., მაგრამ როგორ უნდა ჩატარდეს ის? ფსიქოლოგმა ეს სამუშაო ასეთნაირად უნდა დაგეგმოს: ჯერ უნდა ჩატარდეს ფსიქოლოგიური მუშაობა ბავშვის გონებრივი განვითარების დონის დასადგენად. შემდეგ ან პარალელურად უნდა შეგროვდეს ანაბნეხური მონაცემები და მოპოვებული იქნას ბავშვის სწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია(მასწავლებლის ვრცელი დახასიათება, წერიითი ნამუშევრების გაცნობა, ოჯახური პირობები). არ არის გამორიცხული სამედიცინო შემოწმების ჩატარებაც.

ყველა მასალის გულდასმით შესწავლის შემდეგ იგეგმება ყველაზე მთავარი სამუშაო-მდგომარეობის გამოსწორებისათვის

საჭირო ღონისძიებათა კომპლექსი., საკორექციო სამუშაოები. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რა პედაგოგიური ღონისძიებები უნდა ჩატარდეს და ვინ უნდა იყოს მასში ჩართული(მასწავლებლები, მშობლები, ექიმი). გარკვევით უნდა ჩანდეს, თუ რა ფუნქცია აკისრია თითოეულს. ასეთი დაგეგმვა გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს ახალბედა სკოლის ფსიქოლოგისათვის. გამოცდილების მიღების კვალობაზე ის ადვილად მოაგვარებს ამ საქმეს.

საკორექციო ღონისძიებათა კომპლექსის დაგეგმვაში ნაგულისხმევი უნდა იყოს მონიტორინგის მომენტიც. ფსიქოლოგი ბოლომდე უნდა აკონტროლებდეს დაგეგმილ სამუშაოთა მიმდინარებას და მზად უნდა იყოს საჭიროების დროს დახმარების აღმოსაჩენად.

### **3.6.2. ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსილიუმი**

კონსილიუმი(ლათ. konsilium – თათბირი, ბჭობა) ფართოდ გამოიყენება მედიცინაში. ერთი ან სხვადასხვა სპეციალობის ექიმები მართავენ თათბირს ავადმყოფის მდგომარეობის დასაზუსტებლად და მკურნალობის მეთოდის დასადგენად. იმავე დანიშნულებას ასრულებს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსილიუმიც. რამდენიმე პირი: ფსიქოლოგი, პედაგოგები, მშობელი(როცა ეს აუცილებელია) იკრიბებიან პრობლემური მოსწავლის წინაშე მდგარი სიძნელეების სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესამუშავებლად. კონსილიუმის მომწყობი ფსიქოლოგია და ის ამ საქმეში რთავს ყველა იმ პირს, რომელთაც მასში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია. საჭიროა არა მხოლოდ ბჭობაში მონაწილეთა აზრის გაგება გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, არამედ იმის დადგენაც, თუ რისი გაკეთება შეუძლია თითოეულ მათგანს. დაგეგმვა სწორედ იმას გულისხმობს, რომ საკორექციო ღონისძიებაში მონაწილეთაგან თითოეულს გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი ფუნქცია. ცხადია, ყოველი

საკორექციო ღონისძიება, რასაც ფსიქოლოგი ატარებს, არ საჭიროებს კონსილიუმის მოწყობას. ის, როგორც წესი, ეწყობა რთული და ძნელი პრობლემების მოგვარების დროს.

კონსილიუმზე ფსიქოლოგს მოაქვს ინფორმაცია იმ გადახრის სიღრმისა და ბუნების შესახებ, რისი კორექციაა საჭიროდ ჩათვლილი, პედაგოგები და, საჭიროების დროს, მშობლები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას გადახრის წარმოშობის მიზეზებზე და განსაკუთრებით იმის შესახებ, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ მის ლიკვიდაციაში. ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ კონსილიუმში შეიძლება საჭირო გახდეს ექიმის ჩართვაც, თუ კი განჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ პრობლემის წარმოშობაში შეიძლება ფსიქოსომატური ხასიათის დარღვევებიც მონაწილეობდნენ. მაშინ უკვე ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ-სამედიცინო კონსილიუმთან გვექნება საქმე.

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსილიუმი შეიძლება გავიგოთ როგორც ფართო ისე ვიწრო მნიშვნელობით. ვიწროდ გაგებული კონსილიუმის დროს მცდელობა მიმართულია კონკრეტული პრობლემური ბავშვისაკენ. მოსწავლეს უჭირს სწავლა ან ადგილი აქვს ასოციალური ქცევის გამოვლინებებს და მას უნდა გაეწიოს დახმარება. კონსილიუმი, ამ შემთხვევაში, სახავს გზებსა და საშუალებებს ამ კონკრეტული ამოცანის მისაღწევად.

კონსილიუმი ფართო გაგებით გულისხმობს დახმარებას ყველა ბავშვისადმი არა მხოლოდ სწავლაში ჩამორჩენილებისადმი, არამედ იმათთვისაც, ვინც ძალიან კარგად სწავლობენ. ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა სწავლების არსებული პირობები არ იძლევა მაღალ ნიჭიერი მოსწავლის განვითარების დიდი პოტენციური შესაძლებლობის რეალიზების საშუალებას. მას, შესაძლებლობას ფარგლებში, უნდა გაეწიოს სპეციფიკური დახმარება. ასევე კონსილიუმი შეიძლება მიეძღვნას კლასებში მოსწავლეთა ერთიანი, დარაზმული კოლექტივის შექმნის საკითხს, სკოლის მასშტაბით მოსწავლეთა ასოციალური ქცევის ლიკვიდაციის პრობლემას და ა.შ.

ერთი და იმავე ფაქტზე, ვთქვათ, რომელიმე მოსწავლის სწავლის მოტივაციის გაძლიერებაზე, კონსილიუმი შეიძლება რამდენიმეჯერ ჩატარდეს. მაგალითად, დასაწყისში, როცა საკორექციო ღონისძიებების დაგეგმვა ხდება და შემდგომაც, თუ კი რეაბილიტაციის პროცესში თავს იჩენს რაიმე შეფერხება ან საჭიროდ იქნება ჩათვლილი გეგმაში რაიმე სახის ცვლილების შეტანა ან ახალი პერსონის ჩართვა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ პედაგოგების ჩართვა კონსილიუმში ისე, რომ მათ მასში საქმიანი მონაწილეობა მიიღონ, საკმაოდ ძნელია. ლაპარაკია იმ პედაგოგებზე, რომელთა მოსწავლეების სწავლისადმი დამოკიდებულების ან ქცევის კორექციაა განზრახული. მასწავლებლებს დიხაზაც უნდათ, რომ მათმა მოსწავლეებმა უკეთ ისწავლონ ან წესიერად იქცეოდნენ, მაგრამ აღიზიანებთ მათი როლის წარმოჩინება პრობლემის წარმოშობაში და კორექციის პროცესში ბავშვის მიმართ პოზიციის შეცვლის საჭიროება. არც ისე იშვიათად, იმ გადახრის წარმოშობაში, რომლის კორექციაც უნდა მოხდეს, პედაგოგსაც მიუძღვის ბრალი, რისი აღიარებაც მას არ სურს. ის შეგნებულად კი არ აკეთებს ამას, არამედ თავის საქციელს თვლის სწორად და მასში დასაწუნს ვერაფერს ხედავს. მაგალითად, ხშირად მასწავლებელი დაწყებითი კლასის მოსწავლეს, რომელიც ცუდად სწავლობს, დებილს უწოდებს. მოსწავლისადმი მისი დამოკიდებულება ასეთია- რაკი ვერ სწავლობს, დებილია, ხოლო თუ დებილია, ვერ ისწავლის და ბავშვი უყურადღებოდაა მიტოვებული, რითაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. ფსიქოდიავნოსტიკური შემოწმებით ირკვევა, რომ მოსწავლე დებილი არ არის, მაგრამ განვითარებაში შეფერხების არსებობის გამო განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რასაც მასწავლებელი აქამდე არ აკეთებდა. მისი დარწმუნება ამაში არც ისე იოლია, არადა თუ მასწავლებელმა არ შეიგნო მოსწავლისადმი მისი პოზიციის შეცვლის საჭიროება, საკორექციო ღონისძიებებში მისი მონაწილეობა არ იქნება სრულფასოვანი.

მასწავლებლის მყარ უარყოფით განწყობას პრობლემური

მოსწავლის მიმართ განაპირობებს ის გარემოება, რომ “სამუშაოთი გადატვირთვის, არასაკმარისი პროფესიონალიზმის ან გარკვეული პიროვნული თავისებურების გამო, პედაგოგს აწყობს გარკვეულობა. მან შინაგანად შეაფასა მოსწავლე და მის მიმართ იქცევა თავისი შეფასების შესატყვისად. მისი სინდისი დამშვიდებულია. მას არ აწუხებს საკითხი იმის შესახებ, სწორად მოიქცა თუ არა, რა გავლენა შეიძლება ამან მოახდინოს მოსწავლის განწყობილებაზე, სულიერ მდგომარეობაზე”(36, 132-133).

ამისგან რადიკალურად განსხვავებულია ფსიქოლოგის დამოკიდებულება მოსწავლისადმი. ფსიქოლოგი მოსწავლეებს აღიქვამს ისეთად, როგორც ისინი არიან, ყოველგვარი წინასწარ შემუშავებული, აკვიატებული შეფასების გარეშე. ამიტომ, კონსილიუმზე კონკრეტული პრობლემური მოსწავლის მიმართ მასწავლებლისა და ფსიქოლოგის პოზიცია შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგის მოვალეობაა, დაიყოლიოს მასწავლებელი იმაში, რომ მან რამდენადმე განსხვავებულად შეხედოს მოსწავლეს, მასში ნახოს რაღაც ისეთი, რასაც შეიძლება ხელი ჩასჭიდოს მასთან საკორექციო მუშაობის დროს.

თუ ეს ერთხელ მოხერხდა, მეორედ ის მასწავლებელი უფრო მეტი გაგებით მოეკიდება ასეთ საქმეს, გაცილებით ადვილად იცვლის უარყოფით განწყობას მოსწავლის მიმართ. სწორედ ამიტომ ამბობენ ხოლმე, რომ ფსიქოლოგიური კონსილიუმი არა მხოლოდ უზრუნველყოფს მოსწავლეთა განვითარებას, არამედ მათი პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებასაც უწყობს ხელსო.

ფსიქოლოგიური კონსილიუმის ფუნქციონის ორგანიზაციული ფორმაც არ არის ერთგვაროვანი. დღეისათვის ორი ფორმაა გამოკვეთილი. ერთ შემთხვევაში, მას იწვევენ საჭიროების დროს და მისი მომწყობი სკოლის ფსიქოლოგია. ის განსაზღვრავს კონსილიუმის შემადგელობას. ცხადია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მის მუშაობაში იმ პირებს ჩართავენ, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ პრობლემის მოგვარებასთან. ამიტომ მას სტაბილური შემადგენლობა არ გააჩნია.

ბოლო ხანებში პრაქტიკაში ინერგება კონსილიუმის ფუნქციობის ახალი ფორმა. ის ხდება მუდმივმომქმედი. გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან სასწავლო დაწესებულებებში დაიწყო ფსიქოლოგიურ-მედიკო-პედაგოგიური კონსილიუმების ჩამოყალიბება. რუსეთის ფედერაციის სკოლებში 2000 წლიდან მთავრობის დადგენილებით ოფიციალურად დაიწყო ფუნქციობა ასეთმა ახალი ტიპის მუდმივმომქმედმა კონსილიუმებმა. ეს უდაოდ კარგი ნაბიჯია, რომელმაც საკმაოდ შეუმსუბუქა სამუშაო ფსიქოლოგს. რაკი ოფიციალურად არსებობს კონსილიუმი, მისი მოწვევა რაიმე სიძნელეს არ წარმოადგენს.

სკოლაში ფსიქოლოგიური სამსახურის დანერგვა განვითარების რამდენიმე სტადიას გაივლის. ის შეიძლება დაწყებული იქნას ფსიქოდიაგნოსტიკური მუშაობით და თანაც დაწყებით კლასებში. დროთა განმავლობაში ეს მუშაობა გავრცელდება ზედა კლასებშიც. პარალელურად, თანდათანობით ფსიქოლოგი გადადის პედაგოგებთან ერთად საკორექციო სამუშაოების დაგეგმვაზე და თვალყურს ადევნებს მათ რეალიზებას. შემდგომში ფსიქოლოგი კიდევ უფრო აფართოებს თავის საქმიანობას და იწყებს კონსულტირებას, მრავალფეროვანი ხდება მისი კლიენტურა.

ფსიქოლოგიური სამსახურის ყველაზე მაღალი სტადია მიიღწევა მაშინ, როცა დახმარება ეწევა ყველას და არა მხოლოდ პრობლემურ მოსწავლეებს: წარჩინებულებს, საშუალო წარმატების მქონე მოსწავლეთა იმ დიდ ჯგუფს, რომლებიც ყველა საგანში ასწრებენ საკმაოდ ჭრელი შეფასებებით, მაგრამ არავინ ინტერესდება, შეუძლიათ თუ არა მათ სათანადო ხელშეწყობისას, უკეთ ისწავლონ და თუ შეუძლიათ, რა უშლით ხელს? როცა ინტერესთა სფეროში ასეთი პრობლემებიც მოექცევა, მაშინ სკოლაში ფუნქციობს ყოვლისმომცველი ფსიქოლოგიური სამსახური.

ამ სტადიაზე კონსულტირების ფორმაც უმაღლეს დონეს აღწევს და ისეთი პრობლემები წამოიწევენ წინ, როგორცაა: კონსილიუმის მოწყობა მოსწავლეთა ჯგუფის, მთელი კლასის,

პარალელური კლასების, როგორც აკადემიური მოსწრების ამალგების ისე დისციპლინის გაუმჯობესების საკითხებზე. მაშინ საქმეში ებმება სკოლის მთელი აქტიური პედაგოგიური კოლექტივი.

### 3.6.3. ფსიქოლოგიური კონსულტაცია

ფსიქოლოგიური სამსახურის განხორციელებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას. კონსულტაცია (ლათ. *consultatio* - მოთათბირება) არის ადამიანისათვის რჩევის მიცემა, დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყვიტოს უკეთესად მის წინაშე მდგარი პრობლემა. ასეა აქაც. კონსულტაციის დროს ფსიქოლოგი რჩევას აძლევს კლიენტს (პედაგოგს, მშობელს, მოსწავლეს) იმის შესახებ, თუ როგორ სჯობია მის წინაშე წამოჭრილი პრობლემის დაძლევა, მოქმედების რა ახალი საშუალებები გამოიყენოს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

როცა ვარკვევთ იმას, თუ რა ადგილი უკავია ფსიქოლოგიურ კონსულტაციას პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მუშაობაში, მხედველობაში უნდა მივიღოთ თუ სად მუშაობს იგი, სკოლაში თავისი შტატით თუ რაიონულ ან საქალაქო საკონსულტაციო პუნქტში. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, სარაიონო თუ საქალაქო საკონსულტაციო პუნქტებში ფსიქოლოგის მუშაობა ძირითადად კონსულტირებით ამოიწურება. აქ იშვიათად იგეგმება საკორექციო ღონისძიებები, მუშაობის იმ სპეციფიკის გამო, რასაც ისინი ეწევიან.

საკორექციო მუშაობა ყოველთვის იგეგმება იმ პირთან ერთად, ვინც ის უნდა განახორციელოს (მასწავლებელი, მშობელი). კონსულტანტთან კი ბავშვი ხშირად მიჰყავთ იმ პირებს, რომელთაც მათთან საკორექციო მუშაობა არ ევალებათ. ეს შეიძლება იყოს მშობელი, რომელიც შვილის ცუდი სწავლითაა შემფოთებულნიან სკოლის რომელიმე თანამშრომელი (მასწავლებელი, ექიმი, რომელსაც ბავშვის კონსულტაციაზე



წყევანა დაავალეს). საკორექციო ღონისძიებების შემსრულებელი კი უნდა იყოს ის პედაგოგი, რომელთანაც მოსწავლეს უშუალოდ აქვს პრობლემა. გარდა ამისა, საკორექციო ღონისძიებების დაგეგმვა მოითხოვს გულდასმით მომზადებას, რასაც სჭირდება დრო და შემდეგ თვალყურის მიდევნება იმაზე თუ როგორ სრულდება ის. პუნქტში მომუშავე ფსიქოლოგს კი ეს არ ევალება და არც საშუალება აქვს ამის გასაკეთებლად.

სხვა ვითარებაა, როცა ფსიქოლოგი სკოლაში მუშაობს და უშუალო კონტაქტი აქვს როგორც მოსწავლეებთან ისე მათ პედაგოგებთან. აქ ის არა მხოლოდ ადგენს მოსწავლის წინაშე მდგარი პრობლემის მიზეზს, სვამს დიაგნოზს, არამედ აქტიურად მონაწილეობს საკორექციო ღონისძიებების შემუშავებასა და რეალიზაციაში. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. მიუხედავად ამისა, სკოლის ფსიქოლოგის საქმიანობაშიც კონსულტირებას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ფსიქოლოგს სკოლაში საქმე აქვს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის რთულ ორგანიზაციასთან, რომელშიც ჩართულნი არიან მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები. ასეთი რთული კონგლომერატის ყოველ რგოლს შეიძლება დასჭირდეს ფსიქოლოგის დახმარება სხვადასხვა რჩევა-დარიგებით, რაც იგივე კონსულტაციაა. გარდა ამისა, ფსიქოლოგს დრო და დრო ისეთ რაღაცას ეკითხებიან, რომელიც კორექციას არ მოითხოვს. მაგალითად, მასწავლებელი ვერ ახერხებს ზოგიერთი მოსწავლის ყურადღების მობილიზებას, ვერ ამყარებს ურთიერთობას ზოგიერთ მოზარდთან ან მშობელთან. ზოგს უკვირს, თუ რატომ გაუხეიშდნენ ბეჭქვესეკლასელები, როცა ისინი წინა წელს უფრო მშვიდი და დამჯერენი იყვნენ. ასეთი ფსიქოლოგიური პრობლემები დიაგნოსტიკური მეთოდებით არ შეისწავლება. მათ შესახებ არსებობს გარკვეული ცოდნა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს მასწავლებელი და ფსიქოლოგმა ამის შესახებ რჩევა უნდა მისცეს დაინტერესებულ პირს. ეს უკვე კონსულტირებაა.

პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მუშაობაში კონსულტირება იმდენად დიდ როლს თამაშობს, რომ ზოგიერთი ცნობილი

ფსიქოლოგი მას სკოლის ფსიქოლოგის საქმიანობის ძირითად ფორმადაც თვლის. ისიც ხომ ფაქტია, რომ რიგ ქვეყნებში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური საკონსულტაციო მუშაობით ამოიწურება.

დანიშნულების მიხედვით, არჩევენ საკონსულტაციო მუშაობის ორ სახეს: პირდაპირს და არაპირდაპირს. პირდაპირის დროს კონსულტაცია ეწევა იმ პირს, რომელსაც ის უშუალოდ სჭირდება (პედაგოგს, მშობელს, უფროსკლასელს). ის იყენებს იმ რჩევას, რაც ფსიქოლოგისგან მიიღო. არაპირდაპირი კონსულტაციის დროს რჩევას დებულობს პირი, რომელმაც სხვას უნდა აღმოუჩინოს დახმარება. მაგალითად, მშობელი ფსიქოლოგისგან კონსულტაციას იღებს იმის შესახებ, თუ როგორ გაუძლიეროს სწავლის მოტივაცია მის ზარმაც შვილს, რომელიც ცუდად სწავლობს ან რჩევას აძლევს კლასის ხელმძღვანელს ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობის შესახებ. არაპირდაპირი კონსულტაციის დროს, პირმა, რომლის მიმართაც ხდება კონსულტირება, შეიძლება არაფერი იცოდეს ამის შესახებ.

საკონსულტაციო ფენომენის რეალურად არსებობის მიხედვით არჩევენ აგრეთვე კონსულტირების ორ სახეს. ერთ შემთხვევაში, კონსულტირების ობიექტია ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში რეალურად არსებული ფენომენი: ცუდი სწავლა, სიზარმაცე, ჯიუტობა, უხეშობა და ა. შ. ამ დროს სახეზეა ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში გადახრა და ფსიქოლოგმა კლიენტს უნდა მისცეს კვალიფიციური რჩევა გადახრის აღსაკვეთად. თუ ბავშვი იმ სკოლაში სწავლობს, სადაც ფსიქოლოგი მუშაობს, არ არის გამორიცხული მას ზოგიერთი დამატებითი მონაცემის მოპოვება დასჭირდეს სრულყოფილი რჩევის მისაცემად. თუ კონსულტირების ობიექტი სხვა სკოლის მოსწავლეა, მაშინ საქმე გვაქვს სუფთა კონსულტაციასთან და ფსიქოლოგი მის ხელთ არსებული გამოცდილებაზე დაყრდნობით იძლევა რჩევა-დარიგებას.

მეორე შემთხვევაში, ფსიქოლოგს საკონსულტაციოდ მიმართავენ არა კონკრეტული და ამავე დროს რეალურად

არსებული გადახრის სალიკვიდაციოდ, არამედ რჩევას ეკითხებიან ისეთ ფენომენზე,, რომელმაც შეიძლება მომავალში იჩინოს თავი. მაგალითად, მშობელს აინტერესებს ასეთი საკითხი, უფროსი შვილი 14 წლისაა. ძალიან წესიერი ბიჭი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში საკმაოდ გაუხეშდა და მშობლები ძლივს იმორჩილებენ. მეორე ბიჭი 10 წლისაა და წესიერი ბავშვია. ხომ არ არის მოსალოდნელი, მასაც უფროს ძმასავით მძიმე ხასიათი ჩამოუყალიბდეს. რა ღონისძიებებს უნდა მიმართონ, რომ ეს არ მოხდეს? როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საკონსულტაციო საკითხი უფრო პროფილაქტიკური სახისაა და ფსიქოლოგს რჩევის მიცემა თავის ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით თუ შეუძლია. მას არ გამოადგება დიაგნოსტიკური მეთოდის გამოყენება ან ანამნეზური მასალის მოგროვება. ფსიქოლოგის ერუდიციაზეა დამოკიდებული კონსულტირების საიმედობა.

ფსიქოლოგიური კონსულტაცია შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ინდივიდუალურის დროს კონსულტაცია ეწევა ერთ პირს, ჯგუფურის დროს კი რამდენიმეს ერთად(ჯგუფს). ინდივიდუალურ კონსულტაციაში ხშირად ფიგურირებს კონკრეტული პრობლემური ბავშვი. სწორედ ასეთი კონსულტაციის შედეგი შეიძლება იყოს მისი ფსიქოლოგიური შესწავლა, ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმა და საკორექციო ღონისძიებების დაგეგმვა.

რაც შეეხება ჯგუფურ კონსულტაციას, ის შეიძლება გაეწიოს როგორც პედაგოგთა ისე მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფს. ჯგუფი დგება მაშინ, როცა აღმოჩნდება ერთი და იგივე პრობლემით დაინტერესებულ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა. მაშინ ზედმეტ შრომას წარმოადგენს ყველას ცალ-ცალკე ელაპარაკო ერთდამიძვე საკითხზე. ცხადია, კლიენტები თანახმანი უნდა იყვნენ ჯგუფურ კონსულტაციაში მონაწილეობაზე. კონსულტაციაში მონაწილეთ სჯერათ, რომ ფსიქოლოგი მათ მისცემს საჭირო რჩევა-დარიგებას მათთვის საინტერესო საკითხზე. ჯგუფური კონსულტაციის ერთი დადებითი მახასიათებელი ისიცაა,

რომ პრობლემის განხილვა ყოველმხრივია შესაძლებელი. როგორც წესი, კლიენტები განსახილველი საკითხის განსხვავებულ ასპექტებს წამოჭრიან ხოლმე ისეთს, რომლისთვისაც სხვებს არ მიუქცევიათ ყურადღება. ასეთი კონსულტაციები უაღრესად საპასუხისმგებლოა, რადგან ფსიქოლოგს არც სათანადო ლიტერატურის გაცნობის საშუალება აქვს და არც დიაგნოსტიკის. ის მხოლოდ თავის ცოდნასა და გამოცდილებას უნდ დაეყრდნოს. ამიტომ კონსულტანტი კარგად უნდა იყოს მომზადებული თეორიულად და პქონდეს პრაქტიკული მუშაობის კარგი გამოცდილება. საინტერესოდ ჩატარებული ჯგუფური კონსულტაციები მაღლა სწევენ ფსიქოლოგის ავტორიტეტს.

გამოცდილ, ავტორიტეტიან სკოლის ფსიქოლოგს საკონსულტაციოდ საკმაოდ ფართო აუდიტორია ჰყავს. მასთან მოზრდილების(პედაგოგებისა და მშობლების) გარდა ხშირად მიდიან რჩევის მისაღებად უფროსკლასელებიც. ი. კ. კუზნეცოვას (36) აღწერილი აქვს, თუ რა საკითხებზე მიდიან ისინი ფსიქოლოგთან რჩევის მისაღებად. ესენია: 1. ჯგუფში მოსწავლეთა შორის არსებული ურთიერთობები, კონფლიქტები; 2. საპირისპირო სქესის თანატოლებთან ურთიერთობა; 3. მშობლებთან ურთიერთობა; 4. მსწავლეებელთან ურთიერთობა; 5. რთული ცხოვრებისეული მდგომარეობიდან გამოსვლის გზები; 5. თავისი პიროვნების შეცნობასთან დაკავშირებული საკითხები.

### **3.6.4. კონსულტირების პრინციპები და სტრატეგია**

კონსულტირების ნორმალურად ჩატარებისათვის აუცილებელია გარკვეული პრინციპებისა და ხერხების გამოყენება.

1. აუცილებელია კლიენტთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. კონსულტანტსა და კლიენტს შორის უნდა გაიმართოს ურთიერთნდობაზე დაფუძნებული საუბარი. ამიტომ თავიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება იმას, თუ როგორია

საკონსულტაციოდ მოსული პირის ემოციური მდგომარეობა. ზოგჯერ ის აღელვებულია(უფრო ხშირად ასეთი კლიენტები ხვდებიან სკოლის ფსიქოლოგთან), რისი გარეგანი გამოხატულებაც შეცვლილი მიმიკა, აწეული ხმა, მომუშტული ხელები, რომლებიც ხშირად მკერდზე აქვთ გადაჯვარედინებული და რიგი სხვა გარე გამოვლინებები. კონსულტანტმა ყურადღება უნდა მიაქციოს არა მხოლოდ კლიენტის ზეპირ მეტყველებას, არამედ მის არავერბალურ აქტივობასაც: ჟესტი, მიმიკა, პანთომიმიკა, პოზა. როდესაც კლიენტი აღელვებულია, აუცილებელია მისი დამშვიდება. მისადმი ემპათიური დამოკიდებულება საერთო ენის გამოჩახვის საუკეთესო საშუალებაა.

2. კლიენტის მიმართ კეთილმოსურნე დამოკიდებულება. კლიენტი ფსიქოლოგში უნდა ხელაღდეს მისი ბედით დაინტერესებულ ადამიანს, რომელიც მოწადინებულია დახმარება აღმოუჩინოს მას. ფსიქოლოგმა, ყველა შემთხვევაში, თავიდან უნდა აიცილოს მოვლენათა სტერეოტიპული გაგება და მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების ობიექტურ შეფასებას დაეყრდნოს. მაგალითად, ბავშვს აბრალებენ ქურდობას. მამა ნასამართლევა. როცა ის საკონსულტაციოდ მიდის ფსიქოლოგთან, ამ უკანასკნელმა ამ საქმეს ასე კი არ უნდა შეხედოს-, “ამისი შვილი აბა რას იზამდა”, არამედ გულდასმით შეისწავლოს საქმის ვითარება და ისე შეიმუშაოს მშობლისთვის მისაცემი რჩევა. აქ საყურადღებოა ის, რომ ბავშვი შეიძლება არც იყოს დამნაშავე და მეორეც, მამას უნდა მისი შვილი ცუდ გზას არ დაადგეს, მას სწორედ ამაში უნდა დაეხმაროთ.

3. საჭიროა კლიენტის ღირებულებითი ორიენტაციებისა და ქცევის ნორმებისადმი ლოიალური დამოკიდებულება. ზოგჯერ კლიენტი საზოგადოებრივ ღირებულებებს და ადამიანის ქცევის ნორმებს სხვანაირად აფასებს ვიდრე ფსიქოლოგი. მაგალითად, ის უაღრესად კრიტიკულად არის განწყობილი არსებული ხელისუფლების მიმართ. ფსიქოლოგი კი მას დადებითად აფასებს. თუ საუბრისას გამჟღავნდება ხელისუფლების მიმართ ურთიერთ საპირისპირო

განწყობების არსებობა, ეს არ უნდა გახდეს კამათის საგანი. ის დაძაბავს მათ შორის ურთიერთობას და შეიძლება ფსიქოლოგის სწორი რჩევა-დარიგებაც უსარგებლო აღმოჩნდეს კლიენტისათვის. ადამიანის მიმართ უარყოფითად თუ განეწყვე, არც მისი დარიგება მოგეწონება. ამიტომ კონსულტირების დროს ფსიქოლოგმა თავი უნდა აარიდოს ისეთ საკითხებზე კამათს, რომლებსაც შეუძლიათ მათში ურთიერთ საპირისპირო განწყობების აღმოცენება.

4. უაღრესად ღირებულება კონსულტანტის ტაქტი. არავითარ შემთხვევაში კლიენტს, ვინც არ უნდა იყოს ის, არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მას ასწავლიან (“ეს როგორ არ იცოდი”, “სირცხვილია, ეს როგორ მოგივიდა”-ს მსგავსი სენტენციები). ის განსაკუთრებით ცუდია პედაგოგების კონსულტირებისას. მართალია, კონსულტირებისას კლიენტს გარკვეული ცოდნა მიეწოდება. მას რომ ყველაფერი სცოდნოდა, არც კონსულტაცია დასჭირდებოდა, მაგრამ ფსიქოლოგი მაინც ისეთი ადამიანის პოზიციაში უნდა დარჩეს, რომელიც კლიენტს კი არ ასწავლის, არამედ რჩევას აძლევს იმ საკითხზე, რის შესახებაც ჰკითხეს.

5. კონსულტაცია არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს- კლიენტმა ჰკითხა, ფსიქოლოგმა რჩევა მისცა. უაღრესად მნიშვნელოვანია საქმისადმი ორივე მხარის დამოკიდებულება. კლიენტს უნდა უნდოდეს ფსიქოლოგის რჩევის მიღება, ხოლო ფსიქოლოგსაც ასევე გულით უნდა უნდოდეს დახმარების აღმოჩენა. თუ ასეთი ორმხრივი ერთსულოვნება არ არის, კონსულტირება შეიძლება ფორმალურ ქმედებად იქცეს და ამ საქმეში ბევრი რამ საჭირო და საყურადღებო მომენტი ფსიქოლოგის თვალთახედვის გარეთ დარჩეს. ასევე ფსიქოლოგის კარგი რჩევაც უნაყოფო იქნება თუ კლიენტი მონდომებით არ მოეკიდება მიცემული რჩევის განხორციელებას.

კონსულტირებისათვის უარყოფითი ჩვენება ფსიქოლოგსა და კლიენტს შორის დამოკიდებულების ინტიმურ ურთიერთობებში გადაზრდა. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგი ვერ შეაფასებს ობიექტურად კლიენტის წინაშე

მდგარ ბევრ პრობლემას. ამიტომ სჯობია ასეთ დროს ფსიქოლოგმა კლიენტი საკონსულტაციოდ მის კოლეგასთან გააგზავნოს.

7. საჭიროა კონსულტაციის ანონიმურობა. ის, რაც ითქმება ფსიქოლოგსა და კლიენტს შორის, აუცილებლად მათ შორის უნდა დარჩეს საიდუმლოდ. ფსიქოლოგი ასე უნდა მოიქცეს მაშინაც, როცა ამას კლიენტი არ მოითხოვს. ვინ იცის, მომავალში რა თავსატეხი იჩენს თავს იმის გამო, რომ მან, თავის დროზე, გაამჟღავნა კონსულტირების შედეგი. ესეც არ იყოს, ხშირად კლიენტი არ თხოულობს კონსულტანტთან ყოფნის ფაქტის დამალვას, მაგრამ თუ გაამჟღავნდა, სწყინს. არის შემთხვევები, როცა ფსიქოლოგს, განსაკუთრებით სკოლისას, სწორი რჩევა-დარიგების მისაცემად დასჭირდება გარკვეული მასალის მოპოვება სხვა პირებისაგან (პედაგოგები, მშობლები, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები), მაშინაც მან არ უნდა დაასახელოს, თუ ვინაა ამით დაინტერესებული.

8. ფსიქოლოგმა კლიენტს თავს არ უნდა მოახვიოს თავისი დასკვნა. მან უნდა დაუსაბუთოს მას მისი დასკვნის სამართლიანობა. შესრულების გადაწყვეტილება კი კლიენტმა უნდა მიიღოს. ეს კი საქმის წარმატების გარანტია იქნება. კონსულტაციის დადებითი ღირებულება ისიცაა, რომ კონსულტირებული პირი მიღებული რჩევის გამოყენებით არა მხოლოდ წყვეტს აღმოცენებულ პრობლემას, არამედ იძენს გარკვეულ ცოდნასაც, რომლის გამოყენებაც დამოუკიდებლად შეუძლია მსგავს სიტუაციებში.

კონსულტირება რთული პროცესია და ფსიქოლოგისაგან მოითხოვს მაღალი დონის პროფესიონალიზმს. არ კმარა მარტო ის, რომ მას კარგი თეორიული მომზადება ჰქონდეს. საჭიროა ცოდნის პრაქტიკული გამოყენების გამოცდილებაც გააჩნდეს, უნდა შეეძლოს პრობლემის შესახებ კონკრეტული ფაქტების მოპოვება, გაანალიზება, კლიენტისათვის სწორი რჩევა-დარიგების მიცემა. კონსულტირების შედეგად კლიენტს საკმაოდ სწორი წარმოდგენა უნდა შეექმნას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ბავშვის

მიმართ უნდა იქნას გამოყენებული. კლიენტი ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებაც, თუ როგორ წარიმართება რეაბილიტაციის პროცესი, რა სიძნელებია მოსალოდნელი და როგორ მოიქცეს, თუ ისინი აღმოცენდნენ.

რთულია მშობლების კონსულტირება. ფსიქოლოგს ზოგჯერ ისეთი “მძიმე მშობელი” შეხვდება, რომელიც ყველაფერს, რამაც ბავშვის განვითარებაში გადახრა გამოიწვია, გარეშე ფაქტორებს, პირველ რიგში, სკოლას აბრალებს, ოჯახს არაფერში აღნაშაულებს. მაგრამ პრაქტიკამ უჩვენა, რომ ყველაზე “ძნელი” კლიენტები მასწავლებლებს შორისაა საძიებელი. ისინი, როგორც წესი, ბავშვის სწავლაში წარუმატებლობას თუ ცუდ ქცევას მშობლებს აბრალებენ, ცუდი ოჯახური აღზრდის შედეგად თვლიან და ახლოსაც არ იკარებენ აზრს იმის შესახებ, რომ რაღაც ბრალი ამაში შეიძლება მათაც მიუძღოდეთ. ფსიქოლოგმა უნდა დაარწმუნოს პედაგოგი, რომ იმ პრობლემის აღმოცენებაში, რომელმაც ბავშვის აღზრდაში იჩინა თავი, გარკვეული დოზით, შეიძლება ისიც სცოდავდეს, მაგრამ ეს ერთბაშად არ მიიღწევა. მას თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფაქტების მოშველიებით უნდა შეექმნას იმის განწყობა, რომ მისმა მოუფიქრებელმა ქმედებამ იქნებ მართლაც ითამაშა გარკვეული როლი ბავშვის ძნელად-აღსაზრდელობაში ან სწავლის მოტივაციის დაქვეითებაში. საამისოდ ფსიქოლოგის განკარგულებაში ბევრი საშუალებაა: საუბარი, სათანადო ლიტერატურის მიწოდება, ლექციები და სემინარები. მასწავლებლის კონსულტირებისას ფსიქოლოგი უნდა ჩანდეს როგორც მათი თანატოლი და არა მათზე მაღლა მდგომი პირი, თუნდაც ფსიქოლოგიური განათლებით. მისი უპირატესობა ფსიქოლოგიურ განათლებაში მისმა საქმემ უნდა გამოაჩინოს.

კონსულტირება ნაყოფიერია მაშინ, როცა ერთ მხარეს უნდა პრობლემის დასაძლევად საჭირო რჩევის მიღება, ხოლო მეორე მხარე მზადაა მოემსახუროს მას. კონსულტირება ნებაყოფლობითი პროცესია. ალბათ, ადამიანის იძულება(მიიღოს კონსულტაცია) არსად არ არის ისე უნაყოფო, როგორც აქ,



პედაგოგიკის სფეროში.

ი. ღუბროვინა ჩამოთვლის ფსიქოლოგიური კონსულტირების 5 უმთავრეს სფეროს, იმისდა მიხედვით, თუ რა კონკრეტული ამოცანები წყდება ამ დროს:

1. კონსულტაცია ეწევა სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მშობლებს. კონსულტაციები შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური ისე ჯგუფური. ზოგიერთი ავტორი მშობლების კონსულტირებიდან გამოყოფს ოჯახურ კონსულტაციას. მათ გამოსდით კონსულტირების საბი ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური(ვთქვათ, მშობლებთან სკოლაში) და ოჯახური(კონსულტაცია ეწევა ოჯახს მთელი შემადგენლობით). ვთვლით, რომ ოჯახური ცალკე კონსულტაციის სახე არ არის. ის მაინც ჯგუფურის ერთერთი ქვესახეა. ძირითად სახეებად უნდა ჩაითვალოს: ინდივიდუალური, თუ რჩევა-დარიგება ერთ პირს ეძლევა და ჯგუფური, როცა მასში რამდენიმე სუბიექტი მონაწილეობს.

2. მოსწავლეებთან წარმოებს ინდივიდუალური კონსულტაციები სწავლების, განვითარების, თვითგამორკვევის, თვითაღზრდის, მოზრდილებთან და თანატოლებთან ურთიერთობის და ა.შ. საკითხებზე.

3. ხდება მოსწავლეთა ჯგუფისა და კლასების კონსულტირება თვითაღზრდის, გონებრივი შრომის კულტურის, პროფესიული ორიენტაციის და რიგ სხვა საკითხებზე.

4. კონსულტირება ხელს უწყობს პედაგოგების და მშობლების ფსიქოლოგიურ განათლებას, რისთვისაც გამოიყენება ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, პედაგოგიური საბჭოების, მეთოდური გაერთიანებების, საერთო სასკოლო და კლასების მშობელთა კრებების მუშაობაში მონაწილეობა.

5. სასამართლოების და ბავშვთა ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნით, ატარებს ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას იმ ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის, ოჯახური აღზრდის პირობების და სხვათა შესახებ, რომლებიც ასოციალური

ქცევით ხასიათდებიან. თუ ასეთი ექსპერტიზის ჩატარება მოსწავლის მიმართ განხდა საჭირო, მასში, პირველ რიგში, ჩართული უნდა იყოს იმ სკოლის ფსიქოლოგი, სადაც ბავშვი სწავლობს. მას ამ ბავშვის შესახებ უსათუოდ ექნება ღირებული ინფორმაცია.

### *3.6.5. ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობა*

სკოლის ფსიქოლოგს მოუწევს ბრძოლა არა მხოლოდ რეალურად არსებულ სიმძნელებთან, სხვადასხვა სახის გადაზრებთან, არამედ ის ვალდებულია გაატაროს საჭირო ღონისძიებები მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად. ამას ფსიქოპროფილაქტიკას ეძახიან. პროფილაქტიკა (ბერძ. prophylaktikos—დაცვითი) ნიშნავს სპეციფიკური ღონისძიებების გატარებას, რომლის მიზანია მოსალოდნელი უსაიმოვნების აღმოცენების თავიდან აცილება, რისამეს დაცვა. პროფილაქტიკას ფართოდ იყენებენ მედიცინაში, რომლის არსი ისაა, რომ წინასწარ ჩატარებული დაცვითი ღონისძიებებით თავიდან იქნას აცილებული ავადმყოფობის მასობრივი გავრცელება. ფსიქოლოგიური პროფილაქტიკის დანიშნულებაა მოსწავლის სწავლაში თუ ქცევაში მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილებისათვის საჭირო სპეციალური ღონისძიებების გატარება.

ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობის ორი ძირითადი ასპექტი არსებობს. ერთი ესაა, მოსწავლეთა ნორმალური ფსიქიკური განვითარებისა და პიროვნების ფორმირებისათვის ხელსაყრელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობისათვის ხელის შეწყობა. ამისათვის გარკვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობების შექმნაა საჭირო, თანაც ასეთი მუშაობა ყოველ ასაკობრივ საფეხურზე განსხვავებულია. მაგალითად, დაწყებითი სწავლების საფეხურზე წინა პლანზე წამოიწევს ფსიქოდიანოსტიკური მუშაობა. ხდება იმ ბავშვთა გამოკვლევა, რომლებსაც შეიძლება პრობლემები შეექმნათ სწავლაში. საჭიროა იმათი გამოვლენა, რომელთაც ემოციური

ხასიათის გადახრები გააჩნიათ, როგორცაა: თავშეუკავებლობა, უყურადღებობა, გამოკითხვის მიმართ შიში, სიმორცხვე, გულჩათხრობილობა და ა.შ. როცა გამოვლენილია მოსწავლეთა ასეთი არახელსაყრელი მახასიათებლები, შესაძლებელი ხდება გარკვეული გამაინეტრალეული მუშაობით მათი სწავლითი საქმიანობის სერიოზულად დაქვეითების აღკვეთა ან, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ნიველირება, რომ ბავშვს ძალიან არ შეეშალოს ხელი სწავლაში. ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობის მიზანი სწორედ ისაა, რომ სკოლაში მისულ პატარებს თავიდან ავაცილოთ რიგი ფსიქიკური გადახრების აღმოცენება, იმ პირობების აღმოფხვრით, რომლებიც ხელს უწყობენ ამას.

სხვა პრობლემები დგას ე.წ. გარდამავალ ასაკში (დაახლოებით მე-6-ე კლასიდან), როცა თავს იჩენს მთელი რიგი ფსიქოფიზიოლოგიური ხასიათის ახალწარმონაქმნები, რომლებიც ართულებენ მოზარდთა ურთიერთობას გარეშეებთან, უფროსებთან, მათ შორის პედაგოგებთან. მოზარდებს აღენიშნებათ ავზნებადობის მაღალი დონე, ჯიუტობა, ავტორიტეტისადმი უპატივცემლობა და რიგი სხვა გამოვლენებები. ამიტომ მათთან ურთიერთობაში სხვანაირი ტაქტიკა საჭირო, ვიდრე წინა წლებში შეიძლებოდა გამოყენებულიყო. სადაც ეს გარემოება არ არის გაცნობიერებული, ხშირია პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის კონფლიქტი. ფსიქოლოგის მოვალეობაა პედაგოგებთან კონსულტირებით თუ ასაკის თავისებურებების გათვალისწინებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების გატარებით, ისეთი პედაგოგიური გარემოს შექმნა, რომელიც ამ სიძნელეებს, ასაკმა რომ მოიტანა, კიდევ უფრო არ დაამძიმებს. ორი წელი და აღნიშნული ასაკობრივი პრობლემები გაივლის და ურთიერთობის ნორმალური პირობები კვლავ აღსდგება. საჭიროა, მანამდე ხელიდან არ გაგვექცეს ინიციატივა და ასაკობრივი სირთულეები აღზრდისეული სიძნელეებით კიდევ უფრო არ დამძიმდნენ. ახალმა სენმა, ნარკომანამ სკოლაშიც შეშობიჯა. აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მის წინააღმდეგ. სკოლის წინაშე ბევრი მსგავსი პრობლემა დგას, რომელთა

დასარეგულირებლად პროფილაქტიკურ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობის მეორე ასპექტი სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათისაა და გულისხმობს მოსწავლეთა მიერ გარეშეებთან ურთიერთობის ჩვევის გამომუშავებას. მოსწავლის სოციალიზაციის, საზოგადოებაში შეზრდის ხანგრძლივ პროცესში ის არა მხოლოდ ვითარდება ფსიქოლოგიურად, განუწყვეტლივ იძენს ცოდნას, არამედ ითვისებს და ითავისებს გარეშეებთან ურთიერთობის ჩვევებს, იძენს ადამიანთა თანაარსებობისათვის საჭირო გამოცდილებას. ეს ხდება ძირითადად თანაკლასელებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან ურთიერთობის პროცესში და მოსწავლეებს აქ უნდა შეექმნათ ზნეობრივი ქცევის ათვისებისათვის საჭირო პირობები, იმითი, რომ მცირე სოციალურ ჯგუფებში უნდა სუფევდეს სასიამოვნო ემოციური მიკროკლიმატი, რაც მათ შორის ურთიერთნდობასა და ურთიერთპატივისცემაში გამოიხატება.

მოსწავლე სხვადასხვა მცირე სოციალური ჯგუფის წევრია. ესენია: ოჯახი, კლასი, მეგობართა წრე და ა. შ. ყველგან, სადაც მას უხდება ადამიანებთან ურთიერთობა, უნდა იყოს შექმნილი მისთვის სასიამოვნო ემოციური მიკროკლიმატი. მას უნდა უხაროდეს თანაკლასელებთან ურთიერთობა, მასწავლებლებთან კონტაქტი, მშობლებთან ყოფნა. ის ყველგან თავისუფლად უნდა გრძობდეს თავს. ასეთი სასიამოვნო სოციალურ-ფსიქოლოგიური მიკროკლიმატის შექმნა იმ ჯგუფებში ბავშვს რომ უხდება ყოფნა, ხელს უწყობს მის ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას, ის იქ თავს გრძობს დაცულად და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მას სჯერა იმ გარემოსი სადაც სიამოვნება ეძლევა. მას სჯერა თავისი პედაგოგებისა, ამიტომ მთელი სერიოზულობით ეკიდება მათ მოთხოვნას. თუ მოსწავლეს სიამოვნებს მასწავლებელთან ურთიერთობა, მაშინ მას გადმოაქვს მისგან ის დადებითი, რაც მის აღმზრდელს გააჩნია, აღმზრდელს კი ბევრი ასეთი თვისება უნდა ჰქონდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პიროვნების დადებითი თვისებების ჩამოსაყალიბებლად.

ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობა უფრო ღრმა ცოდნასა და კარგად გააზრებული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, ვიდრე არსებული პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა. უკანასკნელ შემთხვევაში, იცი რას ებრძვი, ის ხელშესახებადაა მოცემული და არავის უკვირს, როცა ფსიქოლოგი მისი სალიკვიდაციოდ იბრძვის. პროფილაქტიკის შემთხვევაში კი ებრძვი იმას, რაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ჯერ არ გამოჩენილა. აქ ფსიქოლოგს მხოლოდ საკითხის ღრმა ცოდნა და საქმისადმი ენერგიული მიდგომა თუ უშველის, რათა დაარწმუნოს პედაგოგები, ჩაებან ისეთი ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც ჯერ კიდევ არ არსებულის წინააღმდეგაა მიმართული.

სკოლაში ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობის სიძნელე კიდევ იმაშია, რომ ძნელია ამ საქმეში მასწავლებლებისა და მშობლების ჩაბმა. არადა, მათ გარეშე ფსიქოლოგი მარტო ვერაფერს გახდება. სკოლას იმდენი სატკივარი აქვს, იმდენი რთული ძნელადგადასაჭრელი რეალური პრობლემის წინაშე დგას, რომ ამ დროს “ბრძოლის გაჩაღება” რაღაც მოსალოდნელი სირთულის წინააღმდეგ არაპოპულარულად გამოიყურება. მხოლოდ გამოცდილ და დიდი ავტორიტეტის მქონე ფსიქოლოგს შეუძლია მშობლებისა და მასწავლებლების დაინტერესება ფსიქოპროფილაქტიკის საკითხებით, მით უფრო მათი ჩართვა ამ საქმეში.

ფსიქოლოგიაში დღეს დომინირებს აზრი, რომ არსებობს სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ორი ძირითადი ასპექტი. ერთ შემთხვევაში, ის ებრძვის მოსწავლის სწავლისა და აღზრდის პროცესში აღმოცენებულ სიძნელეებს, საქმის ცოდნით შესწავლილი და დაგეგმილი საკორექციო ღონისძიებებით ცდილობს დარღვეული წონასწორობის აღდგენას, ანომალიურის ნორმის ფარგლებში დაბრუნებას.

მეორე შემთხვევაში, ის ატარებს აუცილებელ ღონისძიებებს იმისათვის, რომ გადახრებს საერთოდ არ ექნეს ადგილი. ის ქმნის ყველა საჭირო პირობას, რათა მოსწავლეს სწავლაში და ქცევაში არ შეექმნას ისეთი დაბრკოლება, რომელიც სიძნელეებს შეუქმნის მისი სოციალიზაციის პროცესის ნორმალურ

მიმდინარეობას. ეს მეორე ასპექტი საკმაოდ ძნელი შესასრულებელია, მაგრამ, თუ გაკეთდება, უაღრესად შედეგაანი. ჩამოყალიბებული პრობლემის დაძლევა ყოველთვის უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ვიდრე მისი აღმოცენების თავიდან აცილება.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იმ სკოლაში, ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობა რომ წარმოებს და შედეგს იძლევა, ფსიქოლოგიური სამსახური მაღალ დონეზე განვითარებული.

### **3.6.6. მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე მუშაობა**

ბავშვის სწავლებისა და აღზრდის მიზანია საზოგადოების მომავალი სრულფასოვანი წევრის მომზადება. ცოდნა, რომელსაც მოსწავლე იძენს, შრომით საქმიანობაში უნდა გამოიყენოს. ამისათვის კი საჭიროა ის გარკვეული პროფესიის დაუფლოს. სკოლაში ბავშვი პროფესიას არ ეუფლება, მაგრამ იძენს ცოდნას და ინფორმაციას უნარებს, რომლებიც მომავალში უნდა გამოადგეს. მას უფრო ადრე ფსიქიკური მონაცემები (შემეცნებითი პროცესები, გრძობები, ნებისყოფა, ხასიათის თვისებები), რომლებიც საჭიროა მომავალში პროფესიული დასისტატებისათვის. მოსწავლის მიერ პროფესიის დაუფლება სკოლის დამთავრების შემდეგ ხდება, მაგრამ საფუძვლის შემზადება სკოლაშივე შეიძლება და უნდა მოხდეს კიდევ.

იმ ახალგაზრდის წინაშე, სკოლას რომ ამთავრებს, დგება სერიოზული პრობლემა-სად წავიდეს? საქმიანობის რომელ დარგში გამოადგება ის? მან ხომ ან სწავლა უნდა გააგრძელოს ან შრომით საქმიანობას მოკიდოს ხელი. უმაღლესში სკოლა დამთავრებულითა მცირე ნაწილი აგრძელებს სწავლას. სხვებმა მათი უნარ-შესაძლებლობის შესაფერისი პროფესია უნდა აირჩიონ და ამით ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამიტომ ახალგაზრდის წინაშე დგება ამას გაგების საჭიროება, თუ რომელი

პროფესია აირჩიოს? საღ შეუძლია მას ნაყოფიერად იმუშაოს?  
ეს პრობლემა, როგორც წესი, მოსწავლის წინაშე გაცილებით  
ადრე წამოიჭრება, ვიდრე ის სკოლას დაამთავრებდეს. ნორმალურ  
პირობებში, 10-11 კლასებში მან უნდა იცოდეს თუ რა ქნას  
სკოლის დამთავრების შემდეგ, კვლავ გააგრძელოს სწავლა, თუ  
შრომით საქმიანობას მოკიდოს ხელი. ცხადია, სჯობია მან  
ისეთი პროფესია აირჩიოს, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება  
მის შესაძლებლობებს. მაგრამ მოსწავლემ არც ის იცის კარგად,  
თუ როგორ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს საჭიროებენ  
ცალკეული პროფესიები და არც ის თუ როგორია მისი  
ფსიქოლოგიური შესაძლებლობები. ამაში მას დახმარება  
სჭირდება, რომლის გაკეთება ყველაზე უკეთ ფსიქოლოგს  
შეუძლია.

მოსწავლეთა პროფესიულ თვითგამორკვევაზე ზრუნვა  
სკოლის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.  
სკოლაში სპეციალური პედაგოგიური ღონისძიებები ტარდება  
ამ მიმართულებით. მოსწავლეთა პროფესიული თვითგამორკვევის  
წინაშე ბევრი ფსიქოლოგიური პრობლემა დგას და თუ სკოლაში  
ფსიქოლოგი მუშაობს, მათ გადაჭრაში ყველაზე კომპეტენტური  
ისწორედ ისაა.

მოსწავლის მიერ პროფესიის არჩევას ორი ასპექტი აქვს.  
პირველი ისაა, თუ ახალგაზრდამ რომელი პროფესია  
სჯობია აირჩიოს. პროფესიის არჩევა მარტო მოსწავლის  
სურვილზე არ არის დამოკიდებული. როგორც ქვემოთ ვნახავთ,  
მას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. მეორე ასპექტია,  
ახალგაზრდის ფსიქიკური მონაცემების პროფესიის  
მოთხოვნებისადმი შესატყვისობა. ერთია, მას მოსწონდეს  
პროფესია და მეორეა, აქვს კი მას ამ პროფესიის დაუფლებისა  
და შემდგომში წარმატებით მუშაობის მონაცემები. არც ერთი  
პროფესია არ არის დასაწუნი, თუ მას კარგად ფლობ.  
პრესტიჟული პროფესიაც უსარგებლოა, თუ კარგად არა ხარ  
დაუფლებული. პრობლემაც აქაა. ზოგიერთი პროფესია მოითხოვს  
სპეციფიკურ ფსიქიკურ მონაცემებს, რომელთაც ყველა

ახალგაზრდა ერთნაირად არ ფლობს. ფსიქოლოგს სწორედ აქ შეუძლია დაეხმაროს პროფესიის არჩევით დაინტერესებულ პირს.

პროფესიის არჩევა. მოსწავლის მიერ პროფესიის არჩევა რთული საქმეა. ხშირად ახალგაზრდა არ ერკვევა არა მხოლოდ იმაში, თუ მისი უნარშესაძლებლობები რომელ პროფესიას მოერგება ყველაზე კარგად, არამედ არც იმაშია საფუძვლიანად გარკვეული, თუ შრომითი საქმიანობის რა დარგები არსებობს საერთოდ. მან არც ის იცის-იშონის კი სამუშაოს სწავლის დამთავრების შემდეგ? აქ ბევრი ისეთი პრობლემაა, რომელთა გადაწყვეტა ფსიქოლოგზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად, ის ვერ შეპირდება ახალგაზრდას იმას, იშონის თუ არა ის სამუშაოს მის მიერ არჩეული სპეციალობით. ამაზე სხვა სახელმწიფოებრივი ორგანოები ზრუნავენ. ბევრ ქვეყანაში გააჩნიათ პროფესიების ჩამონათვალი, რომელშიც გამოყოფილია ის სპეციალობები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა და ეს ტენდენცია დიდხანს იქნება შენარჩუნებული.

ფსიქოლოგი უნდა ფლობდეს ინფორმაციას უმთავრესი პროფესიების შესახებ, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა. დღეისათვის დაახლოებით 40 ათასი პროფესია არსებობს, რომელთაგან ყოველწლიურად 500-მდე პროფესია ქრება. სამაგიეროდ ჩნდება ახალი. ისიც დადგენილია, რომ პროფესიების უმეტესობის არსებობა 8-10 წელს არ აღემატება. გამქრალის ნაცვლად დაახლოებით იმდენივე ახალი პროფესია აღმოცენდება. ზოგიერთი პროფესია იმდენად იცვლის შინაარსს და მასში შემავალ ოპერაციათა ხასიათს, რომ ფაქტობრივად ახალი პროფესიის სახეს ღებულობს და მათ, ვინც ამ სპეციალობით გააგრძელებენ მუშაობას, კვალიფიკაციის ამაღლება დასჭირდებათ. ფსიქოლოგი ასეთ პერიპეტიებში კარგად უნდა იყოს გარკვეული. წინააღმდეგ შემთხვევაში პროფესიის ასარჩევად მოსწავლეების კონსულტირებას აზრი ეკარგება.



### 3.6.7. პროფესიული კონსულტაცია.

ფსიქოლოგი ვალდებულია უპასუხოს პროფესიის არჩევის საკითხებზე მიმართევებს, სულერთია მშობლისგან მოდის ის თუ მოსწავლისგან. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ფსიქოლოგის ქცევა კონსულტაციის სახეს ატარებს. პროფესიული კონსულტაციის ამოცანაა დაეხმაროს ახალგაზრდას მისთვის ყველაზე შესაფერისი პროფესიის არჩევაში. ცხადია, ამაში იგულისხმება პროფესიიდან მომდინარე მოთხოვნებისადმი ახალგაზრდის ფსიქოფიზიკური შესაძლებლობების შესატყვისობა.

მცდარია აზრი იმის შესახებ, თითქოს არსებობდეს ცალსახა შესატყვისობა ადამიანის ფსიქიკურ შესაძლებლობებსა და გარკვეული პროფესიის მოთხოვნებს შორის. ნებისმიერი მოსწავლე მრავალ პროფესიაშია გამოსადეგი. ზოგს ადვილად დაეუფლება, ზოგს მეტი გარჯით, მაგრამ მონღოშების შემთხვევაში წარმატებას უსათუოდ მიაღწევს. სადაც არ უნდა მუშაობდეს ადამიანი, ის იყენებს თავის ყურადღებას, მეხსიერებას, აზროვნებას და ა.შ. ის ავლენს ხასიათის ისეთ თვისებებს, როგორცაა: მიზანდასახულობა, სიმტკიცე, მომთხოვნელობა და სხვა. ეს მონაცემები ყველა ახალგაზრდას გააჩნია, თუმცა მეტ-ნაკლებად განსხვავებული სახით. ყველა ბავშვს აქვს ყურადღება, მაგრამ მისი შეგუების, გადანაცვლების, სიმტკიცის, კონცენტრაციის უნარი რამდენადმე განსხვავებული აქვთ. მიუხედავად ამისა, ნორმალური ფსიქიკის ახალგაზრდას ყურადღების მისთვის დამახასიათებელი თვისებები ბევრ პროფესიაში გამოადგება.

ამის მიუხედავად, ახალგაზრდებს ბევრი რამა აქვთ გასარკვევი. ახალგაზრდას რომ მისი ფსიქიკური მონაცემები ბევრი სპეციალობის ათვისებაში დაეხმარება, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ უკლებლივ ყველა მათგანს კარგად დაეუფლება. ისეთი სპეციალობაც შეიძლება აღმოჩნდეს, რომლის ათვისების ფსიქოლოგიური რესურსი მოსწავლეს არ გააჩნია. არის პროფესია, ზოგჯერ ძალიან პრესტიჟულიც, რომელიც ამა თუ იმ ფსიქიკური

უნარის ჭარბ მოცემულობას საჭიროებს. მაგალითად, ზოგიერთი ავტომატიზებული სისტემის ოპერატორს სჭირდება ოპერატიული ყურადღებისა და ოპერატიული აზროვნების მაღალი დონე, რაც ყველას არ გააჩნია. ახალგაზრდას ისიც დააინტერესებს თუ ორი შეგულებული პროფესიიდან რომელს დაეუფლება უფრო ადვილად და თავისუფლად. დაბოლოს, მან უსათუოდ უნდა იცოდეს თუ რომელი პროფესიის დაუფლებაა მისთვის ძალიან ძნელი ან საეთოდ შეუძლებელი.

პროფკონსულტაციის დროს მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ფსიქოლოგმა მხედველობაში უნდა მიიღოს მოსწავლის ფსიქიკური განვითარების დონე, პროფესიის პერსპექტიულობა, სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა. მოსწავლე ხომ რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყებს ამ პროფესიით მუშაობას. იქნება კი იმ დროს სამუშაო? თუ იქნება სად? აქვს კლიენტს საცხოვრებელი ადგილიდან შორს წასვლის შესაძლებლობა? და მრავალი სხვა. კონსულტირების დროს შესაძლებელია მშობლების აზრის გათვალისწინებაც გახდეს საჭირო.

ფსიქოლოგი განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოეკიდოს კონსულტირებას ისეთი პროფესიების არჩევისას, რომლებიც სპეციფიკურ ფსიქიკური უნარის მოცემულობას საჭიროებს. ასეთებია: ყურადღების სწრაფი გადასაცვლების, ძლიერი კონცენტრირების, ოპერატიული აზროვნების, რეაქციის სისწრაფის და რიგი სხვა უნარები. როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთი პროფესია ძალიან მგრძობიარეა ადამიანის ასეთი ფსიქიკური მახასიათებლების მიმართ. აქ არ კმარა მარტო კლიენტის სურვილი, აირჩიოს ეს პროფესია, მას უსათუოდ უნდა გააჩნდეს საამისო მონაცემები. ხშირად, კონსულტანტი ფსიქოლოგი არ ფლობს მონაცემს ამის შესახებ. ამიტომ საჭირო გახდება სათანადო ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით ამის დადგენა. ეს უკვე ერთგვარად სცილდება კონსულტირების ფარგლებს, მაგრამ თუ მოსწავლე მოითხოვს მისი შესაძლებლობის გაგებას, ფსიქოლოგმა მას დახმარება უნდა აღმოუჩინოს. თუ კლიენტი იმ სკოლის მოსწავლეა, ფსიქოლოგი რომ მუშობს, მაშინ აქ

დაბრკოლება არც იქმნება. შეიძლება პროფესიისთვის საჭირო ფსიქიკური უნარის დიაგნოსტიკა და კლიენტისათვის კვალიფიციური რჩევის მიცემა.

ფსიქოლოგს საკონსულტაციოდ მიმართავენ როგორც მშობლები ისე მოსწავლეები. ზოგიერთ მშობელს აინტერესებს თუ რატომაა, რომ მის შვილს, რომელიც მე-9-ე კლასში სწავლობს, არც ერთი პროფესია არ აინტერესებს. არის მშობელი, რომელიც ჩივის, რომ მის შვილს საერთოდ არ აინტერესებს, თუ რა უნდა აკეთოს სკოლის დამთავრების შემდეგ. რიგი მშობლებისა იმის სურვილით მოდიან, რომ გაიგონ, თუ რომელი პროფესია სჯობია მისი შვილისათვის და ა. შ. ფსიქოლოგთან საკონსულტაციოდ მოსწავლეებიც მიდიან. ერთი კითხულობს - მის მონაცემებს რომელი პროფესია უფრო შეესაბამება? მეორე დანტერესებულია, თუ რაში გამოდგება ესა თუ ის მონაცემი, რომელიც მისი აზრით, მას კარგად აქვს განვითარებული. არიან ისეთებიც, რომელთაც სასურველი პროფესია უკვე შეგულებული აქვთ და აინტერესებთ, პასუხობს თუ არა მათი მონაცემები მის მოთხოვნებს. კლიენტებს შორის ისეთებიც აღმოჩნდებიან, რომელთაც სურთ გაიგონ ორი ან სამი შერჩეული პროფესიიდან რომელია უფრო პრესტიჟული. მოკლედ, ფსიქოლოგს კონსულტირებისას მრავალ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

ფსიქოლოგის, როგორც პროფესიული კონსულტანტის წინაშე საკმოდ რთული პრობლემები დგას. მას უნდა გააჩნდეს საკმარისი ინფორმაცია არსებული პროფესიების შესახებ და ასევე უნდა ფლობდეს მონაცემებს კლიენტის ფსიქიკურ შესაძლებლობებზე. პროფესიების შესახებ ინფორმაცია სკოლას უნდა ჰქონდეს. თუ მას ეს არა აქვს, ფსიქოლოგმა უნდა მოითხოვოს მისი მოპოვება. გარდა ამისა, ფსიქოლოგს შეუძლია გაეცნოს ინფორმაციის სხვა წყაროებსაც, როგორცაა ცნობარები, განცხადებები მასმედიაში და სხვა.

რაც შეეხება მოსწავლეთა ფსიქიკურ მახასიათებლებს, მათზე ცნობების მოპოვება შესაძლებელია მოსწავლეებზე დაკვირვებით, მასწავლებლებისა და მშობლების გამოკითხვით, საჭიროებისას

ტესტირებით. გარდა ზოგიერთი საგნების მასწავლებლებისა: მათემატიკური, საბუნებისმეტყველო და სხვა, საჭირო ინფორმაციის მოცემა შეუძლიათ კლასის ხელმძღვანელებს. სამწუხაროდ, პროფესიული კონსულტაციის დონეზე ფსიქოლოგიური მუშაობის სკოლაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, და თუ ვინმე აწარმოებს, ისიც შტაბით მომუშავე ფსიქოლოგი. საკონსულტაციო პუნქტებში მას არც მიმართავენ.

ყველაზე რთულია იმ მოსწავლეებთან მუშაობა, რომლებიც გულგრილნი არიან პროფესიის არჩევის მიმართ. პროფესიით დაუინტერესებლობა იმის შედეგია, რომ მათ არ გააჩნიათ მომავალში შრომით საქმიანობაში ჩაბმის მოტივაცია. საქართველოში ამ მხრივ სპეციფიკური მდგომარეობა იყო შექმნილი, რომელიც ჯერაც არ არის მთლიანად დაძლეული. ჩვენში პროფესიის არჩევაში შვილს იშვიათად ეკითხებოდნენ. მშობლები თვითონ წყვეტდნენ თუ რა საქმის სპეციალისტი უნდა გამოსულიყო მათი შვილი. ერთ ღროს თითქმის ყველა მშობელი ცდილობდა შვილი მოეწყო ან სამედიცინოზე ან იურიდიულზე. არავინ კითხულობდა, იშოვიდა თუ არა ახალგაზრდა სამსახურს ამ პროფესიით. ამას მოსდევდა რიგი უარყოფითი შედეგებისა. ერთი, როგორც აღინიშნა, სამსახურის შოვნის პრობლემა იყო. ყველა პროფესია კარგია, თუ ახალგაზრდა კარგი სპეციალისტი დადგება, მაგრამ ყველაზე პრესტიჟული პროფესიაც უსარგებლოა, თუ ამ სპეციალობით სამუშაოს ვერ იშოვნი. მეორეა, იყვნენ მაღალი დონის სპეციფიკური ნიჭის(მათემატიკის, ბიოლოგიის, მუსიკის და ა. შ.) მქონე ბავშვები, რომელთაც მედიცინა არ აინტერესებდათ. როცა მათ მომავალს მშობლები წყვეტდნენ ისე, რომ შვილის სურვილს ანგარიში არ ეწეოდა, მაგათგან გამოდიოდნენ არც ისე ცუდი ექიმები, მაგრამ არა ბრწყინვალე მათემატიკოსები, ბიოლოგები და ა.შ.

პროფესიის არჩევით თვითონ მოსწავლე უნდა იყოს დაინტერესებული. მშობლების ფუნქცია ძირითადად იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ დააინტერესოს შვილი თავისი მომავალი საქმიანობით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მოახვიოს თავს

შპობლების, ხოლო შემდეგ სხვა ნაცნობთა შრომაზე დაკვირვებით. თუ ოჯახში შრომისუნარიანი პირის დეფიციტია, მოზარდი თავადაც ადრე ებმება შრომით საქმიანობაში. ძალიან მნიშვნელოვანია უფროსების დამოკიდებულება შრომისადმი. ისინი უნდა ამჟღავნებდნენ დადებით დამოკიდებულებას როგორც საკუთარი ისე სხვების შრომისადმი. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მოზარდის შრომითი საქმიანობით დაინტერესება. არც ისე შორეულ წარსულში პროპაგანდა ეწეოდა იმას, რომ მალაროელის შვილი მალაროელი ხდებოდა, მეტალურგისა მეტალურგი, ტრაქტორისტობა ხომ ცამდე იყო აყვანილი. ეს მართალი იყო და ასე იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ აღნიშნული პროფესიები სხვებს სჯობდა, არამედ იმიტომ, რომ ახალიშენილი პროფესიები სხვებს სჯობდა, არამედ იმიტომ, რომ ახალგაზრდა დღენიადავ მამის საქმიანობის მომსწრე იყო. მამა აფასებდა თავის პროფესიას და შვილსაც დადებითი განწყობა უმუშავებოდა მის მიმართ.

სპეციალისტები თვლიან, რომ ფსიქოლოგის პროფორიენტაციულ მუშაობაში ორი ასპექტის გამოყოფა შეიძლება. ერთია, ინფორმაციულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომლის მიზანია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კულტურის განვითარება, ფსიქოლოგიაში მათი ცოდნის გაღრმავება [77, 253]. ამ საქმეს ემსახურება სკოლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალური კურსიც, რომელიც პროფესიის არჩევას და წარმოების საფუძვლების გაცნობას უზრუნველყოფს. მოსწავლეთა ნაწილის გულგრილი დამოკიდებულება პროფესიის არჩევისადმი იმითაცაა გამოწვეული, რომ მათ არა აქვთ ნაიელი წარმოდგენა შრომითი პროფესიებისა და მათი საჭიროების შესახებ.

ფსიქოლოგის პროფორიენტაციული მუშაობის მეორე მიმართულებად თვლიან მოსწავლეებთან ინდივიდუალურ კონსულტაციებს, დიაგნოსტიკურ და საკორექციო მუშაობას. ამ ასპექტს ეკუთვნის კონსულტაციები კლიენტის მოთხოვნით, როცა ისინი თვითონ მიმართავენ ფსიქოლოგს რჩევისათვის.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ თვით დამამთავრებელი

კლასის მოსაველეთა ნაწილსაც კი არა აქვს ფორმირებული პროფესიის არჩევის მოთხოვნილება. ეს კი სკოლაში არსებული პროფესიულ-საგანმანათლებლო მუშაობის ნაკლია. სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის ერთერთი კრიტერიუმი ამ საქმის მოგვარებაა. სკოლის ზედა კლასების მოსწავლეებს გამომუშავებული უნდა ჰქონდეთ პროფესიის არჩევის მოთხოვნილება და ფსიქოლოგში სკოლის ისეთ თანამშრომელს უნდა ხედავდნენ, რომელსაც შეუძლია დახმარება გაუწიოს მათ ამაში.

### თავი 7

#### პრობლემური ბავშვისადმი დახმარება

##### 4.7.1. პრობლემური ბავშვის ცნება

ყველა იმ ბავშვს, ფსიქოლოგის დახმარება რომ სჭირდება, ვაერთიანებთ ბავშვთა ერთ კონტინენტში, რომელთაც შეიძლება პრობლემური ბავშვები ვუწოდოთ. მათი პრობლემურობა იმაში გამოიხატება, რომ იმ ფსიქიკური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებისათვის, რაც მათ გააჩნიათ, დახმარება სჭირდებათ. ზოგს ეს შესაძლებლობა საკმაოდ აქვს შეზღუდული. ასეთებია: ოლიგოფრენები, სმენა და მხედველობა დაზიანებულები. ზოგს კიდევ ფსიქოფიზიკური განვითარების ნორმალური რესურსი გააჩნია, მაგრამ რიგი სოციალური თუ ფსიქოლოგიური უარყოფითი ფაქტორების გავლენით განვითარება არადაამკმაყოფილებლად, ზოგჯერ ანომალიურად მიმდინარეობს. არიან ნიჭის განვითარების ბრწყინვალე მონაცემის მქონე ბავშვები, რომელთა შესაძლებლობის რეალიზება ჩვეულებრივ სკოლას არ შეუძლია. საჭიროა სპეციალური ღონისძიებების გატარება, რათა მათი დიდი პოტენცია სათანადოდ გაიფურჩქნოს. ყველა ასეთი ბავშვი პრობლემებს ქმნის სკოლის პედაგოგიკის წინაშე. ამგვარად, პრობლემური ბავშვი, რომელსაც მისი ფსიქიკური განვითარებისათვის საჭირო პოტენციური უნარების სრული რეალიზებისათვის დახმარება სჭირდება. რამდენადაც ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში დიდი წვლილი სკოლას მიუძღვის, ამდენად ასეთი დახმარების ტვირთი მან უნდა იკისროს.

ამიტომ ვხმარობთ ტერმინს “პრობლემური ბავშვი”, უნარშეზღუდული ბავშვის ნაცვლად. ცხადია, განვითარების ნორმალური შესაძლებლობის და, მით უფრო, ნიჭიერი ბავშვი არ არის შეზღუდვის მქონე. საშუალო სკოლაში არიან მოსწავლეები, რომელთა მიმართ მასწავლებლები უკმაყოფილებას არ ავლენენ, რადგან ყველა საგანში ასწრებენ. მაგრამ ისიც დადასტურებულია, რომ ხელშემწყობ პედაგოგიურ გარემოში ზოგიერთ მათგანს უკეთ შეუძლია ისწავლოს, განსაკუთრებით ზოგიერთი საგანი. ამით ისინი არა მხოლოდ მეტ ცოდნას შეიძენენ, ვიდრე ამის გარეშე აკეთებენ, არამედ გაცილებით მაღალ დონეს მიაღწევენ მათი უნარები, რომელთა გამოყენებაც მერე მოუწევთ. ასეთი ბავშვები სკოლისათვის თითქოს პრობლემურნი არ არიან, მაგრამ თუ სკოლაში ფსიქოლოგი მუშაობს, მისთვის ისინი შეიძლება ასეთები გახდნენ. ცხადია, არც ბავშვთა ეს კატეგორიაა უნარშეზღუდული.

ამგვარად, ისეთი მოსწავლეები, რომელთაც გააჩნიათ სწავლაში ხელშემშლელი ორგანული ან ფსიქოლოგიური დარღვევები და მათი ზემოქმედების აღმოფხვრის გარეშე ვერ მიაღწევენ განვითარების იმ დონესაც, რისი შესაძლებლობაც აქვთ, უნარშეზღუდულნი არიან. ამდენად, ყველა ასეთი მოსწავლე პრობლემურია. გარდა ამისა, თანამედროვე სკოლას ურთულეს პრობლემას ძნელად აღასზრდელი მოსწავლეები უქმნიან. მაგრამ ისინი, როგორც წესი, უნარშეზღუდულები არ არიან. მათ რაიმე სახის უნარშეზღუდვა კი არ ხდის ასოციალური ქცევის სუბიექტებად, არამე აღზრდაში დაშვებული შეცდომები. ამგვარად, პრობლემურ მოსწავლეთა კატეგორიას ისეთი ბავშვებიც მიეკუთვნებიან, რომლებსაც რაიმე სახის შეზღუდვა არ გააჩნიათ, მაგრამ მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისათვის სპეციალური ხელშეწყობა სჭირდებათ. ამდენად, პრობლემური ბავშვის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე უნარშეზღუდულისა.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ძირითადი კონტინგენტიდან პრობლემური მოსწავლეები (გარდა ნიჭიერებისა), განსხვავდებიან მთელი რიგი ნეგატიური საეციფიკური ნიშნებით:



საკუთარი სურვილები. ამიტომ პროფესიის არჩევაზე ზრუნვას მაშინ აქვს აზრი, როცა ახალგაზრდას შრომაში ჩაბმის მოტივაცია გაუჩნდება. სკოლაში ბევრი რამ კეთდება (ყოველ შემთხვევაში შეუძლია გააკეთოს) მოსწავლეების შრომით დაინტერესების მიმართულებით, ასეთი ღონისძიებებია: შრომითი სწავლება, საგნობრივ გაკვეთილებში საინტერესო შრომითი საქმიანობის ამსახველი მასალის ჩართვა, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის გამოყენება, ექსკურსიები საწარმოებში და ფერმერულ მეურნეობებში, შეხვედრები შრომის ვეტერანებთან და ა.შ.

თუ მე-8-ე და უფრო ზედა კლასების მოსწავლეებს მომავალში შრომით საქმიანობაში ჩართვის მოტივაცია არ გააჩნიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლაში სუსტადაა დაყენებული ახალგაზრდების პროფესიული მომზადების საქმე. პირველ რიგში, საჭიროა გაცხოველდეს მუშაობა ამ მიმართულებით, რაც სკოლის ხელმძღვანელობის მოვალეობაა. საჭიროა მშობლებთან მუშაობა, რათა მათ გაუღვიძონ თავიანთ შვილებს მომავალი პროფესიისადმი ინტერესი.

### **3.6.8. პროფესიული შერჩევა**

არის პროფესიები, რომლებიც მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ სპეციალისტებს. მათ ზოგიერთი ფსიქიკური უნარი განსაკუთრებით უნდა ჰქონდეთ გამახვილებული ან მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლი არ უნდა გააჩნდეთ. არის სპეციალობები, რომლებითაც მუშაობის მსურველთ ამოწმებენ სპეციალური ტესტებით. ცხადია, ის ვისაც სურს ასეთი პროფესიის დაუფლება, საჭირო უნარებს უნდა ფლობდეს. ამიტომ, თუ ასეთი პირი საკონსულტაციოდ მოვა, დამავერებელი რჩევის მიცემა მხოლოდ მისი დიაგნოსტიკების შემდეგაა შესაძლებელი. ამას ფსიქოლოგი თვითონ გააკეთებს, თუ კლიენტი იმ სკოლაში სწავლობს, ფსიქოლოგი რომ მუშაობს, არადა მან საჭირო მონაცემი უნდა მოიტანოს ან გაიაროს დიაგნოსტიკება ფსიქოლოგთან. მაგალითად, დალტონიკი მძღოლად არ უნდა მუშაობდეს, რადგან

ის წითელ და მწვანე ფერებს ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებს. ძლიერი ემოციური აგზნებადობა უკუჩვენებაა მფრინავისათვის. თანამედროვე რთულ ავტომატიზებულ მართვად სისტემებში მომუშავეს სჭირდება სწრაფი რეაგირებისათვის აუცილებელი ფსიქიკური მონაცემები. არადა, ახალგაზრდებში ამ პროფესიების დაუფლების ბევრი მსურველია. თუ ფსიქოლოგს საჭირო მონაცემები არა აქვს, კლიენტს სარწმუნო რჩევას ვერ მისცემს. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ფსიქოლოგიურ კონსულტირებას მეცნიერული საფუძვლები გააჩნია და საპასუხისმგებლო საქმეა.

თანამედროვე რთული ავტომატიზებული სისტემები ოპერატორისაგან მოითხოვენ მუშაობის პარამეტრების შეცვლისადმი სწრაფი რეაგირების უნარს. ამისათვის საჭიროა, ოპერატორი ფლობდეს კარგად განვითარებულ ოპერატიულ აზროვნებას და ეკუთვნოდეს ყურადღების სწრაფი გადანაცვლების ტიპს. აზროვნების უნარს ყველა ფლობს, მაგრამ პრობლემურ სიტუაციაზე სწრაფი რეაგირების უნარი ყველას ერთნაირი არ გააჩნია. ცნობილია, რომ გენიოსებიც კი ზოგჯერ ეკუთვნოდნენ ნელი აზროვნების ტიპს. ჩ. დარვინი, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, ასეთი საქმისათვის არ გამოდგებოდა, რადგან ის მსგავს უნარს მოკლებული იყო. არის კიდევ შრომითი საქმიანობის ისეთი დარგები, რომლებიც საჭიროებენ ამა თუ იმ ფსიქიკური მახასიათებლის ჭარბ მოცემულობას. ამიტომ იმ ახალგაზრდებს შორის, რომელთაც ასეთი პროფესიების არჩევა სურთ, ფსიქოლოგისტიკური შემოწმებაა საჭირო.

ფსიქოგრამა. სკოლის ფსიქოლოგი არ ფლობს ამომწურავ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სახის მოთხოვნებს უყენებს სპეციალისტებს ცალკეული პროფესიები, მით უფრო ისეთ ეპოქაში, როცა განუწყვეტლივ იქმნებიან ახალ-ახალი საკმაოდ რთული სპეციალობები. ამას სპეციალური შესწავლა სჭირდება. ზოგიერთი პროფესიის მიმართ ეს გაკეთებულია. არსებობს ჩამონათვალი იმ ფსიქიკური მახასიათებლებისა, რომლებსაც უნდა ფლობდეს მოცემული სპეციალობით მუშაობის მსურველი პირი. ამას

ფსიქოგრამას უწოდებენ. თუ კლიენტისთვის საინტერესო პროფესიის შესახებ ფსიქოგრამა არსებობს, ეს საკმაოდ ადვილებს ფსიქოლოგის მუშაობას. მას დარჩენია, მოიძიოს აქვს თუ არა მოსწავლეს საჭირო მონაცემები ან შესატყვისი დიაგნოსტიკური მეთოდის გამოყენებით თავად დაადგინოს მათი რაგვარობა. ასე სწარმოებს მომავალი სპეციალისტის მეცნიერულად დასაბუთებული ფსიქოლოგიური შერჩევა. იქ, სადაც ასეთი ფსიქოგრამა არ არსებობს, ფსიქოლოგმა მხედველობაში უნდა მიიღოს წარმოების დარგი, რომლის არჩევაც კლიენტს სურს და დაახლოებით მაინც გაითვალისწინოს, თუ რა უნარს შეიძლება უყენებდეს ის განსაკუთრებულ მოთხოვნას. აქ მას გამოადგება მოსწავლის წარმატება ცალკეულ საგნებში, მაგალითად, ოპერატორისათვის მათემატიკური საგნების ცოდნას აქვს უპირატესი მნიშვნელობა, აგრონომისათვის კი საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნა უფროა ხელსაყრელი. მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ მოსწავლის მიერ ამ საგნებში მიღებული ნიშნები, არამედ მისი დაინტერესება საქმიანობის ამ დარგებით. ამის შესატყვისად გამოკვლეული უნდა იქნას კლიენტის მონაცემები.

ფსიქოგრამას თან ახლავს პროფესიული შერჩევისათვის საჭირო ტესტები. ტესტირების შედეგებისა და სწავლაში წარმატების შეჯერებით შეიძლება კლიენტის პროფესიისადმი შესატყვისობის საკმაოდ ზუსტად პროგნოზირება.

### **3.6.9. პროფესიული ინტერესის ფორმირების ასაკობრივი საფეხურები**

პრინციპში, მოსწავლის პროფესიით დაინტერესებას დაწყებითი კლასებიდან უნდა ჰქონდეს ადგილი. ის ოჯახში, თუ მის გარეთ ხედავს სხვების შრომას, დროდადრო თვითონაც ებმება მასში. ამიტომ მას შეიძლება ჰქონდეს წარმოადგენა შრომით საქმიანობაზე, მის საჭიროებაზე. მაგრამ პროფესიის არჩევის მოთხოვნილებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ამ ასაკში მთავარია ბავშვი თანდათან მიეჩვიოს შრომას და განეწყოს მის მიმართ

დადებითად.

მოსწავლე იზრდება, ინტენსიურად ვითარდება მისი ფსიქიკა, იძენს ცოდნას, გამოცდილებას, უვითარდება ისეთი პიროვნული თვისებები, როგორცაა: დიდობისაკენ სწრაფვა, დამოუკიდებლობა, თავმოყვარეობის გრძობა და ა.შ. იცვლება მისი დამოკიდებულებაც შრომისადმი, თანაც სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება მისი ცოდნა პროფესიების შესახებ. დგება მომენტი, როცა ახალგაზრდა იწყებს დაფიქრებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოაწყოს მისი ცხოვრება სკოლის დამთავრების შემდეგ. ის სულ ზომ არ იქნება მკობლების კმაყოფაზე. უნდა ჩაებას შრომით საქმიანობაში ისე, როგორც ამას სხვები აკეთებენ. და აი, აქ იწყება დაფიქრება იმაზე, თუ როგორ მოიქცეს? რომელი პროფესია აირჩიოს?

ახალგაზრდების ნაწილი საკმაოდ კატეგორიულია არჩევანში. გადაწყვეტს რომელიმე პროფესიის დაუფლებას და მიზანსაც აღწევს. მაგრამ არის მოსწავლეთა ნაწილი, რომლებიც ასე ადვილად არ ირჩევენ პროფესიას. აქ ბევრი რამაა გასათვალისწინებელი: პროფესიის პრესტიჟულობა, დაუფლებასთან დაკავშირებული სიძნელებები, სამუშაოს შოვნის პერსპექტივა და ა. შ. სამწუხაროდ ისეთებიც არიან, რომელთაც არც აინტერესებთ მომავალი შრომითი საქმიანობა. ფსიქოლოგის პროფესიულ ორიენტაციაზე მუშაობა სწორედ იმ დროიდან იწყება, რაც ახალგაზრდას გაურკვეველობა იპყრობს მისი მომავალი შრომითი სპეციალობის შესახებ. სწორედ აქ სჭირდება მას მრჩეველი, რომელიც გაარკვევს ამ საქმეში და ეს როლი ფსიქოლოგმა უნდა შეასრულოს.

პროფესიის არჩევისადმი მოსწავლეთა მასობრივი დაინტერესება გარდამავალი ასაკიდან (12-14 წ.) იწყება. ამ ასაკის მოსწავლე საგრძობლადაა მომწიფებული ფიზიკურად, რაც შრომისადმი დადებითი განწყობის შექმნას უწყობს ხელს. ამ დროისათვის მას საკმაო ცოდნა აქვს ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობის, მათ შორის შრომის შესახებ. მოზარდს უნარი აქვს შეაფასოს შრომის ღირებულება, პირველ რიგში, თავისი

ცუდი სწავლით, უდისციპლინობით, დარღვევებით ემოციურ სფეროში, გონებრივი უნარ შეზღუდულობით და ა. შ. იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც ბადებენ სიძნელეებს ბავშვის პიროვნების ფორმირებაში, შეიძლება გამოვყოთ მოსწავლეთა შემდეგი ძირითადი კონტინგენტი:

- \* ფსიქიკური განვითარება შეფერხებულები;
- \* სწავლაში ჩამორჩენილები;
- \* ძნელად აღსაზრდელები (უდისციპლინონი);
- \* ფსიქონერვული დარღვევების მქონენი;

ამ ჩამონათვალში არ არის შეტანილი ისეთი მძიმე შეზღუდვების მქონე ბავშვთა კატეგორიები, როგორებიცაა: გონებრივი ჩამორჩენილობა, შეგრძნების ორგანოების მოშლა (უსინათლობა, სიყრუე) და მეტყველების მძიმე დეფექტები. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ შრომა დაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში მომუშავე ფსიქოლოგებისათვის. ზემოთ აღნიშნული მძიმე შეზღუდვების მქონე ბავშვთა ფსიქიკას და მისი განვითარების კანონზომიერებებს სპეციალური ფსიქოლოგია შეისწავლის, ხოლო მიღებულ შედეგებს სპეციალური პედაგოგიკა იყენებს. ასეთი ბავშვები სპეციალური სკოლების კონტინგენტს წარმოადგენენ და სპეციალურ სწავლებას საჭიროებენ.

✓ სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის წინაშე მდგარ პრობლემათა შორის ურთულესი მანც ორია: სწავლაში ჩამორჩენა და უდისციპლინობა. მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენა, რაც მათი ცუდი სწავლითაა გამოწვეული, სკოლის უძველესი პრობლემაა. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ორგანიზების საჭიროებაც ხომ აქედან მოდის. სწავლაში ჩამორჩენა ჯერ კიდევ დაწყებითი კლასებიდან იწყება. პირველ კლასში ზოგჯერ რამდენიმე მოსწავლე ცუდად ითვისებს სასწავლო მასალას, ცუდად ან საერთოდ ვერ ასრულებს საშინაო დავალებას, შეცდომებით წერს და ა.შ. ცხადია, ასეთი მოსწავლეები სწავლაში ჩამორჩენილებად ითვლებიან. სამწუხაროდ, ზოგიერთი მასწავლებლისათვის ისინი დებილები არიან. დაუსაბუთებლად ბავშვისათვის ასეთი იარღილის მიწებება დაუშვებელია.

ყველა ის ბავშვი, სკოლაში რომ ცუდად სწავლობს, არ არის გონებრივად ჩამორჩენილი. ზოგიერთ მათგანს აქვს პროტერციური შესაძლებლობა ნორმალურად აითვისოს პროგრამით გათვალისწინებული მასალა, მაგრამ ამას არ აკეთებს. რაშია საქმე? ცხადია, იმთავითვე უნდა დადგინდეს თუ რა არის ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის მიზეზი. უნდა დადგინდეს, - ვერ სწავლობს თუ არ სწავლობს ბავშვი. ვერ სწავლობს ნიშნავს იმას, რომ მას სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლია ისწავლოს. ის ვერ ახერხებს იმ პროგრამული მასალის ათვისებას, რასაც მისგან მოითხოვენ. მისი გონებრივი განვითარების შესაძლებლობები იმდენადაა დაქვეითებული, რომ ნორმალური ინტელექტის მქონე ბავშვისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა მისთვის მიუწვდომელია. ამიტომ აქ დამნაშავე ბავშვი არ არის. ის ვერ გააკეთებს იმას, რაც არ შეუძლია.

მაგრამ, როცა შეუძლია, მაგრამ არ სწავლობს, დამნაშავე ბავშვია. მას შეუძლია ისწავლოს, მაგრამ გარკვეული არახელსაყრელი სოციალური გარემოს თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ვერ ახერხებს მის რეალიზებას. საკორექციო მუშაობის დაწყებამდე სწავლაში ჩამორჩენილი ყველა ბავშვი გადის დიაგნოსტიკას. როცა ბავშვებს გონებრივი შესაძლებლობების დეფიციტი უდასტურდებათ, საჭიროა დაისვას საკითხი მათი სწავლების ორგანიზების შესახებ. მაგალითად, გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვები ან სპეციალურ სკოლაში იგზავნიან ან, თუ საშუალო სკოლას ამის შესაძლებლობა გააჩნია, ჩაირთვებიან ინკლუზიურ ან ინტეგრირებულ სწავლებაში.

რაც შეეხება იმ ბავშვებს, რომელთაც სწავლა შეუძლიათ, მაგრამ ცუდად სწავლობენ, გაგრძელდება მათი შემდგომი შესწავლა, დამატებითი მასალის მოგროვება ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასასმელად. ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის მიზეზი ბევრი შეიძლება იყოს: ცუდი მატერიალური პირობები(სახლში ბავშვს სამეცადინო ადგილი არა აქვს), ხელმიშვეებულობა, სწავლის მოტივაციის უქონლობა და ა. შ.

მოსწავლე თუ სამებზე სწავლობს, ეს ტრაგედია არ არის.

სამებზე უსწავლიათ გენიოსებსაც, ცხადია,, ზოგიეთი საგანი. სამაგიეროდ მათთვის საყვარელ საგანს ისინი გატაცებით ეუფლებოდნენ. ზოგჯერ სკოლაში პლობლემას ასეთი ბავშვებიც ქმნიან. ისინი მათთვის საყვარელ საგანში დავალებებს ადვილად ასრულებენ., დრო კი ბევრი რჩებათ. რაში იყენებენ ისინი ამ დროს? ძალიან ხშირად თამაშში. მათ კი დიდი პოტენციური შესაძლებლობის რეალიზებისათვის მეტი და თანაც სრულიად სპეციფიკური შრომა სჭირდებათ. როცა ბავშვს ასეთი შრომის მოტივაცია არა აქვს, მთელ თავისუფალ დროს თამაშს ანდომებს და ამით საკმაოდ ზარალდება. ამიტომ ასეთი ბავშვებიც თავისებურად პრობლემურები არიან. ფსიქოლოგმა გულდასმით უნდა შეისწავლოს ასეთი მოსწავლის გონებრივი განვითარების შესაძლებლობა და თუ ის ყურადღებას იმსახურებს, მაშინ მასწავლებელთან ერთად დაგეგმოს ბავშვის ნიჭის მაქსიმალურად განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსი. იქ, სადაც ამას ყურადღებას არ აქცევენ, პრობლემასაც არაეინ ხედავს. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის დიდი ღირებულება ისაა, რომ ასეთ, თითქოსდა არ არსებულ პრობლემებს ყურადღებიდან არ უშვებს.

არანაკლებ რთული და ძნელად მოსაგვარებელია მოსწავლეთა უდისციპინობის აღკვეთა. სამწუხაროდ, რაც დრო გადის, მოსწავლეთა ასოციალური ქცევა სულ უფრო და უფრო რთული პრობლემის წინაშე აყენებს სკოლას. ბოლო ხანებში იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ა.შ.შ-ის სკოლებში მოსწავლეები ცეცხლსასროლი იარაღით მივიდნენ სკოლაში, მოკლეს და დაჭრეს როგორც მათი მასწავლებლები ისე მოსწავლეები. მრავალი სახის ქმედება, დაწყებული გაკვეთილზე უხეშობით და დამთავრებული სისხლის სამართლის დანაშაულით, შეიძლება შეხვდეს ფსიქოლოგს თავისი მოვალეობის შესრულების დროს. როცა მოსწავლის ქცევა ამკარად შეუფერებელი ხდება სკოლის შინაგანაწესისადმი, როცა ის სისტემატურ ხასიათს ღებულობს, უკვე ძნელად აღსაზრდელობასთან გვაქვს საქმე.

პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ შეიძლება ძნელად

აღსაზრდელის ახლებურად აღზრდა., მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ეს უფრო ძნელი გასაკეთებელია, ვიდრე სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლის შველა. ძნელად აღსაზრდელთან მუშაობა მოითხოვს ბავშვისა და განვითარების ფსიქოლოგიების კარგ ცოდნას. ამასთან ერთად ფსიქოლოგი უნდა ფლობდეს იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთაც იყენებენ ასეთ ბავშვებთან მუშაობაში. ეს რთული საქმე თეორიულ განათლებასთან ერთად, ძნელ ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებასაც მოითხოვს. იგი ფსიქოლოგის სკოლაში მუშაობის პროცესში თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება.

მოსწავლეებს გააჩნიათ სხვადასხვა სახის ფსიქონერვული დარღვევები. განსაკუთრებით ხშირია ისტერიისა და რეაქტიული ნევროზები. ნევროზი იმ დონით, მოსწავლეებს რომ გააჩნიათ, მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს არ აქვეითებს, მაგრამ მათ ქცევას, მათ შორის სწავლით საქმიანობას, ხშირად სიტუაციის არაადეკვატურს ხდის და ამდენად ხელს უშლით ნორმალურად სწავლაში. მოსწავლეთა ერთ ნაწილს აუცილებლად სჭირდება ფსიქოთერაპიული დახმარება, რაც მოსწავლის სპეციალისტთან გაგზავნას მოითხოვს. შეიძლება გაჩნდეს აზრი,—ფსიქონერვული გადახრების მქონე ბავშვები ხომ ავადმყოფები არიან და რა შუაშია აქ ფსიქოლოგის დახმარება? ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ისეთი ავადმყოფები, კლინიკაში რომ მკურნალობენ, არამედ ჩვეულებრივი საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც, მართალია, გააჩნიათ გარკვეული დარღვევები ემოციურ სფეროში, მაგრამ არა იმ დონით რომ საავადმყოფოში მოათავსონ. ის სკოლაში დადის, მას სწავლა შეუძლია, მაგრამ არსებული გადახრა გარკვეულწილად ხელს უშლის როგორც სწავლაში, ისე გარეშეებთან ურთიერთობაში. თუ საჭიროა მისი მკურნალობა, ეს სწავლისაგან მოუწყვეტლად უნდა მოხდეს. ამგვარად, ბავშვთა ის კონტინგენტიც ფსიქოთერაპიულ დახმარებას რომ საჭიროებს, პრობლემური ბავშვებისაგან შედგება.



## 4.7.2 უნარშეზღუდული ბავშვის ცნება

დღეისათვის ჩვენში ტერმინმა “უნარშეზღუდული ბავშვი” შეცვალა საბჭოთა კავშირის დროს დამკვიდრებული ტერმინი - დეფექტური ბავშვი. ამან გამოიწვია უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიური პროფილის სპეციალობების სასწავლო გეგმაში დამკვიდრებული საგნის “დეფექტოლოგიის საფუძვლების” შეცვლა კორექციული თუ სპეციალური პედაგოგიკებით. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად ისმება კითხვა, ჩვენ რა განსხვავებას ვხედავთ უნარშეზღუდულ და პრობლემურ ბავშვთა ცნებებს შორის? უნარშეზღუდული, როგორც ტერმინი მიანიშნებს, ისეთი ბავშვია, რომლის სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები გაპირობებულია მისი ფსიქოფიზიკური ძალების დეფიციტით, დანაკლისით. ბავშვი ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც მის თანატოლებს უყენებენ.

უნარშეზღუდვა მრავალპლანიანია. ის შეიძლება ბავშვის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ეხებოდეს. თუ ბავშვს ფეხი სტკივა, სურვილის შემთხვევაშიც ფეხბურთელობაზე ოცნებას უნდა გამოეთხოვოს. გარკვეულ ფარგლებში, ესეც უნარშეზღუდვაა, მაგრამ პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიასთან მას კავშირი არა აქვს. ფეხმტკივანი ბავშვი შეიძლება ბრწყინვალედ სწავლობდეს სკოლაში. ამიტომ ის უნარშეზღუდულად არ ითვლება, რადგან ფსიქოლოგები და პედაგოგები ბავშვის უნარშეზღუდვას მის სწავლით საქმიანობას უკავშირებენ. შემზღუდავად ითვლება ის ფაქტორი, რომელიც ბავშვს სწავლაში უშლის ხელს.. ამიტომ, უნარშეზღუდული ისეთი ბავშვია, რომელსაც უკიდურესად უჭირს...სწავლა, სპეციალური ღონისძიებების გატარების გარეშე ვერ ისწავლის ვერც ერთ იმ სასწავლო დაწესებულებაში, რომლებიც უნარშეზღუდულთათვისაა გახსნილი.

ცხადია, რაკი ბავშვი სპეციალური ღონისძიებების გატარების გარეშე ვერ ისწავლის, პრობლემურია. ამდენად, ყველა უნარშეზღუდული ბავშვი პრობლემური ბავშვია. მაგრამ ყველა პრობლემური ბავშვი არ არის უნარშეზღუდული. საჯარო

სკოლებისათვის პრობლემას ქმნიან ნიჭიერი(მათ ბევრჯერ შეეხებთ სხვადასხვა ადგილას) და ნორმალური ინტელექტის მქონე, მაგრამ ზარმაცი ბავშვებიც, თუმცა ისინი უნარშეზღუდულები როდი არიან. ფორმალური ლოგიკის ტერმინი რომ ვიხმაროთ, პრობლემური ბავშვის ცნება უფრო ფართოა და მთლიანად მოიცავს( იხ. ნახ. 3). უნარშეზღუდულის ცნებას,, მაგრამ მასთან ერთად მასში სხვა კატეგორიის ბავშვებიც ხვდებიან.

უნარშეზღუდულ ბავშვთა კატეგორიები. ბავშვებში მრავალი განსხვავებული სახის შეზღუდვა გვხვდება. მათგან უმთავრესია(იხ. 1. 7.).

- \* აუტიზმი
- \* გონებრივი ჩამორჩენილობა
- \* მხედველობის მოშლა
- \* სმენითი დარღვევები
- \* ემოციური სფეროს დარღვევები
- \* მეტყველების დეფექტები
- \* ქცევითი დარღვევები
- \* ორთოპედიული დარღვევები
- \* ერთდროულად რამდენიმე ფაქტორით გამოწვეული დარღვევები(მაგ.უსინათლო-ყრუმუნჯობა)

როგორც ჩამონათვალადან ჩანს, შეზღუდვის ყოველი სახე სხვებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე მათი ნეგატიური გავლენა. სწორედ ამიტომ, ყოველი მათგანი სპეციფიკურ, სხვებისგან განსხვავებულ, საკორექციო-განმავითარებელ ზემოქმედებას საჭიროებს.

უნარშეზღუდვის ყოველ სახეს გააჩნია ხარისხები. მაგალითად, მოსწავლეს აკლია მხედველობა, მაგრამ სათვალის გამოყენებით კითხულობს. ასეთი შეზღუდვა არ არის სწავლის ხელშემშლელი ფაქტორი. მაგრამ უსინათლობა, როცა ბავშვი სათვალის გამოყენებითაც ვერ კითხულობს, სერიოზული შეზღუდვაა. თუ ასეთ ბავშვს განსაკუთრებულ პედაგოგიურ გარემოს არ შეეუქმნით, ცხადია, ვერ ისწავლის.

### 4.7.3. პირველადი და მეორადი შეზღუდვები

კორექციულ ფსიქოლოგიაში და პედაგოგიაში ხშირად ოპერირებენ ტერმინებით: პირველადი და მეორადი შეზღუდვები(გადახრები). ისინი აღნიშნავენ რეალურ მოვლენებს, რომელთა ცოდნასაც მნიშვნელობა აქვს კორექციის სწორად წარმართვისათვის. პირველად შეზღუდვას ეძახიან იმ ფენომენს, რომელმაც თავიდანვე გამოიწვია გადახრები ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში. ის შეიძლება იყოს ორგანული(მაგ. შეგრძნების ორგანოების ფუნქციობის მოშლა) ან ფსიქოლოგიური (გონებრივი ჩამორჩენილობა, ემოციური სფეროს დარღვევები). თუ ეს დარღვევები სერიოზულია, მაშინ ის იწვევს ბავშვის ნორმალური ფსიქიკური განვითარების გამრუდებას. პიროვნების დინამიური ფსიქიკური წყობა ხდება ხარვეზიანი. მაგალითად, გონებრივად ჩამორჩენილს არ უვითარდება; ის ფსიქიკური უნარები, რომლებიც მისი ასაკის უნარშეუზღუდველს უნდა ჰქონდეს(განყენებული აზროვნება, აქტიური ყურადღება, ნებისყოფა და ა.შ.), ხოლო ეს ჩამორჩენა მოზრდილობაში კიდევ უფრო საგრძნობი ხდება.

განვითარების პროცესში პირველადი შეზღუდვა სერიოზულად აფერხებს ბავშვის პიროვნების ფორმირებას, რაც უარყოფითად აისახება სოციალიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე. უსინათლოს დაკარგული აქვს გარედან მისაღებ შთაბეჭდილებათა 80%-ზე მეტის ასახვის შესაძლებლობა. ამის გამო, ზრდასრული უსინათლო ვერ ასრულებს იმ საქმიანობის 95%-ს, რასაც მხედველი აკეთებს. მეტნაკლები ზომით, ბავშვის ფსიქიკურ განვითარებას აქვეითებს ნებისმიერი პირველადი შეზღუდვა. ასე რომ არ იყოს მას შეზღუდვა არც დაერქმეოდ..

პირველადი შეზღუდვების უმეტესობა ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება. გონებრივი ჩამორჩენილობა, უსინათლობა, სიყრუე კორექციას არ ემორჩილება და თუ შესაძლებელია მკურნალობის გზით, რომელიმე შეზღუდვის მოქმედების ნიველირება, ეს ფსიქოლოგიის საქმე არ არის. კორექციულმა მეცნიერებებმა პირველადი შეზღუდვის შედეგებს

უნდა ებრძოლონ.

მეორადი შეზღუდვა პირველადითაა გამოწვეული. მძიმე სახის ფიზიკური ან ფსიქიკური შეზღუდვა უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე, მისი პიროვნების ფორმირებაზე. ეს იმაში გამოიხატება, რომ ჩნდებიან ე.წ. მეორადი შეზღუდვები, როგორც ბავშვის ხარვეზიანი ფსიქიკური განვითარების მაჩვენებლები. ასეთია სიმუნჯე, რომელიც უვითარდება ყრუს ბევრითი გამღიზიანებლების აღქმის უნარის დაკარგვის გამო. მეორადი შეზღუდვაა ისიც, რომ ყრუს განყენებული აზროვნების უნარი არ უვითარდება. უსინათლო ბავშვი დროზე იდგამს ენას და ამიტომ სიტყვების საკმაო მარაგი გააჩნია, მაგრამ ისინი ძალიან ღარიბია შინაარსეულად.

უნარშეზღუდულობის შემთხვევაში, როგორც წესი, მეორადი შეზღუდვები პირველადითაა გამოწვეული. ფსიქოლოგი, ისე როგორც პედაგოგი, პირველად შეზღუდვებს ვერ უშველის. მას საქმე მეორად შეზღუდვებთან აქვს. ისინი ბავშვის ფსიქიკაში მომხდარი ძვრებია და აქედან გამომდინარე მის კორექციაში ფსიქოლოგის მონაწილეობა აუცილებელია. როგორც მეცნიერულმა კვლევებმა ისე მრავალწლიანმა პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ სწორად ორგანიზებული საკორექციო ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელია მეორადი შეზღუდვების სრული აღმოფხვრა ან მათი მნიშვნელოვანი ნიველირება და ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის სასურველი მიმართულების მიცემა. მეორადი შეზღუდვები და ბავშვის განვითარებაზე მათი გავლენის შესწავლა არის სპეციალური ფსიქოლოგიის საქმე. ამ მონაცემებს ასეთ ბავშვთა სწავლებაში იყენებს სპეციალური პედაგოგიკა.

ამ ასპექტით, დიდი განსვავებაა უნარშეზღუდულ და უნარშეზღუდველ მოსწავლეებთან ჩასატარებელ საკორექციო მუშაობას შორის. პირველი განსხვავება ისაა, რომ როცა ბავშვს შეუძლია სწავლა, მაგრამ ცუდად სწავლობს და ამიტომ დიდი დეფიციტი ექმნება იმ ცოდნისა, რაც მოეთხოვება, საჭიროა დაგეგმილი პედაგოგიური ზემოქმედების გზით მდგომარეობის გამოსწორება. ესეც კორექციაა, მაგრამ აქ საქმე გვაქვს

განმავითარებელ კორექციასთან. მეორადი გადახრების დაძლევის საკითხი აქ არ დგას. უნარშეზღუდულებთან კორექციაც განმავითარებელია, მაგრამ ეს ხდება მეორადი გადახრების დაძლევის გზით. ყრუ ბავშვის სრულყოფილი ფსიქიკური განვითარება მხოლოდ მისთვის მეტყველების სწავლების გზითაა შესაძლებელი. სიმუნჯე(მეორადი შეზღუდვა) ხომ სიყრუვის (პირველადი შეზღუდვის) შედეგია.

მეორე განსხვავება ისაა, რომ სწავლაში ჩამორჩენის თუ ქცევითი დარღვევების დროს არა თუ შეიძლება ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზის დაძლევა, არამედ აუცილებელიცაა. თუ არ მოწესრიგდა ის სოციალური გარემო, რომელმაც ბავშვის სწავლაში ჩამორჩენა ან ცუდი საქციელი ჩამოუყალიბა, კორექცია უნაყოფო იქნება. უნარშეზღუდვის დროს კი პირველადი შეზღუდვა ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ზემოქმედებებით არ აღიკვეთება. ის, როგორც წესი, უცვლელი რჩება.

#### **4.7.4. უნარშეზღუდვისადმი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მიდგომა**

წინამდებარე შრომის დასაწყისშივე ბავშვის ნორმალური ფსიქიკური განვითარება განვიხილეთ როგორც მისი პიროვნების ფორმირების პროცესი, რომელიც მას საშუალებას აძლევს ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, გახდეს მისი აქტიური წევრი. საკითხისადმი ასეთ მიდგომას კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ პროცესების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც უნარშეზღუდული ბავშვის განმავითარებელ ღონისძიებებში მონაწილეობენ.

ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა არის აქტიურობა. სანამ ფხიზლობს ის ყოველთვის რაღაცას აკეთებს {ქცევას ანხორციელებს}, სულ ერთია, ფიზიკურ მოძრაობათა სახითაა ის მოცემული {სპორტსმენი ვარჯიშობს, ხარატი დაზგასთან მუშაობს}, თუ გონებრივი მუშაობის სახით(ვილაცა ფიქრობს, რაღაცას წარმოიდგენს). ეს იმითაა გაპირობებული, რომ ადამიანი მუდმივ ურთიერთობაშია გარემოსთან და იძულებულია თავისი

მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებები იქედით (მხოლოდ ბავშვის თამაშია ფუნქციური მოთხოვნებით გამოწვეული). ფსიქიკა გაჩნდა როგორც ორგანიზმის გარემოსთან მიზანშეწონილი ურთიერთობის დამყარების საშუალება, რომელიც საზოგადოების სხვა წევრებთან თანამშრომლობის გზით ხორციელდება. ადამინსაც ის სჭირდება როგორც გარემოსთან მიზანშეწონილი ურთიერთობის დამყარების საშუალება.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ადამიანი ერთვება როგორც პიროვნება, თავისი მოთხოვნებით, გონებრივი უნარებით, ხასიათის თვისებებით, ტემპერამენტით. პიროვნების ჩამოთვლილი ნიშნები ქმნიან ერთ ღინამიურ სისტემას. ღინამიურს იმიტომ, რომ ის არ არის გაქვევებული, აბსოლუტურად უცვლელი წარმონაქმნი. გარემოსთან ურთიერთობის პროცესში, მან შეიძლება გარკვეული ცვლილება განიცადოს, მაგრამ ამ ცვლილებამ პიროვნების არსი არ უნდა შეცვალოს. მაგალიათად, ფსიქიკური განვითარებაშეფერხებული ბავშვის შემეცნებითი პროცესების განვითარება და ცოდნის დონე მისი ასაკის ნორმალური რესურსების მქონე ბავშვისას ჩამორჩება. აქაც ჩამოყალიბებულია გარკვეული ღინამიური სისტემა. სწორად წარმართული საკორექციო მუშაობის შედეგად ამ სისტემაში ხდება გარკვეული ცვლილება უკეთესობისაკენ. სისტემა უფრო სრულყოფილი ხდება. შეიძლება პირიქითაც მოხდეს. კარგმა მოსწავლემ დაკარგა სწავლის მოტივაცია და თანატოლებს აშკარად ჩამორჩა. მოხდა ცვლილება უარესობისაკენ, მაგრამ შესაძლებელია დადებითი ზემოქმედების გზით მისი კვლავ შეცვლა უკეთესობისაკენ, რაც სისტემის ხელახალი გარდაქმნის შედეგია.

პიროვნება ფსიქიკურ მახასიათებელთა გარკვეული ღინამიური სისტემაა, რომელშიც ყოველ მათგანს თავისი ფუნქცია აქვს: აღქმა საგნის ხატს იძლევა, აზროვნება საგნის ისეთ ნიშნებს და მიმართებებს არკვევს, რომლებიც აღქმის ხატში არ ჩანან, ყურადღება აქტიური შემეცნებითი პროცესების მდგრადობას უზრუნველყოფს და ა. შ. იმიტომ, ერთ-ერთი მათგანის გამოვარდნას, თავი რომ დავანებოთ, გარკვეული ხარვეზების გაჩენას, უარყოფითად

აისახება სისტემის(პიროვნების) აქტივობაში. ყალიბდება ხარვეზიანი სისტემა. მაგალითად, უსინათლოთა წარმოდგენებში არ მონაწილეობენ ფერები, არასრულყოფილია სივრცის წარმოდგენა და ა.შ. ყრუს წარმოდგენებს აკლია ბგერებისა და ტონების შეგრძნებები. სიტყვების უქონლობის გამო, მას სუსტად ან სულ არ უვითარდება განყენებული აზროვნება. ამის გამო, ორივე შემთხვევაში, ყალიბდება ხარვეზიანი დინამიური სისტემა, რომელიც იმის გამო, რომ დინამიურია, იძლევა ჩარევის, მათში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას. ამისათვის საჭიროა იმ ფაქტორის მოქმედების შეცვლა ან დაზიანებულის (გამოვარდნილი ფუნქციის) ჩანაცვლება სხვა ფუნქციით, რომელსაც დაკარგულის ანალოგიური აქტივობა შეუძლია. ამ საქმეს ემსახურება კომპენსაცია.

## თავი 8

### უნარშეზღუდვის დაძლევის მექანიზმები

---

---

უნარშეზღუდვა სერიოზულად აფერხებს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებას. სპეციალური საკორექციო ღონისძიებების გატარების გარეშე ვერც ერთი ასეთი ბავშვი ვერ შესძლებს იმ ფსიქიკური უნარების სრულყოფილად განვითარებას, რისი მიღწევის პოტენციური შესაძლებლობაც მას გააჩნია. შეფერხების სხვადასხვა სახე მეტნაკლებად აბრკოლებს განვითარების შესაძლებლობას. კორექციული პედაგოგიკა სწავლობს რა შეზღუდვის სახეებს, იმავდროულად ამუშავებს მათი დაძლევის გზებსა და საშუალებებს მათი კორექციაზე მუშაობის დროს მან უნდა გაითვალისწინოს ის ფსიქოლოგიური თუ ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების თავისებურება, რომლებიც შეფერხების დაძლევაში მონაწილეობენ.

### 4.8.1. კომპენსაციის მექანიზმი

უნარშეზღუდული ბავშვის სოციალიზაციის პროცესი შეფერხებულია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ბავშვი საზოგადოებისათვის დაკარგულია. მას გარკვეული სარეზერვო ძალები გააჩნია შეფერხების დასაძლევად, მაგრამ მათი ამოქმედება შეუძლებელია იმ მეთოდებით, რომელთაც ნორმალური განვითარების შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ ვიყენებთ.

ფსიქოლოგია ბავშვის პიროვნებას განიხილავს როგორც სტაბილურ, მაგრამ იმავე დროს დინამიურ სისტემას, რომელიც გარკვეული, მიზანმიმართული ზემოქმედების შედეგად შეიძლება შეიცვალოს, გადაკეთდეს ასაღ დინამიურ სისტემად. ურთიერთობის დინამიური სისტემა შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი მიმართულებით, როგორც უკეთესობის ისე უარესობისაკენ. უნარშეზღუდულთა სწავლება მათი ფსიქიკის უკეთესობისკენ შეცვლას ემსახურება. ყრუს რომ მეტყველებას ასწავლი ამით, ჯერ ერთი, ის ურთიერთობის სრულყოფილ საშუალებას იძენს(ბევრით მეტყველებას ქვსტების ნაცვლად) და მეორეც, ცნებითი აზროვნების დაუფლების შესაძლებლობაც ეძლევა. ბავშვი რომ დაბრმავდება მოძრაობის(გადაადგილების) სრულყოფილი სისტემა უარესობისაკენ იცვლება, რაც სამწუხაროდ კორექციას არ ეძორჩილება. მაგრამ სპეციალური პედაგოგიური გარემოს შექმნით, მის გონებრივ განვითარებაზე უსინათლობის უარყოფითი გავლენა შეიძლება სრულიად მოიხსნას. უსინათლოთა შორის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებიც გვხვდებიან. უნარშეზღუდულ ბავშვზე პედაგოგიური ზემოქმედების მიზანი ყოველთვის მისი პიროვნების უკეთესობისკენ შეცვლაა, რაც კომპენსატორული მექანიზმების ამოქმედებით ხდება შესაძლებელი. გამოვარდნილი ან დაზიანებული ფუნქცია თუ არ ჩანაცვლად სხვა ფუნქციით, ახალი უფრო სრულყოფილი დინამიური სისტემის ფორმირება შეუძლებელი ხდება და ამდენად უნარშეზღუდული ბავშვის ფსიქიკური განვითარებაც დაზარალდება. ჩანაცვლების ასეთ პროცესს კომპენსაციას უწოდებენ.

კომპენსაცია (ლათ. compensatio - ანაზღაურება, დარღვეული



ფუნქციის აღდგენა), კორექციულ პედაგოგიაში რეაბილიტაციის უძირითადესი მექანიზმია. ის გულისხმობს დაზიანებული ფუნქციების ჯანსაღით ჩანაცვლებას და ამ გზით, დარღვეული წონასწორობის აღდგენას. მაგალითად, როცა დაზიანების კერა თავის ტვინშია, ამოვარდნილი ფუნქცია შეიძლება იკისრონ დაზიანებულის ირგვლივ მყოფმა ნეირონებმა, რომლებიც ადრე ამ ფუნქციის შესრულებაში უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ. ოღონდ ამისათვის საჭიროა მათი სისტემატური, მიზან-მიმართული გავარჯიშება.

კომპენსაცია არ არის უსათუოდ დაზიანებულის მსგავსით ჩანაცვლება. ის ზოგჯერ ხორციელდება ინდივიდის განკარგულებაში არსებული ძალიან სუსტი (დაზიანებული) ფუნქციის სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით გაძლიერებითაც. მაგალითად, ყრუს სწავლებაში მიმართავენ ნარჩენი სმენის გავარჯიშების გზით განვითარებას, იმ მიზნით, რომ ყრუმ შესძლოს ხმის გამაძლიერებელი ელექტრონული აპარატის გამოყენებით მეტყველების დაუფლება და გარემოებთან ურთიერთობის დამყარება. ამ შემთხვევაში, არსებული, სუსტი ნარჩენი სმენა სპეციალური მექანიზმით იქნა ჩართული კომპენსატორულ პროცესში. ბრმას მსგავსი კომპენსატორული მექანიზმი (ნარჩენი მხედველობა) არ გააჩნია. მაგრამ დღეისათვის უკვე კონსტრუირებულია აპარატი, რომელიც მხედველობით გამლიზიანებლებს სმენის შეგრძნებებად გარდაქმნის და ბრმას საკმაოდ უადვილებს ორიენტაციას სივრცეში. აქ უკვე გარედან არის შემოტანილი კომპენსატორული საშუალება. ყველა შემთხვევაში, მათი მოქმედება არსებულ არასრულფასოვან დინამიურ სისტემას უკეთესობისაკენ ცვლის.

ამგვარად, ყოველ პირს, უნარშეზღუდულია ის თუ განვითარების ნორმალური შესაძლებლობის მქონე, გააჩნია თავისი ფსიქიკური წყობის დინამიური სისტემა, რომელიც ღიაა ისეთი ზემოქმედებისათვის, რომელსაც მისი ცალკეული კომპონენტების შეცვლა, ჩანაცვლება ან მთლინად ამოგდება შეუძლია. ამას უსათუოდ მოჰყვება ახალი დინამიური სისტემის (წონასწორობის)

ჩამოყალიბება. ამ შეცვლას თუ ჩანაცვლებასაც თავისი მექანიზმი გააჩნია. პედაგოგიკაში პიროვნების ხარვეზიანი დინამიური სისტემის მიზანდასახულ შეცვლას უფრო სრულყოფილ სისტემად კორექციას ეძახიან.

## 4.8.2. კორექციის მექანიზმი

ფსიქოლოგიაში და პედაგოგიკაში კორექცია გულისხმობს პიროვნების დინამიურ სისტემაში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც აუმჯობესებს მის ფუნქციობას, უფრო სრულყოფილს ხდის სისტემას. პიროვნების უარესობისაკენ შეცვლას არც სოციალური გამართლება აქვს და არც პედაგოგიური. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი რამეც ხდება და ის უსათუოდ უნდა გასწორდეს. კორექციაც ამას ემსახურება. ამიტომ ის აქტიური, მიზანმიმართული პროცესია, სულ ერთია ვინ მიმართავს მას: სკოლა, ოჯახი თუ თვითონ პიროვნება.

კორექცია თავისთავად არ ხორციელდება. ის რთული, აქტიური პროცესია, რომელიც ცოდნასა და დიდი ენერჯის ხარჯვას საჭიროებს. შეზღუდვის კორექცია მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროით, ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებას მოითხოვს. კორექცია (ლათ. correctio-გასწორება, გაწონასწორება) პედაგოგიკაში ნიშნავს ფიზიკური თუ ფსიქიკური შეზღუდვებით გამოწვეულ არასასურველ ფსიქიკურ წარმონაქმნთა გასწორებას, ნორმისკენ შემობრუნებას. ცხადია, ამის მიღწევა მხოლოდ სპეციალურად ორგანიზებული სასწავლო-აღმზრდელიობითი ღონისძიებების გატარებითაა შესაძლებელი.

უნარშეზღუდული ბავშვის სარეზერვო ძალების სრულად ამოქმედებისათვის საჭიროა მათი გამოვლენა, გულდასმით შესწავლა და განვითარებისათვის მათი სპეციფიკის შესაფერისი მეთოდების შემუშავება. ესაა სპეციალური პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის უმთავრესი პრობლემა ასეთ ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის სპეციფიკისა, რომ თუ ნორმალური ბავშვების სწავლება, როგორც წესი,

მიმართულია მათი ფსიქიკური განვითარებისაკენ, უნარშეზღუდულებთან განვითარება შეზღუდვის დაძლევის, კორექციის გზით ხორციელდება. ერთდროულად მიმდინარეობს ორი უმნიშვნელოვანესი პროცესი, გადახრის კორექცია და ამ გზით, ბავშვის ფსიქიკური განვითარება. სპეციალური პედაგოგიკისათვის სპეციფიკური სწორედ საკორექციო მუშაობაა.

### 4.8.3. რეაბილიტაციის პროცესი

ტერმინი *რეაბილიტაცია* (ლათ. *rehabilitacio* – დაბრუნება, აღდგენა) რამდენადმე განხვავებული მნიშვნელობით იხმარება სხვადასხვა მეცნიერებაში, მაგრამ ყველგან ის ნიშნავს: დაზიანებულის, დარღვეულის, მიყენებული ზიანის აღდგენას თუ წართმეულის დაბრუნებას. კორექციულ მეცნიერებებში რეაბილიტაცია იხმარება როგორც პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ბავშვის ფსიქიკურ წყობაში არსებული დარღვევის გამოსწორების, აღდგენის, ქცევაში აღმოცენებული რიგი დარღვევების ლიკვიდაციის და მის ნორმაში დაბრუნების პედაგოგიურ პროცესს. რეაბილიტაცია საკორექციო მუშაობის ბუნებრივი შედეგაა.

ბავშვის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია უაღრესად რთული პროცესია, რაც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს იმას, რომ ადამიანის, მით უფრო ბავშვის ნორმალური ფსიქიკური განვითარების პროცესი არის პიროვნების ფორმირება, რომელშიც ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები აუცილებლობით მონაწილეობენ და საკორექციო ღონისძიებების გატარების დროს ორივე კომპონენტზე ზემოქმედებაა საჭირო. მაგალითად, ორთოპედიული დარღვევების შემთხვევაში თითქოს წმინდა ფიზიკურ ღეფექტთან გვაქვს საქმე., რადგან ამ დროს თვალში საცემია მხოლოდ მოძრაობის უნარის მოშლა. დაბლის დროს, ძალიან ხშირად, ბავშვის ინტელექტი არ არის დაზიანებული და ამიტომ კორექცია

მოძრაობათა სფეროს დარღვეულ ფუნქციათა აღდგენისკენა მიმართული. ასეთ შემთხვევაში კორექცია ჩათვლილია წმინდა სამედიცინო ზემოქმედების საქმედ.

ბოლო ხანებში გამოირკვა, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ არის სწორი. თითქოსდა წმინდა ფიზიკური შეზღუდვის დროსაც ზარალდება ბავშვის პიროვნება, მისი ზოგიერთი კომპონენტი. კერძოდ, ირღვევა ბავშვის მიერ სამგანზომილებიანი სივრცის განცდის უნარი პარაპლეგიის (ორივე ქვედა კიდურის დამბლა), ჰემიპლეგიის (მარჯვენა ან მარცხენა კიდურების დამბლა) და ტეტრაპლეგიის (ოთხივე კიდურის დამბლა) დროს ბავშვი კარგავს სივრცის სხვადასხვა განზომილების შეგრძნების უნარს. კერძოდ, პარაპლეგიის დროს ბავშვი არ არის ჩართული ზედა და ქვედა განზომილებებში, ხოლო ტეტრაპლეგიის შემთხვევაში ბავშვის ცნობიერებაში არ აისახება წინა-უკანა მიმართულებები (4). ასეთ შემთხვევებში რეაბილიტაცია საჭიროებს არა მხოლოდ დაზიანების ანატომიურ-ფიზიოლოგიური კომპონენტების მკურნალობას, არამედ ბავშვის ჩართვას (გავარჯიშებას) სივრცის აღნიშნულ განზომილებებშიც.

კიდევ უფრო რთული ვითარება იქმნება მაშინ, როცა ცერებრალურ დამბლას, ფიზიკურთან ერთად, ამკარად გამოკვეთილი ფსიქიკური შეზღუდვაც ახლავს თან, რაც ოლიგოფრენიის სახით იჩენს თავს. ამიტომაც აუცილებელია ბავშვის უნარშეზღუდვის კორექციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებისადმი კომპლექსური მიდგომა. ეს განაპირობებს იმას, რომ ასეთი რთული დარღვევების სარეაბილიტაციოდ ხშირად საჭირო ხდება კონსილიუმების მოწყობა.

რეაბილიტაციის პროცესის წარმატებას რამდენიმე პირობა განსაზღვრავს:

1. რეაბილიტაციის პროცესისადმი, როგორც ითქვა, საჭიროა კომპლექსური მიდგომა. საჭიროა შეზღუდვის ყოველმხრივი გამოკვლევა, კომპენსატორული საშუალებების მოძიება და გამოყენება. აქ თითქმის არ არსებობს ძირითადი და მეორეხარისხოვანი ფაქტორები. ზოგჯერ იმ ფაქტორისადმი

უყურადღებობამ, რომელსაც ბეორეხარისხოვნად თვლიან, შეიძლება სერიოზულად დააზარალოს რეაბილიტაციის პროცესი.

2. რაც უფრო ადრე დაიწყება რეაბილიტაციის პროცესი, მით უფრო კარგი შედეგი მიიღება. დარღვევა, სწავლას ეხება ის თუ ქცევას, ძალიან არ უნდა გაფიქსირდეს. სწავლაში ბავშვის წარუმატებლობას, თუ ის დიდხანს გაგრძელდა, სერიოზული ჩამორჩენა მოჰყვება, რომელიც მოსწავლემ, მონდობების დროსაც, შეიძლება მთლიანად ვერ დაძლიოს, განსაკუთრებით მათემატიკურ საგნებში. ექიმებმა იციან, რომ რაც უფრო ადრე დაიწყება ავადმყოფის მკურნალობა, მით უფრო სწრაფად და სრულყოფილად განიკურნება ის. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

თუ მოსწავლეს, რომელიც ეს-ესაა სწავლას შეუდგა, უჭირს სწავლა, საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას გამოკვლეული მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები. თუ მას ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხება გააჩნია, მაშინ სასწრაფოდ უნდა დაისახოს საკორექციო ღონისძიებები ჩამორჩენის დასაძლელად. მას მანამდე უნდა მივეშველოთ, ვიდრე ჩამორჩენა შორს არ წასულა. ასევე უნდა მოვიქცეთ, როცა ჩამორჩენის მიზეზი ბავშვის სწავლის მოტივაციის სისუსტეშია. სასწრაფოდ უნდა დაისახოს ღონისძიებები სწავლის მოტივაციის გასაძლიერებლად.

იგივე ითქმის მოსწავლის ქცევის დარღვევებზეც. როცა შევამჩნევთ, რომ მოსწავლე საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს არღვევს, პედაგოგთან და მშობელთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა დაისახოს მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო ღონისძიებები. რაც უფრო გაფიქსირდება ბავშვის ასოციალური ქცევა, მით უფრო ძნელი იქნება მისი დარღვევა და დადებითი ქცევის განწყობით შეცვლა.

3. გულდასმით და ყოველმხრივ უნდა იქნას შესწავლილი შეზღუდვის გამოძვევი მიზეზები. სწორედ აქაა საჭირო ზუსტი ფსიქოლინგვისტიკური მეთოდების გამოყენება. აუცილებელია საქმისადმი კომპლექსური მიდგომა. როცა ბავშვი ცუდად სწავლობს, თუ გონებრივ ჩამორჩენასთან არა გვაქვს საქმე, უნდა დადგენილი იქნას სხვა

შესაძლო ფაქტორები(სწავლისთვის მოუმწიფებლობა, არახელსაყრელი ოჯახური პირობები, არამკვეთრად გამოხატული ავადმყოფობა და ა.შ).

4. მიზეზის (მიზეზების) დადგენისთანავე უნდა შემუშავდეს საკორექციო სამუშაოთა სისტემა იმ ფაქტორების აღმოსაფხვრელად, რომელთაც პრობლემა წარმოშვეს. აქ ფსიქოლიაგნოსტიკას მაშინ აქვს ღირებულება, როცა მიღებული შედეგები დაუყოვნებლივ იქნება გამოყენებული საკორექციო ღონისძიებების შესამუშავებლად და ამდენად რეაბილიტაციის საქმეს ემსახურება.

#### **4.8.4 სკოლის ფსიქოლოგის ადგილი ინკლუზიურ და ინტეგრირებულ სწავლებაში**

თანამედროვე განათლების სისტემამ დღის წესრიგში დააყენა ახალი მიდგომა უნარშეზღუდულ ბავშვთა სწავლებისადმი. ჩვენში აქამდე დამკვიდრებული წესის მიხედვით, ასეთი ბავშვები, როგორც წესი, ინტერნატული სისტემის სასწავლებლებში იგზავნებოდნენ. ყოფილ საბჭოთა კავშირში გახსნილი იყო უნარშეზღუდვის ცალკეული ფორმების შესატყვისი სასწავლებლები: ყრუ და სმენადაქვეითებულ, უსინათლო და სუსტადმხედველ, გონებრივადნამორჩენილ, ღრმა მეტყველებადარღვეულ, ორთოპედიული სინდრომების მქონე ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატები. ყოველი ტიპის სპეციალური სასწავლებელი გარკვეული სახის შეზღუდვის მქონე ბავშვის შესაძლებლობებს იყო მორგებული. სწავლება ითვალისწინებდა ბავშვის შემორჩენილი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებას და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვთა მოზაიდებას შრომითი საქმიანობისათვის. ასეთ ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა სწავლა-განათლებას სპეციალური სკოლით ამთავრებს და თუ მან იქ რაიმე პროფესია არ შეიძინა, ცხადია,

პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება სკოლის დამთავრების შემდეგ მისი ინტეგრაცია საზოგადოებაში.

სპეციალურ სკოლებში უნარშეზღუდულ ბავშვთა სწავლების ნაკლს იმაში ხედავენ, რომ ის იწვევს ხანგრძლივი დროით ბავშვის იზოლაციას ოჯახისა და საზოგადოებისაგან. დახურული ტიპის ინტერნატულ სასწავლებლებში ბავშვები 8-11 წელი სწავლობენ და არაა სასურველი ისინი ამ ხნის განმავლობაში ოჯახს იყენენ მოწყვეტილი. ამ გარემოების გათვალისწინებით ბოლო ხანებში გაჩნდა მოთხოვნა, უნარშეზღუდულებს ვასწავლოთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში. შემოთავაზებული იქნა სწავლების ორი ფორმა: ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლება.

ინკლუზია (ლათ. *include*–ჩართვა) გულისხმობს უნარშეზღუდული ბავშვის ჩართვას ჩვეულებრივ სასწავლო კლასებში და უნარშეზღუდავ ბავშვებთან ერთად სწავლებას. ცხადია, უნარშეზღუდულები ნორმალური განვითარების შესაძლებლობის მქონეთათვის განკუთვნილ პროგრამულ მასალას, იქ აპრობირებული მეთოდებით, ვერ დაეუფლებიან. ისინი მაინც სპეციალურ სწავლებას საჭიროებენ. მხოლოდ ზოგიერთ საგანს(მუსიკა, ფიზიკური) გაივლიან ერთად.

ინტეგრირება (ლათ. *integratio* – გაერთიანება) კი ხდება მაშინ, როცა სკოლაში იხსნება ცალკე კლასი უნარშეზღუდულ ბავშვთათვის. იქ ბავშვები საგნების უმეტესობას გადიან მათთვის შემუშავებული სპეციალური პროგრამებით. მხოლოდ ზოგიერთი გაკვეთილი(მუსიკა, ფიზიკური, შრომა) ტარდება ერთობლივად. გრდა ამისა, ისინი სკოლის მოსწავლეთა კოლექტივთან ერთად მონაწილეობენ ექსკურსიებში, თვითშემოქმედებით, სპორტულ და რიგ სხვა ღონისძიებებში. ინტეგრირებული სწავლების კლასები შეიძლება გაიხსნას მხოლოდ დიდ ქალაქებში. ასეთ ბავშვთა რაოდენობა არც ისე დიდია. ამიტომ დაბებისა და, მით უფრო სოფლის სკოლებში ისინი კანტი-კუნტად თუ მოხვდებიან და, ცხადია, მათგან კლასის დაკომპლექტებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

უნარშეზღუდულთა სწავლება პედაგოგისაგან მოითხოვს

სპეციალურ განათლებას. სპეციალური ცოდნა-განათლება აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ინტეგრირებული კლასების მასწავლებლებს. წესით ისინი კორექციული პედაგოგიკის სპეციალისტები უნდა იყვნენ და ამდენად თავიანთი საქმე უნდა იცოდნენ. მაგრამ უფრო რთულად დგას საქმე ინკლუზიური სწავლების დროს. უნარშეზღუდული ბავშვი შეიძლება მოხვდეს ნებისმიერ სკოლაში, მაგრამ ძალიან კანტიკუნტად, თანაც ხან ერთი ხან მეორე სახის შეზღუდვით.. გარდა ამისა, ასეთი ბავშვი რამდენიმე წელი შეიძლება არც გამოჩნდეს. ამიტომ სკოლას ინკლუზიური განათლებისათვის კორექციული პედაგოგიკის სპეციალისტი არ ეყოლება. ესეც არ იყოს, სკოლის ზედა კლასებში ცალკეულ საგნებს სპეციალისტები ასწავლიან და, ცხადია, ისინი კორექციული პედაგოგიკის მცოდნენი არ იქნებიან.

გამოსავალი ერთია, პედაგოგებს, რომელთაც ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ მოსწავლესთან აქვს საქმე, დახმარება უნდა გაეწიოს. ასეთი დახმარება, კონსულტაციების სახით, მას სკოლის ფსიქოლოგმა უნდა გაუწიოს, რადგან ის იცნობს ასეთ ბავშვთა ფსიქიკურ შესაძლებლობებსა და განვითარების თავისებურებებს. “სკოლის ფსიქოლოგებს ხშირად ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა მოსწავლის შემეცნებითი, აკადემიური, ემოციური ან ქცევითი ფუნქციების დადგენაში. ისინი გვაძლევენ დაწვრილებით წერილობით ანალიზს ბავშვის უნარებისა და საჭიროების სფეროების შესახებ. მრავალ სკოლაში ეს დოკუმენტი მიიჩნევა “ფსიქანგარიშად” ანუ ფსიქოლოგიურ მოხსენებად. ამ მონათესავე როლის შესაბამისად, სკოლის ფსიქოლოგები ზოგჯერ თავმჯდომარეობენ მრავალდისციპლინარულ გუნდს, რომელიც შეიკრიბება ხოლმე,, რათა გადაწყვიტოს,-არის თუ არა ესა თუ ის მოსწავლე უნარშეზღუდული და თუ ასეა, რა ტიპის მომსახურება სჭირდება” (36, 197). ეს ე.წ. ფსიქოლოგიური ანგარიში არის ის, რასაც ჩვენ ფსიქოლოგიურ დიაგნოზს ვუწოდებთ, ხოლო მრავალდისციპლინარული გუნდის საქმიანობა კი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსილიუმიია.

სკოლის ფსიქოლოგის მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია



არის იმ მასწავლებელთა კონსულტირება, რომელთაც ინკლუზიურ ან ინტეგრირებულ სწავლებაში ჩაბმულ ბავშვების სწავლებასთან აქვთ უშუალო კავშირი. “ზოგჯერ სკოლის ფსიქოლოგები ქცევის კონსულტანტების როლსაც ასრულებენ. ზანდაზან მასწავლებელს ეხმარებიან იმით, რომ მთელ კლასთან მუშაობენ სოციალური ქცევის ჩვევების გამოსამუშავებლად. ასევე ინდივიდუალურ დახმარებას უწევენ იმ მოსწავლეებს, ვისაც ემოციური ან ქცევითი პრობლემები აქვთ ან სპეციალური განათლებისათვის ვარგისი არ არიან. სამწუხაროდ, ბევრ სკოლას მხოლოდ იმის შესაძლებლობა აქვს, რომ აიყვანოს სკოლის ფსიქოლოგთა მხოლოდ ის რაოდენობა, რაც საკმარისია საჭირო შეფასებითი მოვალეობის შესასრულებლად” (36, 197).

მოკლედ, სკოლის ფსიქოლოგს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ინკლუზიური თუ ინტეგრირებულისწავლების რეალიზაციის საქმეში. თუ ასეთი ბავშვები იმ სკოლაში არიან, რომელსაც ფსიქოლოგი ჰყავს შტატით. თუ სკოლას ფსიქოლოგი არ ჰყავს, საკონსულტაციოდ შეუძლია კონტრაქტით დაიქირავოს სხვაგან მომუშავე ფსიქოლოგი. ის პერიოდულად მიდის სკოლაში და უწევს პედაგოგებს კონსულტაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე.

#### **4.8.5. მშობლების ინფორმირება უნარშეზღუდულ ბავშვთა სწავლების შესახებ**

წინამდებარე შრომაში, ოცდაათი წლის წინ, ამ საკითხის შეტანას აზრი არ ექნებოდა, რადგან ყველა უნარშეზღუდული ბავშვი სპეცსკოლებში სწავლობდა, ხოლო სახელმძღვანელო საჯარო საშუალო სკოლებში მომუშავე ფსიქოლოგებისთვისაა განკუთვნილი. მაგრამ ბოლო ხანებში საქართველოს განათლების სისტემაში გარკვეული ცვლილებები მოხდა, რამაც სკოლის ფსიქოლოგს დამატებითი, საკმაოდ რთული სამუშაო გაუჩინა. როგორც ითქვა, თანდათან ინერგება უნარშეზღუდულ ბავშვთა

ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლება, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის საჯარო სკოლებს.

ცხადია, ინკლუზიაში ჩართულ ბავშვს არ შეუძლია ისწავლოს იმ პროგრამით და მეთოდებით, ჩვეულებრივ სკოლებში რომ გამოიყენება. მას თავისი(სპეციალური) პროგრამითა და სპეციალური მეთოდების გამოყენებით მოუწევს სწავლა. ამასთან, მათ ზომ მრავალ პედაგოგთან მოუხდებათ ურთიერთობა, რომელთაც კორექციულ-პედაგოგიური განათლება არ ექნებათ. ცხადია, მათ დასჭირდებათ სისტემატური, მრვალმხრივი კონსულტაცია.. თუ ასეთ სკოლაში ფსიქოლოგი მუშაობს, ამ ფუნქციის შესრულება მას მოუწევს.

ინტეგრირებული სწავლება ნაკლებ პრობლემებს უქმნის საშუალო სკოლებს. იქ, უნარშეზღუდულ ბავშვთათვის ცალკე კლასები იხსნება და შეიძლება სპეციალური პედაგოგოგიკის სპეციალისტების მოწვევა. ფსიქოლოგის კონსულტაცია იქაც არ იქნება ზედმეტი, მაგრამ ის მაინც ისე მწვავედ არ იგრძნობა, როგორც ინკლუზიური სწავლების დროს.

იბადება კითხვა, რა საჭიროა ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლება, თუ უნარშეზღუდულ ბავშვთათვის არსებობს სპეციალური სასწავლებლები, სადაც მათი განათლებისთვის კარგი პირობებია შექმნილი? საქმე ისაა, რომ თითქმის ყველა სპეციალური სასწავლებელი ინტერნატული ტიპისაა, რაც გამოწვეულია ასეთ ბავშვთა მცირე რაოდენობით. სკოლა-ინტერნატებში ბავშვები მთელი წლის განმავლობაში ცხოვრობენ და სწავლობენ, რაც იწვევს მათ გარკვეულ სოციალურ იზოლაციას საზოგადოებისაგან, პირველ რიგში, ოჯახისაგან. ამიტომ გასული საუკუნის შუა ხანებიდან, დასავლეთის ქვეყნებში დაიწყო ჰუმანური მოტივით ნაკარნახევი მოძრაობა ასეთ ბავშვთა საზოგადოებისაგან იზოლაციის აღსაკვეთად. დევიზი ასეთია, - ვასწავლოთ მათ ნორმალური ფსიქოფიზიკური მონაცემების მქონე ბავშვებთან ერთად. ამით ისინი არც ოჯახს იქნებიან მოწყვეტილნი და საზოგადოებასთანაც უკეთ მოახერხებენ ინტეგრირებას.

უნარშეზღუდულ ბავშვთა სწავლებისადმი ასეთ მიდგომას

გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ეს საჭიროა იცოდნენ არა მხოლოდ პედაგოგებმა, არამედ განსაკუთრებით მშობლებმა, რომლებიც სწვევებზე მათი შვილის მომავალს. ნ წლის ბავშვი არ სწვევებს, თუ სად უნდა ისწავლოს მან. ამას მშობლები ადგენენ. ამიტომ სანამ ის გადაწყვეტს, თუ რომელ სკოლაში შეიყვანოს ბავშვი, კარგად უნდა იყოს ინფორმირებული სწავლების ყოველი ფორმის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას ინფორმაციის მიწოდების ყველა საშუალება (კონსულტაცია, ინსტრუქციების დაგზავნა, მასმედია). არადა, არასწორმა არჩევანმა შეიძლება ცუდი შედეგი მოიტანოს ბავშვის მომავლისათვის. ამ საკითხზე საზოგადოების ინფორმირება არ არის სკოლის ფსიქოლოგის უშუალო მოვალეობა. ამას განათლების სისტემის მესვეურები უნდა ხელმძღვანელებდნენ. სკოლის ფსიქოლოგი კი, როგორც კორექციული განათლების სპეციალისტი, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ამ საქმეში. მასთან შეიძლება საკონსულტაციოდ მივიდეს მშობელი. ფსიქოლოგმა კი უნდა მისცეს მას ამომწურავი ინფორმაცია სწავლების ორივე ფორმის პლუსებზე და მინუსებზე, არჩევანი კი მშობელმა უნდა გააკეთოს.

როგორც ზევით გავვეცანით(4.7.4) უნარშეზღუდულ ბავშვია კატეგორიები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამიტომ ყოველი მათგანის სწავლების წინაშე სრულიად განსხვავებული სახის დაბრკოლება იჩენს თავს. ისინი ორგვარია. ერთ შემთხვევაში, დაბრკოლება თავს იჩენს ბავშვის სკოლაში ტარებასთან დაკავშირებით. უსინათლოს თორმეტი წლის განმავლობაში სჭირდება სკოლაში დამტარებელი პირი. დაახლოებით ანალოგიურ სიძნელეს აწყდება საყრდენ-სამოძრაო აპარატდაზიანებული ბავშვიც. გარვეული დაბრკოლება დაკავშირებულია გაკვეთილის მოსმენასა და საკლასო თუ საშინაო დავალებების შესრულებასთან. ყრუს არ ესმის და ამიტომ რა აზრი აქვს კლასში მის ჯდომას, თუ მასწავლებელს ვერ მოუსმენს. უსინათლოს კი ესმის, მაგრამ ვერ დაინახავს რასაც მასწავლებელი დაფაზე წერს და ვერც წიგნში ჩაიხედავს საჭიროების დროს.

ყველა სახის უნარშეზღუდულ მოსწავლეს სახლში უნდა ჰყავდეს ვინმე ისეთი, რომელიც ამეცადინებს. სხვანაირად ის საშინაო დავალებებს ვერ შეასრულებს. ყრუ ბავშვის ინკლუზიურ სწავლებაში ჩართვას აზრი არა აქვს, თუ სკოლას არ ეყოლება "თარჯიმანი", რომელიც მასწავლებლის ნათქვამს ჟესტების ენაზე გადაუთარგმნის მოსწავლეს. ყრუ ბავშვთა რაოდენობა ძალიან ცოტაა და ამიტომ ნებისმერ სკოლაში რამდენიმე წელიწადში ერთხელ შეიძლება ასეთი ბავშვი მოხვდეს. ცხადია, ასეთ პირობებში სკოლას ჟესტების მცოდნის შტატი არ ექნება.

გარდა ამისა, მშობელს უნდა გაეუცნობიეროთ კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: ყრუ ბავშვთა სკოლებში ბავშვებს ასწავლიან მეტყველებას. ეს უაღრესად რთული და შრომატევადი სამუშაოა, რომელსაც რთული სასმენი ელექტრონული აპარატურა, სპეციალურად მოწყობილი სმენის კაბინეტი და გამოცდილი სურდოპედგოგი სჭირდება. ასეთი რამ საერო სკოლებს არ ექნებათ და, ცხადია, ბავშვმა შეიძლება სკოლა დაამთავროს, მაგრამ არ შეეძლება მეტყველება. მეტყველება კი ადამიანთა შორის ურთიერთობის შეუცვლელი საშუალებაა. გარდა ამისა, განყენებული, ცნებითი აზროვნების განვითარება ზეპირი მეტყველების გარეშე შეუძლებელია. მხოლოდ სიტყვებს(ბგერით ნიშნებს) შეუძლიათ უაღრესად განყენებული აზრების აღნიშვნა, მათი ობიექტივირება. მეტყველების გარეშე დარჩენილი ყრუ ამ შესაძლებლობასაც კარგავს. არის ინკლუზიური სწავლების მეორე ასპექტი, რომელიც ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია და ეხება ახალგაზრდის შრომით საქმიანობაში ჩართვას. სპეციალური სკოლა-ინტერნატები ორიენტირებული იყვნენ მოსწავლეთა შრომითი საქმიანობისათვის მომზადებისაკენ. საამისოდ მათ ჰქონდათ კარგად მოწყობილი სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები ეუფლებოდნენ გარკვეული სახის შრომით პროფესიებს და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდნენ შეძენილი სპეციალობით, ადვილად ერთვებოდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში და თავსაც საკმაოდ დაცულად გრძნობდნენ.

ინკლუზიურ სწავლებაში კანტიკუნტად ჩაბმული მოსწავლეებისათვის ასეთ სახელოსნოებს არავინ გახსნის და არც შრომის მასწავლებელს დანიშნავს ვინმე. ამიტომ ისმება კითხვა, -სად წავიდეს ინკლუზიური სწავლებით სკოლა დამთავრებული ახალგაზრდა? მათგან ხომ ძალიან ცოტა აგრძელებს სწავლას უმაღლესში? აი, ამიტომაა საჭირო მშობლების ინფორმირება ინკლუზიური სწავლების პლუსებსა და მინუსებზე.

რაც შეეხება ინტეგრირებულ სწავლებას, მის წინაშე ასეთი სიძნელე შეიძლება არ დადგეს. საქმე ისაა, რომ ინტეგრირებული სწავლების კლასები შეიძლება გაიხსნას მხოლოდ დიდ ქალაქებში. თუ იქ გროვდება საკმაო რაოდენობის ბავშვი კლასის გასახსნელად, შეიძლება სახელოსნოს მოწყობაც და ბავშვების მიერ გარკვეული პროფესიების დაუფლებაც.

მშობლების საფუძვლიან ინფორმირებას თუ არ ექნა ადგილი, არ არის გამორიცხული, მშობლებმა მათი ბავშვები, რა სახის შეზღუდვაც არ უნდა ჰქონდეთ მათ, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში შეიყვანონ და მერე ინანონ მათი დაუფიქრებელი საქციელის გამო. ამიტომ მშობელმა საფუძვლიანი ინფორმირების შემდეგ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი ტიპის სასწავლებელში შეიყვანოს მისი უნარშეზღუდული ბავშვი.

თავი 9

სკოლის ფსიქოლოგის მუშაობისადმი ეთიკური  
მოთხოვნები

გარკვეული ეთიკური მოთხოვნები დგას ყველა იმ პირის მიმართ, ვისაც ბავშვის სწავლებასა და აღზრდასთან აქვს საქმე. ბავშვის პიროვნების ფორმირება ხანგრძლივი პროცესია, აღსაზრდელზე ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან ზოგი ხელს უშლის ბავშვის ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებას, ზარალდება სრულყოფილი პიროვნების ფორმირების საქმე. სწავლისა და აღზრდის დანიშნულებაა ბავშვების ფსიქიკურ განვითარებას მეცნიერულად ორგანიზებული სახე მისცეს. ყოველგვარი არადეკლარირებული ზემოქმედება ზიანს აყენებს ბავშვის განვითარებას. ამის დაშვების უფლება არა აქვს არავის, ვინც მასზე პედაგოგიურ ზემოქმედებას ანხორციელებს.

ცხადია, იგივე ითქმის სკოლის ფსიქოლოგზეც, მაგრამ მისი მდგომარეობა გაცილებით რთულია, ვიდრე საგნების მასწავლებლებისა. საქმე ისაა, რომ სკოლის პედაგოგებს ძირითადად საქმე აქვთ ისეთ ბავშვებთან, რომლებიც მეტ-ნაკლებად ნორმალურად სწავლობენ და უხეში ქცევებით არ გამოირჩევიან. ისინი ასეთ პირობებშიც კი თავისი მოვალეობის შესრულებისას გარკვეულ სიძნელეებს აწყდებიან და დასახმარებლად ფსიქოლოგებს იშველიებენ. ამ სიძნელეებს მათ პრობლემური ბავშვები უქმნიან, რომლებიც აქა იქ გაერევიან კლასებში.

სკოლის ფსიქოლოგს კი სულ ასეთ ბავშვებთან უწევს მუშაობა, მათთან საბუშაოდ ინიშნება ის სკოლაში. ამიტომ სიძნელე,

რომელსაც ის თავის საქმიანობაში აწყობდა, შეუდარებლად უფრო სერიოზულია, საგნების მასწალებლების წინაშე მდგარ სიძნელესთან შედარებით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სკოლის ფსიქოლოგს პრობლემურ მოსწავლეებთან მუშაობის დროს ბავშვების შესახებ ისეთ ფაქტებთანაც მოუწევს შეხება, რომლებიც სხვა პედაგოგებისათვის უცნობია და სასურველი არ არის მისი გამჟღავნება.

### **5.9.1. სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობა**

შევეცდებით, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი ეთიკური მოთხოვნები, რომელთა დაცვაც სკოლის ფსიქოლოგს ევალება.

1. სკოლის ფსიქოლოგს უნდა უყვარდეს ბავშვი. შეიძლება თქვან, ყველა პედაგოგს უნდა უყვარდეს ბავშვიო და ეს სწორია, მაგრამ აქ ლაპარაკია ისეთ ბავშვებზე, რომელთაც პედაგოგები ვერ ერევიან, რომლებიც «ისიხლს უშრობენ» მათ. ამიტომ ასეთი მოსწავლეების მიმართ ისინი ხშირად არც ისე კეთილად არიან განწყობილნი. მაგალითად, ძნელადალსაზრდელ ბავშვთან პედაგოგებს, როგორც წესი, გართულებული ურთიერთობა აქვთ. ისინი არც სწავლაში ჩამორჩენილების მიმართ არიან კეთილად განწყობილნი. ფსიქოლოგის ზემოქმედების ობიექტი უნარშეზღუდული ან სწავლაში თუ ქცევაში წარუმატებელი ბავშვებია. ამიტომ, აქ უფრო მეტად იჩენს თავს ბავშვის შეცოდების(უნარშეზღუდული) ან მისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ფაქტები. ხშირად, როგორც მშობლებს ისე პედაგოგებს ეცოდებათ უნარშეზღუდული («ბედისაგან დაჩაგრული») ბავშვი. ხოლო ძნელადალსაზრდელი, რომელიც ძალიან ხშირად ამწარებს პედაგოგებს, ცხადია, არც ფსიქოლოგის მიმართ გააკეთებს გამოჩაქისს, მაგრამ ფსიქოლოგი, ყველა შემთხვევაში, ბავშვის მიმართ სიმპატიით, კეთილი განწყობით უნდა იყოს გამსჭვალული. ის ყველა ბავშვში, რა სახის პრობლემაც არ ჰქონდეს მას, უნდა ხედავდეს აღსაზრდელს, რომლისგანაც შეიძლება სრულფასოვანი პიროვნება ჩამოყალიბდეს.

სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობა სკოლაში თანამშრომლობის ხასიათს ატარებს, რომელშიც ორი წევრი მონაწილეობს: აღმზრდელი(პედაგოგი) და აღსაზრდელი (მოსწავლე). პედაგოგიური პროცესი ეფექტური მაშინაა, როდესაც მათ შორის ურთიერთსიმპათიური დამოკიდებულება არსებობს. თუ პრობლემურმა ბავშვმა სკოლის ფსიქოლოგში მისადმი კეთილად განწყობილი პირი ვერ აღმოაჩინა, არც თვითონ ექნება მის მიმართ ნდობა. ამიტომ მასზე ჩატარებული აღმზრდელობითი ღონისძიება უნაყოფო გამოვა.

როცა პიროვნება სხვა საქმიანობის სფეროშია დაკავებული(წარმოება, ბიზნესი და სხვა), ობიექტი, რომელთანაც მას საქმე აქვს, მის ქცევაზე უკუგავლენას არ ახდენს. ბუნებრივად საქმიანობაზე გავლენას ვერ მოახდენს ის რიცხვები და მათემატიკური ოპერაციები, რომლებითაც ის სარგებლობს. სულ სხვაა სწავლებისა და აღზრდის პროცესი. ბავშვი გონიერი არსებაა და მისი აღზრდის შედეგიანობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის ურთიერთობა არსებობს მასა და მის აღმზრდელს შორის. ფსიქოლოგი უნდა შეუყვარდეს ბავშვს, მაგრამ ეს არ მოხდება თუ მან ფსიქოლოგში მისადმი სიმპათია, სიყვარული ვერ აღმოაჩინა.

უდაოა, აღსაზრდელის ნდობის მოპოვება საჭიროა ნებისმიერი სპეციალობის პედაგოგისათვის, მაგრამ ისევ და ისევ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სკოლის ფსიქოლოგს პრობლემურ ბავშვთან აქვს საქმე და მისი სიყვარულის მოპოვება არ არის იოლი მისაღწევი. შევადაროთ ერთმანეთს ზრდილობიან, დამჯერე, მუყაით მოსწავლესთან და ძნელად აღსაზრდელთან მუშაობა. სკოლის ფსიქოლოგის მუშაობა ჰგავს მასწავლებლის მუშაობას, მაგრამ მისი ძდგომარეობა უდაოდ გართულებულია და ამიტომ აუცილებლად საჭიროებს იმის მხრივ დაფასებას, სიმპათიას, ვისი ქცევის კორექციაც აქვს განზრახული., ვისაც, სიძნელის მიუხედავად, ამის გაკეთება არ შეუძლია, სკოლის ფსიქოლოგად მუშაობისგან თავი უნდა შეიკავოს.

2. სკოლის ფსიქოლოგის წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი



ეთიკური მოთხოვნა-“არ ავნო” ბავშვს. ეს მოთხოვნა ჰიპოკრატეს დროიდან ფიგურირებს მედიცინაში. მისი არსი ისაა, რომ ექიმმა ორგანიზმის მდგომარეობის გულდასმით შესწავლის შედეგად ავადმყოფს უნდა დაუსვას სწორი დიაგნოზი და მის საფუძველზე გამოიყენოს მკურნალობის აპრობირებული მეთოდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაუმართლებელი მკურნალობა იქნას დანიშნული და განკურნების ნაცვლად, პაციენტის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდეს. ე. ი. მას მიადგეს ზიანი. ამის უფლება მკურნალს არა აქვს.

სკოლის ფსიქოლოგიც ანალოგიურ მდგომარეობაშია. მანაც უნდა “უმკურნალოს” ბავშვს, რომლის ფსიქიკურ განვითარებაში გარკვეული დარღვევები აღინიშნება. ამისათვის კი საჭიროა განვითარებაში გამოვლენილი გადახრების გულდასმით შესწავლა და მრავალი მონაცემის შეჯერებით სწორი ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმა. არასწორ დიაგნოზს მოჰყვება არსებული პრობლემის მიმართ არაადეკვატური ზემოქმედების განხორციელება, რაც შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს ბავშვის განვითარებისათვის, რისი უფლებაც ფსიქოლოგმა თავისთავს არ უნდა მისცეს.

ამ კონტექსტში ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ზოგჯერ განვითარების შემაფერხებელი ფაქტორის აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებები შეიძლება არ იყოს ბავშვისათვის უშუალოდ ზიანის მომტანი, მაგრამ გადახრას არ შეელოდეს. იმის მოლოდინში, რომ დაგეგმილი ღონისძიებები სასარგებლო იქნება, დრო გადის და გადახრა კიდევ უფრო ფიქსირდება. ამით, არაპირდაპირი გზით, ზარალდება რეაბილიტაციის საქმე. ამიტომ საჭიროა ასეთი უსარგებლო ქმედებებისაგან დროზე თავის შეკავება.

ბავშვის ნორმალური ფსიქიკური განვითარების შემაფერხებელი მრავალი ფაქტორი არსებობს და გამოცდილი, აპრობირებული ზემოქმედების საშუალებებიც ბევრია. ისმება კითხვა-შეუძლია კი სკოლის ფსიქოლოგს ბავშვის განვითარების შემაფერხებელი ყველა ფაქტორის ზუსტად დადგენა და

შესატყვისი ადეკვატური საკორექციო საშუალებების გამოძებნა? ეს არც ისე იოლი საქმეა. განსაკუთრებით ძნელ სიტუაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე არც ისე დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ახალბედა ფსიქოლოგები. ამიტომ, თუ ფსიქოლოგი ღრმად არ არის დარწმუნებული საკორექციო ღონისძიებების მართებულობაში, თავი უნდა შეიკავოს მათი ჩატარებისაგან. იქნებ საამისოდ უკეთესი პირობები მერე იქნას გამონახული.

აქ ორ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ერთ შემთხვევაში, ფსიქოლოგმა შეიძლება ვერ მოახერხოს პრობლემის ყოველმხრივი შესწავლა, მის ცოდნას რაღაც აკლია და სწორი დიაგნოზის დასასმელად საკმარისი მონაცემები არ გააჩნია, ხოლო მის მოპოვებას ვერჯერობით ვერ ახერხებს. მეორე შემთხვევაში, დიაგნოზი სწორადაა დასმული, მაგრამ მისი რეალიზაციისთვის საჭირო აპრობირებულ საშუალებებს არ იცნობს. ორივე შემთხვევაში ფსიქოლოგმა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებისაგან თავი უნდა შეიკავოს. ასეთ დროს ექსპერიმენტირების უფლება მას არა აქვს. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგი ვალდებულია ასეთი ბავშვი მუდმივად ყავდეს ყურადღების ქვეშ. მოსწავლე კიდევ მრავალი წელი შეიძლება დარჩეს სკოლაში და არ არის გამორიცხული, გარკვეული დროის შემდეგ, საჭირო მონაცემები მონახული იქნას და მიზანშეწონილი საკორექციო ღონისძიებების ჩატარებაც გახდეს შესაძლებელი.

3. სკოლის ფსიქოლოგს არა აქვს მორალური უფლება უყურადღებოდ დატოვოს პრობლემური ბავში, ხელი აიღოს მასზე მზრუნველობისაგან, როცა სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდება, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის. ხელისშემშლელი მიზეზი მრავალი მხრიდანაა მოსალოდნელი. შეიძლება ესენი იყვნენ მშობლები, რომლებიც არ ეთანხმებიან ფსიქოლოგის მიერ დაგეგმილ ზემოქმედებას (განებივრების აღკვეთა), პედაგოგი, რომელიც ღრმადაა დარწმუნებული, რომ მისი მოსწავლე დებილია ("მის თავში არაფერი შედის"). არც ისე იშვიათად ფსიქოლოგს ეურჩება თვითონ მოსწავლე (ძნელადაა საზრდელი ბავშვი). ზოგჯერ უფროსკლასელი

ქუჩის ასოციალურ ჯგუფშია ჩათრეული და მათგან ჩამოცილებას ჯგუფი უშლის ხელს.

ასეთი დაბრკოლებები ზოგჯერ საკმაოდ სერიოზულია. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგს არა აქვს მორალური უფლება ხელი ჩაიქნიოს და ჩამოშორდეს ბავშისადმი დახმარებას. საჭიროების შემთხვევაში მან დახმარებისათვის უნდა მიმართოს ბავშვზე ზრუნვით დაინტერესებულ ინსტანციებს: პედაგოგებს, სკოლის დირექციას, მშობლებს, განათლების ორგანოებს, მასმედიას, რათა მოიხსნას ხელშემშლელი ფაქტორები და შესაძლებელი გახდეს საკორექციო ღონისძიებების ნორმალურად ჩატარება.

4. სკოლის ფსიქოლოგი ვალდებულია დაიცვას ბავშვის შესახებ მის ხელთ არსებული მასალის ანონიმურობა. ფსიქოლოგს ბავშვის შესწავლისას უგროვდება ისეთი ფაქტები, რომელთა გამჟღავნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლის კომპრომენტირება მასწავლებელთა თუ თანაკლასელთა თვალში. ანამნეზური მასალის შეგროვებისას, მის ხელში ბევრი მონაცემი იყრის თავს ბავშვის სკოლის გარეშე ცხოვრების შესახებ. მათში შეიძლება ისეთებიც ერიოს, რომელთა შესახებ თანაკლასელებმა და პედაგოგებმა არაფერი იციან და არც არაფერში სჭირდებათ, მაგრამ მათი გამჟღავნება ბავშვისათვის არასასურველია. უბრალო მაგალითი- ანამნეზური მასალის მოგროვებისას აღმოჩნდა, რომ ბავშვს ჰქონია ერუნეზი, რაც მისმა თანაკლასელებმა არ იცოდნენ და თუ გაიგებენ, დასცინებენ. ფსიქოლოგმა ასეთი ფაქტები უნდა აღნუსხოს და შეინახოს სეიფში(ცეცხლგამძლე ყუთში). ყოფილა შემთხვევები, როცა ბავშვის შესახებ ამა თუ იმ ფაქტის გამჟღავნების წინააღმდეგი მშობელი თავიდანვე არ იყო, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ საყვედური გამოუთქვამს ამის გამო. თუ მშობელი წინააღმდეგია რომელიმე ფაქტის გამჟღავნებისა, ფსიქოლოგმა მით უფრო უნდა შეიკავოს თავი ასეთი საქციელისაგან.

5. სკოლის ფსიქოლოგი უნდა იყოს პედკოლექტივის მიმართ უადრესად კოლეგიალური. სამწუხაროდ, ზოგიერთი აშპარტავნობს იმით, რომ მან სხვებზე მეტი იცის ბავშვის

ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების, ნორმიდან გადახრებისა და მათზე რეაგირების საშუალებების შესახებ და უფლებაცა აქვს მასწავლებლებზე ზემოქმედებისა, როცა ისინი რალაცაში სცოდავენ. არც ერთ პედაგოგს არ ამშვენებს ამპარტავნობა, მაგრამ განსაკუთრებით საზიანოა ის სკოლის ფსიქოლოგისათვის. მას მისი მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის სწორედ პედაგოგებთან თანამშრომლობა, კოლეგიალური დამოკიდებულება სჭირდება. სკოლაში ის თავს უნდა გრძნობდეს როგორც რიგითი პედაგოგი. მის ლექსიკონში არ უნდა გვხვდებოდეს გამოთქმები იმაზე, რომ პედაგოგმა რალაცები არ იცის, შეცდომებს უშვებს. და ა.შ. ასეთი გამოთქმები და სხვა უტაქტო ქცევა იწვევს ფსიქოლოგის იზოლაციას იმათგან, ვისაც ასე მიმართავს. არადა, მათთან კონტაქტის გარეშე მის მუშაობას აზრი არა აქვს.

სკოლის ფსიქოლოგი პედაგოგების თვალში არ უნდა ჩანდეს როგორც მათი მასწავლებელი. მასწავლებლის მასწავლებლობა ძნელი საქმეა, სკოლის ფსიქოლოგს კი ეს არ შეუძლია. თუ ის მცოდნე და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია, ამას ისედაც შეამჩნევენ და დააფასებენ

### **5.9.2. სკოლის ფსიქოლოგის პროფესიული განათლება**

პროფესიონალ სკოლის ფსიქოლოგს იმდენად მრავალფეროვანი საბუშაოს შესრულება უწევს, რომ ყველა მათგანის ჩამოთვლაც კი ძნელია. მართალია, მან ისეთი საბუშაოები უნდა დაგეგმოს, რომელთაც გასწვდება. მაგრამ არც ის ვარგა, რომ ასეთი საბუშაოების ნუსხა ძალიან შეზღუდული იყოს. გარდა ამისა, ფსიქოლოგს ნებისმიერ დროს შეიძლება გაუთვალისწინებელი პრობლემების შესახებ მიმართონ პედაგოგებმა, მშობლებმა, ზოგჯერ მოსწავლეებმაც. ასეთ მიმართებებზე პასუხის გადადება არ შეიძლება. ამიტომ სკოლის ფსიქოლოგს უნდა პქონდეს ფართო ერუდიცია, რათა მრავალ მოსალოდნელ და

მოულოდნელ სიტუაციებში შეებლოს გარკვევა. თუ ფსიქოლოგი სათანადოდ პასუხობს მის წინაშე მდგარ მოთხოვნებს, მაშინ მისი სამოქმედო არეალი საკმაოდ ფართეა. სამართლიანია მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სკოლის ფსიქოლოგს უნდა გააჩნდეს ცოდნა ისეთ ღარგებში, როგორიცაა: მედიცინა, განათლების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია. კარგად უნდა იცნობდეს სწავლებისა და პიროვნების ფორმირების საკითხებს, ფსიქოლინგვისტიკას, ფსიქოლოგიურ კონსულტირებას, ფსიქოთერაპიის საკითხებს.

ფსიქოლოგს, მასზე დაკისრებული მოვალეობის სრული მოცულობით ჩასატარებლად რამდენიმე მონაცემი უნდა გააჩნდეს. ესენია:

1. ფსიქოლოგს უნდა ჰქონდეს ღრმა განათლება ფსიქოლოგიაში. მან კარგად უნდა იცოდეს ბავშვის განვითარების, განათლების, სოციალური და სპეციალური ფსიქოლოგიები. იგულისხმება, რომ ის კარგადაა დაუფლებული ზოგად ფსიქოლოგიას, რომლის ცოდნის გარეშე ვერც ჩამოთვლილ ღარგებს ისწავლიდა საფუძვლანად. სკოლის ფსიქოლოგი კორექციული ფსიქოლოგიის კარგი სპეციალისტი უნდა იყოს. ეს მისთვის უაღრესად საჭირო სპეციალობაა. სკოლის ფსიქოლოგს მის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემებზე სწორად რეაგირებისათვის, გარდა უნივერსიტეტში მიღებული განათლებისა, სჭირდება თავდაუზოგავი თვითგანათლება. ახალგაზრდა უნივერსიტეტში ყველაფერს ვერ ისწავლის. მოსწავლეებთან კი ცდისა და შეცდომის მეთოდით ვერ იმუშავებს. სკოლის ფსიქოლოგის ყოველი ნაბიჯი კარგად უნდა იყოს გააზრებული.

2. სკოლის ფსიქოლოგი საფუძვლიანად უნდა იყოს დაუფლებული კვლევის ფსიქოლინგვისტიკურ მეთოდებს. მარტო ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონის დასადგენად მრავალი ტესტი და კითხვარი არსებობს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას უნდა შეებლოს იმ მეთოდების მომარჯვება, რომლებიც არსებული სიძნელის მიზეზის უკეთ გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

დაბოლოს, ის კარგად უნდა იყოს დაუფლებული ტესტირებით მიღებული მასალის დამუშავებას. სამწუხაროდ, ბევრს ჰგონია, რომ ტესტირებით მიღებული ბალების უბრალო დაჯამებით, ადვილად შეიძლება სწორი ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმა. მიღებული მასალის კარგად გააზრება, თეორიულ მომზადებასთან ერთად, კარგ პრაქტიკულ გამოცდილებას საჭიროებს.

3. სკოლის ფსიქოლოგი უზომოდ უნდა იყოს შეყვარებული თავის პროფესიულ საქმიანობაზე. მას უნდა შეეძლოს ბავშვის დეტალური გამოკვლევის საფუძველზე ზუსტი ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმა. მაგრამ ის ამით არ უნდა კმაყოფილდებოდეს და ყურადღებას არ უნდა აკლებდეს ბავშვის ბედს, იმას თუ როგორ მიდის რეაბილიტაციის პროცესი, მართლდება თუ არა მისი დიაგნოზი, ხომ არ არის საჭირო გზადაგზა რაიმე კორექტივის შეტანა.

ფსიქოლოგი უნდა ფლობდეს ბავშვებთან ურთიერთობის განსაკუთრებულ უნარს. ესაა: თბილი, გულისხმიერი, ყურადღებანი დამოკიდებულება ბავშვებთან. ასეთ დროს ბავშვი “იხსნება” ფსიქოლოგის წინაშე, გადაილახება შიშის, უნდობლობის, სიმორცხვის ბარიერი. ზოგადად რომ ვთქვათ, სკოლის ფსიქოლოგს უნდა უყვარდეს ბავშვი, სიამოვნებდეს მასთან მუშაობა.

4. სკოლის ფსიქოლოგი უნდა იყოს კომუნიკაბელური პიროვნება. ის ადვილად და ძალდაუტანებლად უნდა ახერხებდეს ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებას. ცხადია, ეს მას სჭირდება მოსწავლეებთან ურთიერთობაში, მაგრამ განსაკუთრებით ღირებულია ის მასწავლებლებთან და მშობლებთან კონტაქტის დროს.

აღინიშნა, რომ მოსწავლეებთან გულდია დამოკიდებულება ღირებულია მათთან დიაგნოსტიკური მუშაობის დროს, რათა ბავშვი ნდობით განეწყოს ფსიქოლოგის მიმართ, მაგრამ ფსიქოლოგს განსაკუთრებით სჭირდება მოსწავლის ნდობის მოპოება, როცა მასთან საკორექციო მუშაობა დაიწყება. მაგალითად,

თუ ძნელა დაღსაზრდელი მოსწავლე არ გრძნობს, რომ ფსიქოლოგი ნამდვილად დაინტერესებულია მისი ბედით, მოსწავლის საქმიანობით დაინტერესება ნაკარნახევია კეთილი სურვილით და არა იოვალეობის მოხდის მიზნით, თუ ის ნდობით არ განიმსჭვანვეს ფსიქოლოგის მიმართ, არაფერი გამოვა. მოსწავლის ახლებურად აღზრდის ყველა მცდელობა კრახით დამთავრდება.

5. აკამიანებთან, განსაკუთრებით პრობლემურ პირებთან კონტაქტის დამყარება გამოცდილებასთან ერთად ხასიათის ისეთი თვისებების ფლობას საჭიროებს, როგორცაა: გულღიანობა, გულწრფელობა, თანაგრძნობის უნარი. ფსიქოლოგი ირგვლივ უნდა აფრქვევდეს სიკეთეს. ხასიათის ასეთი თვისებები მხოლოდ სწავლით არ შეიძინება. ისინი ყალიბდებიან აღზრდის ხანგრძლივ პროცესში, დაწყებული ოჯახური აღზრდით, რომელიც შემდეგ გამყარდება და კიდევ უფრო განვითარდება ბაღში და სკოლაში მიღებული სოციალური ზემოქმედებით. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სკოლის ფსიქოლოგი მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლად არ უნდა გრძნობდეს თავს, ის სკოლაში უბრალოდ კი არ უნდა “მსახურობდეს”, არამედ უნდა უნდოდეს მუშაობა, მასწავლებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობა. ეს ყველაფერი მას სათანადო განწყობის სახით უნდა ჰქონდეს გაფიქსირებულ ი.

6. ფსიქოლოგს მოუწევს კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს და თვით მასწავლებლებს შორის. ყველა შემთხვევაში ფსიქოლოგი არ უნდა გამოჩნდეს როგორც მათზე მალა მდგომი, მათი მასწავლებელი. ის უნდა იღწვოდეს კონფლიქტების მოგვარებისათვის და ამშვიდებდეს მოქიშპეებს. მას უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ მათთან თანამშრომლობით შეუძლია საქმის გაკეთება და ყოველნაირად უნდა განერიდოს მათ განაწყენებას. ფსიქოლოგი და პედაგოგი თანამოაზრეები უნდა იყვნენ, მაგრამ ერთმანეთის ფუნქციებში არ უნდა იჭრებოდნენ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს ისე, რომ ხელი შეუწყონ ერთმანეთს.

ასეთივე ტაქტიკა საჭირო მშობლებთან ურთიერთობის დროსაც. ზოგიერთი მშობელი საკმაოდ ჭირვეულია, როცა საქმე მის შვილს ეხება. მაგრამ როგორი აგრესიულიც არ უნდა იყოს ის ფსიქოლოგის მიმართ, ამ უკანასკნელმა არ უნდა დაკარგოს თავშეკავება და აგრესიას კეთილი განწყობა უნდა შეაგებოს. მხოლოდ ასეთ დამოკიდებულებას შეუძლია მშობლის ნდობის მოპოვება და შვილის მიმართ განხორციელებულ საკორექციო ღონისძიებებში მისი ჩართვა.

ყოველივე ეს მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მომზადებას. ისმება კითხვა, ვინ შეიძლება მუშაობდეს სკოლის ფსიქოლოგად? ეს კითხვა მით უფრო უპრიანია, რომ აქ შეიძლება სერიოზული შეცდომის დაშვება, ისეთი შეცდომისა, როგორიც არ გვხვდება საგნების მასწავლებელთა დანიშვნის დროს. მათემატიკის მასწავლებლად ისტორიკოსს არ დანიშნავენ, ზოლო ფიზიკის სწავლებას ფილოლოგს არ მიანდობენ. სამწუხაროდ, სკოლის ფსიქოლოგად შეიძლება დანიშნონ, და ზოგჯერ ასეც ხდება, სხვა საქცილობის ადამიანი. კიდევ მეტი, სკოლის ფსიქოლოგად არ უნდა ინიშნებოდეს ფსიქოლოგიის სპეციალობა დამთავრებულიც, თუ მას საფუძვლიანად არ გაუვლია სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის კურსი და არ მიუღია პრობლემურ ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

ცუდია არა მხოლოდ ის, რომ არასპეციალისტი პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მოვალეობას ვერ შეასრულებს, არამედ კიდევ უარესი ისაა, რომ ეს ახდენს ფსიქოლოგიური სამსახურის დისკრედიტაციას. ყველა ვინც უყურებს ასეთი არასპეციალისტის მუშაობას, ნეგატიურად განეწყობა არა მხოლოდ მის მიმართ, არამედ საერთოდ ფსიქოლოგიური სამსახურის მიმართაც.

მაშ ვინ უნდა მუშაობდეს სკოლის ფსიქოლოგად? მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური განათლება მიღებული ფსიქოლოგი, რომელსაც სხვა სპეციალურ საგნებთან ერთად გავლილი აქვს სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ვრცელი კურსი და შესატყვისი ფსიქოლოგიური პრაქტიკა სკოლაში. სწორედ ამის გამო აუცილებლობამ მოითხოვა სკოლის ფსიქოლოგიის სპეციალისტთა მომზადება.

სპეციალისტები მოითხოვენ, და ამას ჩვენც ვეთანხმებით, რომ სკოლის ფსიქოლოგიის სპეციალობით კურსდამთავრებულმა უნდა გაიაროს სტაჟირება, სანამ ის თავისი შტაბით მივა სკოლაში



**თავი 10  
ფსიქიკური განვითარების შეფერხება**

**6.10.1. ფსიქიკური განვითარების შეფერხების  
ცნება**

სკოლაში ყოველთვის არის ბავშვთა გარკვეული კონტინგენტი, რომელიც ერთგვარად დაქვეითებული ინტელექტუალური შესაძლებლობებით გამოირჩევა და ამიტომ ძალიან უჭირს მასობრივ სკოლაში სწავლა. ისინი არ არიან ძოლად გონებრივად ჩამორჩენილები, მაგრამ მათ მეზობლად, ნორმის ქვედა ზღვარზე იმყოფებიან. ასეთ ბავშვებს მონდომების შემთხვევაშიც, სწავლაში პრობლემები ექმნებათ. ისინი გარკვეულ პრობლემებს პედაგოგებსაც უქმნიან. მათზე ცოტა უფრო ვრცლად შეჩერება მით უფრო მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ იმ მოსწავლეთა საკმაო რაოდენობას, სწავლაში ჩამორჩენის გამო საკორექციო დახმარებას რომ საჭიროებენ, სწორედ ასეთი ბავშვები წარმოადგენენ.

ფსიქიკური განვითარების შეფერხება ორი მიზეზითაა გამოწვეული: ცენტრალური ნერვული სისტემის მსუბუქი დაზიანებით და ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის არახელსაყრელი სოციალური გარემოთი. ორგანული დაზიანების დროს შესუსტებულია ცენტრალურ-ნერვული სისტემის მოქმედება, მაგრამ ის არ არის ისეთი შეუქცევადი, როგორც გონებრივი ჩამორჩენის დროსაა და ამიტომ მას საკმაო

კომპენსატორული შესაძლებლობები გააჩნია. დროთა განმავლობაში სწორად წარმართული პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად მოსწავლის შემეცნებითი აქტივობა საგრძნობლად უმჯობესდება და სწავლაში ბავშვის წარმატებაც შესაძრწნევი ხდება. მთავარია, ამ დრომდე ბავშვი ელემენტარულ ცოდნას მაინც ფლობდეს. შემდგომში უკეთესად სწავლის შედაგად ის საშუალო სკოლას ამთავრებს, მაშინ როცა დამხმარე სკოლაში გაგზავნის დროს მისი განათლება დაწყებითი სკოლის პროგრამულ მასალას არ გასცდებოდა.

### **6.10.2. ფსიქიკური განვითარება შეფერხებულ ბავშვთა კონტინგენტი**

უკვე აღინიშნა, რომბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფერხების ძირითადი მიზეზებია: ორგანული დაზიანება, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციობის მსუბუქ დაქვეითებაში გამოიხატება და არახელსაყრელი სოციალური გარემო. ორგანული დაზიანებით გამოწვეულ შეფერხებიდან ბავშვთა ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფოფენ: ინფანტილიკებს და ასთენიკებს. მათთვის დამახასიათებელია ის, რომ სკოლაში შესვლიდანვე ძალიან უჭირთ სწავლა და სპეციალური საკორექციო ღონისძიებების გატარების გარეშე ისინი უიმედო ოროსნები ხდებიან.

*ინფანტილიკს* (ლათ. *infantilis* – ბავშვური) უწოდებენ ისეთ ბავშვს, რომელსაც არ უდასტურდება განვითარებაში მკვეთრად გამოხატული ფსიქოლოგიური ხასიათის დარღვევები, არ ეტყობა რომელიმე ფსიქიკური პროცესის(ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების და სხვათა) მკვეთრი დაქვეითება, როგორც ეს ოლიგოფრენიის დროსაა. თანაფარდობა შემეცნებით პროცესებს, ნებისყოფასა და გრძნობებს შორის არ არის დარღვეული მაგრამ განვითარებაში გადახრას მაინც აქვს ადგილი და იგი იმაში გამოიხატება, რომ ბავშვის ფსიქიკური განვითარების დონე მის ასაკს ჩამორჩება. ასე მაგალითად, 6 წლის ინფანტილიკი ფსიქიკური განვითარებით, 5 წლის(ზოგჯერ უფრო მცირე ასაკის)

ბავშვის დონეზე. თუ 6 წლის ინფანტილიკს ისეთ ამოცანებზე რეაგირების საჭიროების წინაშე დავაყენებთ, რომელიც 5 წლის ასაკზეა გათვლილი, მაშინ ის წარმატებით ძლევს პრობლემებს.

ინფანტილიკი ბავშვი ფიზიკური კაპიტუსითაც უფრო დაბალი ასაკის ბავშვივით გამოიყურება. სკოლამდელ ასაკში ნსპეციალური ტესტური შემოწმების გარეშე ბავშვის გონებრივი ინფანტილურობის დადასტურება ძნელაა. ამ ასაკში ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა თამაშია. ინფანტილიკსაც მეტი არ მოეთხოვება და ისიც თამაშობს ისე როგორც მოესურვება. მას უამრავი არჩევანი აქვს და იმას აკეთებს, რასაც მისი გონება გასწვდება. ჯერ მის წინაშე არ დგება ისეთი სიძნელები, რომელთა მიმართ რეაგირება მას გაუჭირდება, როგორც ამას შემდეგში, სკოლაში აქვს ადგილი.

სულ სხვა ვითარება იქმნება, როცა ასეთი ბავშვი სწავლას იწყებს. სწორედ მაშინ დგება ის ისეთი ამოცანების გადაჭრის საჭიროების წინაშე, რომლებზეც რეაგირება მის სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ვალდებულია შეასრულოს. ასეთია სწავლა. სწორედ სწავლის პროცესში გამოჩნდება ასეთი ბავშვის ფსიქიკური უნარების შეზღუდულობა. მას განსაკუთრებით უჭირს მათემატიკაში. მათემატიკა აზროვნების ყველა ოპერაციის (ანალიზი, სინთეზი, განყენება) გარკვეულ დონემდე განვითარებას მოითხოვს. ინფანტილიკს კი ეს უნარები მისი ასაკის შესატყვისად არა აქვს განვითარებული, ამიტომ ვერ ეუფლება იმ მასალას, რასაც ასაკის შესატყვისად განვითარებულები ძლევენ. ინფანტილიკს ეტყობა არა მხოლოდ შემეცნებითი პროცესების მოუწმიფებლობა, არამედ იმავე დონით სუსტია მისი ნებისყოფაც. ამიტომ მას არა აქვს თავშეკავების უნარი. კლასში მეცადინეობის ნაცვლად ის მეტწილად თამაშობს.

ბავშვის ინფანტილიზმი კარგა ხანია იქცევა ყურადღებას. თავდაპირველად, ასეთ ბავშვს ოლიგოფრენად თვლიდნენ და ამ ფენომენს “შერბილებულ გონებრივ ჩაბორჩენას” უწოდებდნენ. მაგრამ შემდგომი დაკვირვებების შედეგად დამკვიდრდა ის აზრი, რომ ეს ასე არ არის. საკმაოდ დამაჯერებლად იქნა

დამტკიცებული. რომ მართალია, ასეთი ბავშვები, გონებრივი განვითარების დონით ჩამორჩებიან მათი ასაკის ბავშვთა უმრავლესობას, მაგრამ მანც არ არიან ოლიგოფრენები. ამიტომ დაუშვებელია მათი სპეციალურ(დამხმარე) სკოლებში გაგზავნა.

ინფანტილიკების ოლიგოფრენებისაგან განმასხვავებელი უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ ოლიგოფრენია მყარი, არაპროცესუალური მდგომარეობაა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოქმედებს. გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვს მთელი სიცოცხლე შერჩება ინტელექტის დეფიციტი, მაშინ როცა ინფანტილიკი, ხელსაყრელ პირობებში ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებას აღწევს. ამიტომ მისთვის გონებრივად ჩამორჩენილის იარაღის მიწება დაუშვებელია.

აქედან გამომდინარე, თუ დადასტურდა, რომ ბავშვი ინფანტილიკია, სჯობია სკოლაში ერთი წლის დაგვიანებით (7 წლის) შევიყვანოთ. ერთი წლის განმავლობაში ბავშვის ფსიქიკური მოწიფება საკმაოდ უმჯობესდება. გარდა ამისა, ეს დრო შეიძლება გამოყენებული იქნას მისი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლადაც და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, სამკურნალოდაც.

ინფანტილიკ ბავშვთა მდგომარეობა გაართულა კიდევ იმ გარემოებამ, რომ თუ ადრე სკოლაში 7 წლის ბავშვი შეჰყავდათ, ახლა 6 წლისა მიჰყავთ. ამიტომ უფრო მკვეთად გამოიკვეთა ის სიმნელები, რასაც სკოლაში ჩარიცხული ასეთი ბავშვი აწყდება სწავლაში. სამწუხაროდ, სკოლაში ბავშვის ჩარიცხვისას არავინ აქცევს ყურადღებას იმას არის თუ არა ის სწავლისათვის მოწიფებული. ამიტომ სკოლაში ინფანტილიკის წინაშე ერთბაშად ისეთი მოთხოვნები დგება, რომელთა საპასუხოდ ის მზად არ არის.

*ცერებრალური ასთენია* (ლათ. serebrum—ტვინი და ბერძ. astheneia—სისუსტე) დაკავშირებულია თავის ტვინის მსუბუქ დაზიანებასთან. მიუხედავად სიმსუბუქისა, ტვინის დაზიანება სერიოზულად აფერხებს სკოლაში ახლად სწავლადაწყებული ბავშვის ფსიქიკურ აქტივობას. ასთენიის დროს დაქვეითებულია ძირითადი ნერვული პროცესების(ავზნება-შეკავების) ტონუსი,

აღინიშნება მათი დიდი განვლადობა. მაშინაც, როცა ბავშვი ნორმალურად იწყებს მუშაობას, სწრაფად იღლება და ამიტომ თანაკლასელთა თანაბრად ვერ იტანს როგორც ფიზიკურ ისე ფსიქიკურ დატვირთვას. ამის გამო, მეცადინეობის დროს ის სწრაფად იღლება და ეთიშება სწავლების პროცესს.

ასთენიკს დაქვეითებული აქვს ფსიქიკური მუშაობის-უნარიანობა, მაგრამ პირველადი ინტელექტი, რომელიც ბავშვის გონებრივი განვითარების პოტენციურ საფუძველს წარმოადგენს, შენარჩუნებულია. სწორედ ამით განსხვავდება ასთენიკი ბავშვი ოლიგოფრენებისაგან, რომელთაც გონებრივი განვითარების პოტენციური შესაძლებლობა აქვთ შეზღუდული. ამის გამოა, რომ ოლიგოფრენების გონებრივი განვითარება ხელსაყრელ პირობებშიც კი ვერ გახდება ნორმალური. ცხადია, ოლიგოფრენების, განსაკუთრებით მსუბუქი ფორმის ბავშვთა შემეცნებითი პროცესებიც ვითარდებიან, მაგრამ სპეციფიკური, ნორმისაგან განსხვავებული კანონზომიერებით და ნორმალური ადამიანის გონებრივი განვითარების დონეს ყველა ასაკში ჩამორჩებიან.

ტ. ვლასოვა ასთენიკი ბავშვის უნარშეზღუდულობას შემდეგნაირად ახასიათებს “სასწავლო მუშაობის პროცესში ასეთ ბავშვს ადვილად ეწყება დაღლა, ნერვული გამოფიტვა, თავის ატკივება. ამის გამო, მას უქვეითდება მუშაობისუნარიანობა, აღინიშნება მეხსიერების, ყურადღების სისუსტე. ბავშვს დავალების შესრულებისას უჭირს ყურადღების კონცენტრირება, არის გაფანტული. ყველაფერი ეს მას უქმნის რეალურ სიძნელეებს სწავლაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ასთენიკური მდგომარეობის დროს, თუმცა არ აღინიშნება მეტყველების ლოკალური დარღვევები, ბავშვს უძნელდება კითხვის, წერისა და ანგარიშის დაუფლება. კითხვის დროს ხშირად კარგავს სტრიქონებს, არ გამოყოფს წინადადებებს, კითხულობს გულვებით(მიხვედრილობით), არ აკეთებს აზრობრივ მახვილებს. წერის დროს უშვებს მრავალნაირ შეცდომას: გამოტოვებს ასოებს, მარცვლებს, სიტყვებს, გადაადგილებს ასოებს, არ ამთავრებს ასოებისა და სიტყვების წერას, აერთიანებს რამდენიმე სიტყვას, თანაც ტოვებს ასოებს,

მარცვლებს, ზოგჯერ პირიქით, აორმაგებს მათ.

ართომეტიკის სწავლებისას ასთენიკი ხშირად ვერ ეუფლება რიცხვის წარმოდგენას, ზეპირი ანგარიშის ხერხებს, ცუდად იხსომებს გამრავლების ტაბულას, გონებაში ვერ ინარჩუნებს ამოცანის პირობას, კარგავს ცალკეულ ელემენტებს, რაც აძნელებს მის გადაწყვეტას. აღნიშნული სიმპტომების ხარისხი დამოკიდებულია როგორც ბავშვის მდგომარეობაზე ისე იმ პირობებზე, რომლებშიც მისი საქმიანობა მიმდინარეობს. დაღლის გაძლიერების და მშვიდი მუშაობის პირობების უქონლობისას, ბავშვების სწავლითი ქცევის პროდუქტულობა მკვეთრად მცირდება. შეინიშნება აგრეთვე მათი ქცევის სპეციფიკური თავისებურებებიც. ზოგიერთი მათგანი აგზნებული, მოუსვენარი, ზედმეტად მოძრავი, გაღიზიანებული და მტირალაა. მეორენი, პირიქით, მოდუნებულები, გაუბედავნი, ზანტები და შებოჭილები არიან. ხშირად იმის შიშით, შეცლომით არ უპასუხონ, საერთოდ უარს ამბობენ გაკვეთილის მოყოლაზე”(10 224-25).

მოტანილ ციტატაში მოცემულია ცერებრალური ასთენიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი ანომალიები: ბავშვის სწრაფი დაღლაობა, ტონუსის მოდუნებულობა, გაფანტულობა, მუშაობის უნარიანობის არამდგრადობა. სწორედ ეს ნიშნები განასხვავებს ასთენიკს ინფანტილიკისაგან. მათ შორის ბევრია ისეთი, რომელთა გონებრივი განვითარების დონე მის ასაკს შეესატყვისება, მაგრამ მაინც უჭირს სწავლა, რადგან სწრაფი დაღლაობის გამო ქვეითდება ბავშვის საერთო ფსიქიკური აქტიობა. ამიტომ დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიჰყავს.

სოციალური ფაქტორებით გამოწვეული შეფერხება. ფსიქიკური განვითარების შეფერხება ყოველთვის არ არის დაკავშირებული ბავშვის ცენტრალურ-ნერვული სისტემის რაიმე სახის დაზიანებასთან. ბავშვის ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს არახელსაყრელი სოციალური გარემო. ბავშვის ფსიქიკა მაშინ ვითარდება ნორმალურად, როცა მისი მატერიალური სუბსტრატით(თავის ტვინი) ჯანსაღია და მასზე გარემოს ზემოქმედება მაქსიმალურად

უწყობს ხელს განვითარებას. სამწუხაროდ, ბავშვებს ყოველთვის არ ხვდებათ ასეთი კარგად ორგანიზებული სოციალური გარემო, რაც მათ ფსიქიკურ განვითარებას აფერხებს ან ამრუდებს და ასოციალურ მიმართულებასაც კი აძლევს. თუ ინფანტილიკსა და ცერებრალურ ასთენიკს ფსიქიკურ განვითარებაში ხელს უშლის ორგანული სახის შეზღუდვა, სოციალურად გაპირობებულ განვითარების შეფერხებას მსგავსი საფუძველი არ გააჩნია. ის შუა მოუწესრიგებელმა სოციალურმა გარემომ და მისი შეეღა ამ გარემოს მოწერიგებაზეა დამოკიდებული.

სოციალური ფაქტორებით გამოწვეული ფსიქიკური განვითარება შეფერხებული ბავშვის რეაბილიტაცია უფრი წარმატებით ხორციელდება ვიდრე ორგანული დაზიანების მქონე მოსწავლისა. არახელსაყრელი სოციალური გარემო აფერხებს, ხელს უშლის ბავშვის ოპტიმალურ ფსიქიკურ განვითარებას, ანელებს ამ პროცესს. მაგრამ თუ ბავშვს შევუქმნით უფრო ხელსაყრელ გარემო პირობებს, განვითარება ჩქარდება და ნორმალური ხდება. სწორად წარმართული კორექციის შემთხვევაში ბავშვის სწავლითი საქმიანობა მკვეთრად უმჯობესდება. ერთადერთი დაბრკოლება შეიძლება იყოს ის ჩამორჩენა, რასაც ადგილი ჰქონდა კორექციის დაწყებამდე, მაგრამ ესეც არ არის დაუძლეველი.

### **6.10.3. ფსიქიკური განვითარება შეფერხებულ ბავშვებისადმი დახმარება**

ფსიქიკური განვითარება შეფერხებულ მოსწავლეებთან მუშაობა საქმის ცოდნას და მიზანმისწრაფებულობას მოითხოვს. მუშაობა დიდ დროს და ენერგიას საჭიროებს, მაგრამ სავსებით რეალური შედეგის მიღწევაა შესაძლებელი. ბავშვი, რომელიც არც ისე შორეულ წარსულში დამხმარე სკოლაში იგზავნებოდა და დაწყებითი სკოლის განათლებით კმაყოფილდებოდა, სწორად წარმართული საკორექციო მუშაობის შედეგად, სრულ საშუალო განათლებას ღებულობს.

ფსიქიკური განვითარება შეფერხებული მოსწავლეები იმათ შორის არიან საძიებელი, რომლებიც დაწყებით კლასებში ცუდად სწავლობენ და ამიტომ პედაგოგები “დებილებს” რომ ეძახიან. მათი ფსიქიკური შესაძლებლობების შემოწმების და ფსიქოლოგიური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა მასწავლებელს არა აქვს. ეს ფსიქოლოგმა უნდა გააკეთოს.

ფსიქიკური განვითარება შეფერხებული ბავშვის დასახმარებლად საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება:

1. ჯერ უნდა დადგინდეს განვითარება შეფერხებულია თუ არა ბავშვი. ამის გაკეთება არც ისე ადვილია. დებილობის მსუბუქი ფორმა ძალიან ჰგავს განვითარების შეფერხებას. ისინი გონებრივი განვითარების შკალაზე მეზობლები არიან. ამიტომ ფსიქიკური განვითარების შეფერხებისათვის ყურადღების მიქცევა, ძირითადად, სწავლის დაწყების შემდეგ ხდება. ამიტომაც საჭირო იმ ბავშვის დაუყოვნებლივ ფსიქოლოგიური შესწავლა, რომელიც თავიდანვე ცუდად იწყებს სწავლას. საჭიროა ასეთი ბავშვის კომპლექსური შესწავლა. გამოყენებული უნდა იქნას როგორც გონებრივი განვითარების დიაგნოსტიკა ისე ანაბნეზური მასალის გულდასმით გაცნობა.

2. უნდა გაირკვეს, შეფერხების რომელ ფორმას ეკუთვნის ბავშვი: ინფანტილიკია ის თუ ასთენიკი. თითოეული მათგანი განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. ინფანტილიკს უფრო განვითარებაში ასაკობრივი ჩამორჩენა უშლის ხელს. ამიტომ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შეიძლება საჭირო გახდეს მისი სკოლაში ერთი წლის დაგვიანებით შეყვანა, ხოლო მანამდე განმავითარებელი საკორექციო ღონისძიებების ჩატარება. თუ ბავშვი უკვე სწავლობს, მაშინ საკორექციო მუშაობა რეკომენდირებული. მიზანშეწონილი არ არის ბავშვის მეორე წელს ჯგუფში დატოვება. ეს ღონისძიება კიდევ უფრო აფიქსირებს ჩამორჩენას.

ასთენიკებს იმდენად გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენა არ აწუხებთ რამდენადაც სწრაფი დაღლადობა, ყურადღების სისუსტე. ამიტომ მათთან თავიდანვე საკორექციო მუშაობა უნდა



დაიგეგმოს. ბავშვი დიდხანს ვერ უძლებს მეცადინეობით დაკავებას. ამიტომ გარკვეული პერიოდის შემდეგ საჭიროა ისეთი პატარა დავალების მიცემა, რომლის შესრულება მისთვის საინტერესოა, ხოლო შემდეგ ისევ დაწყებულ სამუშაოზე მიბრუნება. თანდათანობით უნდა გაიზარდოს სამუშაოთი დაკავების დრო. არ შეიძლება ბავშვზე გაწყრომა, როცა მას დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიჰყავს. მაგრამ იმ მცირედისთვისაც, რასაც ის აკეთებს, შეიძლება შევაქოთ. ძალიან კარგია პარალელურად ბავშვის ჯანმრთელობის გაკაუებაზე ზრუნვა. ძნელია ყველა იმ საშუალების ჩამოთვლა, რასაც საკორექციო მუშაობა მოითხოვს. მათზე საკორექციო მუშაობის დაგეგმვის დროს უნდა იქნას ყურადღება გამახვილებული.

3. რაც უფრო ადრე იქნება შემჩნეული ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხება და დაიწყება საკორექციო მუშაობა, მით უფრო კარგი შედეგი მიიღება. ყველაზე კარგია განვითარებაში შეფერხების შემჩნევა ბალის ასაკში. მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, სკოლაში სწავლის პირველსავე წელს მაინც უნდა მიექცეს ბავშვს ყურადღება. მომდევნო წლებში განვითარებაში ჩამორჩენას ცოდნის დეფიციტი ამძიძებს და ვითარება კიდევ უფრო რთულდება.

4. მასწავლებელს სისტემატური ყურადღების ქვეშ უნდა ჰყავდეს ასეთი მოსწავლე. ხშირადაც უნდა ეკითხებოდეს მას. შემჩნეულია, რომ პედაგოგები თითქმის არ რთავენ მას ისეთ საქმეებში, სადაც მოსწავლის აქტიურობაა საჭირო. მაგალითად, მასწავლებელი ახალი გაკვეთილის ახსნის შემდეგ რაძდენიმე წუთს იტოვებს და კლასს უსვამს შეკითხვებს ახსნილის ირგვლივ. ის, როგორც წესი, ასეთ მოსწავლეს არ ეკითხება. მიზეზია დროის დეფიციტი. მისი აზრით, ასეთი ბავშვის “წვალება” დროის ფუჭად დაკარგვაა. ეს მცდარი აზრია. პირიქით, მასწავლებელმა ხშირად უნდა ჰკითხოს მას, მისცეს არც ისე ძნელ კითხვებზე პასუხის საშუალება. რაც უფრო ხშირად უხდება ბავშვს აზრის გამოთქმა, მით უფრო ვითარდება მისი აზროვნება და სრულყოფილი ხდება მეტყველება.

5. საჭიროა მშობლების კონსულტირება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები გაატარონ მათ შვილის ფსიქიკური განვითარებისათვის ხელშესაწყობად. ცხადია, ისინი აუცილებლად უნდა ჩაერთონ ფსიქოლოგის მიერ დაგეგმილ საკორექციო ღონისძიებებში.

ამის შემდეგ, მასწავლებელთან ერთად იწყება საკორექციო სამუშაოების დაგეგმვა. როგორც ითქვა, ფსიქიკური განვითარება შეფერხებული ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის კორექცია ხანგრძლივი პროცესია. ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი ორია: გარკვეული შეზღუდვა, რომელიც ბავშვს გააჩნია და მისი ასაკის პროგრამული მასალის ცოდნის დეფიციტი. ამიტომ, თუ პედაგოგმა მონდომებით არ მოჰკიდა ხელი საკორექციო მუშაობას, მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო დამძიმდეს, ჩამორჩენა კიდევ უფრო გაფიქსირდეს. ამიტომ ფსიქოლოგმა ბოლომდე უნდა მიაღწეოს თვალყური რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობას და დაეხმაროს პედაგოგს დაბრკოლებათა დაძლევაში.

## თავი 11

### სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეები

---

მოკლედ გავეცანით იმ მრავალფეროვან სამუშაოს, რაც სკოლის ფსიქოლოგს აკისრია. ყველა ისინი საყურადღებოა და ფსიქოლოგი მათ გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ მათ შორის არის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა დაძლევა მას ყველაზე მეტად მოეთხოვება. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური სწორედ მათ მოსაგვარებლად იქნა შემოტანილი და სკოლას რომ ისინი არ აწუხებდეს, იქ ფსიქოლოგს იმდენი არაფერი ექნებოდა გასაკეთებელი, რომ სკოლაში თავისი შტატით შეყვანა ყოფილიყო საჭირო. ისევ გვინდა გავხაზოთ, რომ ლაპარაკი სკოლაში მომუშავე ფსიქოლოგზე და არა იმათზე, სკოლის გარეთ საკონსულტაციო პუნქტებში რომ მუშაობენ. სკოლის

ფსიქოლოგიური სამსახურის წინაშე მდგარი უმთავრესი პრობლემებია: სწავლაში ჩამორჩენილ და ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობა.

გარდა ამისა, ძალიან სპეციფიკურია ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობაც. ბევრი პედაგოგი ფიქრობს, რა საჭიროა ასეთ მოსწავლეებთან სპეციალური მუშაობის ჩატარება, როცა ისინი ისედაც ბრწყინვალედ სწავლობენ. საჭიროა, რომ მათ კარგად ვასწავლოთ მათთვის განკუთვნილი საგნობრივი პროგრამული მასალა. თუ კარგად გავაანალიზებთ საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას ვნახავთ, რომ ასეთი შეხედულება მცდარია (იხ. თავი 12).

ასევე საყურადღებოა იმ ბავშვებისადმი დახმარება, რომელთაც გარკვეული სახის ნერვულ-ემოციური სფეროს დარღვევები გააჩნიათ. ნევროზი შეიძლება აწუხებდეს ნებისმიერი მოსწავლის მოსწავლეს. ასეთ ბავშვს დროზე უნდა მიშველება, რათა ისე არ გაურთულდეს საქმე, რომ კლინიკის პაციენტად იქცეს.

### **6.11.1 სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა**

სკოლის უპირველესი მოვალეობაა ასწავლოს ბავშვებს. ყველა დანარჩენი, რაც მათი აღზრდის მიმართულებით კეთდება სწავლების პროცესში ხორციელდება. ამიტომ სკოლის უპირველესი სატკივარი ის სიძნელებებია, რომლებიც ხელს უშლიან ბავშვებს ისწავლონ მათი უნარ-შესაძლებლობების შესატყვისად. თუ ბავშვებს განვითარების ნორმალური ფსიქოფიზიკური მონაცემები გააჩნიათ, მათ მეტნაკლები წარმატებით, მაგრამ მაინც შეუძლიათ მათი ასაკისათვის განკუთვნილი პროგრამული მასალის ათვისება ყველა საგანში. სამწუხაროდ, არც ისე იშვიათად, ეს ასე არ ხდება. ბავშვთა ერთი ნაწილი ცუდად სწავლობს. ასეთ ბავშვებს უწოდებენ სწავლაში ჩამორჩენილებს. სკოლა ვალდებულია შესაძლებლობის მაქსიმუმში გააკეთოს ასეთ მოსწავლეთა დასახმარებლად. ამ საქმეში მონაწილეობა სკოლის

ფსიქოლოგის უპირველესი მოვალეობაა.

ცნების განსაზღვრება. როგორი ბავშვი უნდა ჩაითვალოს სწავლაში ჩამორჩნილად? ჩვეულებრივ, ასეთად თვლიან ისეთ მოსწავლეს, რომელსაც ერთ ან რამდენიმე საგანში არაა დამაკმაყოფილებელი შეფასება აქვს და იმედი არ არსებობს იმისა, რომ ის ჩამორჩენას დამოუკიდებლად, სპეციალური დახმარების გარეშე გამოასწორებს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? როგორც ადრე იყო აღნიშნული, მიზეზი შეიძლება იყოს ორი რამ: ბავშვი ვერ სწავლობს ან არ სწავლობს. ცხადია, ჩამორჩენის მიზეზი გამოსაკვლევა და დიაგნოსტიკებით უნდა დადგინდეს. თუ ბავშვის გონებრივი განვითარების პოტენციური შესაძლებლობები ნორმაზე დაბალია, მაშინ მას არ შეუძლია სასწავლო საგნებში იმ პროგრამული მასალის ათვისება, რასაც სკოლა სთავაზობს. ამიტომ მისი სწავლება სხვანაირად უნდა მოხდეს. მას სპეციალურ სკოლაში გზავნიან ან ინკლუზიურ სწავლებაში ჩართავენ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე პრობლემებს ქმნიან ის ბავშვები, რომელთაც შეუძლიათ იქ ისწავლონ, მაგრამ ცუდად, მათი შესაძლებლობებზე უარესად სწავლობენ. ესენი იწოდებიან სწავლაში ჩამორჩენილებად. ნორმალური გონებრივი განვითარების პოტენციური მონაცემების მქონე ბავშვი, რომელიც თავის შესაძლებლობაზე უარესად სწავლობს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ის გამოწვეული, სწავლაში ჩამორჩენილია. ეს განსაზღვრება მთლიანად არ ესადაგება სწავლაში ჩამორჩენის ტრადიციულ გაგებას. მასწავლებლები, როგორც წესი, სწავლაში ჩამორჩენილებად არ თვლიან იმათ, რომლებიც დამაკმაყოფილებელ შეფასებას ღებულობენ ყველა საგანში, თუმცა გაცილებით უკეთესად შეუძლიათ ისწავლონ, ხოლო ზოგიერთ საგანს კი ბრწყინვალედაც დაეუფლონ.

სწავლაში ჩამორჩენა ცოდნის ორიანზე ან სამიანზე შეფასებაში არ მდგომარეობს. ყველა შემთხვევაში, თუ ბავშვი გაცილებით უარესად სწავლობს ვიდრე შეუძლია ისწავლოს, მაშინ ის სწავლაში ჩამორჩენილია. ასეთ ჩამორჩენას რამდენიმე სახის

უარყოფითი შედეგი მოსდევს: პირველ რიგში, ის ნაკლებ ცოდნას იძენს ვიდრე შეუძლია. მეორეც, მისი უნარები არ ვითარდებიან იმ დონემდე, რისი შესაძლებლობაც მას აქვს. მესამე და ძალიან ცუდი შედეგი ისაა, რომ სწავლისადმი ზერელე დამოკიდებულება უარყოფითად მოქმედებს ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე. საზოგადოების მომავალი მშენებელი უნდა იყოს მიზანდასახული, აქტიური, ენერგიული პიროვნება. იმ ბავშვიდან, რომელსაც სწავლა ეზარება, ასეთი პიროვნება არ ყალიბდება.

ძალიან ხშირად მოსწავლემ არც იცის თუ რამდენად ზარალობს ის სწავლისადმი ზერელე დამოკიდებულებით. ამიტომაც საჭიროა ყველა იმ მოსწავლისადმი დახმარება, რომლებიც თავის შესაძლებლობებზე უარესად სწავლობენ. საკორექციო ღონისძიებები იმასაც გულისხმობს, -ბავშვს დაანახვონ, რომ მას გაცილებით უკეთ შეუძლია ისწავლოს, ხოლო ისე სწავლა, როგორც ის აკეთებს, მისთვის საზიანოა.

### **6.11.2. სწავლაში ხელშემშლელი ფაქტორები.**

იმისათვის, რომ ებრძოლო სწავლაში ჩამორჩენის მიზეზებს, საჭიროა იცნობდე ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებებს და იმ ფაქტორებს, რომელთა ზემოქმედების პირობებშიც მიმდინარეობს განვითარების პროცესი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკორექციო მუშაობის დაწყებამდე, კარგად უნდა გქონდეს შესწავლილი ყველა ის ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ ჩამორჩენას. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძველზე შეიძლება მოხდეს. ალბათ, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება, ისინი დაგვით ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად, მით უფრო, რომ ზემოთ ფსიქოლოგიური სამსახურის საჭიროება ადამიანის ქცევის შემაფერხებელი ამ ფაქტორების ანალიზით დავასაბუთეთ.

ობიექტური ფაქტორები. როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ესენი ისეთი ფაქტორებია, რომელთა აღმოცენებაში

ბავშვი არ არის დამნაშავე. მას არც მათი გამოწვევა შეუძლია და არც მათი მოქმედების თავიდან აცილება. მათ დასაძლევად, მათი გავლენის აღსაკვეთად ბავშვს სჭირდება დახმარება და ეს დახმარება ძირითადად სკოლიდან შეუძლია მიიღოს. ასეთ ფაქტორთაგან უმთავრესია: სწავლისთვის მოუმწიფებლობა, ავადმყოფობა, არახელსაყრელი სოციალური პირობები, სწავლების ხარვეზები, ასაკობრივი პრობლემები. ვცადოთ, თუნდაც მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს..

ბავშვის სწავლისთვის მოუმწიფებლობა. როგორც ბოლო ხანებში მრავალ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, იმ ბავშვთა შორის, პირველად რომ ჯდებიან მერხზე, არც ისე მცირე რაოდენობით გვხვდებიან სწავლისთვის მოუმწიფებელნი. მათი შემეცნებითი პროცესები ჯერ კიდევ არ არის იმ დონემდე განვითარებული, რომ შესძლონ იმ პროგრამული მასალის ათვისება, რაც პირველ კლასელებისთვისაა გათვალისწინებული. ამიტომ, ისინი თავიდანვე იწყებენ ჩამორჩენას სწავლაში და, რაც დრო გადის, მათი მდგომეობა კიდევ უფრო უარესდება. სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები სწავლისთვის მოუმწიფებელ ბავშვთა რამდენადმე განსხვავებულ რაოდენობას უჩვენებენ, მაგრამ იგი არც ისე ცოტაა. მაგალითად, ჩეხი სპეციალისტების მონაცემებით მათი ქვეყნის პირველკლასელთა 16% სწავლისთვის მოუმწიფებელია.

ასეთ ბავშვთა სწავლისთვის მოუმწიფებლობა არ ნიშნავს მათ გონებრივ ჩამორჩენას. ზემოთ ფსიქიკური განვითარების შეფერხებაზე მსჯელობისას ვნახეთ(იხ. თავი 10), რომ ბავშვთა ერთი ჯგუფი, რომელთაც ინფანტილიკები ეუწოდეთ, ზუსტად ასეთები არიან. ექვსი წლის ასაკში სწავლისთვის მზად არ არიან ზოგიერთი სხვა კატეგორიის ბავშვებიც. როგორც წესი, ასეთი ბავშვები მასწავლებლებისათვის დებილები არიან. მათი მიდგომაც გასაგებია. მასწავლებელი რომ ბავშვს ვერაფერს ასწავლის, ის მას აღიქვამს როგორც დებილს. ფსიქოლოგის მოვალეობაა, სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეები პირველივე კლასში შეამოწმოს დიაგნოსტიკური მეთოდებით და თუ ბავშვი

გონებრივად ჩამორჩენილი არ არის, საკორექციო მუშაობის დაგეგმვის პარალელურად აუხსნას მასწავლებელს საქმის ვითარება და შეაცვლევინოს ბავშვის შესახებ შემუშავებული განწყობა. კორექციას ბავშვის მასწავლებელი ანზორციელებს და თუ მას წარმატების იმედი არა აქვს, არც მისი შრომა იქნება ნაყოფიერი.

არის სწავლისთვის მოუმწიფებელ ბავშვებთან მუშაობის კიდევ ორი გზა. პირველი, - ნუ შევიყვანთ ასეთ ბავშვს სკოლაში 6 წლის ასაკში. ერთი წლის განმავლობაში ბავშვის ფსიქიკური განვითარება დიდ ნახტომს აკეთებს. ამიტომ, თუ მას 6 წლის ასაკში სწავლა არ შეუძლია, 7 წლისა შეძლებს და ამ დროს შევიყვანოთ სკოლაში. მათი მდგომარეობის გაუმჯობესების კიდევ ერთი შესაძლებლობაა, საკორექციო მუშაობის დაწყება საბავშვო ბაღშივე. ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ბაღს ჰყავს პრაქტიკოსი ფსიქოლოგი(საქართველოში დაშვებულია ბაღის ფსიქოლოგის შტატიც). თუ ბაღშივე დადასტურდება ბავშვის გონებრივი განვითარების შეფერხება და სათანადო საკორექციო მუშაობით მოხდება მისი რეაბილიტაცია, ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება შექმნილი ვითარებიდან. თუ იქ რეაბილიტაცია ვერ მოხერხდა, ის მაინც იქნება ცნობილი, რომ ბავშვი სწავლისთვის მოუმწიფებელია და იმ წელს ნუ შევიყვანენ სკოლაში.

ბავშვის ავადმყოფობა. ხანგრძლივი ან ხშირი ავადმყოფობა მოსწავლეზე ორი სახის უარყოფით გავლენას ახდენს. ჯერ ერთი, ავადმყოფი ბავშვი ვერ მეცადინეობს ისე როგორც საჭიროა და, ცხადია, ცოდნის შეტენაშიც ეშლება ხელი და უნარის განვითარებაშიც. მეორე მხრივ, ავადმყოფობა ასუსტებს ბავშვის ცენტრალურ-ნერვულ სისტემას. განსაკუთრებით საზიანოა ისეთი დაავადებები, რომელთაც სიცხე ახლავს თან. ამ დროს ბავშვის ნერვული სისტემა კი არ ზიანდება, როგორც ოლიგოფრენიის დროს, არამედ სუსტდება მისი ფუნქციონა და როგორც კი ბავშვი მორჩება, ისიც ნორმალურად იწყებს მოქმედებას. მაგრამ სანამ ბავშვი ავადაა, ის გამოდის მისთვის სწავლაში ხელის შემშლელ დამატებით ფაქტორად.

თუ დადასტურდა, რომ სწავლაში ბავშვის ჩამორჩენის მიზეზი მისი ავადმყოფობაა, სანამ მკურნალობა მიმდინარეობს, ბავშვს უნდა გაეწიოს პედაგოგიური დახმარება, როგორც სკოლაში ისე მშობლებთან კონსულტაციის გზით, რათა მათ შეძლონ, შესაძლებლობის ფარგლებში, ამეცადინონ ბავშვი, როცა ის იძულებულია გააცდინოს გაკვეთილები.

**არახელსაყრელი სოციალური პირობები.** ბავშვისთვის სწავლაში ხელშემშლელი სოციალური პირობები რამდენიმე კომპონენტს შეიცავს. ასეთია მაგალითად, ცუდი ეკონომიური პირობები. ვთქვათ, პატარა ბინაში მრავალი სული ცხოვრობს და ბავშვი სავსებით მოკლებულია მეცადინეობის საშუალებას. ფსიქოლოგი ბავშვს საცხოვრებელ პირობებს ვერ გაუუმჯობესებს, მაგრამ შეუძლია სთხოვოს პედაგოგს, რათა მოსწავლეს დამატებითი მეცადინეობები დაუნიშნოს სკოლაში გაკვეთილამდე ან გაკვეთილის შემდეგ. საჭიროა მშობლებთანაც კავშირი, რათა ამეცადინონ ბავშვი, როცა ოდნავ მაინც შეიქმნება საამისო პირობა(სხვა ბავშვები გარეთ თამაშობენ ან ისინი ადრე დააწვინეს და ა. შ.).

უაღრესად ცუდად მოქმედებს ბავშვზე მოუწესრიგებელი ოჯახური გარემო, მშობლებს შორის ხშირი კონფლიქტი. ამ დროს, ჯერ ერთი, სადა აქვს ბავშვს მეცადინეობის თავი. კიდევ უარესი ისაა, რომ კონფლიქტის შემსწრე ბავშვი მძიმე სულიერ ტრავმას ღებულობს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს არა მხოლოდ სწავლაზე, არამედ მთლიანად მისი პიროვნების ფორმირებაზე. ასევე უარყოფითად მოქმედებს ბავშვის სწავლაზეც და პიროვნულ განვითარებაზე მშობლების ალკოჰოლიკობა და ნარკომანობა. ასეთი მშობლების ირგვლივ ბევრი უსიამოვნება იყრის თავს, რისი მოწმეც ბავშვიც ხდება. ამის გამო ის განიცდის როგორც ფიზიკურ ისე სულიერ ტრავმას.

ყურადღებას იმსახურებენ ბავშვები, რომლებიც დანგრეულ ოჯახებში ცხოვრობენ. ასეთ დროს, ბავშვი, როგორც წესი, დედასთან რჩება. მას მძიმე პირობებში უხდება ოჯახის რჩენა, რის გამოც ბავშვს ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას, ზოგჯერ



დღის დიდი ნაწილი უმეტეაღყუროდაც რჩება ხოლმე. შვილის აღზრდას, განსაკუთრებით სწავლას სჭირდება ხელმძღვანელობა, რასაც ასეთი ბავშვი მოკლებულია.

სწავლაში ხელშემშლელი სოციალური პირობები ძნელი მოსახსნელია და მას ფსიქოლოგი ვერ დაარეგულირებს, მაგრამ მათი ცოდნა მისთვის აუცილებელია. ჯერ ერთი, მან ხომ უნდა დაადგინოს ის მიზეზები, რომლებმაც ბავშვის სწავლაში ჩამორჩენა გამოიწვიეს და მეორეც, უნდა გამოინახოს ბავშვისათვის დახმარების თუნდაც მინიმალური საშუალებები, რომლებიც რამდენადმე მაინც შეუძსუბუქებენ მას მის ირგვლივ არსებული მძიმე სოციალური სიტუაციის უარყოფით გავლენას. ასეთ დროს ძალიან ღირებულება პედაგოგის პოზიცია, რომლის გულთბილმა დამოკიდებულებამ შეიძლება ბავშვს ნაწილობრივ მაინც განუქარვოს ის სულიერი ტკივილები, რასაც ოჯახში ღებულობს. გარდა ამისა, პედაგოგს შეუძლია ბავშვთან სხვადასხვა სახით დამატებითი მეცადინეობების ჩატარება. ყველაფერი ეს ფსიქოლოგმა და პედაგოგმა ერთობლივად უნდა დაგვემონ და განახორციელონ.

უმეტეაღყურობა ოჯახში. სწავლის დაწყების შემდეგ ბავშვის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. თუ მანამდე მისი ქცევის ძირითადი ფორმა თამაში იყო, სადაც მას მოქმედების სრული თავისუფლება აქვს, ის თამაშობს იმას, რაც მოესურვება, ისე და იმდენხანს ერთობა, როგორც და რამდენხანსაც გაეზარდება, ახლა მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. ბავშვის ცხოვრებაში მკვიდრდება ქცევის ახალი ფორმა, სწავლა. თამაშისაგან განსხვავებით, ახლა ბავშვი თავისი სურვილით კი არ მოქმედებს, არამედ ის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს, რასაც სწავლა, როგორც ორგანიზებული ქცევის ფორმა, მოითხოვს.

თავის სურვილით მოქმედებას მიჩვეული ბავშვი ყოველთვის ვერ ახერხებს იმეცადინოს ისე, როგორც საჭიროა. სწავლაში შრომა საჭირო, ბავშვი კი მას მიჩვეული არაა და ისევ თამაშისკენ გაურბის თვალი. ასეთ დროს მას ხელმძღვანელობა სჭირდება. ზოგიერთ ოჯახში ბავშვი უყურადღებოდაა მიტოვებული, მათ

შორის ისეთ ოჯახებშიც, სადაც მას თავს ევლებიან და არაფერს აკლებენ. ბავშვის სწავლას ხელმძღვანელობა უნდა. მშობელი უნდა აკონტროლებდეს ბავშვის მეცადინეობას სახლში. პირველ რიგში, ის უნდა მიეჩვიოს დღის რეჟიმს (განსაზღვრულ საათებში მეცადინეობა, თამაში, ძილი). არ კმარა მარტო იმის დანახვა, რომ ბავშვი მეცადინეობს. უსათუოდ უნდა შემოწმდეს, ისწავლა თუ არა გაკვეთილი. დღევანდელ ოჯახში ყოველთვის აღმოჩნდება ისეთი წევრი, რომელსაც შეუძლია გააკონტროლოს თუნდაც დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების მომზადების დონე. სამწუხაროდ, ზოგიერთ ოჯახში კმაყოფილდებიან იმით, რომ ბავშვმა იმეცადინა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ რა გააკეთა. ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ სწავლის დაწყების საფეხურზე მიეჩვიოს ბავშვი დღის რეჟიმს. მერე კი მას ამის გაკეთება საკმაოდ გაუჭირდება.

ფსიქოლოგმა, როცა ის ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის მიზეზებს იკვლევს, ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს ისეთი ნეგატიური ფაქტორია, რომლის გამოსწორება არ არის ძნელი, თუკი ფსიქოლოგი, მასწავლებელი და მშობლები შეთანხმებულად იმოქმედებენ.

სწავლების ხარვეზები. ბავშვის სწავლება უაღრესად რთული პროცესია და მის ყოველ რგოლში არსებულ ხარვეზს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის სწავლის ნაყოფიერებაზე. ამაში შედის პედაგოგის ოსტატობა, პროგრამების დახვეწილობა, სახელმძღვანელოების სრულყოფა, სასწავლო ხელსაწყო-აპარატებითა და თვალსაჩინო მასალით უზრუნველყოფა და ა. შ. ჩამოთვლილთაგან თუნდაც ერთერთი სეგმენტის ხარვეზმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის წარმატებაზე სწავლაში.

ერთ გარემოებას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება. სწავლების პირობების მოუგვარებლობაზე პასუხისმგებელი პირისგან მოსალოდნელია ასეთი განცხადება, - თუ ოცდახუთი ბავშიდან ოცდა ორი სწავლობს, სამის ჩამორჩენა რა ჩვენი ბრალდიაო. საქმე ისაა, რომ შეიძლება ის სამი ისეთი ბავშვია,

რომელთაც განსაკუთრებული ხელშეწყობა სჭირდებათ, რომ არ ჩამოჩნენ სწავლაში. ამ შემთხვევაში სწორედ ისინი დაზარალდნენ. უკეთესი პირობების არსებობისას არც ისინი იქნებოდნენ ჩამორჩენილები.

მსგავსი ხარვეზების არსებობის პირობებში ფსიქოლოგს ყველაფრის მოგვარება არ შეუძლია. მაგალითად, ის ვერ მოაგვარებს უფრო დახვეწილი პროგრამების ან სრულყოფილი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს, მაგრამ ფსიქოლოგი ვალდებულია, როცა ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის მიზეზებს ადგენს, გაითვალისწინოს აღნიშნულ ფაქტორთა შესაძლო როლი ბავშვის ჩამორჩენაში და ასეთ ბავშვებს, რამდენადაც შესაძლებელია, შეუმსუბუქონ მდგომარეობა. მან უნდა იბრძოდეს ზოგიერთი ნეგატიური ფაქტორის მოსახსნელად. მაგალითად, სკოლის დირექციის წინაშე ენერგიულად დასვას საკითხი საჭირო თვალსაჩინო მასალის შებენის შესახებ. ასევე მას შეუძლია მოითხოვოს ყველა მასწავლებლის მიერ დროზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა. სწავლების მეთოდები განუწყვეტლივ იხვეწება და სრულყოფილი ხდება. პედაგოგები კი მათ ასეთ კურსებზე საფუძვლინად ეცნობიან.

ასაკობრივი პრობლემები. გამოცდილ პედაგოგებს შემჩნეული აქვთ, რომ ზოგიერთი მოსწავლე, რომელიც მექვსე, მეშვიდე კლასამდე კარგად სწავლობდა, უეცრად უკლებს სწავლას და არ არის გამორიცხული ოროსანიც გახდეს. მათ იციან, რომ ამ ასაკში ასეთი რამ ხშირად ხდება, მაგრამ ყველამ როდი იცის რითია ეს გამოწვეული. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში ბავშვის პიროვნების ფორმირებაში დგება ე. წ. გარდამავალი ასაკი, რომელსაც კრიზისულ პერიოდსაც უწოდებენ (ლ.ვიგოტსკი).

ამ ასაკის ახალგაზრდას მოზარდს ვეძახით. ამ ტერმინში ის აზრია ჩადებული, რომ თორმეტ წელს მიღწეული სათვის ბავშვობა დამთავრდა. მაგრამ ზრდასრულობა უეცრად, ნახტომისებურად არ დგება. საჭიროა კიდევ გარკვეული პერიოდი (დაახლოებით 2 წელი), რომ ახალგაზრდა ჭაბუკად ჩაითვალოს. ამიტომ მოზარდობის ასაკში ერთმანეთშია არეული

ბავშვისა და მოზრდილისათვის დამახასიათებელი პიროვნული ნიშნები. ხან ისე იქცევა, როგორც ბავშვი, ხანაც დიდობასაც შეიფერებს ხოლმე. ხდება ბავშვობიდან თანდათანობით ზრდასრულად გადაქცევა. ამიტომაც ეძახიან მას გარდამავალ ან ძნელ ასაკს.

გარდამავალ ასაკში მოზარდის ორგანიზმში და ფსიქიკაში სერიოზული ცვლილებები ხდება. ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების სეკრეტორულ რეგულაციაში ახალი ძლიერმომქმედი ჰორმონი(სქესობრივი) ერთვება, რაც გარკვეული დროის განმავლობაში ნერვულ სისტემას აღმატებულად აგზნებადს ხდის. ხშირია მოზარდის ადვილი გაღიზიანებადობა, ბრაზიანობა. ამ წლებში მოზარდის ორგანიზმი სწრაფად მატულობს სიგრძეში. გულზე დიდი დაწოლა მოდის(სისხლის გადაქაჩვის მანძილი იზრდება), გულის მუშაობისუნარიანობა კი ამ ტემპით არ მატულობს. ამიტომ მოზარდი სწრაფად იღლება.

უფრო სერიოზული ცვლილებები ხდება მოზარდის ფსიქიკაში. მის ცნობიერებაში მკვიდრდება იმის განცდა, რომ ის უკვე დიდია და მოითხოვს ისე მოექცნენ, როგორც დიდს შეჰფერის. მშობლისთვის კი ის ისევ ბავშვია. შეხედულებათა ასეთი შეუთავსებლობა ხშირად ხდება მათ შორის კონფლიქტის მიზეზი. შემდეგ, მოზარდი ხდება ჯიუტი, ყოველნაირად ცდილობს თავისი შეხედულების მიხედვით იმოქმედოს. ხშირად ის ცდება, მაგრამ უფროსებს არ უჯერის. ეს ისევ მათ შორის კონფლიქტის მიზეზი ხდება. ამას ადვილი აქვს როგორც ოჯახში ისე სკოლაში. მოზარდის სიჯიუტე იმდენადაა გამოკვეთილი, რომ ამ ასაკს მეორე ჯიუტობის ხანასაც ეძახიან(პირველი 2-4 წ.). ამ ასაკის კიდევ ერთი ნიშანი ისაა, რომ საგძნობლად იზრდება მოზარდის პრეტენზიის დონე. ის ძლიერ ახდენს თავისი სოციალური სტატუსის გადაფასებას. ამიტომ სხვებთან ურთიერთობაში აშკარად პრეტენზიული ხდება, რაც აგრეთვე კონფლიქტს იწვევს.

ყოველივე ამის გამო მოზარდთან ურთიერთობა უძნელდებათ მშობლებსაც და პედაგოგებსაც. საქმეს ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ეს ემართება ისეთ ბავშვებსაც, რომლებიც წინა

წლებში წყნარი, დამჯერე, მოწესიგებულები იყვნენ. რა მოხდა? აი, ეს რა მოხდა, თუ გაუგებარია მასწავლებლისათვის მაშინ, ცხადია, ის მასთან ნორმალური ურთიერთობის გზას ვერ მონახავს. აქაც საჭიროა ფსიქოლოგის ჩარევა. მან პედაგოგსაც უნდა გააგებინოს საქმის ვითარება და საკორექციო ღონისძიებებიც უნდა გამონახოს.

გარდამავალი ასაკის სიძნელების დაძლევას დიდი დადებითი ღირებულება აქვს. მართალია ასაკის გავლის შემდეგ ისინი ქრებიან., მაგრამ თუ მოზარდში წარმოშობილი ნეგატიური პიროვნული თვისებები გაფიქსირდნენ, მაშინ ისინი კი არ ქრებიან, არამედ უკვე ხასიათის თვისებებად ჩამოყალიბდებიან და უკვე ხარვეზიან ადამიანთან გვექნება საქმე. საკორექციო მუშაობის დიდი ღირებულება სწორედ ისაა, რომ ასეთი რამ არ დაუშვას.

**სუბიექტური ფაქტორები.** სწავლაში ხელშემშლელი ზემოთჩამოთვლილი უარყოფითი ფაქტორების აღმოცენება ბავშვზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ, მათი ზემოქმედების პირობებში მის აკადემიურ ჩამორჩენაში ის არ არის დამნაშავე. მაგრამ, როგორც შემთხვევაში, ბავშვს სწავლაში ხელს ისეთი ფაქტორები უშლიან, რომელთა აღმოცენებაში თვითონაა დამნაშავე. მას რომ სწავლისთვის საჭირო მთელი მისი შესაძლებლობების მობილიზება მოეხდინა, შეეძლო დადებითი შედეგის მიღწევა. ზოგ მათგანს შეეძლო ძალიან კარგადაც ესწავლა. სწავლაში ჩამორჩენის გამომწვევი სუბიექტური ფაქტორებიდან უმთავრესია: სწავლის მოთხოვნილების უქონლობა, რასაც ჩვენ სიზარმაცეს ვეძახით. ასეთი მოსწავლე მთლიანად ვერ იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს, რათა ნორმალურად ისწავლოს. რა უშლის ხელს ასეთ მოსწავლეს?

როგორც მშობლების ისე პედაგოგების პასუხი ასეთია- სწავლაში ჩამორჩენილი ბავშვი ზარმაცობს. ამაში ისინი გულისხმობენ იმას, რომ ბავშვს ეზარება მეცადინეობა, გაკვეთილების მომზადება და ამიტომაც ჩამორჩენილი. საკითხავია, რატომაც ზოგიერთი ბავშვი ზარმაცი? რა უშლის ხელს ნორმალურად სწავლაში? ამის გასარკვევად უნდა გავანალიზოთ

სწავლა როგორც ადამიანის ქცევის გარკვეული ფორმა. სწავლას, როგორც ყოველ ნებისმიერ ქცევას, გააჩნია მიზანი და მოტივი. მიზანი ისაა, რისი გაკეთება, რისი მიღწევა სურს სუბიექტს მოცემული ქცევით. ჩვენს შემთხვევაში, ეს უნდა იყოს ცოდნის შეძენა. სწავლის მოტივი უნდა იყოს ის, თუ რა ღირებულებას, რა მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვი იმ ცოდნას, რომელიც სწავლით უნდა შეიძინოს.

ერთმანეთს თუ შევადარებთ ქცევის მიზანსა და მოტივს ვნახავთ, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მოტივს აქვს. ეს ასე ყველა ნებისმიერი ქცევისათვის. თუ ის, რისი გაკეთებაც გვსურს, ძალიან გვინდა, ძალიან ღირებულა ჩვენთვის, მაშინ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას გამოვიყენებთ მიზნის მისაღწევად. ამგვარად, მოტივს შეუძლია სუბიექტისათვის ქცევა გახადოს მეტნაკლებად მიმზიდველი.

ქცევას, რომლის შედეგიც ადამიანისათვის ღირებულა, ის სიამოვნებით ასრულებს. გამოდის, რომ სწავლაში ჩამორჩენილი ბავშვისათვის ცოდნის შეძენა არ არის ღირებული, მიმზიდველი. ეს არცაა გასაკვირი. ბავშვს, რომელმაც ახლა დაიწყო სწავლა, რომელსაც ცხოვრებისეული გამოცდილება არა აქვს, არც ცოდნის შეძენის მნიშვნელობა ესმის. ის სიამოვნებით მიდის სკოლაში იმიტომ, რომ ყველა მისი ნაცნობი სწავლობს. მაგრამ, როცა ნახავს, რომ თამაშისაგან განსხვავებით, სწავლა თავშეკავებას, ნებისყოფის დაძაბვას, შრომას საჭიროებს, გული უცრუვდება, ცდილობს თავი აარიდოს მეცადინეობას. შედეგიც გასაგებია.

საკითხავია, რატომ ემართება ასე ზოგიერთ ბავშვს? მათი დიდი ნაწილი ხომ ნორმალურად სწავლობს. რატომ ზარმაცობს ზოგიერთი ბავშვი? მოტივი ქცევის შედეგის მიმზიდველობას განაპირობებს. ასეთ ქცევას ადამიანი ხშირად ასრულებს, რის გამოც მას მისი მოთხოვნილება უჩნდება. სინამდვილეში ქცევის შესრულების საფუძველი მოთხოვნილებაა. კარგად სწავლობს ის ბავშვი, რომელსაც სწავლის მოთხოვნილება ჩამოუყალიბდა. პრობლემის თავიდათავი აქ არის. რა ქმნის ამ მოთხოვნილებას, თუკი ბავშვს ცოდნის შეძენის მნიშვნელობის

გააზრება ჯერ არ შეუძლია? აქ დიდ როლს თამაშობს ფიქსირებული განწყობის ფენომენი. ხდება, რომ ადამიანი რალაცას აკეთებს და შედეგი მისთვის სასიამოვნოა, ღირებულია. თუ მას ხელახლა რამდენჯერმე მოუწევს მისი გაკეთება, სულ უფრო და უფრო ადვილად განახორციელებს და, რაც მთავარია, მისი შესრულების მოთხოვნილება შეუმუშავდება, რასაც ფიქსირებული განწყობა უდევს საფუძვლად. გარკვეული ქცევის შესრულების განწყობის გაფიქსირება ქმნის ამ ქცევის მოთხოვნილებას.

რა ქმნის ეს ეს არის სწავლადაწყებულ ბავშვში სწავლის განწყობას? როცა ქცევის მოტივი არსებობს, მოთხოვნილების წარმოშობა ადვილი გასაგებია, მაგრამ იქ, სადაც ამის ცნობიერება ჯერ არ არის, საჭიროა მისი სხვა რალაცით ჩანაცვლება. ჩვენს შემთხვევაში ასეთი რალაცა არის პედაგოგიური გარემო. სწავლადაწყებული ბავშვის ირგვლივ ისეთი სიტუაცია უნდა შეიქმნას, რომელიც მას მეცადინეობის განწყობას გაუფიქსირებს. თუ ეს მიღწეული იქნა, ბავშვი სიამოვნებით იწყებს მეცადინეობას. ბავშვის პედაგოგიური გარემოს ძირითადი კომპონენტებია: სკოლა და ოჯახი. ორივეგან უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ბავშვს სწავლის მოთხოვნილებას შეუმუშავებს.. პირველ რიგში, ასეთი გარემო სკოლაში უნდა იყოს შექმნილი. ესაა: სასიამოვნოდ მოწყობილი საკლასო ოთახი, ლამაზად გაფორმებული სახელმძღვანელოები, სასიამოვნო ემოციური მიკროკლიმატი კლასში, საინტერესოდ ჩატარებული გაკვეთილი, მასწავლებლის ტაქტი, რაც ბავშვებისადმი თბილ, მშობლიურ დამოკიდებულებაში გამოიხატება, მოსწავლის წახალისება, როცა წარმატებას აღწევს და ა.შ. ბავშვს სკოლაში უნდა მიუხაროდეს. ასეთ პირობებში ბავშვი უხერხულად იგრძნობს თავს, რომ არ ისწავლოს. თუ ბავშვს მაინც გაუჭირდა, მასწავლებელმა მას დებილი კი არ უნდა უძახოს, არამედ დაეხმაროს, გაამხნევოს, ჩაუნერგოს იმისი რწმენა, რომ მას შეუძლია ისწავლოს. თუ ამას დამატა მშობლების ზრუნვა, რაც იმაში გამოიხატება, რომ შვილს შეუქმნან რეჟიმული სიტუაცია: მიაჩვიონ გარკვეულ საათებში მეცადინეობას,

სისტემატურად შეამოწმონ მოაზრება თუ არა გაკვეთილი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ზომიერად დაეხმარონ, მაშინ ბავშვი ისწავლის ნორმალურად. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ასეთ ჯანსაღ პედაგოგიურ გარემოში მყოფ ბავშვს უმუშავდება სწავლის მოთხოვნილება. ის, რაც უფრო ხშირად შეცადინეობს, მით უფრო უფიქსირდება სწავლის განწყობა და მის საფუძველზე აღმოცენებული სწავლის მოთხოვნილება.

საწყის საფეხურზე ბავშვის სწავლის მოთხოვნილების ჩამოყალიბებას გააზრებული ცოდნის შექმნის მოტივი არ წარმართავს. ის უფრო გვიან, ზედა კლასებში ყალიბდება. აქ კი მოტივი ბავშვს გარედან აქვს “თავზე მოხვეული”, მაგრამ ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მას სწავლის მოთხოვნილება გაუჩნდეს. ხოლო იმის შემდეგ, რაც მას ასეთი მოთხოვნილება გაუჩნდება საჭიროა ზრუნვა მხოლოდ იმაზე, რომ რაიმე ნეგატიურმა ფაქტორმა არ დაურღვიოს მას იგი. საჭიროა მისი შენარჩუნება. ანალოგიური რამ მოზრდილებსაც ემართებათ. დილით ლოგინში გვიანობამდე ნებივრობას მიჩვეულ ახალგაზრდას ჯარში ადრე ადგომას აიძულებენ. მას ეს არ უხარია, მაგრამ იძულებით აკეთებს და თანდათანობით ადრე ადგომის მოთხოვნილება უმუშავდება. დემობილიზაციის შემდეგ, თუმცა ამის საჭიროება არ არის, ის სახლშიც დილით ადრე დგება. ასეთია მოთხოვნილების ბუნება.

პედაგოგიკაში აქსიომად ითვლება მოთხოვნა მოსწავლეზე სკოლისა და ოჯახის ზემოქმედების სინქრონულობაზე. ასეთი რამ სწორედ აქაა საჭირო. იმის შემდეგ, რაც ბავშვი სწავლას დაიწყებს, სკოლა და ოჯახი შეთანხმებულად უნდა ზრუნავდნენ ბავშვში სწავლის მოთხოვნილების გამომუშავებაზე. ყოველთვის რომ ასე ხდებოდეს, სწავლის ნორმალური შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა შორის, ჩამორჩენილები არც გვეყოლებოდნენ.

ზრდასრული ადამიანისათვის ქცევის მიზნის მიღწევას მიმზიდველს მოტივი ხდის. ის უდევს საფუძველად მისი ქცევის წარმატებით შესრულებას. დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის ქცევის წარმატებით შესრულების გარანტიას ფუნქციას კარგად



ორგანიზებული პედაგოგიური გარემო ქმნის. ამ საფეხურზე სწავლის მოთხოვნილებას ინდივიდუალური მოტივი უდევს საფუძვლად. ასეთი მოტივი არ არის საკმარისად მტკიცე, ამიტომ სისტემატურ მხარდაჭერას საჭიროებს პედაგოგიური გარემოსაგან.

დაახლოებით მეექვსე კლასიდან(12 წლიდან) მდგომარეობა თანდათანობით იცვლება იმ მხრივ,, რომ მოსწავლეს უკვე შეუძლია გააცნობიეროს ცოდნის შექმნის ღირებულება. ამიტომ ამ დროიდან მისი სწავლითი საქმიანობის შეგნებულად წარმართვას სწავლის ე. წ. საზოგადოებრივი მოტივი კისრულობს. მოზარდი უკვე სწავლას აგრძელებს იმის შეგნებით, რომ ცოდნის შექმნა საჭიროა, ხოლო ამისათვის სწავლაა აუცილებელი. სწავლას კი სჭირდება შრომა, სერიოზული მუშაობა. თუ მოსწავლეს ამ ასაკამდე სწავლის მოთხოვნილება ჰქონდა, შემდეგში მას სწავლა კიდევ უფრო გაუადვილდება. ასე იკავებს სწავლის საზოგადოებრივი მოტივი ინდივიდუალურის ადგილს.

სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეს, როგორც წესი, ზარმაცს ვუწოდებთ. ეს არ არის მთლად სწორი. ყველა ზარმაცი ბავშვი სწავლაში ჩამორჩენილია, მაგრამ ყველა მოსწავლე, რომელიც ცუდად სწავლობს, არ არის ზარმაცი. ამ ფენომენზე იმიტომ ვჩერდებით, რომ საკორექციო მუშაობის დაგეგმვისას ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. დადასტურებულია, რომ არის მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც საკმაოდ დიდ დროს უთმობენ მეცადინეობას, მაგრამ სწავლაში ჩამორჩებიან. ზარმაცი კი ისეთი ბავშვია, რომელსაც მეცადინეობა ეზარება. საკითხავია, რატომ არის სწავლაში ჩამორჩენილი ისეთი მოსწავლე, რომელიც ბევრს მეცადინეობს?

სწავლაში ჩამორჩენის საყურადღებო მიზეზია, აგრეთვე არასწორად წარმართული მეცადინეობა. ჩამორჩენილთა შორის გვხვდებიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც ბევრითად მეცადინეობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი ზარეუბები აქვთ ცოდნაში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მათ ჩამოუყალიბდათ სწავლითი საქმიანობისადმი არასწორი მიდგომა, შეიძინეს მეცადინეობის არარაციონალური ხერხები. ისინი მასალას

სწავლობენ გაუაზრებლად, ტექსტის ლოგიკური დამუშავების გარეშე. ასეთი მოსწავლე მეტწილად ტექსტს ზეპირად იმახსოვრებს. იქ სადაც ეს არ ჭრის(მათემათიკაში) ვერ გებულობს ამოცანის პირობებს და, ცხადია, ვერც დავალებას ასრულებს.

არის შემთხვევები, როცა მოსწავლე კი მუშაობს დავალებაზე, მაგრამ არ ახდენს(არც უფროსები ინტერესდებიან) იმის შემოწმებას, იცის თუ არა გაკვეთილი. ზოგი ბავშვი, როგორც კი სკოლიდან მოვა, დასვენების გარეშე ჯდება სამეცადინოდ, მერე კი სათამაშოდ გარბის. ზოგი გვიან იწყებს მეცადინეობას, თანაც უფრო ძნელ საგნებს ბოლოსთვის შემოინახავს. ამ დროისათვის კი მას ძილი ერევა და გაკვეთილი მოუმზადებელი რჩება. მოკლედ, მეცადინეობის მრავალი ხარვეზიანი ხერხი შეიძლება ჩამოუყალიბდეს ბავშვს, რომლებიც, მიუხედავად მისი ბეჯითი მუშაობისა, შედეგს არ იძლევიან. ასეთ დროს სცოდავენ მოსწავლის პედაგოგიც და მშობლებიც. ამიტომ ფსიქოლოგმა, როცა კორექციაზე მუშაობას იწყებს, უსათუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, ასეთი რამ ზომ არ სჭირს იმ ბავშვებს, რომლებთანაც მას მუშაობა მოუწევს.

ბავშვის სწავლაში ჩამორჩენას, როცა ის საკმაოდ ბევრ დროს ანდომებს მეცადინეობას, მოსდევს კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც ყოველთვის არ არის კარგად გაცნობიერებული. ბავშვს ექმნება იმიჯი იმისა, რომ მას მეტი არ შეუძლია. მშობლებისაგან გაიგონებთ ასეთ გამოთქმას, ბავშვი მეცადინეობს, მაგრამ რა ქნას, ვერ სწავლობს, ამ საგანს(საგნებს) ვერ ერევა. ბავშვიც იჯერებს ამას და ისიც ამას ამბობს თავისთავზე. ამის საფუძველი მას აქვს,-მეცადინეობს და ვერ სწავლობს. არც ისე იშვიათად ამ აზრს იზიარებენ მასწავლებლებიც. სამწუხაროდ, ასეთ სიტუაციაში მყოფი ბავშვი განწირულია მყარი აკადემიური ჩამორჩენისათვის. საქმის ცოდნით დაგეგმილი კორექციაა საჭირო, რათა ბავშვს შევაცვლევინოთ თავისთავზე მცდარი შეხედულება. არადა, ასეთი ბავშვის ჩამორჩენის ლიკვიდაცია უფრო იოლია, ვიდრე ზარმაცისა, რომელსაც მეცადინეობაც კი ეზარება.

სიზარმაცე და სქესი. დადასტურებულია, რომ სწავლაში

სიზარმაცეზე სქესიც ასდენს გავლენას. კერძოდ, ის ბიჭებში გაცილებით მატად გვზვდება, ვიდრე ქალიშვილებს შორის. თანაც შექმნეულია ასეთი კანონზომიერებაც. დაწყებით კლასებშივე ბიჭები უფრო ზარმაცობენ, ვიდრე გოგონები. ზედა კლასებში, სამწუხაროდ, ეს განსხვავება კიდევ უფრო საგრძობი ხდება. გარდამაალ ასაკში ქალიშვილებიც ზარმაცდებიან, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე ბიჭები. სამართლიანია პ. ბლონსკის ნახეკრად ზუმრობით ნათქვამი ფრაზა, “სასკოლო სიზარმაცის საკითხი უპირატესად მამაკაცური პრობლემაა”.

ბიჭების სიზარმაცის მიზეზს უფრო იმაში ხედავენ, რომ სასწავლო მასალაში ბევრია ისეთი რამ, რასაც სჭირდება გაზეპირება, გაზუთხვა (უცხო ენები, ლექსები, თარიღები, ტერმინები და სხვა), რასაც გოგონები უფრო უდებენ გულს, ვიდრე ბიჭები. ასეა თუ ისე, ეს ფაქტია და ფსიქოლოგმა ამასაც უნდა მიაქციოს ყურადღება.

სწავლაში ჩამორჩენის რეაბილიტაციისას ორი უმნიშვნელოვანესი საქმეა გასაკეთებელი: საჭიროა ცოდნაში არსებული ზარვეზების აღმოფხვრა და ბავშვში სწავლის მოთხოვნილების ჩამოყალიბება. სწავლაში ჩამორჩენილს დიდი ზარვეზები აქვს ცოდნაში და, თუ მან არ შეიძინა ცოდნის ის მინიმუმი, რაც მომავალი გაკვეთილების გაგებისთვისაა საჭირო, ცხადია, ახალ ცოდნას ვერ დაეუფლება. ასევე აუცილებელია სწავლის მოთხოვნილების გამოუმუშავება. ამის გარეშე კი მოსწავლე ვერც ცოდნაში არსებულ ზარვეზს შეავსებს და ვერც ახალ მასალას ისწავლის.

სწავლაში ჩამორჩენის ლიკვიდაციის სიძნელე ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველ რიგში, ყურადსაღებია ბავშვის ასაკი. დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან ეს უფრო ადვილი მისაღწევია, ვიდრე ზედაკლასელებთან. ჯერ ერთი, პატარებთან ცოდნაში ჩამორჩენა უფრო ნაკლებია, ვიდრე უფროსებთან და მეორეც, ასაკი ართულებს დადებითი შედეგის მიღწევას. განსაკუთრებული სირთულე გარდამავალ ასაკშია მოსალოდნელი.

სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებთან საკორექციო ღონისძიებების ძირითადი ფორმა მათთან ინდივიდუალური მუშაობაა. სხვადასხვა ბავშვი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ ხასიათის თავისებურებით, არამედ ცოდნის ხარვეზითა და სწავლისადმი დამოკიდებულების ხარისხითაც. გარდა ამისა, მათზე განსხვავებული სოციალური გარემო მოქმედებს. ამიტომ ხდება ხოლმე, ერთ ბავშვთანდადებითი შედეგით დამთავრებული საკორექციო მუშაობა მეორესთან ასეთ შედეგს არ იძლევა, თუმცა ერთ კლასში სწავლობენ. ამიტომ ყოველი ბავშვი გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი და ისე დაიგეგმოს საკორექციო მუშაობა. მისი ზოგიერთი კომპონენტი შეიძლება ჯგუფურად ტარდებოდეს. მაგალითად, მათემატიკაში დამატებითი მეცადინეობა ერთი კლასის რამდენიმე ბავშვს ერთად ჩაუტარდეს, მაგრამ სხვა ღონისძიებების მიმართ ინდივიდუალური მიდგომა ხორციელდებოდეს.

ნაცადია სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებისაგან სპეციალური კლასების შექმნა და მათთვის ექსპერიმენტული სწავლების ჩატარება. ყოფილ საბჭოთა კავშირში (მოსკოვსა და ტირასპოლში) მე-6-ე და მე-7-ე კლასების სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებისაგან შექმნეს პარალელური ექსპერიმენტული კლასები. გაატარეს მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებები: შეამცირეს კლასების დატვირთვა, ისინი აქციეს გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებად, თითოეულ კლასში შექმნეს მოსწავლეთა ურთიერთდახმარებისა და ურთიერთკონტროლის 2-3 ბავშვისაგან შემდგარი ჯგუფები, ზოგიერთ საგანში გაზარდეს კვირეული დატვირთვა. მოსწავლეები, იმ საგნებში ჩამორჩენა რომ ჰქონდათ, პარალელურად გადიოდნენ წინა წლების მასალასაც და ა.შ. ძალიან კარგი შედეგი იქნა მიღებული. ცხადია, ასეთი ღონისძიების გატარება შესაძლებელია დიდკონტინგენტიან სკოლებში, რომლებშიც პარალელური კლასებიც ფუნქციობს. ამიტომ სკოლის ხელმძღვანელობამ და ფსიქოლოგმა უნდა გადაწყვიტონ, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეაბილიტაციის რომელი გზა აირჩიონ. ერთი რამ ცხადია, ასეთ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა

შეუცვლელია და გამოსადეგია ყოველგვარ სიტუაციაში.

მდგომარეობის გამოსასწორებლად უვარგისია სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლის იმავე კლასში დატოვება. დადასტურებულია მრავალგზის, რომ კლასში დატოვებული ბავშვი მეორე წელს კიდევ უარესად სწავლო ს. სასწავლო მასალა, რომელსაც პირველ წელს დიდი ინტერესით არ ეკიდებოდა, მისთვის მეორე წელს კიდევ უფრო უინტერესო ხდება. აქ მოქმედებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორი. კლასში ჩატოვებულ ბავშვს კიდევ უფრო უფიქსირდება იმის რწმენა, რომ მას არ შეუძლია იმ საგნების შესწავლა, რომლებშიც ჩამორჩება და საეროდ ხელს იღებს სწავლაზე. ამიტომ, სწავლაში ჩამორჩენილების გამოსწორების ერთადერთი საშუალებაა საქმის ცოდნით დაგეგმილი და მონდომებით განხორციელებული საკორექციო მუშაობა.

### **6.11.3. სწავლაში ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა.**

სკოლის ფსიქოლოგს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ის ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად. ჯერ ერთი, იმას ვინც ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის ლიკვიდაციაზე მუშაობს, სჭირდება იმ ფაქტორების გულდასმით შესწავლა, რომლებმაც პრობლემა წარმოშვეს. პროფილაქტიკა ხომ მათი თავიდან აცილებას გულისხმობს. სკოლაში ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობისათვის ამის ცოდნა აუცილებელია. გარდა ამისა, კონსულტირების დროს ფსიქოლოგს პროფილაქტიკის საკითხებთანაც ექნება შეხება. ყოველ შემთხვევაში, იმ ძირითად ღონისძიებებთან, რასაც პროფილაქტიკა მოითხოვს.

თავიდან ავიცილოთ სწავლისთვის მოუმწიფებელი ბავშვის სკოლაში შეყვანა. ამაზე ზემოთ გვექონდა საუბარი. კონსულტაციაზე მოსულ მშობელსაც უნდა გვააცნოთ ეს მოთხოვნა და თუ ჩამორჩენილი მოსწავლის რეაბილირაციაზე ვიწყებთ

მუშაობას, აუცილებლად უნდა გავერკვეთ მიზეზი ბავშვის სწავლისთვის მოუძწიფებლობაში ხომ არ არის. ბავშვის სწავლისთვის მოუძწიფებლობა, როგორც ფაქტი, მშობლებისათვისაც უნდა იყოს ცნობილი. ბავშვის ინფანტილიკობას მშობელიც ამჩნევს და ამიტომ ამის შესახებ ის შეიძლება ფსიქოლოგთან მივიდეს კონსულტაციაზე. მშობელს უნდა განუზარტოთ, რომ ეს დიდი ტრაგედია არ არის. დავაცადოთ ბავშვს მოძწიფება და ისწავლის ნორმალურად.

სწავლის დაწყების პირველივე დღიდან ბავშვი უნდა მივაჩვიოთ დღის რეჟიმის დაცვას. სწავლა ახლადდაწყებულმა ბავშვმა, ცხადია, არ იცის როგორ უნდა იმეცადინოს. ზოგი ბავშვი სახლში დაბრუნებისთანავე, დასვენების გარეშე, ფაცაფუცით იწყებს მეცადინეობას, რათა მალე მოიცალოს სათამაშოდ, ზოგი კი თამაშით დაღლილი დღის ბოლოს ჯდება სამეცადინოდ და მალე დაეძინება კიდევ. მოკლედ, უხელმძღვანელოდ დარჩენილი ბავშვები ხშირად მეცადინეობის არარაციონალურ ხერხებს ირჩევენ, რაც მათ ხელს უშლის წარმატებით სწავლაში. დაწყებითი, განსაკუთრებით პირველი კლასის პედაგოგები უნდა ინტერესდებოდნენ იმითი თუ რიგორი დღის რეჟიმი აქვთ მათ მოსწავლეებს და როგორ კონტროლდება ის.

ბავშვს უნდა ვასწავლოთ საშინაო დავალების მომზადების რაციონალური ხერხები. ზემოთ ვნახეთ, რომ სწავლაში ჩამორჩენილთაგან ბევრი გაუაზრებლად, მეტწილად ზეპირად სწავლობს გაკვეთილებს. ბავშვი უნდა მივაჩვიოთ სწავლის სწორ ხერხებს. აქ საჭიროა მასწავლებლისა და მშობლის კოორდინირებული მუშაობა.

ბავშვი უნდა მივაჩვიოთ სისტემატურობას მუშაობაში. როგორც დღის რეჟიმის დაცვა ისე გაკვეთილების მომზადების თანმიმდევრობის დადგენილი წესი ბავშვისთვის კანონი უნდა იყოს. არასაპატიო მიზეზით გამონაკლისი არ უნდა არსებობდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სწავლის განწყობის გაფიქსირებისათვის, რაც სწავლის მოთხოვნების შემუშავების აუცილებელი პირობაა.

საჭიროა სისტემატური კონტროლი. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ აუცილებლად უნდა მოწმდებოდეს ის თუ როგორა აქვს ბავშვს გაკვეთილი მომზადებული. ეს უნდა კეთდებოდეს იმისგან დამოუკიდებლად თუ როგორია ბავშვის აკადემიური მოსწრება.. იქნებ მას იმაზე უკეთესად შეუძლია ისწავლოს ვიდრე მოამზადა. ისიც ხომ ფაქტია, რომ კარგი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვი ზოგჯერ უეცრად ზარმაცდება და ჩამორჩენილი ხდება. მისი მეცადინეობა სისტემატურად რომ გაეკონტოლებინათ, ეს არ მოხდებოდა.

დავიცვათ ზომიერება ბავშვის დახმარებაში. არის შემთხვევები, როცა ბავშვი ვერ ახერხებს საშინაო დავალების მომზადებას. მაშინ მას მშობელმა დახმარება უნდა გაუწიოს. აქ დასაძრახნი არაფერია. პირიქით, თუ მშობელს ეს შეუძლია, მაშინ ის ვალდებულიცაა ეს გააკეთოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ მშობელი შვილს დათვურ სამსახურს უწევს. თვითონ ასრულებს საშინაო დავალებას ისე, რომ არც უხსნის შვილს იმას, რაც მისთვის გაუგებარი იყო. სანამდვილეში დავალებას ბავშვი უნდა აკეთებდეს, მშობელმა კი ის უნდა გააგებინოს, რაც ბავშვისთვის მიუწვდომელი იყო.

ბავშვს უნდა გამოუშუშავდეს დამოუკიდებლად მუშაობის ტენარი. ბავშვს დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ ასეთი დახმარება თანდათანობით უნდა შეიზღუდოს და ბავშვი უნდა მიეჩვიოს. საშინაო დავალების დამოუკიდებლად მომზადებას. ამ დროს საჭიროა შრომა, ენერჯის ხარჯვა. არ ვარგა, როცა იმის ნაცვლად, რომ დაფიქრდეს და გადაწყვეტა იპოვოს, ბავშვი მაშინათვე მშობელს უხმობს დასახმარებლად. საერთოდ დამოუკიდებლობა პიროვნების მეტად ღირებული თვისებაა და ბავშვი აქედანვე უნდა იძენდეს მას.

ბავშვის გარშემო უნდა შეიქმნას ცოდნის შეძენით დამაინტერესებელი ატმოსფერო. ოჯახში ბავშვს ხშირად უნდა ესმოდეს საუბარი განათლების საჭიროებაზე, ცოდნის შეძენის სიკეთეზე, განათლებულ ადამიანებზე, თანამედროვე ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის მიღწევებზე. მნიშვნელობა აქვს იმას,

თუ ოჯახში როგორი დაინტერესებ ა წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიის საშუალებით მსგაქსი ინფორმაციის მიღებაზე.

მასწავლებლის პედაგოგიური ტაქტი. პედაგოგის მომთხოვნი, მაგრამ თბილი და გულისხმიერი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი, მათადამ. მშვიდი, დამაჯერებელი და გაწონასწორებული მიმართვა, მათი სულიერი მდგომარეობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, მათში სისტემატური რწმენის ჩანერგვა, რომ შეუძლიათ დაძლიონ წამოჭრილი სიძნელებები და კარგად ისწავლონ, ძალიან ესმარება ბავშვს სწავლის დროს აღმოცენებული დაბრკოლებების გადალახვაში. ამის გაკეთება საჭიროა ყველა ასაკში, მაგრამ ჰაერივით სჭირდება ის პატარებს, რომლებიც ახლა შეუდგნენ სწავლას. მათ ხომ რადიკალურად შეეცვალათ ცხოვრებისეული სიტუაცია. ოჯახური გარემო მისთვის სრულიად უცხო გარემოთი შეიცვალა. თუ აქამდე მისი ქცევის ძირითადი ფორმა თამაში იყო, ახლა უეცრად ახალ უფრო რთულ ფორმაზე, - სწავლაზე გადავიდა. არც ერთი ბავშვისათვის არ არის სიტუაციის ასეთი მკვეთრი შეცვლა სასიძოვნო, მაგრამ ის იძულებულია შეეგუოს მას. ამ საქმეში კი მასწავლებლის დახმარება ფასდაუდებელია მისთვის.

არ გადატვირთოთ ბავშვი. ბავშვის მეცადინეობით გადატვირთვის ორი სახე არსებობს. ერთია სკოლის პროგრამული მასალით გადატვირთვა. სახელმძღვანელოები ზოგჯერ ბევრ გასაზებირებელ მასალას შეიცავენ, რომლებიც ბავშვის უნარების განვითარებას არაფერს მატებს, მაგრამ მან უნდა გაიზებიროს ისინი, რადგან მასწავლებელი მოითხოვს მათ ცოდნას. ცუდა ბევრი საშინაო დავალების მიცემა, როცა ბავშვი მთელ თავისუფალ დროს მათ მომზადებას ახმარს. განსაკუთრებით უჭირთ დიდი დატვირთვის ატანა ფსიქიკური განვითარება შეფერხებულ ბავშვებს.

გადატვირთვის მეორე წყარო მშობლებია. ბევრ მშობელს დაჰყავს შვილი მუსიკის, უცხო ენების, ცეკვის და სხვა სპეციალობათა შესასწავლად. ამაში დახარჯული დრო ემატება გაკვეთილების მომზადებაში დახარჯულ დროს და ბავშვს



თამაშისა და დასვენების საშუალება არ გააჩნია. ასეთ დროს ის თანდათანობით თვითონ ითავისუფლებს თავს ზედმეტი დატვირთვისაგან და სწავლაში ჩამორჩენილი ხდება. ამიტომ მშობელმა, სანამ შეიღს სკოლის გარეშე რაიმე სპეციალობის შესასწავლად წაიყვანდეს, კარგად უნდა გაარკვიოს, რამდენად მოერევა ბავშვი ამ ახალ დატვირთვას. აქ მთავარია, თუ რამდენად ადვილად ძლევს ბავშვი სკოლაში მიცემულ დავალებებს, რამდენი თავისუფალი დრო რჩება მას სხვა საქმის შესასრულებლად. არვის ვურჩევდით წაართვას შეიღს ბავშვობა. ბავშვობა კი თამაშისა და გართობის გარეშე არ არსებობს. ამის საშუალება ყოველ ბავშვს უნდა ჰქონდეს.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის რამდენიმე უმთავრესი ფაქტორი. შეიძლებაოდა მათი ჩამოთვლა კიდევ გაგვეგრძელებინა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად თუ რამდენმა მიზეზმა შეიძლება ხელი შეუშალოს ბავშვს სწავლაში. ამის ცოდნას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩამორჩენილობის პროფილაქტიკისათვის, არამედ საკორექციო სამუშაოების დაგეგმვისთვისაც. როცა სწავლაში ბავშვის ჩამორჩენის მიზეზებს ვაღგენთ, ამ ჩამორთვალსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება და ვნახოთ, რომელიმე მათგანმა ხომ არ ითამაშა როლი პრობლემის წარმოშობაში.

### 6.12.1. ცნების განსაზღვრება

ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებთან მუშაობა სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის ყველაზე რთული პრობლემაა, უფრო რთული ვიდრე სწავლაში ჩამორჩენის ლიკვიდაცია. ამიტომ მუშაობის ეს უბანი სკოლის ფსიქოლოგისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ისე, როგორც ეს სწავლაში ჩამორჩენილობის ფენომენის განხილვისას ვნახეთ, აქაც უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ ბავშვის ძნელად აღსაზრდელობა არ არის მისი ფსიქოფიზიკური უნარშეზღუდულობის შედეგი. ასეთ ბავშვს ნორმალური სწავლისთვის ყველა საჭირო მონაცემი აქვს, მაგრამ მას ვერ იყენებს როგორც საჭიროა. როგორც სახელწოდება-“ძნელად აღსაზრდელი” მიუთითებს, პრობლემის არსი მოსწავლის ცუდად სწავლაში კი არ არის, არამედ მის ასოციალურ ქვევაშია. ასეთი ბავშვი, როგორც წესი, ცუდადაც სწავლობს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მას დაკარგული აქვს სწავლის ინტერესი, რომელიც მისი ძნელად აღსაზრდელობის ერთერთი კომპონენტია. ბევრია ისეთი მოსწავლე, რომელიც ცუდად სწავლობს, მაგრამ ცუდი ყოფაქცევით არ ხასიათდება, ამიტომ ის სწავლაში ჩამორჩენილად ითვლება, მაგრამ ძნელად აღსაზრდელს არ ეუწოდებთ.

ძირითადად, რაში უნდა ჩანდეს მოსწავლის ძნელად აღსაზრდელობა? რასაკვირველია, მის საქციელში, გარეშეებისადმი მის დამოკიდებულებაში. ამას ქცევას ვეძახით. ძნელად აღსაზრდელობა მოსწავლის ქცევის დარღვევაა. ადამიანის ქცევა, რომელიც მყარი სახით მეორდება სხვადასხვა სიტუაციაში, ხასიათის თვისებაა და არა შემთხვევითი მოვლენა. ცნობილია ისიც, რომ ადამიანის ხასიათი აღზრდის შედეგად ყალიბდება. ბავშვი ქურდი ან ბოროტი არ იბადება. ის ასეთი სოციალური გარემოს ზემოქმედების შედეგად ყალიბდება.

ქურდის შვილი თუ ქურდია არა იმიტომ, რომ ეს თვისება მშობლისაგან დაჰყვა მემკვიდრეულად, არამედ იმიტომ, რომ ისეთ გარემოში იზრდებოდა, რომელიც ხასიათის ამ მახასიათებლის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

მაინც როგორ ბავშვს შეიძლება ეუწოდოთ ძნელად აღსაზრდელი? ძნელად აღსაზრდელი ისეთი ბავშვია, რომელსაც ფსიქიკური განვითარებისათვის საჭირო ნორმალური მონაცემები გააჩნია, მაგრამ არასწორი პედაგოგიური თუ სოციალური გარემოს (ან ორივეს ერთად) ზემოქმედების შედეგად განუვითარდა ხასიათის რიგი უარყოფითი თვისებებისა, რომლებიც ხელს უშლიან მას ადექვატურად უპასუხოს სოციალური გარემოს მოთხოვნებს, დაიცვას საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმები და წესები. ამის გამო, ძნელად აღსაზრდელი ბავშვი სისტემატურად მოდის კონფლიქტში ურთიერთობაში მყოფ ადამიანებთან. პრაქტიკაში, განსაკუთრებით პედაგოგები, ხშირად ტერმინს “ძნელად აღსაზრდელი” უმართებულოდ იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ კარგად არ ესმით, თუ ბავშვის როგორი საქციელი შეიძლება ჩაითვალოს ძნელად აღსაზრდელობის ნიშნად. ბავშვი იმიტომაა ბავშვი, რომ ის ყოველთვის ისე არ მოიქცევა, როგორც ჩვენ გვინდა. მას მოძრაობის, სიცელქის, სუფთ ახალ-ახალი შთაბეჭდილებების მიღების მოთხოვნილება აქვს. თანაც ერთი და იგივე ასაკის ყველა ბავშვი ერთნაირად როდი იქცევა. ზოგი უფრო წყნარია, ზოგი უფრო მოძრავი, დაუდგარი. ბავშვის ასეთი საქციელი გაკვეთილის მსვლელობაშიც იჩენს თავს. ამიტომ შეიძლება ეს არ მოგვეწონოს, მაგრამ ამისათვის არავის არა აქვს უფლება ბავშვს უწოდოს ძნელად აღსაზრდელი.

შემჩნეულია ისიც, რომ ზოგიერთი მოსწავლე ერთი მასწავლებლის გაკვეთილზე დიდი ინტერესით მეცადინეობს, ყურადღებითაა და წესრიგსაც არ არღვევს მაშინ, როცა სხვა მასწავლებლის გაკვეთილზე ინტერესს არ ამჟღავნებს და ხშირად წესრიგსაც არღვევს. შეიძლება ბავშვი ერთი პედაგოგის გაკვეთილზე წესიერი იყოს, ხოლო მეორისაზე ძნელად

აღსაზრდელი? ნაცვლად იმისა, გაერკვეს რაშია საქმე, მასწავლებელი მას ძნელად აღსაზრდელის იარლიყს აწებებს, რისი უფლებაც მას არა აქვს. მოსწავლის ძნელად აღსაზრდელობა ზოგიერთი მასწავლებლის შეხედულების მიხედვით კი არ უნდა ღვინდებოდეს, არამედ მას საფუძვლად ბავშვის მასწავლებელთა საერთო აზრი უნდა ედოს. ფსიქოლოგმა კი ასეთი შეხედულების ჩამოყალიბებას უნდა მიაქციოს ყურადღება. მოსწავლის ძნელად აღსაზრდელობა დასამალი არ არის. თუ მოსწავლე ასეთად ჩამოყალიბდა, დამალვა კი არა მისი გამოსწორებაა საჭირო. უსაფუძვლოდ ბავშვს ეს იარლიყი არ უნდა მივაკეროთ და სულიერი ტრავმა არ უნდა მივაყენოთ მასა და მის მშობლებს.

### **6.12.2.ძნელად აღსაზრდელი ბავშვის ფსიქოლოგიური პორტრეტი**

ითქვა, რომ ძნელად აღსაზრდელს ხასიათის ბევრი უარყოფითი მახასიათებელი გააჩნია. თუ ჩვენ ჩამოვთვლით უმთავრეს უარყოფით მახასიათებლებს, ამით შევადგენთ ასეთი ბავშვის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ლიტერატურაში(12) არის ძნელად აღსაზრდელის ასოციალური ქცევის უმთავრეს გამოვლინებებზე მითითება. ისინი აშკარა ხულოვნობის ხასიათს ატარებენ და, როგორც წესი, მომართულია იმ ქცევის ჩაშლისაკენ, რაც მოცემულ მოძენტში თუ შემდეგში უნდა შესრულდეს გაკვეთილის მსვლელობისას ან მის შემეგ ასეთია:

დებორგანიზატორული ქმედება გაკვეთილზე. მასში იგულისხმება: გაკვეთილის დროს საგნების ტკაცუნი, წამოძახება, სტვენა, სირბილი ოთახში, თანაკლასელებისათვის წიგნებისა და რვეულების წართმევა, მათი მიმობნევა იატაკზე, დაწყებული სამუშაოს დემონსტრაციულად მიტოვება, გაფუჭება იმისა, რაც გააკეთა, გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა, სკოლაში შეუფერებელი ტანსაცმლით გამოცხადება და ამისათვის ხაზგასმის მცდელობა, გაკვეთილზე შემოსვლა და გასვლა, როცა მოესურვება, თვითნებურად გადაჯდომა მერხიდან მერხზე და ა. შ.

მთელი კლასის არაპედაგოგიური ქმედების

ორგანიზატორობა. ე. წ. "შატალოების" მოწყობა, დაშინებით თანაკლავლთა მიერ გაკვეთილის მოყოლაზე უარის თქმევინება. როცა მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა გაკვეთილი არ იცის, იმათ, რომელთაც მომზადებული აქვთ, აიძულებენ თქვან "არ ვიციო".

გამომწვევი უხეშობა მასწავლებლის მიმართ. მასწავლებლის გაჯავრება, ენის გამოყოფა, ზედმეტი სახელის შერქმევა, მასზე ჭორის გავრცელება, მისი კარიკატურების დახატვა და ა.შ.

აგრესიული ქმედება სკოლის პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის მიმართ. მუქარა მათ მიმართ, გინება, მომსახურე პერსონალისათვის სხვადასხვა საგნების სროლა, მასწავლებლებთან შებრძოლება, როცა ისინი წესრიგისაკენ მოუწოდებენ და ა. შ.

უხეში დამოკიდებულება თანაკლასელებისადმი. ბავშვების ერთმანეთისადმი წაქეზება, ჩხუბი მათთან, მათთვის სხუელის დაზიანების მიყენება, ბავშვებისათვის საკუთარი ნივთების წართმევა, განზრახ დაზიანება, მუქართა და დაშინებით ფულის გამოძალვა, მასზე სუსტ ბავშვებზე ძალადობა და ა. შ.

სკოლის ქონებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულება. სკოლის ინვენტარის (მერხების, სკამების, კარადების) მტვრევა, სასწავლო ხელსაწყოების გაფუჭება, თვალსაჩინო მასალის, რუკების, განცხადების, კედლის გაზეთის დახევა, ელექტროგაყვანილობის გაფუჭება და მრავალი სხვა.

ხელმრუდობა. მათ შორის ბევრია ხელმრუდე, რომელიც არა მხოლოდ თვითონ ქურდობს, არამედ სხვა ბავშვებსაც აბამს ამ საქმეში. ეწვეა ფულის გამოძალვას როგორც თანაკლასელთაგან ისე ქურის ბავშვებისგან

სექსუალური გამოვლინებები. უწმაწური სიტყვების ხმარება, ქალიშვილების დასწრებით გაშიშვლება, პორნოგრაფიული სურათების დახატვა და ქალიშვილებისათვის გაგზავნა. საკლასო ოთახის კედლებზე, დაფაზე და მერხებზე უწმაწური სიტყვების დაწერა და ა. შ.

ნარკომანობა. ეწვეა სიგარეტს, ხმარობს ნარკოტიკულ

ნივთიერებებს და, კიდევ უარესი, მიმართავს აქტიურ მცდელობებს ამ საქმეში სხვა ბავშვების ჩასათრევად. ისინი არც ისე იშვიათად დაკავშირებულნი არიან ნარკოტიკული ნივთიერების გამსაღებლებთან, ეხმარებიან მათ და შეაქვთ ეს საწამლაკი სკოლაშიც.

ასოციალური ქცევის ბავშვთა ჯგუფის ლიდერობა. გარშემო იკრებს ხულიგან ბავშვთა ჯგუფს და ხელმძღვანელობს მათ ასოციალურ ქმედებებს. აგროვებს გზასაცდენილ ბავშვებს, როგორც სკოლიდან ისე ქუჩიდან და წარმართავს მათ საქმიანობას. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ასეთ ჯგუფში აბაშს ისეთ ბავშვებსაც, რომლებიც ჯერ უწესონი არ არიან, მაგრამ ცნობისმოყვარეობისა და ჯგუფის წევრთა წაქეზების გამო ეზიარებიან ასოციალურ ქმედებებს.

თანატოლებისაგან თვითიზოლაცია. არის ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა ერთი კატეგორია, რომელიც უხეშობით, უღისციპლინობით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც პედაგოგებს პრობლემებს უქმნიან. ისინი ხასიათდებიან უკიდურესი პასიურობით როგორც სწავლაში ისე ყოველდღიურ საქმიანობაში. ესენი არიან, თავისთავში ჩაკეტილი, ჯგუფისაგან იზოლირებული ბავშვები. ისინი არ უყვართ თანატოლებს, არ ირჩევენ პარტნიორად რაიმე სახის საქმიანობაში, არ სჯერათ, რომ მათ რაიმეს გაკეთება შეუძლიათ სწორედ ასეთი პასიურობის გამო. მოფერება ბევრს არაფერს შეულის, ხოლო გაწყრომისას მთლიანად იკეტებიან თავის თავში. ცხადია, ასეთი ბავშვები განსხვავდებიან ქცევის დეზორგანიზატორი, ხულიგანი მოსწავლეებისაგან, მაგრამ მათი ქცევის ნეგატიური მახასიათებლები უკვე ხასიათის თვისებად არის გადაქცეული და ამიტომ კორექციაც შესაფერისად სააღმზრდელო ხასიათის უნდა იყოს.

იზოლირებული ბავშვიც ცუდად სწავლობს, მაგრამ ის მაინც არ წარმოადგენს ტიპურ ზარმაც მოსწავლეს. საქმე ისაა, რომ ის შეიძლება საკმაოდ მეცადინეობდეს, გაკვეთილიც მოაშხადოს, მაგრამ როცა მოყოლას დაიწყებს, ყველაფერი ეშლება. ზოგჯერ მშობელი გაკვირვებული კითხულობს, რატომ მიიღო

ბავშვმა ორიანი მაშინ, როცა მან სახლში შეამოწმა და გაკეთილი იცოდა. მშობელი არ სტყუის. ის სახლში დამაკმაყოფილებლად მოყვა გაკეთილს, მაგრამ სკოლაში ეს ვერ გააკეთა. ბავშვი არ არის უწესო, უდისციპლინო, სწავლისთვის საჭირო გონებრივი რესურსები აქვს, მაგრამ ჩამორჩენილია. მას აღზრდის პრობლემა გააჩნია. გულჩათხრობილობა, გაუბედაობა, თავისთავში დაურწმუნებლობა, რასაც ის სწავლით საქმიანობაში ამჟღავნებს, ხასიათის თვისებებად აქვს გადაქცეული და ისინი თუ ვერ მოიშორა, მდგომარეობაც არ გამოსწორდება. მოკლედ, საჭიროა ახლებურად აღზრდა.

შეიძლებოდა კიდევ გაგვეგრძელებინა ძნელად აღსაზრდელი ბავშვისაგან მოსალოდნელი ცუდი საქციელის ჩამოთვლა, მაგრამ რაც ჩამოვთვალეთ, ისიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ თუ რა სახის ქმედებებია მისგან მოსალოდნელი. ცხადია, ყველა ისინი ერთ კონკრეტულ ბავშვს არ ახასიათებს, მაგრამ ერთიც რომ ხასიათის თვისებად ჰქონდეს გადაქცეული, მძიმე სურათს მივიღებთ. ამიტომ კიდევ ერთხელ გვინდა მივაქციოთ პედაგოგების ყურადღება იმას, არიან კი ასეთები ის მოსწავლეები, რომლებიც მათ ძნელად აღსაზრდელებად ჰყავთ მონათლული?

### **6.12.3. ძნელად აღსაზრდელობის გამომწვევი ფაქტორები**

სკოლას ერთადერთი გამოსავალი აქვს. უნდა იზრუნოს გზას ამცდარი მოსწავლეების ახლებურად აღზრდაზე. ძნელად აღსაზრდელობა მარტო ბავშვის ცუდი სწავლის გამომწვევი ფაქტორი როდია. ის არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინა საფეხურია. თუ ასეთ ბავშვებს დროზე არ მივხედეთ, მათი ნაწილი დამნაშავის სკამზე აღმოჩნდება. საკორექციო მუშაობის სწორად დაგეგმვისა და წარმართვისათვის აუცილებელია იცოდეთ, თუ რითია გადახრა გამოწვეული. თუ ის მიზეზი არ აღმოიფხვრა, მდგომარეობის გამოსწორებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

მსგავსად სწავლაში ჩამორჩენისა, ბავშვის ძნელად

აღსაზრდელად ჩამოყალიბებასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: სოციალური გარემო და სუბიექტური ფაქტორი. ფსიქოლოგიის განვითარების ადრეულ საფეხურზე ბავშვის ხასიათის გამრუდებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თანშობილ(მემკვიდრეულ) ფაქტორს. მას არც დღეს აკლებენ ყურადღებას, მაგრამ დომინირებს ის აზრი, რომ ძნელად აღსაზრდელის ხასიათის ის ნეგატიური თვისებები, ზევით რომ ჩამოთვალეთ, ბავშვს მემკვიდრეულად არ გადაეცემა. მემკვიდრეული ფაქტორები აადვილებენ ან აძნელებენ აღმზრდელობით ზემოქმედებაზე ბავშვის დამორჩილების პროცესს, მაგრამ საქმის ცოდნით წარმართული აღზრდა ყველა ბავშვზე დადებითად მოქმედებს.

სოციალური გარემოს ზემოქმედება ბავშვის აღზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა(იხ. თავი 1)თანაც ის რთული ფაქტორია და სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს. ესენია: ოჯახი, სკოლა და ის მიკროსოციალური გარემო, რომელთანაც ბავშვს სისტემატური შეხება აქვს(სანათესავო, ქუჩა, სამეზობლო). გავლენები, რომელთა მიღება შეუძლია ბავშვს გარემოს აღნიშნული კომპონენტებიდან, იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. ჩვენ იმ ძირითად ელემენტებზე შევჩერდებით, რომელთაც თითოეული მათგანი შეიცავს. ყოველ მათგანს მარტოს თუ სხვებთან ერთობლიობაში შეუძლია ბავშვი გახადოს ძნელად აღსაზრდელი. სამწუხაროდ, ამჟამად არა გვაქვს შესაძლებლობა ვრცლად შევეხოთ მათ(უფრო ვრცლად იხ. 12).

ოჯახის ფაქტორი. ადამიანი დაბადებიდან ცხოვრობს სხვა ადამიანებთან კონტაქტში, მათთან ურთიერთობის პროცესში იკმაყოფილებს თავის მოთხოვნებს. ადამიანთა ასეთ გაერთიანებებს მცირე სოციალურ ჯგუფებს ეძახიან. ოჯახი, ჯგუფი ბაღში, კლასი სკოლაში მცირე სოციალური ჯგუფებია. ბავშვის საზოგადოებაში შეზრდისათვის(სოციალიზაციის პროცესი) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ზემოქმედებებს,



რომელთაც ის მცირე ჯგუფებში ღებულობს. პირველი ასეთი სოციალური ჯგუფი, რომელშიც ბავშვი აღზრდას ღებულობს, ოჯახია. ამასთან ოჯახი ბავშვისათვის ყველაზე თბილი, მიმზიდველი, სასიამოვნო გარემოა და აქ განხორციელებული სწორი პედაგოგიური ზემოქმედება მისი აღზრდის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ოჯახი რთული კომპონენტია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც მოწესრიგებულობით, ისე ბავშვზე აღმზრდელობითი ზემოქმედების სტილით. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის, როგორც მცირე სოციალური ჯგუფის, მოწესრიგებულობას. ამაში იგულისხმება ოჯახის წევრებს შორის პარამონიული დამოკიდებულება, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, სამშობლოს სიყვარული, რელიგიურობა და მრავალი სხვა დადებითი ადამიანური თვისება, რაც ოჯახის წევრებს უნდა ახასიათებდეს. პატარა, რომელსაც ჯერ საკუთარი მსოფლმხედველობა არა აქვს, ღრუბელივით ისრუტავს მშობლების საქციელს და თანდათანობით მასაც მსგავსი ქცევის მოთხოვნილება უმუშავდება. ამიტომ ჰგონია ზოგიერთს, რომ ის დადებითი თუ უარყოფითი პიროვნული თვისებები, ბავშვმა მშობლებისაგან რომ შეიძინა, მას მემკვიდრეულად გადაეცა. სინამდვილეში, ისინი მან შეიძინა უფოსებთან ურთიერთობის პროცესში.

მაინც როგორ ოჯახებს ვეძახით მოუწესრიგებელს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ბავშვის წესიერად აღზრდაზე? ასეთია მაგალითად, დანგრეული ოჯახი. ესაა მშობლების შეუთავსებლობის გამო დაშლილი ოჯახი. ოჯახის დანგრევა ერთ დღეს არ ხდება. კონფლიქტი ღიდხანს გრძელდება, რისი მოწმე პატარაცაა. უსიამოვნო სცენები, ბავშვის თვალწინ რომ თამაშდება, მძიმე სულიერ ტრავმას აყენებს მას. კონფლიქტი ხომ მისთვის საყვარელ ადამიანებს შორის ხდება. ამიტომ ზოგიერთი ბავშვი ხდება ნერვიული, გულჩათხრობილი, ზოგი, პირიქით, აგრესიული. ასეთი ოჯახის გავლენა ბავშვის პიროვნების გამრუდებაში მარტო ამით არ ამოიწურება. ოჯახის დაშლის

შემდეგ, ბავშვი, როგორც წესი, დედასთან რჩება. მას შვილის აღზრდაში ხელს უშლის როგორც მატერიალური ხელმოკლეობა(მარტო არჩენს ოჯახს), ისე დროის დეფიციტი. ის იძულებულია ბევრი იმუშაოს, თანაც ხშირად სახლიდან შორს. შვილს კი ყურადღება აკლდება.

ბავშვის წესიერად აღზრდის ერთერთი ნეგატიური ფაქტორია მოუწესრიგებელი ოჯახი. ამ კატეგორიას აკუთვნებენ ისეთ ოჯახს, რომელიც არ არის დანგრეული, მაგრამ ხშირია მშობლებს შორის კონფლიქტი. კონფლიქტის მიზეზი მრავალნაირია: მეუღლეების ხასიათის შეუთავსებადობა, ერთერთი მშობლის ალკოჰოლიკობა, ნარკომანობა(კიდევ უარესი თუ ორივე ასეთია) და ა. შ. ასეთ დროს ბავშვი ხშირად ხდება მისი მშობლების უხეში საქციელის მოწმე: ბილწსიტყვაობა, ცემა და სხვა. ეს ცუდად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე. უარეს შემთხვევაში თვითონაც ერჩევა ასეთ ქმედებებს. ამ კატეგორიას ეკუთვნის ისეთი ოჯახიც, რომელსაც უკანონოდ შეძენილი შემოსავალი შემოსდის(ქურდობა, ისეთი სახსრების მითვისება, რაც არ ეკუთვნის). ზოგიერთი მშობელი ცდილობს დაუმალოს შვილს მისი უღირსი საქციელი, თუმცა ამაოდ. ოჯახში არ ხდება ისეთი რამ, რაც შვილს შეიძლება გამოეპაროს.

ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს თამაშობს მისი განებივრება. სამწუხაროდ, ასეთი რამ ხშირად ხდება მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახებში, განსაკუთრებით კი თუ ის ერთადერთი შვილია. ასეთ ბავშვს ყველა თავზე ევლება, ყველა სურვილს უკმაყოფილებენ. ასე იზრდება ეგოისტი, იმპულსური პიროვნება, რომელსაც არ შეუძლია თავშეკავება და იბრძვის მისი ყველა სურვილის დაკმაყოფილებისათვის. როცა ასეთი ბავშვი სკოლაში მოხვდება, დიდ პრობლემებს უქმნის როგორც პედაგოგებს ისე თანაკლასელებს.

ბავშვის აღზრდაში უაღრესად მნიშვნელოვანია მშობლების მიერ გამოყენებული აღზრდის მეთოდი. ოჯახის მოწესრიგებულობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იქ ბავშვის აღზრდა წესიერად მიმდინარეობს. არც ისე იშვიათად, ძალიან

წესიერი მშობლები, რომელთაც მზე და მთვარე ამოსდით შვილზე, არ ეწვეიან მის წესიერ აღზრდას. ეს კი იმიტომ ხდება, რომ არ იცნობენ აღზრდის სწორ სტრატეგიას. პედაგოგიკაში არჩევენ ოჯახების მიერ შვილის აღზრდაში გამოყენებული სტრატეგიების სამ სახეს: დემოკრატიულს, ავტორიტარულს და ლიბერალურს. ამის მიხედვით თვითონ ოჯახებსაც თვლიან: დემოკრატიულ, ავტორიტარულ და ლიბერალურ ოჯახებად.

შვილების წესიერად აღზრდისათვის ყველაზე კარგი პირობა დემოკრატიულ ოჯახშია. ჩვენ მოკლედ ჩამოვთვლით აღზრდის იმ სტრატეგიებს, რომელთაც დემოკრატიულ ოჯახში იყენებენ და საუკეთესოა პედაგოგიური თვალსაზრისით. ესენია: სრული ურთიერთგაგება შვილსა და მშობლებს შორის. შვილი არაფერს უმაღლავს მშობლებს, ისინიც ყურადღებით ექცევიან მის ნათქვამს და უარს არ ეუბნებიან იმაზე, რისი შესრულებაც შესაძლებელია. თუ მოცემულ მომენტში ეს შეუძლებელია, ცივი უარით კი არ ისტუმრებენ ან უყურადღებოდ ტოვებენ მის თხოვნას, არამედ უხსნიან მას თუ რატომაა ახლა ამის გაკეთება მიზანშეუწონელი ან საერთოდ შეუძლებელი. ბავშვიც გაგებით ეკიდება მშობლების უარს. თუ სისტემატურად მოვიქცევით ასე, ბავშვიც ეჩვევა მისი სურვილების შეკავებას. მათ შორის მყარდება ურთიერთგაგებაზე დამყარებული ურთიერთობა.

12 წლამდე ადვილია ამის მიღწევა. შემდეგში ე. წ. გარდამავალ ასაკში მდგომარეობა იცვლება. მოზარდი საკმაოდ გულჩათსრობილი ხდება და ნაკლებად აცნობს მშობლებს თავის პრობლემებს. მაგრამ თუ მანამდე ბავშვის აღზრდა დემოკრატიული სტრატეგიით ხდებოდა, ის მაინც ინარჩუნებს მშობლებთან გულღია დამოკიდებულებას და ცდილობს მათგან რჩევა-დარიგების მიღებას.

ბავშვის გრძნობებისადმი პატივისცემა. გრძნობა ძლიერ გავლენას ახდენს პიროვნებაზე, ამიტომ მისი უხეშად შელახვა შეიძლება ბავშვის სულიერი ტრავმის მიზეზი გახდეს. გარდამავალ ასაკში ის მშობლებთან კონფლიქტის მიზეზიც ხდება. ამ ასაკში ინტენსიურად ვითარდება მაღალი სოციალური გრძნობები, როგორიცაა; მორალური, ინტელექტუალური და

ესთეტიკური გრძნობები. არის შემთხვევები, როცა ამ გრძნობების მოზარდისეული გააზრება არ ეთანხმება ღიღებისას, მაგრამ მას არ უნდა დაეცინოთ ამისათვის, მით უფრო არ ეგების გაკიცხვა. მშვიდად, მოთმინებით უნდა აუუხსნათ თუ ის რაში ცდება, რაში არ ვეთანხმებით. თუ ოჯახში მანამდე ბავშვზე ზემოქმედების დემოკრატიული სტრატეგია ხორციელდებოდა, გარდამავალ ასაკში მშობლები ღიდ პრობლემებს არ წააწყდებიან.

აუცილებელია ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებებისადმი ანგარიშის გაწევა. ბავშვს ჭარბი ენერგია აქვს, რომლის ძირითადი მომხმარებელი თამაშია. სკოლამდელ ასაკში ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა თამაშია, მაგრამ სწავლის დაწყების შემდეგაც ბავშვის ქცევაში თამაშს ღიდი ადგილი უჭირავს. ამიტომ მას თამაშის საშუალება უნდა მიეცეთ. ბავშვს ბავშვობა არ უნდა წაეართვათ.

გარდა ამისა, სკოლამდელ ასაკში ბავშვს ღიდი მოთხოვნილება აქვს გარე სინამდვილის შემეცნებისა და ამიტომ ხშირად ეკითხება უფროსებს ყველაფერ იმის შესახებ, რაც მან არ იცის. მაგალითად, შეიძლება მშობელს ჰკითხოს, რატომ ჰკიღია მთეარე ცაზე და რატომ არ ვარდება ან როგორ გაჩნდა ის? მშობელი ბავშვის მსგავს შეკითხვებს გულისხმიერად უნდა მოეკიდოს, უპასუხოს როგორც შეუძლია, მაგრამ არ უნდა მოატყუოს.

ასევე საჭიროა მშობლის მზადყოფნა შეიღის ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დემოკრატიული ოჯახი საკმარ თავისუფლებას აძლევს შეიღს რიგი ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, რომელთაც სწავლასთან არა აქვთ უშუალო კავშირი. გარდამავალი ასაკის შემდეგ ახალგაზრდებს ღიდი სურვილი აქვთ გართობის, ისეთ ღონისძიებებზე დასწრების, როგორცაა სპორტული შეჯიბრებები, სანახაობებზე წასვლა, ბანაობა, სეირნობა, ამხანაგების დაბადების დღეებზე სიარული და ა. შ. მას უფლებას აძლევენ გაკვეთილების მომზადების შემდეგ დარჩენილი დრო თავის სურვილისდა მიხედვით გამოიყენოს, ცხადია, მშობლების კონტროლქვეშ. დაცული უნდა იყოს გარკვეული შეთანხმება, რომ ის ჯერ

გაკვეთილებს მოამზადებს და მერე წავა და ასევე გარკვეულ დროს დაბრუნდება შინ და ა.შ..

უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვის საქციელის გონივრული განსჯა. ბავშვს აქვს ჭარბი ენერგია და მას თამაშში ჩართულ მოძრაობების სახით ხარჯავს. ის ბევრს მოძრაობს, ცელქობს დაყოველთვის ვერ მოზომავს თავის საქციელს; ხმაურობს, საგნებს არადანიშნულებისამებრ გადაადგილებს, გატეხავს კიდეც. მოკლედ. დააშავებს რაღაცას. ამ დროს ბავშვის მკაცრად დასჯა, რასაც ზოგიერთი მშობელი მიმართავს, არ არის სწორი. სულ ერთია, სხვა დროს მას ისევ მოუვა ასეთი მარცხი. დემოკრატიულ ოჯახში მიმართავენ ბავშვის საქციელის განსჯას. მას უფლებას აძლევენ იმართლოს თავი და თუ მართლა დანაშაული მიუძღვის, უნდა დარწმუნდეს, რომ ცუდი საქმე გაუკეთებია, რომ მისი საქციელი არ არის სწორი.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შვილის ამხანაგებისადმი პატივისცემას. შვილს დიდ სიამოვნებას ანიჭებს, როცა მშობლები პატივისცემით ეპრობიან მის ამხანაგებს. ეს არცაა გასაკვირი. ბავშვი ეგუება გარეშეებთან ურთიერთობას. ის თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების გზით გადის სოციალიზაციის გზაზე. ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ 12 წლიდან დაწყებული მოსწავლეები სიამაყით აღნიშნავენ ამხანაგებისადმი მშობლების პატივისცემას. ძალიან ცუდია, როცა ზოგიერთი მოსწავლე თავის მშობლებში ამას არ ამჩნევს, როცა ცივად ეკიდებიან სახლში მეგობრის მოყვანას ან უკრძალავენ კიდეც, არ უშვებენ ამხანაგის დაბადების დღეზე და ა. შ. ის ამის გამო დათრგუნვილად გრძნობს თავს, რაც გარკვეულ როლს თამაშობს მშობლების მიმართ მის გაბოროტებაში.

საჭიროა ზრუნვა შვილის პროფესიული ინტერესების ჩამოყალიბებაზე. გარდამავალი ასაკიდან იწყება მოზარდის დაინტერესება იმით თუ რომელ პროფესიას სჯობია დაუფლოს. მას ამ საქმეში მშობლები უნდა დაეხმარონ. ზოგიერთი მოსწავლე ისე ამთავრებს სკოლას, რომ წარმოდგენა არა აქვს რა უნდა აკეთოს მომავალში. მშობელს შეუძლია მივიდეს კონსულტაციაზე

სკოლის ფსიქოლოგთან და გაიგოს, რომელი პროფესიების შესატყვისი მონაცემები გააჩნია მის შვილს და მერე მეთოდურად გასწიოს პროპაგანდა ამ პროფესიების მიმართ. ბავშვმა თვითონ უნდა აირჩიოს პროფესია. ძალიან ცუდია, როცა მშობლები თავზე ახვევენ შვილს მათ რომ მოსწონთ იმ სპეციალობას.

მშობლები ითვალისწინებენ ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს. ოჯახის დემოკრატიულობა ბავშვის წესიერად აღზრდის მნიშვნელოვანი პირობაა, მაგრამ საჭიროა აგრეთვე აღზრდის პროცესში ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების ცოდნის გამოყენება. ბავშვის პიროვნების ფორმირებას რამდენიმე ეტაპი აქვს, რომელთაგან თითოეული სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს. ყველა მშობელს როდი აქვს ამის შესახებ ცოდნა., მაგრამ მათ ამ საქმეში უნდა გამოიყენონ სკოლის ფსიქოლოგი. აღზრდის დემოკრატიულ სტრატეგიას ბავშვის განვითარების შესახებ ცოდნაც რომ დაემატება, შვილს განვითარების საუცხოო პირობები შეექმნება.

აღზრდის ავტორიტარული სტრატეგიის უარყოფითი როლი ისაა, რომ ანგარიში არ ეწევა ბავშვის სწორად აღზრდის იმ პირობებს, ზემოთ რომ ჩამოვთვალებთ. შვილის აღზრდა დამყარებულია მშობლების ბრძანების უსიტყვო შესრულებაზე, უსიტყვო მორჩილებაზე. მშობელი თვლის, რომ ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა აღზარდოს შვილი. მთავარია., ამ უკანასკნელმა უსიტყვოდ შეასრულოს მისი მოთხოვნები, ბრძანებები. ბავშვის მოთხოვნილებებს, სურვილებს, განვითარების ასაკობრივ თავისებურებებს ანგარიში არ ეწევა. გამორიცხულია, ბავშვის მიერ თავისი სურვილების შესრულების მოთხოვნა მაშინაც კი, როცა ისინი ადვილად შესრულებადია და ზიანის მომტანი არ არის და ეს იმიტომ, რომ მშობელს ეს არ სურს. დადგენილია, რომ უკეთეს შემთხვევაში, ასეთმა მშობელმა იცის, თუ როგორი ადამიანი აღზარდოს, მაგრამ აზრზე არ არის როგორ გააკეთოს ეს. ე. ი. არ იცის შვილის აღზრდა.

მეტ-ნაკლებად, მაგრამ ბავშვზე ყველა ასაკში ცუდად მოქმედებს მშობლების მბრძანებლური ტონი, დაუსაბუთებელი შეზღუდვები.

გარდამავალ ასაკში კი მას სული ეხუთება ასეთ ატმოსფეროში და უაღრესად არასასურველი საქციელი შეიძლება ჩაიდინოს, სახლიდან გაქცევამდეც კი. ბავშვთა ნაწილი ეგუება მშობლების დესპოტიზმს, მაგრამ დადასტურებულია, რომ ღრთა განმავლობაში ისინი ვერ იძენენ ხასიათის ისეთ დადებით თვისებებს, როგორცაა: სიმტკიცე, მიზანდასახულობა, დამოუკიდებლობა, თანაგრძნობა და ა. შ. ზოგს აშკარად ეტყობა დათრგუნვილობის განცდა, პესიმისტური განწყობილება.

მშობლების ავტორიტარიზმი ცუდად მოქმედებს ბავშვის სოციალიზაციის პროცესზე. ბავშვები, რომლებიც ასეთ ოჯახში იზრდებიან, მტკივნეულად განიცდიან იმას, რომ მშობლები ერევან და თავისი სურვილის მიხედვით წყვეტენ მათ დამოკიდებულებას ამხანაგებთან, ითვალისწინებენ მათ შეგობრებს, ხოლო ზოგჯერ უკრძალავენ კიდევ მათთან დაახლოებას. საოცარი ისაა, რომ ზოგჯერ მშობლის მიერ ათვალისწინებული ბავშვი სრულებითაც არ არის ცუდი ყოფაქცევის. ასევე მშობლები აძლევენ რეკომენდაციას, თუ რომელ თანაკლასელთან უნდა იმეგობროს, იმისგან დამოუკიდებლად, სურს ეს შეიღს თუ არა. გამოირკვა, რომ არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც არაუფერ ცუდს არ ხედავენ იმაში, თუ მათი შვილი არავისთან არ მეგობრობს. ნათლად ჩანს, რომ შვილს წართმეული აქვს უფლება, მის ირგვლივ შეიქმნას მისთვის სასურველი სოციალური ატმოსფერო. ეს არ არის თავისუფალი პიროვნების ფორმირების ნორმალური პროცესი. ავტორიტარულ ოჯახში მშობლებსა და შვილებს შორის ხშირია კონფლიქტი, რისი ერთერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისაა, რომ მათ ირგვლივ მიმდინარე სოციალური მოვლენების მიმართ განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მშობელი კი შვილს უბოდიშოდ ახვევს თავზე ისეთ ღირებულებებს, რომლებიც მისთვის მიუღებელია. ასეთი რამ დაუშვებელია მაშინაც, როცა მშობელი მართალია. აზრთა ურთიერთგაზიარების გზით შვილს უნდა ეცნობოს მისი პოზიციის მცდარობა. იქნებ მან კიდევ შეიცვალოს შეხედულება.

მშობლის ავტორიტარიზმი არა მხოლოდ სწავლაში უშლის

ბავშვს ხელს, არამედ ამხინჯებს მისი პიროვნების სრულყოფილად ფორმირების პროცესსაც. ბავშვის სოციალურ არსებად ჩამოყალიბებისათვის მარტო ცოდნის შექმნა არ კმარა. ის უნდა შეეზარდოს საზოგადოებას, შეითვისოს ადამიანებთან თანამშრომლობის, ერთობლივად საქმიანობის უნარ-ჩვევები. ცუდია, როცა მშობელი თავის შვილს ამის შესაძლებლობას ართმევს.

ოჯახის დემოკრატიულობა იმას არ ნიშნავს, რომ მშობლებმა ყველაფერი იციან, რომ მათ არა აქვთ შვილებისაგან განსხვავებული შეხედულებები(სტანდარტები), მაგრამ მდგომარეობას ამსუბუქებს ის გარემოება, რომ ისინი შვილებს უფლებას აძლევენ გამოთქვან თავიანთი აზრები, დაიცვან ისინი. აქ დაშვებულია შვილის მოთხოვნილებების, სურვილების ირგვლივ აზრთა თავისუფალი გაზიარება, ურთიერთობის ატმოსფერო არ არის დაძაბული. ამის შედეგად ზოგჯერ მშობელი თმობს თავის პოზიციას, ის ახლა უკვე ერკვევა შვილის თანადროულ ცხოვრებაში და შეიძლება შეიცვალოს კიდევ შეხედულება. ამაში ცუდი არაფერია.

მეორედა, მშობელმა კიდევ რომ არ დათმოს და შვილს მოუწიოს უფროსის მოთხოვნის მიხედვით მოქმედება, ის მაინც არ იქნება ისე უკმაყოფილო, როგორც მაშინ, როცა ამას ბრძანებით ახვევენ თავზე.. მაშინ ეს აქტი არ განიცდება როგორც იძულება, სხვისი ნების თავზე მოხვევა, არამედ აღიქმება როგორც რჩევის, დარიგების გზით მიღწეული კონსენსუსი. დადასტურებულია, რომ დემოკრატიულ ოჯახში აღზრდილი ადამიანი სოციალურ გარემოსთან შეგუებაში ნაკლებ სიძნელეებს აწყდება. სხვებთან ურთიერთობაში ის ლაღად გრძნობს თავს, ადვილად ამყარებს გარეშეებთან კონტაქტებს და თვითონაც ამისთვის იოლად დასაყოლიებელი პიროვნებაა. ავტორიტარული ზემოქმედების ქვეშ აღზრდილი ახალგაზრდა კი მორჩილი და გაუბედავი პიროვნებაა ან, პირიქით, ჯიუტი და თავნებაა. ის ძნელად უახლოვდება გარეშეებს და თვითონაც ძნელად უხსნის მათ გულს.

პედგაგიური თვალსაზრისით არ არის გამართლებული აღზრდის ლიბერალური სტრატეგიაც. მისი არსი ისაა, რომ



მშობლები უაღრესად დამთმობნი არიან შვილის აღზრდაში. ყველაფერს პატიობენ მას. ბავშვი დროდადრო დააშვეებს რაღაცას, მოუღებელ რამეს გააკეთებს. არ შეიძლება ამაზე თვალი დავხუჭოთ იმ მოტივით, რომ ის ჯერ ბავშვია და არ ესმის რას აკეთებს. ბავშვის აღზრდა ნიშნავს მის მიერ თანდათანობით იმის გაცნობიერებას თუ მისი ქმედებებიდან რომელია მიუღებელი, დასაწუნი, რათა შეორედ არ გაიმეოროს. ავტორიტარულ ოჯახში ბავშვს ცუდი საქციელისათვის მკაცრად დასჯიან და ხმას არ ამოაღებინებენ. დემოკრატიული სტრატეგია მოითხოვს ბავშვს უთხრან საყვედური ან აუკრძალონ რაღაცის გაკეთება, მაგრამ აუხსნან რაშია საქმე, გააგებინონ, თუ რატომაა მიუღებელი მისი საქციელი. აღზრდის ლიბერალური სტილის დროს, როცა ბავშვს ყველაფერს ისე პატიობ, რომ არ ეუბნები რაა ცუდი მის საქციელში, ის ვერც იმას მიხვდება, რომ ცუდი საქმე გააკეთა და არც ის ეცოდინება, როგორ უნდა მოიქცეს მომავალში.

ლიბერალურ ოჯახში გაზრდილ ბავშვს აღზრდის დიდი დეფიციტი აქვს. ის სკოლაში მოდის ქცევის ისეთი ინვენტარით, რომელთაგან ბევრი დასაწუნია. ამიტომ როცა მასწავლებელი ბავშვის საქციელს იწუნებს, ზოგიერთი მტკივნეულად განიცდის ამას. ის ხომ ასეთ რამეს არაა მიჩვეული. ამიტომ მათი ნაწილი ძნელადაღლსაზრდელთა კატეგორიაშიც კი ხვდება.

#### **6.12.4. ოჯახურ აღზრდაში დაშვებული შეცდომები**

ოჯახის დემოკრატიულობა იმას არ ნიშნავს, რომ მშობლებმა აღზრდის ყველა ნიუანსი იციან. არის შვილის აღზრდისადმი მცდარი დამოკიდებულების მრავალი სახე, რომელსაც ნებისმიერ ოჯახში შეიძლება შევხვდეთ. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს:

დედის მიერ შვილზე მეურვეობის სხვისთვის გადაბარება. არის შემთხვევები, როცა ოჯახში არის მანდილოსანი(ბებია, და, სხვა ნათესავი), რომელსაც შეუძლია

ბავშვს მიხედოს. დედაც ამით სარგებლობს და ბავშვის მოვლას მთლიანად მას ანდობს. თვითონ კი დღის დიდ ნაწილს მაღაზიებში, ატელიეში, მეზობლებთან ან ტელევიზორის ყურებაში ატარებს. ასეთ მშობელს არ ესმის, რომ ბავშვს გაზრდასთან ერთად აღზრდაც სჭირდება, რომ უკანასკნელი უფრო ძნელია ვიდრე პირველი. ნაშიერს ცხოველიც ზრდის, აღზრდა მხოლოდ ადამიანს შეუძლია. დიდი ხანია ცნობილია, რომ ბავშვის აღზრდაში დედა შეუცვლელია. მისი თბილად, სიყვარულით ნათქვამი რჩევა, დარიგება, აკრძალვაც კი ბავშვისთვის მისაღებია. ისიც ცნობილია, რომ რაც უფრო პატარა და უსუსრია ბავშვი, მით უფრო სჭირდება მას დედის მზრუნველობა.

ერთიან მოთხოვნათა უქონლობა. ბავშვის აღზრდაზე ცუდად მოქმედებს უფროსების მხრივ ერთიან მოთხოვნათა უქონლობა. მშობელს მოუწევს შვილისთვის რაღაცის აკრძალვა, საყვედურის თქმა, გაწყრომაც. ძალიან ცუდია, როცა ასეთ დროს ოჯახის სხვა წევრი გამოესარჩლება ბავშვს და აკრძალულის ნებას რთავს, საყვედურზე ეფერება. ამაში ხშირად სცოდავენ ბებიები და ბაბუები. ისინი, თავის დროზე საკმაოდ მკაცრნი შვილების მიმართ, უალრუად ლმობიერნი ხდებიან, როცა საქმე შვილიშვილებს ეხება. გამოსარჩლების შემთხვევაში, მშობელმა შვილს კიდევ რომ შეასრულებინოს მისი მოთხოვნა, ამას აღმზრდელითი ზემოქმედება არ ექნება. ბავშვს უჩნდება განცდა, რომ რადგან მის სურვილს ქომაგი გამოუჩნდა, ის, ალბათ, არც ისე ცუდია. ოჯახის წევრები აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ ბავშვის თანდასწრებით ასეთი საქციელი არ დაუშვან.

მოუცვლელია. არც ისე იშვიათად ბავშვი მოკლებულია დედის მზრუნველობას მისი საქმიანობით გადატვირთვის გამო. ოჯახში მარტოხელა დედა ან ორივე მშობელი მსახურობს და ბავშვს სხვა, უფრო ხშირად, უფროსი თაობის წარმომადგენელი უვლის. როცა მშობელს სხვა გამოსავალი არა აქვს რა ქნას, მაგრამ ის ყოველდღიურად საქმის კურსში უნდა იყოს თუ რა მოხდა ბავშვის ცხოვრებაში, რა პრობლემა წარმოიშვა და როგორი რეაქცია განხორციელდა მასზე. სათანადო კონსულტაცია უნდა

ეწეოდეს იმას, ვინც ბავშვზე მეურვეობს. დედას უნდა ახსოვდეს, რომ მისი სრულყოფილად შეცვლა არავის შეუძლია. ძალიან კარგია, თუ მამა შეძლებს შვილთან დარჩენას გარკვეული ხნით, დროის იმ მონაკვეთში, დედა რომ არ არის სახლში.

დედის შემდეგ მამაზე ახლობელი ბავშვს არც ყავს და არც ეყოლება. ისიც დადასტურებულია, რომ ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან მამის მიმართ და მასთან ყოფნა ხელს უწყობს მათ სულიერ სიჯანსაღეს. ცნობილი ნევროპათოლოგ ა. ზახაროვის აზრით “ნევროზით დაავადებულმა ყოველმა მეხუთე ბავშვმა თავის ცხოვრებაში გადაიტანა მამასთან დაშორება(მშობლების გაყრის შედეგად), მეტწილად მკვეთად გამოხატული ნევროზი ბავშვს ამის შემდეგ აღმოაჩნდა. ყოველ მეოთხე ბავშვმა დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით გადაიტანა დედისგან დაშორება სიცოცხლის პირველ წლებში(ნათესავებთან ყოფნა, საავადმყოფო, სადღეღამისო საბავშვო დაწესებულება). საბავშვო ბაგაში ადრეული მოთავსება ბავშვისათვის იყო სერიოზული ემოციური ტრავმა. დედასთან ან მამასთან ემოციური კონტაქტის უკმარისობის ანაზღაურება ვერ შეძლევს აღმზრდელებმა ან იმათ, ვინც მშობლებს ენაცვლებოდნენ. შედეგად მიღებული იქნა აფექტური კვალი-შფოთვა. ბიჭებში ის მრავალი წლის განმავლობაში თავს იჩენდა მამაზე დარღის სახით. შედეგში, ამ მოუსვენრობას ადვილად შეუძლია გადასვლა სიბნელის, მარტოდმარტო დარჩენის მიმართ აშკარად გამოხატულ შიშის განცდაში”.( 12. 117-118).

აქ ლაპარაკია იმ ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომებზე, მშობელს მოწყვეტილ ბავშვებს რომ უვითარდებათ. მშობლის უმეოვალყოფნა მძიმე შედეგს იძლევა ბავშვის პიროვნებაში სხვა მთელი რიგი უარყოფითი თვისებების ჩამოყალიბების სახით, რაც მის ძნელად აღსაზრდელობას ედება საფუძვლად.

ნეიტრალიზმი აღზრდაში. არის მწიბვლთა ერთი ნაწილი, რომელიც ყოველნაირ მატერიალურ პირობებს უქმნის შვილს ცხოვრებისათვის, არც სიყვარულს აკლებს, მაგრამ სრულიად გულგრილია მისი აღზრდის მიმართ. აღზრდას

ხელმძღვანელობა უნდა. ბავშვი ხომ ახლა სწავლობს ცხოვრებას. მან პირველ რიგში მშობლებისაგან უნდა გაიგოს, თუ რაა კარგი და რა ცუდი, რისი გაკეთებაა ნებადართული და რისი არა. აღზრდის დემოკრატიული სტილი იმას კი არ ნიშნავს, რომ მშობელმა არ მიხედოს ბავშვს, არამედ დემოკრატიული მეთოდით უხელმძღვანელოს მას.

ზოგიერთი მშობელი თვლის, რომ იმის შემდეგ, რაც ბავშვი სკოლაში წავა, მასზე ზრუნვა მხოლოდ სკოლის საქმეა. მართალია გ. შჩუკინა, როცა წერს, “ბავშვის აღზრდის საქმეში. სრული უპასუხისმგებლობა აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზია ოჯახის მარცხისა. თავისი შედეგებით საშიშია ის პედაგოგიური ნეიტრალიზმი, რომელიც გამოიხატება ფორმულით: “ჩვენი ვალა ბავშვი იყოს მაძლარი და ჩაცმული, ხოლო აღზრდის საქმეზე დეე სკოლამ იზრუნოს” ( 8. 11). უცილობელი პედაგოგიური მოთხოვნაა, ბავშვის აზრდის საქმეში სკოლა და ოჯახი შეთანხმებულად უნდა მოქმედებდნენ.

სიბეცე აღზრდაში. ცუდია, როცა ბავშვის სიყვარულით დაბრმავებული მშობლები აზვიადებენ მის ნიჭს. მას ისეთ მონაცემებს მიაწერენ, რაც აშკარად არ გააჩნია. კიდევ მეტი, ისინი ამას აკეთებენ შვილის თანდასწრებით. დროთა განმავლობაში ბავშვს საკუთარ თავზე უზუმაჯდება გადაჭარბებული წარმოდგენა, ხდება პრეტენზიული და როცა სინამდვილეში ეს არ მართლდება, მოსდის ფრუსტრაცია, კონფლიქტი გარეშეებთან, უჭირს შეეგუოს იმ სოციალურ გარემოს, სადაც მის უნარ-შესაძლებლობებს არ აფასებენ”. ო. რიულემ საუცხოოდ აღწერა ეს ფაქტი. “ყველამ, ბიცოლებმა და ნაცნობებმა უნდა გაიგონ თუ როგორი ჭკვიანი და განვითარებულია ბავშვი. მისი თანდასწრებით გატაცებით ყვებიან ბავშვის “შესანიშნავ” საქმეებზე და ნიჭზე,, თანაც ძლიერ შელამაზებულად. მან უნდა მოახდინოს ლექსის დეკლამირება იმიტომ, რომ მას ეს “საუცხოოდ” ეხერხება, სთხოვენ იმღეროს იმიტომ, რომ ბრწყინვალე ხმა აქვს. მას მოუწევს უჩვენოს მისი “გადასარევი” ნახატები იმიტომ, რომ მას ხატვის უეჭველი ტალანტი გააჩნია.

ბიცოლები მოვალედ თვლიან თავს განცვიფრდნენ და აღტაცებაში მოვიდნენ, ხოლო ბეც მშობლებს კიდევ უფრო უფიქსირდებათ თავიანთი უგუნური სიყვარული და პატივმოყვარეობა. საწყალი ბავშვი, რომელსაც დასაწყისში ყველაფერ ამისა სჯერა, თანდათანობით იქცევა თავმომწონე, თავდაჯერებულ პრანჭიად ან უსირცხვილო, გონებაშეზღუდულ მკვეხარად, რომელიც იმდენად სასაცილოა თავისთავზე შეხედულებაში, რამდენადაც უსიამოვნო საკუთარ თავდაჯერებასა და ბაჭობაში” ( 12. 118 ). ყველაფერშია საჭირო ზომიერება, ცხადია ის საჭიროა შვილის აღზდაშიც.

მკვლევარები მიუთითებენ ბავშვის აღზრდაში მშობლების მიერ ჩადენილ არაპედაგოგიურ ქმედებებზეც კერძოდ, ზოგჯერ მშობელი შეგნებულად უვითარებს ბავშვს მიუღებელ ჩვევას, რომელიც მერე ხასიათის ნეგატიურ თვისებად ექცევა. ო. რიულეს მოჰყავს მაგალითი დედისა, რომელსაც პირმშო ლოყაზე ურტყამდა თავის პაწია ხელებს. ასევე უმასპინძლებოდა ის სხვა ახლობლებსაც. მშობელი ამას იმით ამართლებდა, რომ შვილი ზრდის დამთავრების შემდეგ თავს არავის დააჩაგვრინებდა. დედა არ შემცდარა. მისი შვილი 6 წლის ასაკში დედას სცემდა, როცა სურვილს არ უსრულებდა. სამწუხაროდ, მისი მუშტი ახლა უკვე მტივინეული იყო.

ბავშვის აღზრდაში ბევრი ისეთი “წერილმანია”, რომელთა მნიშვნელობა ყოველთვის არა გაქვს კარგად გაცნობიერებული. მაგალითად, ბავშვი მაგიდას დაეჯახა ან სკამი გაუცურდა და წაიქცა. ის იტირებს და რომ დაამშვიდოს, მშობელი მუშტით სცემს მაგიდას, თუ სკამს, ვითომ დასაჯა ის. ბავშვი მშვიდდება, მაგრამ ცუდი საქმე გაკეთდა. ბავშვს ამით ვუვითარებთ შურისძიების მოთხოვნის ილუზიას “დამნაშავის” მიმართ. სჯობდა კი მას მოვფერებოდით და გვეთქვა, რომ ფრთხილად იყოს თუ არა შეიძლება კიდევ მოუვიდეს მარცხი. მართალია, ბავშვი უფრო მეტხანს იტირებს, მაგრამ ამით არაფერი დაუშავდება.

შვილის გამორჩევა. ძალიან ცუდია, როცა ოჯახში ერთ-ერთი შვილი გამორჩეული ჰყავთ და განსაკუთრებული

ყურადღების ობიექტია. ამის მიზეზი ბევრია: ის პირველი შვილია ოჯახში, გოგონების შემდეგ დაიბადა ბიჭი ან, პირიქით, ბიჭების შემდეგ გაჩნდა გოგონა, დაარქვეს ბაბუის ან ბებუის სახელი და ისინიც განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან. ოჯახში გამორჩეული შვილის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ; მოფერებაში, დასაჩუქრებაში, დაბადების დღის აღნიშვნაში, ტანსაცმლის ყიდვაში და ა. შ. ზოგჯერ სხვა ბავშვების თანდასწევით ამბობენ კიდევ, რომ ის გამორჩეულად უყვართ. მასზე ამბობენ- “ეს სულ სხვაა:”, “ესაა ჩემი იმელი” და ა.შ.

შვილის გამორჩევას ორი სახის უარყოფითი შედეგი მოსდევს. ჯერ ერთი, გამორჩეული შვილი ხდება გაყოფილი, ეგოისტი, რომელიც მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, ხოლო დაძმების ბედი არ აინტერესებს. ასეთი ანტიპატიური დამოკიდებულება მათ შორის არც დიდობისას ისპობა. შემორჩებათ ხოლმე ერთმანეთს შორის უნდობლობა, შუღლი და ზოგჯერ სიძულვილიც კი. ასე აღზრდილს უჭირს ნორმალური დამოკიდებულების დამყარება იმათთან, ვისთანაც ურთიერთობაში შედის, რადგან ხასიათის ის უარყოფითი თვისებები, რაც ბავშვობისას განუვითარდა, დიდობისას არ ისპობა.

ბავშვის განებივრება. ბავშვის განებივრების უარყოფით შედეგს ჩვენ მოკლედ უკვე შევეხეთ. იმას გვსურს დავუმატოთ შემდეგი. განებივრებული ბავშვის ქცევა ძალიან ჰგავს გამორჩეულისას, მაგრამ ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გამორჩევა მრავალშვილიან ოჯახში ხდება, განებივრება კი მეტწილად ერთადერთ შვილს ემართება. შვილის გამორჩევის დროს ის სხვა შვილებს უპირისპირდება. განებივრების დროს ასეთი რამე არ ხდება. შეიძლება იჯახში ორი ან მეტი ბავშვიც იყოს და ყველა განებივრდეს. განებივრებას ეძახიან შვილის ისე აღზრდას, როცა მისი ყველა სურვილი, ყველა კაპრიზი სრულდება, როცა მან არ იცის რას ნიშნავს “არ შეიძლება.” განებივრებული ბავშვი ისე გადის ცხოვრების გზაზე, რომ სახლში ხელი არაფრისთვის მოუკიდია. მშობლებმა ის

ისე გაზარდეს, ნიაიცი არ მიუკარებიათ და ახლა არც თვითონ იკარებს მას. ამიტომ, ცხოვრებისათვის მოუმზადებელი, უსუსური არსებაა და, როგორც წესი, მშობლების სათრევი ჩუქთახორაა. თუ მათ შვილს რაიმე საქმეში დახმარება ვერ აღმოუჩინეს, მთელი მათი ნაამაგარი წყალშია ჩაყრილი. სიბერის ეპოს შეიძლება არც მიხედოს მშობლებს.

შვილის განებივრების ერთერთი გზაა მისი გარეშეებისაგან გამორჩევა ჩაცმულობით, სხვადასხვა, ხშირად ასაკის შეუსატყვისი, აქსესუარებით.(დაწვებითი სკოლის მოსწავლეს მობილური დააქვს). მაინც უფრო ხშირად ოჯახში ერთადერთი შვილის განებივრება ხდება. ამას მრავალი მიზეზი აქვს, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ის ერთადერთი რომაა ამიტომ, შიშით რაიმე არ მოუვიდესო, განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი ხდება. გარდა ამისა, როგორც მატერიალური ისე ენერგიის ხარჯვის კუთხით, ერთი ბავშვის მოვლა გაცილებით იოლია, ვიდრე რამოდენიმესი და ამიტომ ყველას ყურადღება მასზეა გადატანილი, ყველას ენერგია ამ ერთ ბავშვზე იხარჯება. ისინი ერთმანეთს ასწრებენ იმაში, რომ ბავშვს როგორმე ასიაშოვნონ.

ბავშვის განებივრება ფსიქიკურად ამახინჯებს მომავალი მოქალაქის პიროვნებას. ის ხდება პრეტენზიული, თავისთავზე შეყვარებული, მომთხოვნი გარეშეებისადმი ისეთი ქმედების მიმართ, რასაც თვითონ არ უკეთებს სხვას. სკოლაში კი განებივრებული ბავშვი, როგორც წესი, ძნელადაღსაზრდელია. ის არ ეგუება მასწავლებლის მხრივ რაღაცეების აკრძალვას, საყვედურს. ასევე ხშირად მოსდის კონფლიქტი თანაკლასელებთან.

ზომიერების დაუცველობა შვილისადმი სიყვარულის გამოხატვაში. არ შეიძლება უყურადებოდ დავტოვოთ შვილისადმი სიყვარულის გამოხატვის ერთი მიუღებელი ფორმა, რომელსაც ზიანი მოაქვს ბავშვის პიროვნების ფორმირებისათვის. სამწუხაროდ, მის შესახებ თითქმის არაფერი იწერება, არადა ბოლო გამოკვლევებით საზიანოა შვილის მომავლისათვის. რასაც პედაგოგები გვერდს უვლიან, იმის შესახებ ფსიქოპათოლოგები დასაბუთებულად მსჯელობენ. ა. ზახაროვი წერს, “გვხვდება

ასეთი ოჯახები, რომლებშიც მშობლები დაუცხრომელი ალერსით, გაუთავებელი ჩახუტებითა და ტუჩებში კოცნით, შეიღებთან ერთად ლოგინში წოლით, აბაზანაში მათთან ერთად ბანაობით(მოზარდობის დროსაც) ხელს უწყობენ ნაადრევ სექსუალურ მომწიფებას. ბიჭები, რომელთაც ასეთი დედები ჰყავთ, არც ისე იშვიათად, მომწიფების დამთავრებამდე შედიან სქესობრივ ურთიერთობაში. ქალიშვილები, რომელთაც ასეთი მამები ჰყავთ, ღიღობისას ხშირად თხოვდებიან მათზე გაცილებით უფროსი ასაკის მამაკაცებზე. ყველა შემთხვევაში, მშობლების ასეთი საქციელი არღვევს ბავშვების ნორმალურ სქესობრივ განვითარებას. შემდგომში მათ სიყვარულს აქვს ან აშკარად გამოხატული ეროტიკული მიმართულება ანდა, პირიქით, გულგრილნი ხდებიან მოპირდაპირე სქესისადმი”(22, 192).

არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა დედა მის ბიჭს, ხოლო მამა ქალიშვილს დიდი ხმაურით კოცნის ტუჩებში, რაც ყოველად დაუშვებელია. ბავშვის ეროტული ზონების უხეშად გაღიზიანება საზიანოა მათი ნორმალური სქესობრივი მომწიფებისათვის.

გარემო პირობებით ბავშვის სულიერი ტრავმირება. არახელსაყრელმა გარემო პირობებმა შეიძლება ისეთი სულიერი ტრავმა მიაყენოს ბავშვს, რომ განუვითაროს ხასიათის ისეთი ნეგატიური თვისებები, როგორიცაა: გაუბედავობა, თავისთავში ჩაკეტილობა, სიმორცხვე. ასეთი ბავშვი არ არის უხეში, უღისციპლინო. ბევრი მათგანი არც ზარმაცობს, მაგრამ სწავლაში მინც ჩამორჩენილია. რაც სახლში ისწავლა, სკოლაში ვერ ყვება. ზოგჯერ მშობელი გაკვირვებული ეუბნება მასწავლებელს, რომ მან სახლში შეამოწმა და ბავშვმა გაკვეთილი იცოდა. სკოლაში კი კვლავ ორიანი მიუღია. მშობელი არ ტყუის. ბავშვს ეს მოსდის მისი გაუბედაობის, გაკვეთილის მოყოლის შიშის გამო. რაკი ბავშვს სწავლაში ხელს უშლის ხასიათის რიგი ნეგატიური თვისებებისა, უნდა მოხდეს მათი აღმოფხვრა, მათი შეცვლა სხვა დადებითი თვისებებით, რაც არც ისე ადვილი გასაკეთებელია. ამიტომ ვთვლით ასეთ ბავშვს ძნელად აღსაზრდელად.

ბავშვის ასეთი სულიერი ტრავმირება გამოწვეულია ორივე



ან ერთერთი მშობლის უყოლობით, რის გამოც ბავშვს არაეინ ჰყავს მხარდამჭერი, დამცველი და დამრიგებელი.. ადრეული ასაკიდან ხშირად განცდილმა მარცხმა დაუკარგა თავისთავისადმი რწმენა, განუვითარა გულჩათხრობილობა, თვითიზოლაცია გარეშეებისგან, შიში იმისა, რომ ვერ მოერევა იმას, რასაც ავალებენ და ა. შ. ზოგჯერ ასე ემართებათ იმ ბავშვებსაც, რომელთა მშობლები გადაჭარბებული სიმკაცრით ახდენენ შეიღების აღზრდას. ხმის ამოღების უფლებას არ აძლევენ თავის დასაცავად, სჯიან მკაცრად, არ უშვებენ ამხანაგებთან საურთიერთოდ. ზოგიერთი ბავშვი ამის გამო ბოროტდება და ასოციალურ ქცევას ეზიარება., ზოგს კი ზემოაღწერილი სინდრომი უვითარდება. აქ როგორც ჩანს, დიდ როლს თამაშობს ტემპერამენტის ტიპი. ქოლერიკებს და განსაკუთრებით მელანქოლიკებს ხშირად მოხდით ასეთი რამ.

### **6.12.5. მიკროსოციალური წრის გავლენები.**

ბავშვი დროის დიდ ნაწილს ოჯახში და ბაღში ან სკოლაში ატარებს., მაგრამ მას ხშირი კონტაქტი აქვს ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებთან, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახსა და სკოლას. ასეთია ნათესავთა ოჯახები, მეზობლების ბავშვები, რომელთაც ის ეზოში თუ ქუჩაში ხვდება, ქუჩის თანატოლები და სსსუა. შეუძლებელია ბავშვი ისე ჩაეკეტოს სახლში, რომ მან გარეთ არ გაიხედოს. ეს არცაა კარგი. ბავშვი საზოგადოების წევრად უნდა აღიზარდოს და მას აღზრდის კერას ვერ ჩამოვაშორებთ. თან, რაც უფრო დიდი ხდება ბავშვი, მით უფრო ფართოვდება მისი ნაცნობთა წრე. ამ წრეში მას წესიერი თანატოლებიც შეხვდება და უწესოებიც. სწორედ ამ უკანასკნელებისაგან ითვისებს ის სხვადასხვა სახის მიუღებელ საქციელს: ხუდიგნობას, ბილწისტიყვაობას, ქურდულ ჩვევებს, აგრესიულ ქმედებებს გარეშეების მიმართ. მათგან ეზიარება ნარკოტიკების გემოს და ხდება ნარკომანი. სიგარეტის მოწვევა ზომ მათთვის ჩვეულებრივი ამბავია. ძალიან ცუდია ასოციალური ჯგუფის გავლენა ბავშვზე

იმ მხრივ, რომ ის ადვილად ეთვისება იმ ქცევას, რომელიც ჯგუფშია ელიტარული.

ძნელია ჩამოთვალო ყველა ის უარყოფითი გავლენა, რაც ბავშვმა მიკროსოციალური წრისაგან შეიძლება მიიღოს. ბიჭი ქურდი გახდა სიბის გავლენით, რომელიც ამ საქმეში გამოცდილი იყო. ბავშვი შეძლებული ოჯახის შვილი იყო და ქურდობა არ სჭირდებოდა, მაგრამ მას ის ვაჟკაცურ საქმედ მიაჩნდა. ზოგიერთ პიროვნებას სიამოვნებას ჰგვრის ქურდობასთან დაკავშირებული რისკის განცდა.

რამდენიმეჯერ გავიმეორეთ, რომ შვილის წესიერად აღზრდას ხელს არ უწყობს მისი საზოგადოებისაგან იზოლაცია. მაგრამ არც ის შეიძლება ხელი ვუშვათ და შვილი ასოციალური ქცევის პირთა მღვრიე ტალღაში გადაეშვას. მშობელი ყურადღებით უნდა იყოს თუ ვისთან ერთად ატარებს შვილი დროს და თუ იქ უღისები არიან, ღიახაც უნდა ჩამოაშოროს., მაგრამ აქაც საჭიროა ზემოქმედების დემოკრატიული სტრატეგია. უნდა დაეუსაბუთოთ შვილს რა, არ მოგეწონს იმ წრის საქმიანობაში, რომელსაც ის დაუკავშირდა. თანაც, რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, იმდენად შედეგი უკეთესი იქნება. აქ განსაკუთრებით ხელშესახებად ჩანს ოჯახური აღზრდის დადებითი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირებაში. ოჯახში წესიერად აღზრდილი ბავშვი ნაკლებად ემორჩილება ქუჩის უარყოფით გავლენას.

ბავშვის დამოკიდებულება გარემოსთან სელექციურია. მოზღვავებული ინფორმაციიდან ის ირჩევს ზოგიერთს, დანარჩენს უყურადღებოდ ტოვებს. რა სახის ინფორმაციას ირჩევს ის? უპირატესად ან მთლიანად იმას, რაც იმ სტანდარტებს, ქცევის იმ ნორმებს შეესატყვისება, რაც ოჯახში დომინირებს. მხედველობაში გვყავს არა მშობლებზე გაბოროტებული, არამედ მათი პატივისმცემელი ბავშვი. რამდენი უწმაწური სიტყვა ესმის ბავშვს ქუჩაში, მაგრამ იმ ოჯახის შვილს, სადაც ასეთი გამოთქმები უზნეობად ითვლება, მათ არ ღებულობს. განა მოზარდი არ ხედავს გარეთ მოყვალე უსაქურებს, მაგრამ მშრომელი მშობლების შვილი, რომელიც შეძლებისდაგვარად თვითონაცაა ამ საქმეში

ჩაბმული, მათ არ შეუერთდება.

მოზარდი მაშინ დაინტრესდება უწესო თანატოლებით და ზოგჯერ ეძებს კიდევ მათ, როცა გააჩნია ოჯახური ურთიერთობებით გამოწვეული შინაგანი დაუკმაყოფილებობა, როცა მოსაწყენი ოჯახური სიტუციის ან მშობლების მხრივ გადაჭარბებულად მკაცრი დამოკიდებულების ნაცვლად სულიერ სიმშვიდეს, სიამოვნებას მათთან ურთიერთობაში ღებულბს. რაკი არსებობს ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე უარყოფითად მომქმედი მიკროსოციალური გარემო, ის უნდა მივიღოთ როგორც მუდმივმომქმედი რეალობა. ისიც ცხადია, რომ ვერ შევძლებთ შვილის ისე იზოლირებას, რომ მათთან შეხება არ ჰქონდეს. ამიტომ ორი ფაქტორი იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას: წესიერი ოჯახური აღზრდა და სისტემატური კონტროლი შვილის საქმიანობისადმი როგორც სკოლაში ისე სხვაადსხვა მიკროსოციალურ ჯგუფებში.

სამწუხაროდ, ის შეცდომები, ოჯახურ აღზრდაში რომ უშეცბენ, აქაც მოქმედებს. გაუმართლებელი სიმკაცრე, ან უყურადღებობა საქმეს აფუჭებს. თუ ბავშვს ვინმესთან მეგობრობას ვუწუნებთ, უნდა გულდასმით განემარტოს, ყვირილისა და ცემატყეპის გარეშე, თუ რატომა ვართ ამა თუ იმ პირთან მისი დაახლოების წინააღმდეგი.

### **6.12.6. ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის ფსიქოლოგიური მექანიზმი**

ძნელად აღსაზრდელი ბავშვის პიროვნებაა გაუკულმართებული. მას ისეთი თვისებები აქვს შეძენილი, რომ მათი გარდაქმნის, შეცვლის გარეშე მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია. ამ პროცესს ვეძახით ახლებურად აღზრდას.

ძნელად აღსაზრდელობა ბავშვის ქცევას ეხება. ყველაფერი, რასაც ადამიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აკეთებს, არის ქცევა. ქცევის განხორციელებისათვის ორი პირობის არსებობაა საჭირო: მოთხოვნილება (სუბიექტური ფაქტორი)

და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო გარემოს პირობები (ობიექტური ფაქტორი). ძნელად აღსაზრდელის ასოციალური ქცევის მიზეზი მის მოთხოვნილებებშია საძიებელი. მისაღები თუ მიუღებელი ქცევისთვის გამოსადეგი ობიექტური პირობები ყველა ბავშვისთვის არსებობს, მაგრამ ზოგი იყენებს მას, ზოგი არა. ვინ იყენებს ასოციალური ქცევის პირობებს (სიტუაციებს)? ის, ვისაც ამის მოთხოვნილება აქვს. მოთხოვნილების როლს ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის ჩამოყალიბებაში გაკვრით უკვე შევხებთ(10. 20). ახლა ცოტა უფრო ვრცლად გვინდა ამ საკითხზე შეჩერება.

მოთხოვნლება მრავალი სახისაა: ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური. ისინი თავს იჩენენ გარკვეული დანაკლისის სახით და მათი დაკმაყოფილება (დანაკლისის შევსება) განიცდება როგორც სასიამოვნო აქტი. როცა სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვს, გაკვეთილების მომზადების შემდეგ თავისუფალ დროს, თამაშის, გართობის მოთხოვნილება უჩნდება და როცა ნებას დართავენ ეზოში მოთამაშე თანატოლებს შეუერთდეს, დიდ სიამოვნებას ღებულობს. ხულიგანს სიამოვნებს, როცა ის სხვას შეუაცხყოფას აყენებს. ამიტომ ის, რაც ძნელად აღსაზრდელს თანატოლებისაგან განასხვავებს, უნდა ვეძიოთ მისი მოთხოვნილებების სპეციფიკაში. ბავშვს რომ აღზრდის ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური ფაქტორების გავლენით ასოციალური ქცევის მოთხოვნილება ჩამოუყალიბდა, ახლა სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია. სანამ ეს მოთხოვნილება სხვა, მისაღები ქცევის მოთხოვნილებით არ შეიცვლება, ძნელად აღსაზრდელი ბავშვი ასოციალური ქცევის სუბიექტად დარჩება.

რა არის მოთხოვნლება, რომელსაც ასე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის ჩამოყალიბებაში, ისე მისი ახლებურად აღზრდის განსახორციელებლად? მოთხოვნილება არის ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურად საფუძველი. ის აკეთებს იმას, რისი მოთხოვნილებაც აქვს. ლომი რომ გაძღება, 18 საათი სძინავს ან ნებივრობს ჩრდილში დაწოლილი. ამ დროს ანტილოპამ

ცხვირწინაც რომ ჩაუაროს, ზედაც არ შეხედავს. რატომ? იმიტომ, რომ არ შია, ანუ ჭამის მოთხოვნილება არა აქვს. ცხოველს მარტო ბიოგენური მოთხოვნილება გააჩნია და ამიტომ, როცა ის დაკმაყოფილებულია, უმოქმედოდ დარჩენისათვის დიდი დრო რჩება თავისუფალი. სულ სხვა მდგომარეობაშია ადამიანი, რომელსაც გარდა ბიოლოგიურისა აქვს ფსიქოგენური მოთხოვნილებები, მათ დასაკმაყოფილებლად ის უყურებს ტელევიზორს, კითხულობს წიგნებს და გაზეთებს, დადის თეატრებში და მუზეუმებში. მას აქვს სოციოგენური მოთხოვნილებები: სამუშაოს შოვნის, მეგობრობის, ლიდერობის, სამშობლოს სამსახურის და ა. შ. ასე რომ, ადამიანს, სანამ ის ფიზიკურად, ყოველთვის გააჩნია რაღაც მოთხოვნილება, რომელიც უბიძგებს მოქმედებისაკენ, გარკვეული ქცევის განხორციელებისაკენ.

მოთხოვნილების ასპექტით, ის რაც ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს, არის ფსიქოგენური და განსაკუთრებით, სოციოგენური მოთხოვნილებები. ისინი ადამინთა ურთიერთობებს უდევს საფუძვლად. ბავშვის ძნელად აღსაზრდელობა სწორედ აქ იჩენს თავს. მან იცის, რომ მისი ქცევა საზოგადოების გაკიცხვას იმსახურებს, მაგრამ რაკი ასე მოქცევის მოთხოვნილება აქვს, აკეთებს მას. როცა იგი სკოლის ინვენტარს აზიანებს, მას საგნების ჯავრი კი არა აქვს, არამედ ამით სკოლის მესვეურების გამწარება უნდა და როცა მათ დაამტკერებს, სიამოვნებას ღებულობს..

როგორ ყალიბდება ასეთი მოთხოვნილება? არც ერთი ასოციალური მოთხოვნილება მემკვიდრეული არ არის. ისინი ბავშვის ზრდა-განვითარების პროცესში ყალიბდებიან (იგივე ითქმის ფსიქოგენური მოთხოვნილების მიმართაც). განწყობის თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევის საფუძველი განწყობაა. მოთხოვნილება არის გაფიქსირებული განწყობა. თუ ადამიანი რაღაცას რამდენიმეჯერ გააკეთებს, მას ამ ქცევის შესრულების განწყობა გაუფიქსირდება და უკვე მისგან სიამოვნებას ღებულობს. მაშინ ვამბობთ, რომ მას ამ ქცევის მოთხოვნილება შეუქმუშავდა. მოსწავლეს, როცა ის პირველად ჩაყლაპავს სიგარეტის კვამლს, ხშირად ხველება აუვარდება,

შეიძლება გულიც აერიოს, მაგრამ თუ ეს ქმედება რამდენიმეჯერ გაიმეორა, ეჩვევა მას და სიგარეტის მოწვევის მოთხოვნისადაც უმუშავდება.

ასოციალური ქცევაც ამ გზით ყალიბდება. ბავშვმა ასოციალური ქმედება რამდენიმეჯერ უნდა შეასრულოს, რომ მისი მოთხოვნისადაც ჩამოუყალიბდეს. აქ მოქმედებს ბავშვის აღზრდაში დაშვებული ყველა ის შეცდომა, რაზეც ზემოთ ვეჭონდა საუბარი. ბავშვის უმთავალყურეობა, მისთვის ყველაფრის პატიობა, განებივრება ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ის ეზიაროს მიუღებელ ქცევას, არ არის აუცილებელი ყველა ასეთი ბავშვი ძნელად აღსაზრდელი გახდეს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათი რიგები ასეთებისაგან ივსება. იმ ბავშვისათვის კი, რომელიც უმკაცრეს პირობებში იზრდება, საინტერესოა ყველაფერი, რაც ოჯახის გარეთ ხდება. ამიტომ, თუ ის წააწყდა მისთვის საინტერესო, უცნობ საქციელს, ადვილად ერთვება მასში. მას ხომ არაფერ აძლევს რჩევას იმაზე, რომ ეს რაღაცა მიუღებელია. კიდევ რომ უკრძალავდნენ, ბავშვის მთლიანად სახლში გამოკეტვა შეუძლებელია. გარდამავალი ასაკის შემდეგ ასეთი ბავშვები მიუღებელ საქციელს სულის შემხუთველი ოჯახური ატმოსფეროს წინააღმდეგ პროტესტის გამოც სჩადიან.

როცა ბავშვი ასოციალურ ქცევას რამდენჯერმე ჩაიდენს, მისი შესრულების განწყობა უფიქსირდება და მოთხოვნისადაც გადაექცევა. ახლა უკვე საკმარისია შესაფერისი სიტუაცია გაჩნდეს, რომ ბავშვმა ის შეუფერხებლად განახორციელოს და ამისგან სიამოვნება მიიღოს. ამდენად, ძნელი ბავშვის ახლებურად აღზრდა ნიშნავს, ასოციალური ქცევის საფუძველად მდებარე ფიქსირებული განწყობის დარღვევას და მისი ახალი, მისაღები ქცევის განწყობით შეცვლას.

## 6.12.7. ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის ჩამოყალიბების პროცესი

ბავშვის პიროვნების ფორმირება რთული და ხანგრძლივი პროცესია. ის ძირითადად ბავშვობის და მოზარდობის წლებში იქმნება. ხასიათის ზოგიერთი მახასიათებლის ჩამოყალიბება კიდევ კარგა ხანს გრძელდება. ამასთან ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ძნელად აღსაზრდელს ერთი უარყოფითი თვისება კი არ ახასიათებს, არამედ რამდენიმე. ისინი სხვადასხვა დროს იწყებენ ჩამოყალიბებას და ასევე სხვადასხვა დროს ამთავრებენ ფორმირებას. გამოყოფენ ძნელად აღსაზრდელობის ფორმირების სამ სტადიას..

პირველ სტადიაზე ნელ-ნელა ხდება ხასიათის ნეგატიური თვისებების ელემენტების დაგროვება, რომლებიც ძირითადად, არახელსაყრელი ოჯახური პირობების ზეგავლენით შეიძინებიან. ასეთებია: ბავშვის ჭირვეულობა, ეჭვიანობა, ბავშვებისთვის საინტერესო ზოგიერთი მოვლენის მიმართ გულგრილობა, პერიოდული მოწყენილობა, ხშირი ტირილი, ჯიუტობა, შიში და ა. შ. ეს მოვლენები მკვეთრად გამოხატული ვერ არ არის. ამიტომ მშობლების შემოთქმას ხშირად არ იწვევს და, როგორც წესი, მათ შეუმჩნეველი რჩებათ. ასეთი რამე იმ ბავშვებსაც მოხდით, რომლებიც ძნელად აღსაზრდელები არ ხდებიან. მაგრამ თუ ბავშვის ქცევის აღნიშნული ნეგატიური გამოვლინებები ასაკის ფუნქცია არ არის, მშობელმა უსათუოდ უნდა მაქციოს ყურადღება, თუ რითია ის გამიწვეული. ბავშვს რაღაცა აწუხებს. როგორც კი მისი გამოძწევი ოჯახური პირობები შეიცვლება, ბავშვს ქცევის აღნიშნული სიმპტომები სწრაფად უქრება. ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის ჩამოყალიბების ამ პირველ პერიოდს ლატენტურ პერიოდს \_ უწოდებენ.

მეორე სტადიაზე ბავშვის ქცევის უარყოფითი კომპონენტები უკვე ხელშესახებადაა მოცემული. დაკვირვებულ ადამიანს ადვილად შეუძლია შეამჩნიოს ისინი. მაგალითად, თუ პირველ სტადიაზე ბავშვმა სწავლას უკლო, მაგრამ მის ქცევას აშკარა გადახრები არ ეტყობოდა, ახლა გამოკვეთილად ჩანს ბავშვის ცოდნის ხარვეზები, ზოგიერთი ნაკლი სოციალურ განვითარებაში,

როგორებიცაა: ხშირი კონფლიქტი მშობლებთან, მასწავლებლებთან, თანატოლებთან. საყურადღებოა, რომ ჯერჯერობით, კონფლიქტურ სიტუაციებში ბავშვს უკავია აქტიური თავდაცვითი პოზიცია (სიჯიუტე, ნაგატივიზმი, ურჩობა და სხვა). ესენია სოციალური ხელმიშვებულობის პირველი შესამჩნევი გამოვლინებები. ამ სტადიაზე ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის პროცესი საკმაოდაა წინ წასული. მიუხადავად ამისა, ბავშვის აღზრდაში დაშვებული შცდომების აღმოფხვრას და მათი პედაგოგიურად სწორი მიდგომით შეცვლას, ადვილად შეუძლია კარგი შედეგის მიღწევა. ბავშვის ძნელად აღსაზრდელობა ჯერ კიდევ არ არის ძლიერ გაფიქსირებული.

მესამე სტადიაზე მოსწავლის ხასიათის უარყოფითი თვისებები იმდენად მტკიცედ არის ჩამოყალიბებული, რომ მყარად იჩენს თავს მის ქმედებებში. ის აღრინდელი თავდაცვითი პოზიციიდან გადადის აშკარა შეტევით ქმედებებზე და უკვე ანგარიშს არ უწევს საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი ქცევის მოთხოვნებს, არც სამართლებრივ კანონებს სცნობს. ჯერ ერთგვარად შემპარავად იქცევა, ხოლო დაუსჯელობის ან მცირე სასჯელისას სულ უფრო და უფრო უხეშად და გამომწვევად იწყებს მოქმედებას. უკიდურესი ხელმიშვებულობისას ის მცირეწლოვანი დამნაშავეობისკენ მიექანება.

აღნიშნული სტადიების აღმოცენება და მათი მონაცვლეობა განსხვავებულია სხვადასხვა ბავშვში, რადგან ყოველ მათგანზე განსხვავებული სოციალური გარემო მოქმედებს. მაგრამ ჩამოყალიბებულ ძნელად ათსაზრდელს ყველა მათგანის გავლა მოუწევს. ამიტომ მშობელმა, თუ მისი შვილის ქცევაში მსგავსი მოვლენები შეამჩნია, აუცილებლად უნდა მიმართოს სპეციალისტს. ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი სპეციალისტი ფსიქოლოგია.

### **6.12.8. ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობა**

სკოლისათვის ყველაზე თავსატეხი პრობლემა ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობაა. სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლის



გამოსწორებაც არ არის ადვილი, მაგრამ რამდენად ძნელი უნდა იყოს იმ ბავშვთან მუშაობა, რომელიც სწავლაშიც ჩამორჩენილია და იმავე დროს უხეში ქცევით გამოირჩევა. ისე არ ხდება, რომ მოსწავლე ხულივანი იყოს და კარგად სწავლობდეს. ძნელად აღსაზრდელს სწავლის ინტერესი დაკარგული აქვს, თუმცა შეეძლო კი ნორმალურად ესწავლა. სამწუხაროდ, მათ შორის ისეთებიც გვხვდებიან, რომლებიც ადრე კარგად სწავლობდნენ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ძნელად აღსაზრდელობა დაეტყვოთ, სწავლაშიც ჩამორჩნენ.

პრობლემური ბავშვების რეაბილიტაციის ერთადერთი საშუალება კორექციაა. ის, თუ როგორ უნდა ჩატარდეს საკორექციო მუშაობა, ამაზე საკმაოდ ვრცლად უკვე გვქონდა საუბარი. ამჟამად გვინდა იმ მომენტებს მივაქციოთ ყურადღება, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ასეთ ბავშვებთან მუშაობის დროს. ფსიქოდიანოსტიკური მეთოდების გამოყენებით ძნელი მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობების დადგენის საჭიროება თითქმის გამორიცხულია. ჩამოყალიბებული ძნელად აღსაზრდელი მოსწავლე უკვე ზედაკლასელია და თუ ის დაწყებით კლასებში არ იყო სწავლაში ჩამორჩენილი, მაშასადამე, ინტელექტის უკმარისობა არაფერ შუაშია.

საკორექციო მუშაობის დაწყების წინ უნდა შეგროვდეს სამი სახის მონაცემები: პირველი, საჭიროა მოსწავლის ფსიქონევროლოგიური შემოწმება ზოგჯერ ბავშვის სიტუაციის არაადეკვატურ ქცევას გარკვეული ფსიქიკური გადახრა უდევს საფუძვლად. იმავე მიზეზმა შეიძლება თავიდანვე ბიძგი მისცეს მოსწავლის ხასიათში ნეგატიური თვისებების აღმოცენებას, რომელიც შემდეგში სხვა ფაქტორების მიქმედების დართვით უფრო ძეტად განმტკიცდა. ის ერთადერთი თუ არა შეიძლება ერთერთი მიზეზი მაინც იყოს. ასთია მაგალითად უყურადღებობისა და თავშეუკავებლობის სინდრომი, სხვადასხვა სახის ნევროზი და ა. შ.

მეორე და ყველაზე მთავარია იმ სოციალური გარემოს გულდასმით შესწავლა, რომელშიც ბავშვი ტრიალებს და რომელიც, შესაძლოა ყველაზე უფრო იყოს დამნაშავე მისი

ხასიათის გაუკუღმართებაში. არ შეიძლება, ბავშვის გარემომცველი გარემო მის აღზრდაზე დადებითად მოქმედებდეს, ხოლო ის ძნელად აღსაზრდელი იყოს. დასადგენია თუ როგორია ეს გარემო, რა სახით მოქმედებს ის მოსწავლეზე და რამდენადაა შესაძლებელი მისი აღზრდის ინტერესების შესატყვისად შეცვლა. სოციალური გარემო ფართე ცნებაა. ამიტომ მარტო ოჯახური პირობების შესწავლით არ უნდა დაკმაყოფილდეთ. უნდა ვნახოთ ბავშვის კავშირი სანათესაოსთან, სამეზობლოსთან, ქუჩის კომპანიასთან. ამის შესახებ უსათუოდ ეცოდინებათ მშობლებს და იმ წესიერ ადამიანებს, რომლებიც მას იცნობენ.

მესამე რიგის მონაცემები იმ პედაგოგიურ გარემოს ეხება, რომელშიც ბავშვი იმყოფება. პედაგოგიურ ლიტერატურაში არა ერთხელ აღნიშნულა, რომ სკოლაც გამძღარა მოსწავლის ძნელად აღსაზრდელობის სტიმულატორი. განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს მოსწავლეზე მისთვის დაუმსახურებლად ძნელად აღსაზრდელის იარლიყის მიკუთვნება. ამის შემდეგ, მისი პედაგოგები და ცხადია, ისინიც, რომლებიც მას უშუალოდ არ ასწავლიან, ბავშვს ძნელად აღსაზრდელს ეძახიან და ისე ექცევიან, როგორც ხელიდან წასულ პიროვნებას., ყველა დანაშაულს მას აბრალებენ. ცხადია, ასეთ დროს მოსწავლის მიერ თავის მართლებისა არავის სჯერა. ასეთ ვითარებაში წესიერი ბავშვიც ბოროტდება. საქმე მარტო ამაში როდია, მასწავლებელთა ერთ ნაწილს აშკარად არ უვარგა პედაგოგიური ტაქტი. ადგილი აქვს მოსწავლეთა ლანძღვას, წყევლას და ცემასაც კი. ასეთი ქმედება მიუღებელია ნებისმიერ ასაკში, მაგრამ ყოველად დაუშვებელია გარდამავალი ასაკის დადგომის შემდეგ. მოსწავლეს უნდა უყვარდეს თავისი პედაგოგი. თუ ასეთი დამოკიდებულება მათ შორის არ არის, იმ მოსწავლესაც კი გაუჭირდება სწავლა, რომელიც წესიერი ყოფა-ქცევისაა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის დადგენაში მთავარია თვითონ მისი დამოკიდებულება საკუთარი საქციელისადმი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადამიანის ქცევისათვის მთავარია მოტივი. მოსწონს მას ის რასაც აკეთებს,

დადებითად აფასებს მას თუ არა. მოსწავლემ დაუფიქრებლად, სხვების წაქეზებით ან მათ საქმიანობაში თანამონაწილეობით შეიძლება შეუფერებელი საქციელი ჩაიდინოს. ამისგან ბავშვი კი არა მოზრდილიც არ არის დაზღვეული. მთავარია, როგორ აფასებს ბავშვი ჩადენილს. თუ ბავშვი ამის გამო დარცხვენილია, სწუხს, ინანიებს, მაშინ მისი ქმედება ხასიათის გაუკუღმართების შედეგი არ არის და ასეთ ბავშვს არ უნდა დავარქვათ ძნელად აღსაზრდელი. არის საკმაოდ მძიმე ხასიათის ბავშვი, რომელიც ასოციალურად არ იქცევა, მაგრამ მასწავლებელს არ მოსწონს, ვთქვათ მისი სიჯიუტე. ამიტომ მასაც ძნელად აღსაზრდელი არ უნდა შევარქვათ. გენიოსებს შორისაც ყოფილან ასეთები, მაგრამ მათგან პარაზიტები კი არა სახელოვანი ადამიანები გამოსულან.

მაინც რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ძნელად აღსაზრდელი ბავშვის ახლებურად აღზრდის განსახორციელებლად? ბავშვის ძნელად აღსაზრდელობის ჩამოყალიბებაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს. აუცილებელი არ არის ერთ კონკრეტულ ბავშვზე ყველა მოქმედებდეს. კორექციის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს იმ ფაქტორების მოქმედების ნეიტრალიზება, რომლებიც ამ კონკრეტულ ბავშვზე მოქმედებენ უარყოფითად. პირველ რიგში, უნდა მოწესრიგდეს ის სოციალური გარემო, რომელმაც ბავშვი ძნელად აღსაზრდელი გახადა. ცხადია, აქ ზოგი რამის შეცვლა ფსიქოლოგს არ შეუძლია. დანგრეულ ოჯახს ის ვერ გაამთელებს., მაგრამ მან მაქსიმალურად უნდა სცადოს იმის გაკეთება, რასაც შეიძლება შედეგი მოჰყვეს: ოჯახური აღზრდის შეცდომების გამოსწორება, მეთვალყურეობის გაძლიერება ქუჩის კომპანიის ზემოქმედების აღსაკვეთად და სხვა.

ასევე უნდა მოწესრიგდეს ბავშვის პედაგოგიური გარემო. მის პედაგოგს (პედაგოგებს) უნდა გაეწიოს კონსულტაცია პედაგოგიური ტაქტიკის შესაცვლელად, როგორც ამ კონკრეტული ბავშვის მიმართ ისე საერთოდ. კონსილიუმში ისიც უნდა იყოს ჩართული. მან უნდა იცოდეს, რომ მისი ურთიერთობა მოსწავლესთან სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ იქნება.

გამოვიყენოთ ძნელად აღსაზრდელის დადებითი

პიროვნული მახასიათებლები. ადამიანის ქცევას განაპირობებს მოთხოვნილება, რომელიც სამოქმედოდ აღძრავს და სიტუაცია ანუ გარემოს პირობები, რომელსაც მისი დაკმაყოფილება შეუძლია. ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, არ ეხება ბავშვის მოთხოვნილებას. ძნელ ბავშვთან წარმატებით მუშაობისათვის აუცილებელია მისი სულიერი სამყაროს, მისი პიროვნების შესწავლა. ძნელად აღსაზრდელი, მიუხედავად რიგი უარყოფითი პიროვნული თვისებებისა, ადამიანი და არ შეიძლება დადებითი მახასიათებლებიც არ გააჩნდეს. საჭიროა მათი მიგნება. თუ იცი რა უარყოფითი პიროვნული მახასიათებლები გააჩნია ბავშვს და რა დადებითი, მაშინ შეგიძლია დადებითი გამოიყენო უარყოფითის დასაძლევად. მოზარდი, რომელიც არაფერს აკეთებს მოთხოვნით, ხოლო დაუინების შემთხვევაში იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, რასაც მისგან მოითხოვენ, მშვენივრად ასრულებს იმას, რასაც მასწავლებელი თხოვნის ტონით მიმართავს. მართალია, ეს არ არის სწორი პედაგოგიური ხერხი, მაგრამ დასაწყისისათვის, სანამ ის გამოსწორდებოდეს, ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული. როცა ასეთი მოსწავლე პასუხისმგებელ მორიგედ დანიშნეს, მშვენივრად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. ოღონდ უნდა იცოდე ვის, რა დროს და რა დავალება შეიძლება ანდო.

აუცილებელია ძნელად აღსაზრდელის ინტერესთა სფეროს დადგენა. ის ადამიანია და არ შეიძლება რაიმე მისაღები ინტერესები არ გააჩნდეს. ისინი უნდა გამოვიყენოთ მასთან მუშაობის დროს. ერთერთი ხელიდან წასული (როგორც პედაგოგები თვლიდნენ) მოსწავლე გატაცებული აღმოჩნდა სპორტით, თუმცა თვითონ არ მისდევდა მას. აღმოჩნდა, რომ ბიჭს ცნობილი ფეხბურთელის სურათი ეკიდა საწოლი ოთახის კედელზე. ფსიქოლოგის თხოვნით ის სპორტსმენი შეახვედრეს მოსწავლეს. მან ძალიან თბილად მიიღო მოზარდი და ურჩია, სპორტით დაკავებულიყო. შეხვედრა რამდენიმეჯერ შედგა და მისი რეკომენდაციით მოსწავლემ ერთერთ სექციაში დაიწყო ვარჯიში. ასე დაიწყო მისი ახლებური აღზრდა კარგი შედეგით. როცა შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ კლასში ამრევი, ხულიგანი

(პედაგოგთა შეფასებით) მოსწავლე რადიოტექნიკითაა გატაცებული და სახლში კუსტარულად წვალობდა რადიომიმღების აწყობაზე, ის ჩართეს ნორჩ ტექნიკოსთა წრეში, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ძისი გამოსწორების საქმეში. ცხადია, ბავშვებთან პარალელურად უწყვეტად სწარმოებდა კორექციული მუშაობა. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ბავშვის დაინტერესება რაიმე სასარგებლო საქმიანობით შეიძლება გახდეს საწყისი და დასაყრდენი მასთან საკორექციო მუშაობისათვის.

საჭიროა ძნელად აღსაზრდელის ნდობის მოპოვება. მოზარდს ვერ გამოაპარებ, რომ დაწყებულია მასზე ზემოქმედება. ცნობილია, რომ ამაზე მისი რეაქცია უარყოფითია. მისთვის მიუღებელი რომ იყოს ის, რასაც უკრძალავენ, არც გააკეთებდა. ებრძვიან იმას, რაც მას მოსწონს, რისი გაკეთებაც სიამოვნებს. ცხადია, ამას ის შეეწინააღმდეგება. მასთან მუშაობას აზრი აქვს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ის აღმზრდელის მიმართ სიმპატიურად განეწყობა. აღსაზრდელის ნდობის მოპოვება არც ისე იოლი საქმეა. მარტო დარიგებებით, ჭკუის სწავლებით არაფერი გამოვა. მოზარდმა უნდა დაინახოს, რომ აღმზრდელი გულწრფელადაა დაინტერესებული მისი ბედით. ამიტომ მათი ურთიერთობა უნდა იყოს თბილი, გულწრფელი. ის უნდა ზედავდეს, რომ მასწავლებელს ნამდვილად აწუხებს მისი ბედი, ახარებს მისი პატარა წარმატებაც კი.

არ არსებობს რეცეპტი იმისა, თუ როგორ მივალწიოთ ძნელი მოსწავლის ნდობის მოპოვებას. ამისთვის ზოგჯერ უბრალო შემთხვევაც კი შეიძლება გამოდგეს, მაგრამ მას გამოყენება უნდა. ერთხელ მასწავლებელ ქალს ძნელად აღსაზრდელი მოსწავლე დაეწია და გაუსწრო. პედაგოგმა თხოვა, ძალიან თუ არ გეჩქარება ერთად ვიაროთო. მასთან საუბარში გაირკვა, რომ ბიჭის მამა ტრაგიკულად დაღუპულა მშენებლობაზე. მასწავლებელმა გულწრფელი მწუხარება გამოთქვა ამის გამო. ბიჭს ხელი გადახვია და მიუსამძიძრა. მეორე დღეს მასწავლებელს იგივე ბიჭი დაეწია და ცოტა ხნის შემდეგ აჩვენა დაღუპული მამის სურათი. გულწრფელ საუბარში გაირკვა, რომ ბიჭს ძალიან ჰყვარებია

მამა და მძიმედ განიცადა მისი დაღუპვა. სამაგიეროდ, დედასთან ჰქონია ცივი ურთიერთობა. მისი თქმით, დედას გათხოვება უნდა და ამბობს “ვინ შემირთავს ამისთანა მუტრუკის პატრონსო”. ეს შემთხვევა გახდა ბიჭზე დადებითი ზემოქმედების დასაწყისი. მასწავლებელი სამჯერ იყო მის დედასთან ისე, რომ მოსწავლემ ამის შესახებ არაფერი იცოდა. დედას. გაუწია სათანადო კონსულტაცია, რის გამოც მკვეთრად შეიცვალა შვილისადმი მისი დამოკიდებულება, ხოლო მასწავლებელი თავისი თბილი და გულისხმიერი დამოკიდებულებით მისთვის საყვარელ პიროვნებად იქცა. ერთი წლის განმავლობაში მოსწავლე იმდენად შეიცვალა უკეთესობისაკენ, რომ ყველას უკვირდა.

ძნელად აღსაზრდელთან საკორექციო მუშაობის ეფექტურობას შემთხვევებზე ვერ ავაგებთ. ამით მხოლოდ ის ითქვა, რომ შემთხვევის გონივრულად გამოყენებაც შეიძლება. როდესაც საკორექციო მუშაობა სწორად დაიგეგმება, ხელსაყრელი შემთხვევის იმიტირება, თუ ეს აუცილებელია, სრულებითაც არ არის ძნელი. გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ის, რომ ძნელად აღსაზრდელმა აღმზრდელისაგან იგრძნოს თბილი და გულისხმიერი დამოკიდებულება. ასეთი დამოკიდებულების იმიტირება არ შეიძლება. მას ადვილად შეაძინევს მოსწავლე. თუ მან დაინახა, რომ მისი ბედით გულწრფელად ხართ დაინტერესებული, რომ თანაუგრძნობთ და მზად ხართ გვერდში ამოუდგეთ, რისი საჭიროებაც ხშირად დგება, ის თქვენც შეგიყვარებთ და ასეთ პირობებშია შესაძლებელი მასზე აღმზრდელობითი ზემოქმედება. მას ხომ უფროსებისაგან ასეთი დამოკიდებულების დეფიციტი აქვს. მისი პედაგოგები, და არა მხოლოდ ისინი, მასში ხედავენ ხულიგანს, წესრიგის დამრღვევს და მისადმი დამოკიდებულებაც შესატყვისად ცუდია. ასეთ დროს, თუ გამოჩნდა ვინმე ღვთისნიერი, რომელიც მასთან თბილ, გულისხმიერ ურთიერთობას გააბამს, უსათუოდ მოიგებს ბავშვის გულს. ამის შემდეგ კი ის მიიღებს მის რჩევა-დარიგებებს. მან იცის, რომ თქვენ მასზე ზემოქმედება გაქვთ გადაწყვეტილი. მაგრამ საჭიროა

მან თქვენ სუბიექტურად გცნოთ, მიგიღოთ აღმზრდელად. ამის შემდეგ მოაქვს მასზე თქვენს ზემოქმედებას დადებითი შედეგი. ის პირი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის გამო იწყებს ასეთ ბავშვთან მუშაობას, შედეგს ვერ მიაღწევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ძნელ ბავშვთან მუშაობას არა აქვს სტანდარტი, რომელიც ყველასთან ერთნაირად იქნება გამოსადევნი. ემოციურად თბილი, გულისხმიერი დამოკიდებულება აპრობირებული მეთოდია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ისიც არ ჭრის. ბავშვი ცივად ხვდება აღმზრდელის კეთილგანზრახვით წარმართულ ყველა მცდელობას.. მაშინ საჭიროა სხვა რადიკალური მეთოდის გამოყენება. მკვლევარები მიუთითებენ, რომ ასეთ დროს საჭირო ხდება მკაცრი და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება. გ. კოსტიაშკინი თვლის, რომ ასეთ პირებთან, პირველ ხანებში, გონებაზე უფრო მეტად მკაცრი ძალა ფასობს. “ჭკვიანი ადამიანის მათ არ ესმით და ამიტომ არ აფასებენ. ძალის გაგება მათთვის ახლობელია, მაგრამ არა მარტო შიშველი ფიზიკური ძალისა, არამედ პიროვნების ძალის, მისი ნებისყოფის, გაბედულების, უნარიანობის, მოხერხების”(12. 171). ცხადია, აქ ლაპარაკია მუშაობის საწყის სტადიაზე, როცა ის სხვანაირად არც აქცევს აღმზრდელს ყურადღებას. როცა აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის კონტაქტი დამყარდება, გამოყენებული უნდა იქნას აღზრდის ყველა ის ხერხი, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

ძნელი ბავშვის ახლებურად აღზრდის მეთოდად მიღებულია მისთვის ნდობის გამოცხადება და კონტროლი, ბავშვზე საკორექციო მუშაობა დროში გაჭიმული პროცესია. ბავშვი კი მოქმედებს აღმზრდელის ჩანაფიქრის მიხედვით, მაგრამ აქვს კი მას მყარად გაფიქსირებული წესიერი ქცევის განწყობა? ამის შესამოწმებლად მიმართავენ მისთვის რაიმე საპასუხისმგებლო დავალების მიცემას. მაგალითად, სკოლამ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა-შეჯიბრება. მოსწავლეთა ორი ჯგუფი უნდა ასულიყო სიმაღლეზე. გამარჯვებულად ითვლებოდა ის ჯგუფი, რომლის ყველა წევრი ადრე ავიდოდა. ერთ-ერთ ჯგუფს ძნელად აღსაზრდელი ჩაუყენეს. მან ჯგუფის ყველა წევრის მადლობა

დაიმსახურა, რადგან გამოიჩინა არაჩვეულებრივი ენერჯია, ეხმარებოდა ყველას. ასეთი საპასუხისმგებლო დაეალება კიდევ უფრო განამტკიცებს აღზრდაში მიღწეულ წარმატებას.

ძნელად აღსაზრდელის გარდაქმნაში წარმატების მაჩვენებელია მისი სწავლით დაინტერესება. კარგი ინტელექტუალური განვითარების მონაცემის პატრონიც რომ იყოს, ასეთი ბავშვი სწავლაში მაინც ჩამორჩენილია. მიუღებელი ქცევის მისაღებით თანდათანობით შეცვლა, მასწავლებლის ავტორიტეტის ზრდა, რასაც ადრე არ სცნობდა, შესაძლებელს ხდის მისი სწავლით დაინტერესებას. მაგრამ აქ ახალი სიძნელე იჩენს თავს. მას დიდი ხარვეზები აქვს ცოდნაში. აუცილებელია მისი დაძლევა. ახლა იწყება მუშაობის მეორე ეტაპი მსგავსი იმისა, რაც სწავლაში ჩამორჩენილებთან ტარდება. საჭიროა ყველა მისი პადაგოგის ერთობლივი ქმედება ამ მიზნის მისაღწევად. ეს ადრეც იყო საჭირო. აღმზრდელობით მუშაობას მარტო ერთი მასწავლებელი არ უნდა აწარმოებდეს. ერთი კია წამყვანი, მაგრამ მას ყველა უნდა ედგას მხარში (ეს საკორექციო მუშაობის გეგმით უნდა იყოს გათვალისწინებული). მაგრამ ახლაა საჭირო განსაკუთრებული ოპერატიულობა და კოორდინირებული ქმედებები ღონისძიებების კომპლექსის ბოლომდე მისაყვანად.

აღმზრდელობით მუშაობაში ყველგან, ზოლო ძნელად აღსაზრდელებთან უფრო მეტად, საჭიროა ე. წ. სოციალური განმტკიცების გამოყენება. ბავშვი ოჯახის და სხვა უახლოესი გარემოცვის ზემოქმედების პირობებში ვითარდება. ის სხვების ქცევას ბაძავს და როცა მიზანშეწონილად იქცევა, ვუწონებთ საქციელს., ვუბნებით: “კარგია”, “ყოჩაღ” და ა. შ.. მეორედ ბავშვი კიდევ უფრო თამამად მოიქცევა ასე. როცა ცუდ საქციელს სჩადის, ვუწუნებთ; “არ ვარგა”, “ცუდია”. ზოგჯერ ვუკრძალავთ კიდევ ასეთ საქციელს. შემდეგში ბავშვი ამას არ გააკეთებს ან ნაკლები გაბედულებით ჩაიდენს. განმეორებითი მსგავსი ზემოქმედების შემდეგ ის ასეთი საქციელისაგან თავს შეიკავებს. უფროსების ასეთი ზემოქმედება არის ბავშვის მიერ ჩადენილი, საზოგადოებისათვის მისაღები ქცევის სოციალური განმტკიცება.



ანალოგიური ქმედებები უნდა ხორციელდებოდეს ძნელად აღსაზრდელის მიმართაც. ყოველ მის მისაღებ საქციელს თუნდაც მცირეს, მოწონება უნდა შეხვდეს, ხოლო ცუდს, უარყოფითი შეფასება უნდა მიეცეს. მართალია, გარკვეული ტაქტიით, მაგრამ ბავშვის საქციელის მოწონება-დაწუნებას სულ უნდა ჰქონდეს ადგილი. ეს აღსაზრდელს უფიქსირებს დადებით დამოკიდებულებას მისაღები ქცევისადმი, ხოლო უარყოფითს მიუღებელის მიმართ. აქ ისევ და ისევ დიდ წონას იძენს კოორდინირებული ზემოქმედება პედკოლექტივის, მოსწავეთა კოლექტივისა და ოჯახის მიერ. საერთო მოწონებას ყოველთვის მეტი წონა აქვს ინდივიდუალურ მხარდაჭერასთან შედარებით.

და ბოლოს, აუცილებელია მოსწავლეთა ჯანსაღი კოლექტივის შექმნა. ძნელი ბავშვის ახლებურად აღზრდის მიმართულებით ჩატარებული მუშაობა არ იქნება ნაყოფიერი, თუ არ მოხერხდა მოსწავეთა ჯანსაღი კოლექტივის შექმნა. კლასი მცირე სოციალური ჯგუფია და ქცევის იქ დამკვიდრებული წესები და ნორმები გავლენას ახდენენ მოსწავეებზე. აზრი არა აქვს ძნელი ბავშვის გამოსწორების მცდელობას, თუ მის უზნეო საქციელს მხარდამჭერები ჰყავს კლასში. მოსწავლეთა ჯანსაღი კოლექტივი სოციალური განმტკიცების საუკეთესო საშუალებაა.

ის კლასი, ძნელი ბავშვი რომ სწავლობს, კარგად უნდა იყოს ორგანიზებული. ამის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლება, მაგრამ მთლად საკმარისი არც ესაა. ძნელად აღსაზრდელს არც სხვა კლასებში უნდა ჰყავდეს მხარდამჭერი. სულ სხვადასხვა კლასის ძნელად აღსაზრდელები უკავშირდებიან ერთმანეთს და ენერგიულად ეწინააღმდეგებიან რომელიმე წევრის "გამოჭერას" აღმზრდელების მიერ.

ძნელად აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მუშაობა შეხამებული უნდა იყოს მოსწავლეთა ჯანსაღი კოლექტივის შექმნასთან. საკითხის განხილვის დროს იბუღებული კართ გარკვეული თანმიმდევრობა დაეიცვათ. რეალურ ცხოვრებაში კი ჩამოთვლილი საბუთაოები ერთდროულად და პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. მაგალითად, მოზარდზე აღმზრელობითი

ზემოქმედება და მოსწავლეთა ჯანსაღი კოლექტივის შექმნის მცდელობა პარალელურად უნდა ხორციელდებოდეს.

### 6.12.9. ძნელად აღსაზრდელობის პროფილაქტიკა

ბავშვი ძნელად აღსაზრდელი ხდება მასზე არახელსაყრელი გარემო პირობების ზემოქმედების შედეგად. სკოლის ფსიქოლოგი უნდა იცნობდეს იმ ფაქტორებს, რომლებიც ბავშვის აღზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მათი ცოდნა საჭიროა არა მხოლოდ საკორექციო საშუალოთა დასაგეგმავად, არამედ შშობელთა კონსულტირებისთვისაც. ბავშვს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა ეზიაროს მიუღებელ ქცევას. კიდევ მეტი, შესაძლებელია მისადმი მშობლების თუ გარეშეების დამოკიდებულება იყოს ისეთი, რომ არა სასურველი ძვრები გამოიწვიოს მის ფსიქიკაში (წყენა, გაბრაზება, გაბოროტება, გულგატეხილობა და ა. შ.). თუ იცი, რა არის ყოველივე ამის მიზეზი, უნდა სცადო აარილო მათ ბავშვი, არ იმოქმედო ბავშვზე იმდაგვარად, რომ მასში ასეთი ნეგატიური ძვრები აღძრას. ბავშვისთვის იმ შავნე ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილებას, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მასში ხასიათის უარყოფითი თვისებები და ამდენად ძნელად აღსაზრდელი გახადონ, პროფილაქტიკას ეძახიან.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს მოწესრიგებას, რომელიც ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ბავშვის აღზრდისადმი გონივრული დამოკიდებულების შემთხვევაში ოჯახსა და სკოლას შეუძლიათ საკმაოდ მოწესრიგებული გარემო შექმნან, რომელიც თავიდან ააცილებს მას ბევრი მიუღებელი საქციელის მოთხოვნილების ჩამოყალიბებას. მაინც რა უნდა გააკეთონ და რისგან უნდა დაიცვან ბავშვი აღზრდელებმა? პედაგოგიურ ლიტერატურაში მიუთითებენ შემდეგი ფაქტორების მნიშვნელობაზე (10, 199 გვერდიდან).

პირადი მაგალითი. შენი ბავშვი შენი სარკეა, ამიტომ

პირადი მაგალითი მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიტყვიერი დარიგება ან გაწყობა, მუქარა. ბავშვი დიდების ქცევას ბაძავს. მასთან ყველაზე ახლობელი შმობლობა და, პირველ რიგში, მათ ბაძავს. კარგად იქცევი, შეილიც ასე მოიქცევა. შრომისმოყვარე, ზრდილობიანი შმობლების შეილებიც, როგორც წესი, ასეთები გამოდნან.

ნუ მიატოვებ ბავშვს თავისთავის ანაბარა. პატარას გონიერული ხელმძღვანელობა, მზრუნველობა სჭირდება და აღმზრდელი მის გვერდით უნდა იყოს. ეს მით უფროა საჭირო, რაც უფრო პატარაა ბავშვი. მან ჯერ ბერი რამ არ იცის, ბერი რამ შეიძლება არასწორად აღიქვას. მას სულ უნდა ჰყავდეს გვერდით ადამიანი, რომელიც დაეხმარება ამ საქმეში.

ადრე დაიწყე ზრუნვა ბავშვის მიერ სასარგებლო ჩვევებისა და ჩვეულებების შექნაზე.. პირველ რიგში, ესენია თვით-მომსახურების ჩვევები. შემდეგში თანდათან მიეჩვიოთ მისი ასაკის შესაფერისი ქცევის შეთვისებას. დროდადრო ასაკის შესატყვისი შრომითი დავალებები მივცეთ.

იყავით ბავშვთან აღერსიანი. არაფერი სჯობია იმას, როცა ბავშვი მხიარულ ატმოსფეროში იზრდება. ღიმილი და ზომიერი მოფერება არ უნდა აკლდეს პატარას. მაშინ მის განვითარებას არ გადაელობება ისეთი შემაფერხებელი ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა: შიში, წყენა, ბრაზი, წუსილი, ჯიუტობა და ა. შ.

ნუ დათრგუნავ ბავშვის ნებისყოფას. აღზრდის ამოცანაა არა ბავშვის ნებისყოფის დათრგუნვა, არამედ მისი საჭირო მიმართულებით წარმართვა., რათა ნორმალური განვითარების შესაძლებლობა მიეცეს. თუ ის საქმიანობის დროს რაიმე წინააღმდეგობას წაწყდება, დაე თვითონ გადაწყვიტოს რა გააკეთოს და როგორ გააკეთოს. ჩვენ ნურც გავუწყრებით და ნურც ჩავერევით უდროო დროს. ნებისყოფა ვითარდება მხოლოდ ქცევის ისეთი ფსიქოლოგიური მახასიათებლების გამოუმუშავების გზით, როგორიცაა: ყოყმანის დაძლევა, სასიამოვნო, მაგრამ უსარგებლო საქმის კეთებისაგან თავის შეკავება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, მიღებული გადაწყვეტილების შესრულება

და სხვა. ბავშვს ცხოვრებაში ნებისყოფის გამოყენება უფრო იშვიათად უწევს, ვიდრე დიდებს და როცა ამის საჭიროება დადგება, ნუ შევეშლით ხელს უსარგებლო ჩარევით. ძალიან ცუდია, როცა შვილი დაბრკოლებას წააწყდება და მშობელი მივარდება, -მოიცა შვილო მე დაგეხმარებო და თვითონ გააკეთებს მის გასაკეთებელს. აკეთოს თვითონ. თუ ვერ ერევა საქმეს, მივცეთ რჩევა, როგორ დაძლიოს ის. ჩავერიოთ უკიდურეს შემთხვევაში, როცა შვილს უნდა რაღაცის გაკეთება, მაგრამ აშკარად ვერ ერევა საქმეს. თანაც, საქმიანობიდან მას ნუ გავრიყავთ., გავაკეთოთ ერთად.

შვილი აღზარდე ცემის გარეშე. ცემა აბსოლუტურად არ არის აღზრდის საშუალება. ის კი არ აღზრდის, არამედ ამცირებს, კი არ აყალიბებს, არამედ ანგრევს ზნეობრივ ღირებულებებს ბავშვის თვალში. ის აჩვევს ბავშვს სიმხდალეს, მლიქვნელობას, სიცრუეს, ხდის მას უნებისყოფოს, უხასიათოს, კლავს ღირსების, თავმოყვარეობის გრძნობებს. ბავშვს უკარგავს საკუთარი ძალებისადმი რწმენას. ბავშვის ჰარმონიული პიროვნების ფორმირებისათვის აუცილებელია, რომ ის იზრდებოდეს სიყვარულით გარემოცულ ატმოსფეროში.

ნუ მოაკლებ ბავშვს სითბოს, ალერსს, სიამოვნების განცდას. ბავშვი ისე ისწრაფვის სითბოსა და ალერსისაკენ, როგორც მცენარე სინათლისაკენ. ალერსი ატკობს მის გულს და ამის საფუძველზე ვითარდება ბავშვის ხასიათის საუკეთესო ნიშნები. სიყვარულით გარემოცულ ატმოსფეროში გაზრდილი ბავშვი დიდობისას თვითონაც ირგვლივ სიყვარულს აფრქვევს. ამიტომ მას ეადვილება იმ სოციალური ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა, რომელსაც ეკუთვნის.

არ გაანებიერო ბავშვი. ბავშვს ჰაერივით სჭირდება მოფერება და ალერსი, მაგრამ საჭიროა ზომიერების დაცვა. დრო და დრო საჭირო იქნება მას რაღაც ავეუკრძალოთ, რაღაცის ნება არ მივცეთ, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს არა დესპოტურად, არამედ მშვიდ, წყნარ ვითარებაში ავეუხსნათ, რატომ არ ვაძლევთ ამის გაკეთების უფლებას. ძალიან ცუდია, როცა იმ მოსაზრებით,

რომ ის პატარაა და ჯერ არ ესმის, ყველაფრის უფლებას აძლევენ. კიდევ უარესია, როცა, ზოგჯერ რაღაცას რომ აუკრძალავენ და ბავშვი ტირილს დაიწყებს, მყისვე ნებას დართავენ აკეთოს ის, რაც ეს ეს არის აუკრძალეს.

არ დაუშვათ ბავშვისადმი უსამართლო დამოკიდებულება. ბავშვი, განსაკუთრებით სასკოლო ასაკისა, მეტად მგრძობიარეა უსამართლობის მიმართ. მას ასეთი დამოკიდებულება არც სხვისადმი მოსწონს, მაგრამ უაღრესად მგრძობიარეა, როცა უსამართლოდ მას ექცვიან. სწორედ აქა აქვს დიდი ღირებულება აღზრდის დემოკრატიულ სტრატეგიას. არ არის გამორიცხული, რომ ბავშვმა ჩვენი სწორი გადაწყვეტილება უსამართლოდ ჩათვალოს. ამიტომ მას უნდა განემარტოს, თუ რატომ ვიქცევით ასე.

არ დაუშვათ ბავშვის მიმართ შეუთანხმებელი, ურთიერთსაწინააღმდეგო ზემოქმედება. ნუ გააწვალებთ ბავშვს უთავბოლო აკრალვებითა და შემდეგ მათი გაუქმებით. ასევე ძალიან ცუდია, როცა ოჯახის ერთი წევრი ბავშვს რაღაცას უკრძალავს, ხოლო მეორე ნებას რთავს. ეცადეთ იმოქმედოთ შეთანხმებულად.

ბავშვს ნუ დატოვებთ დაუსაქმებლად. ბავშვი ვერ იტანს უმოქმედობას. სკოლამდელ ასაკში, გარდა თამაშისა, ატარეთ სანახაობებზე, ასეირნეთ. შემდეგში ატარეთ ექსკურსიებზე, მარჩიეთ ხელსაქმით დაკავებას, პატარა-პატარა დავალებების შესრულებას. არასოდეს არ განარიდოთ შვილი მისი ასაკის შესაფერის შრომით საქმიანობას.

ყოველთვის უპასუხეთ ბავშვს შეკითხვებზე. სკოლამდელ ასაკში არის პერიოდი, როცა ბავშვი განუწყვეტლად კითხულობს: რა არის ეს? რატომ? ასეთი შეკითხვები ბავშვის გაღვიძებული ცნობისმოყვარეობის გამოვლენაა. მას აინტერესებს გარემომცველი საგნები და მათში მიმდინარე მოვლენები. უსათუოდ დააკმაყოფილეთ მისი თხოვნა. არავითარ შემთხვევაში არ უპასუხოთ არა სწორად. ბავშვი პატარაობიდან იძენს ცოდნას, თქვენი არასწორი პასუხისა მას სჯერა და ამ დროს თქვენ

მას სინამდვილის შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდით.

მიეცით ბავშვს კარგი წიგნი. სკოლაში შესვლის შემდეგ ბავშვს წიგნებთან აქვს საქმე. ამიტომ შეურჩიეთ მისი ასაკის შესატყვისი კარგი წიგნები და მიაჩვიეთ კითხვას. ეს საქმე გააგრძელებთ სკოლის ასაკშიც. ახლა ხომ ბავშვს ბევრ ლიტერატურაზე მიუწვდება ხელი. დაეხმარეთ საინტერესოთა შერჩევაში. თუ შეიძლება, რომელიც სკოლას ამთავრებს, წიგნის კითხვა ეზარება, იცოდეთ ამაში თქვენც მიგიძღვით ბრალი.

სკოლამდელი ასაკიდანვე დაიწყეთ შვილის რელიგიური აღზრდა. მართალია, პატარას ჯერ არ შეუძლია რელიგიური მცნებების გაგება, მაგრამ რელიგიური რიტუალები: წირვა-ლოცვა, დღესასწაულებისთვის მზადება და მათი ჩატარება უდიდეს სიამოვნებას ჰკვირს ბავშვს და უმუშავებს დადებით განწყობას სარწმუნოებისადმი. შემდეგ ამაზე ადვილად აღმოცენდება შეგნებული რელიგიური რწმენა.

ნუ მიაჩვევთ ბავშვს ალკოჰოლს. ქართულ ოჯახში ბავშვი სულ ხედავს, რომ დიდები სვამენ. მის წინააღმდეგ პროპაგანდა უაზრობაა. მაგრამ შეიძლება ვუმტკიცოთ პატარას, რომ ალკოჰოლი ბავშვისთვის საზიანოა.. ეცადეთ, როცა თქვენ ღვინოს სვამთ, ბავშვსაც ჰქონდეს დასალევი, ოღონდ არაალკოჰოლური სასმელი.. ხშირად, პატარას, პირველად რომ სინჯავს ღვინოს, არც მოსწონს ის. უნდა განუმკიცოთ მას ასეთი განწყობა მის მიმართ.

მიეცით ბავშვს აზრის გამოთქმის საშუალება. გულისხმიერად მოეპყარით ბავშვის ნათქვამს. ნუ დასცინებთ მას თუ რამეს არასწორად იტყვის. პირიქით, შეუსწორეთ, გააგებინეთ რაში არ არის სწორი. ასევე, როცა ბავშვს საქციელს უწუნებთ, კიცხავთ, თუ სურს თავის მართლება, მიეცით საშუალება გამოთქვას თავისი აზრი.

მიეცით ბავშვს საშუალება თვითონ იპოვოს გამოსავალი ძნელი სიტუაციიდან. ზოგჯერ ბავშვის წინაშე რამდენიმე ქვეყის შესრულების შესაძლებლობა იშლება; ვთქვათ, მშობლებთან ერთად წავიდეს ბებიისა და ბაბუის მოსანახულებლად, თუ უყუროს საინტერესო ტელეგადაცემას. მას ორივე ძალიან

ანტერესებს. თვითონ გადაწყვიტოს რომელზე შეჩერდეს. საერთოდ, თქვენ ნუ წყვეტთ იმას, რა საქმით გაერთოს ბავშვი. შეგიძლიათ მისცეთ რჩევა, მაგრამ ნუ უბრძანებთ. როგორც ზემოთ ითქვა, კრიტიკული სიტუაციებიდან გამოსავლის დამოუკიდებლად პოვნა ნებისყოფის განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

პატივი ეცით შვილის მეგობრებს. შვილის მიერ მისი ამხანაგების პატივისცემა აღიქმება როგორც მისადმი პატივისცემა. ხელი შეუწყვეთ შვილს ჰყავდეს მეგობრები. დაპატიჟეთ ისინი და თვითონაც გაუშვით მათთან სამხიარულოდ. ახალგაზრდის სოციალიზაცია სხვანაირად შეუძლებელია. მას უნდა ჰყავდეს მეგობრები, ამხანაგები. ის არსად არ გრძნობს თავს ისე ლაღად და კმაყოფილად, როგორც მათ წრეში. ის უნდა მიეჩვიოს მათთან თანამშრომლობას.

მიაჩვიეთ შვილი ტოლებთან თანამშრომლობას. ბავშვს ადრეული ასაკიდან უჩნდება ტოლებთან ერთად თამაშის მოთხოვნილება. ამ დროიდან დაწყებული, მას სხვებთან ერთად უნდა საქმიანობა. ამაში მას ყოველნაირად უნდა შეუწყობთ ხელი. საქმე მართო თამაშის ან სხვა საქმიანობის ნების დართვაში კი არ არის. საჭიროა ბავშვი მიეჩვიოს თანამშრომლობას (სხვას არ წაართვას სათამაშოები, ათხოვოს თავისი, თანაგრძნობა გამოხატოს, თუ მას ეტკინა და ა. შ.). ცუდია შვილისადმი გამოსარჩლება, როცა მართალი არ არის. სამწუხაროდ, ზოგიერთი დედა სცოდავს ასეთ დროს. უსაფუძვლო გამოსარჩლება ბავშვს დაუსჯელობის სინდრომს უვითარებს. სკოლაში შესვლის შემდეგ იმ ბავშვთა წრე, მასთან რომ არიან ურთიერთობაში, კიდევ უფრო ფართოვდება და თანამშრომლობაც მრავალგანზომილებიანი ხდება. ამიტომ მართვა მას ახლაც სჭირდება, ოღონდ იმ წესების დაცვით, რაზეც აქამდე გვექონდა საუბარი.

შვილს მოექვეცით ისე როგორც ექცევით მოზრდილებს. ლაპარაკია არა ჩვილ ბავშვებზე, არამედ სკოლის მოსწავლეებზე. ცნობილია, რომ მოზარდი გამწარებული იბრძვის დიდებს შორის ადგილის დასაკავებლად. არ შეიძლება ჩვენ კიდევ მას მოვექცეთ როგორც ბავშვს. სამწუხაროდ, მას უწყინარ სიტუაციებშიც, ჩვენგან ხშირად ესმის: “შენ ვინ გეკითხება?”

“შენ ჯერ პატარა ხარ” და ა. შ. ის ამის გამო ძალიან დამცირებულად გრძნობს თავს. უნდა ამოვიღოთ ჩვენი ლექსიკონიდან მსგავსი სენტენციები. განა აუცილებელია უსათუოდ ის გავაკეთოთ ან ისე გავაკეთოთ, როგორც მოზარდმა მოისურვა? მაგრამ ძალიან ღირებულა, გულისყურით მოვეუსმინოთ და მერე ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ. ეს მას სიამოვნებს, რადგან ისე მოვექცით, როგორც დიდს ექცევიან.

ნუ ვეუბნებით ცუდს მის მასწავლებელზე. არც ისე იშვიათად აქვს ადგილი მშობლის უკმაყოფილებას მასწავლებლის მიმართ, სულ ერთია, საქმე ეხება ცოდნის შეფასებას თუ მკაცრ შენიშვნას უღისციპლინობის გამო. ზოგიერთი მათგანი იმდენად უდიერად ექცევა მასწავლებელს, რომ, როგორც იტყვიან, “ტყავს აძრობს” მას და სახლში დაბრუნებული ამის შესახებ სიამაყით ეუბნება შვილს. ამის შემდეგ რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს იმ ბავშვის თვალში. მშობელს კი უნდა მისმა შვილმა კარგად ისწავლოს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მშობელმა პრეტენზია არ გამოთქვას მასწავლებლის მიმართ. ზოგჯერ ისინიც სცოდავენ, მაგრამ მშობელმა არვითარ შემთხვევაში არ უნდა უთხრას შვილს იმ უსიამოვნო საუბრის შესახებ, რასაც სკოლაში ჰქონდა ადგილი. მასწავლებელი მოსწავლისათვის შეუვალი ავტორიტეტი უნდა იყოს და, ვისაც შვილისთვის კარგი უნდა, მას უნდა გაუფრთხილდეს კიდევ.

ძნელად აღსაზრდელობის პროფილაქტიკის მიზნით აღზრდელებს, ძირითადად მშობლებს, ბევრი რეკომენდაცია მივეცით. არ იქნება ოჯახი, რომელიც არც ერთ მათგანს არ იცავდეს. მათი უმრავლესობა მეტ-ნაკლებად აკეთებს ამას. საჭიროა ყველა მათგანის დაცვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის წესიერად აღზრდისათვის ყველა მათგანის დაცვაა საჭირო. ეს არც ისე იოლია, მაგრამ თუ ადამიანი მონდომებს, ძალიან ბევრი და უფრო რთული საქმეების გაკეთება შეუძლია. შვილის წესიერად აღზრდისათვის კი ღირს გაისარჯოს ადამიანი.



ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობა

*6.13.1. საკითხის აქტუალობა*

გასაკვირი არ იქნება ვინმემ იკითხოს, თუ რატომაა ეს საკითხი პრიორიტეტული? სკოლის მასწავლებელთა დიდი უმრავლესობისათვის ნიჭიერი ბავშვი საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას. ასეთი მოსწავლე ბრწყინვალედ სწავლობს, მასწავლებლები არ აკლებენ ქება-დიდებას და მორჩა. მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის. სკოლებში სწავლების დონე არ არის გათვლილი მაღალნიჭიერ ბავშვებზე. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლაში ჩამორჩენილი იქნებოდა. ნიჭიერ ბავშვებს იმ საგნებში, რისი ნიჭიც აქვთ, გაცილებით უფრო რთული და ძნელი საკითხების გაგება შეუძლიათ, ვიდრე დანარჩენებს. თუ მათ გონებას ასე ვავარჯიშებთ, მაშინ ის განვითარების გაცილებით უფრო მაღალ დონეს მიაღწევს, ვიდრე მათ საშუალო სიძნელის პრობლემებზე ვარჯიში აძლევს.

ნიჭიერ მოსწავლეთა რაოდენობა ცოტაა და სწორედ ამიტომაც საჭირო მათზე განსაკუთრებული მზრუნველობა. მათგან გამოდიან დიდი მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, მათგან დგება ერის ინტელექტუალური პოტენციალი. ამიტომ მათ განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდებათ. თანაც ისიც ცნობილია, რომ მაღალნიჭიერი ბავშვები მეტი იბადებიან, ვიდრე მათგან გენიოსები და ტალანტები გამოდიან. ეს იმიტომ ხდება, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ყველამ ვერ განავითარა თავისი ნიჭი მაქსიმალურად იმ ასაკში, როცა ამის გაკეთება შესაძლებელი იყო. ამის ერთერთი მიზეზი ისაა, რომ სკოლა არ უქმნის მათ ნიჭის მაქსიმალურად განვითარებისათვის საჭირო პირობებს. რომ არიან ნიჭის განვითარების მაღალი შესაძლებლობის ბავშვები, იმიტომ შეიქმნა თავის დროზე საპეციალიზებული სკოლები (მათემატიკის, მუსიკის, სპორტის

და ა.შ.) და დიდ ქალაქებში ცალკეული საგნების გაძლიერებული სწავლების კლასები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ყველა ნიჭიერი ბავშვი ასეთ სასწავლო დაწესებულებებში არ ხვდება.

ნიჭის ცნების განსაზღვრება. მაინც რას ვეძახით ნიჭს, რომლის განვითარებას ასე დიდ ყურადღებას ვაქცევთ? ნიჭი არის ადამიანის ინდივიდუალური განვითარების პროცესში ფორმირებული პიროვნული თვისება, რომელიც განსაზღვრავს მისი შემეცნებითი აქტივობისა და სიტუაციის შესატყვისი მიზანშეწონილი ქცევის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას. იგი აზროვნების დისპოზიციური საფუძველია და ის თუ რამდენად რთული პრობლემის დანახვა და გადაჭრა შეუძლია ადამიანს, რამდენად სწორ გამოსავალს პოულობს უცნობი სიტუაციიდან, მის ნიჭზეა დამოკიდებული.. პრაქტიკულად, ყველა ადამიანი ერთნაირად აზროვნებს. აზროვნებას აქვს წესები და კანონები და ვინც მას დაარღვევს, არ არის ნორმალური ფსიქიკის პატრონი. აზროვნება გაუგებრობაში გარკვევის, ამოცანის გადაწყვეტის საშუალებაა. მაგრამ ის თუ როგორი სირთულისა და სიძნელის ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია პიროვნებას, მის ნიჭზეა დამოკიდებული. მაშასადამე, ინტელექტუალურ სფეროში, რაც ადამიანებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, არის ხვადასხვა დონის ნიჭი. და კიდევ, აზროვნება პროცესია, რომელიც მაშინ აღმოცენდება, როცა ჩვენს წინაშე ამოცანა, რაღაც გაუგებრობა გაჩნდება და გრძელდება მანამ, სანამ ამოცანას არ გადავწყვეტთ ან ხელს არ ავიღებთ ამ მცდელობაზე. ამდენად, ის პროცესია. ნიჭი კიდევ არის მყარი ფსიქიკური წარმონაქმნი, რომელიც პიროვნების ერთერთ მნიშვნელოვან თვისებად ითვლება. ადამიანი დროდადრო, როცა არ სჭირდება, არ აზროვნებს. ნიჭი კი მას მუდამ თან ახლავს. მძინარე ადამიანზეც ვამბობთ ნიჭიერიყო, თუმცა ვერავინ იტყვის ახლა ის აზროვნებსო.

ნიჭი შედარებითი ცნებაა. ვიღაცა ვიღაცაზე ნიჭიერია. მთლად უნიჭო ადამიანი არ არსებობს, თუ ის ნორმალური ფსიქიკის პატრონია. მას გარემოში დამოუკიდებლად ორიენტირება არ შეეძლება. ყოველდღიურ სიტყვახმარებაში

ნიჭიერს საშუალოზე მაღალი მონაცემის ადამიანს ვეძახით. ჩვენც დაახლოებით იმას ვაკეთებთ, როცა ნიჭიერი მოსწავლეებისათვის ხელშეწყობაზე ვლაპარაკობთ. დახმარებას საჭიროებენ ის მოსწავლეები, რომლებიც საშუალოზე მაღალი ნიჭის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობას ფლობენ.

### **6.13.2. ნიჭის განვითარება**

ბავშვის ინტელექტუალური განვითარების სფეროში უმთავრესი საზრუნავია მისი ნიჭის განვითარება.. ის ვითარდება ნიჭის ფორმირების პოტენციური შესაძლებლობისაგან, რომელიც მშობლებისაგან მემკვიდრეობით დაჰყვება ყოველ ბავშვს. მას ფსიქოლოგიაში ნასახს ეძახიან. ნასახს განაპირობებს თავის ტვინის ქერქის უჯრედული აგებულება (ციტოარქიტექტონიკა). ქერქის ისეთი სტრუქტურა, რომელიც ნიჭის განვითარების მაღალ პოტენციას განაპირობებს, მცირე რაოდენობის, მაგრამ ნებისმიერი სოციალური წრის ოჯახში დაბადებულ ბავშვს შეიძლება დაჰყვეს. ამიტომ ასეთი ბავშვი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ქალაქების ისე განაპირა რაიონების სოფლების სკოლებში. ნიჭიერ ბავშვს, სადაც არ უნდა სწავლობდეს ის, უნდა შეექმნას განვითარების ოპტიმალური პირობები. არადა, განვითარება არ იქნება სრულყოფილი. დიდი შესაძლებლობა ნაწილობრივ იქნება გამოყენებული. იშვიათად, მაგრამ ის შეიძლება სულ არ განვითარდეს (ნადირთა შორის გაზრდილი ბავშვები. იხ. 8, 3, 4).

იმისათვის, რომ ნიჭი განვითარდეს, საჭიროა ნასახის სისტემატური ამოქმედება. სწორედ მისი უწყვეტად მოძრაობაში მოყვანა იწვევს წინსვლას განვითარებაში. ამას ადგილი აქვს ბავშვის გარე სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში. მაგრამ ყველაზე კარგი პირობა იქმნება სასწავლო დაწესებულებებში, ორგანიზებული სწავლების დროს. აქ ბავშვი ცოდნას ეუფლება, მაგრამ თანდათან გართულებული სახით, რაც ბავშვის ნიჭის ნასახს სულ უფრო და უფრო ძნელი პრობლემების წინაშე

აყენებს. ერთ კლასში ნიჭის განვითარების მიღწეული დონე მომდევნო კლასში მისაწოდებელი მასალის ასათვისებლად საკმარისი არ არის. საჭიროა მისი კიდევ უფრო დიდი ინტენსიობით ამოქმედება. ეს უბიძგებს ნიჭს მუდმივი განვითარებისაკენ. ნასახის გავარჯიშებით ამოცანის გადაწყვეტის მიღწეული უნარი უკვე ნიჭია. მისი შემდგომი განვითარება ისევ ნასახზე ზემოქმედებით ხდება. მიღწეულ დონეს ახალი ემატება. ასე ხდება განვითარების უწყვეტი მსვლელობა გარკვეული დროის განმავლობაში, დაახლოებით, 21-22 წლამდე. ამის შემდეგ ნიჭის განვითარება წყდება და ადამიანი მიღწეული დონით საქმიანობს. რაც შეეხება ცოდნის შეძენას, მას შეზღუდვა არ გააჩნია. თუ ადამიანი ფსიქიკურად ჯანსაღია, სიკვდილამდე შეუძლია აძლიეროს თავისი ცოდნა-გამოცდილება. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მაღალნიჭიერი ადამიანი ამას უფრო წარმატებით აკეთებს, ვიდრე მასზე ნაკლებნიჭიერი.

ნიჭის განვითარება მისი ნასახის სისტემატური ამოქმედებით ხდება შესაძლებელი. ეს მოითხოვს მოსწავლისაგან დაძაბულ მუშაობას, პრობლემებზე ფიქრს და მათ გადაწყვეტაზე აქტიურობას. ნიჭის განვითარების სხვა გზა არ არსებობს. რაც უფრო დიდია ნასახი, მით უფრო მეტი შრომაა საჭირო მის განსავითარებლად. ყველას შეუძლია ჩამოთვალოს უნიჭიერესი ადამიანები: გენიოსები, ტალანტები., მაგრამ ვერავინ დაასახელებს მათ შორის ისეთებს, რომელთაც ბავშვობის, მოზარდობისა და ჭაბუკობის წლებში ბევრი დრო დაეკარგოთ დასვენებასა და გართობაში და მცირე წამეცადინებით განვითარებინოთ მათი ნიჭი. პირიქით, ისინი მუშაობაში ათენებდნენ და აღამებდნენ. ზოგერთისათვის პირადი ცხოვრებაც კი არ არსებობდა და თავისი ნიჭის შესაფერის საქმეს იყო გადაყოლილი.

ნიჭის განვითარება ძალიან ჰგავს ადამიანის შვილის სიმაღლეში ზრდის მსვლელობას.. ბავშვი დაბადებიდან უწყვეტად იზრდება დაახლოებით 17-18 წამდე. შემდეგ კი ეს პროცესი წყდება. თუ რაიმე მიზეზის გამო ბავშვის ზრდა დიდი შეფერხებით წარიმართა და აღნიშნული ასაკისათვის ინდივიდი ძალიან პატარა


(ქონდრის კაცი) დარჩა, ვერავითარი მკურნალობა ვერ უშველის მას მოიმატოს სიმაღლეში, რადგან გავიდა ის წლები, როცა მისი მიღწევა შეიძლებოდა. ასეა ნიჭის განვითარების შემთხვევაშიც. ამიტომ ითქვა ზევით, რომ ნიჭის განვითარების დიდი პოტენციით მეტი ბავშვი იბადება, ვიდრე რეალურად ღებულობს საზოგადოება. იმ ბავშვიდან, რომელმაც სათანადოდ ვერ უზრუნველყო მისი ნიჭის განვითარება, შეიძლება გამოვიდეს თავისი საქმის კარგი სპეციალისტი (ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი და ა. შ.), მაგრამ არა გენიოსი ან ტალანტი. სამწუხაროდ ეს მას შეეძლო, მაგრამ ვერ განახორციელა.

როცა ნიჭიერების განვითარებაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ერმანეთისაგან განვასხვაოთ ნასახის ნიჭად ქცევის პროცესი და ცოდნის შეძენა. ცოდნა არც ნასახია და არც ნიჭი. ის არის უნართა კომპლქსი, რომელიც ადამიანმა შეიძინა გარემოსთან ურთიერთობის დროს, მისი ნიჭის გამოყენების გზით. ნასახის გავარჯიშებით ადამიანი ნიჭსაც ინვითარებს და ცოდნასაც იძენს. ესენი განუყრელი პროცესებია და ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობენ (იხ. ნახატი 2.). მაგრამ ეს გრძელდება მანამდე, სანამ ნასახის განვითარება არ შეწყდება. შემდეგში ადამიანი თავისი ნიჭის გამოყენებით სიკვდილამდე იძენს ცოდნას, თუ ფსიქიკურად არ გახდა ავად (სკლეროზი და სხვა).

დაბოლოს, გასარკვევია თუ რას ეძახიან უნარს? უნარი არის ნიჭის გარკვეული კომპონენტი, რომელიც, აგრეთვე განვითარების შედეგია. ნიჭი უფრო ზოგადი ცნებაა, რომელიც ადამიანის გარკვეული მიმართულებით მოქმედების წარმატებას განაპირობებს. მასში შეიძლება სხვადასხვა უნარები მონაწილეობდნენ. მაგალითად, ბუნებისმეტყველს სჭიდება ცვლილების შემჩნევის, დაკვირვების, ანალიზის, კომბინირების და ა. შ. უნარები., მაგრამ ზოგიერთი ეს უნარი სხვა სპეციალური ნიჭის (მათემატიკა, ფერწერა, მწერლობა და სხვა) ფუნქციობისთვისაც არის საჭირო.

ასე, რომ ის, მართალია, ნიჭის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ გარკვეულ ავტონომიასაც ინარჩუნებს. ამიტომ სპეცილური

ლონისძიებებით უნარის საგრძნობი გაყარჯიშებაა შესაძლებელი, მაგალითად: დაკვირვების, ანალიზის და ა. შ.



ნახ.2

ნიჭი არ არის სტრუქტურულად ერთნაირი წარმონაქმნი. ამიტომ მაღალნიჭიერ ადამიანთა დასახასიათებლად სხვადასხვა, ძირითადად ორი, ტერმინი გამოიყენება. ესენია: გენიოსი და ტალანტი. ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ჩვენ ყველას გენიოსს ვუძახით და ამით არაფერი შავდება, მაგრამ მეცნიერებას მოვლენების უფრო ზუსტი დახასიათება სჭირდება. არიან ადამიანები, რომლებიც მრავალი მიმართულებით ავლენენ მაღალ ნიჭიერებას, მათ გენიოსებს უწოდებენ. ასეთები იყვნენ მაგალითად, არისტოტელე, ლეონარდო და ვინჩი, გოეთე, ნიუტონი და სხვები. მათ მრავალ სფეროში გამოამჟღავნეს ნიჭის მაღალი დონე. არისტოტელემ მრავალ მეცნიერებას ჩაუყარა საფუძველი, ზოლო მისმა შექმნილმა ფორმალურმა ლოგიკამ უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე. ლეონარდო და ვინჩი არა მხოლოდ გენიალური ფერმწერი იყო, არამედ დიდი გამომგონებელიც. ისეთ ნიჭს, რომელიც ადამიანს საქმიანობის მრავალ სფეროში დიდი წარმატების მოპოვების შესაძლებლობას აძლევს, ზოგად გონიერებას (ნიჭიერებას) ვუძახიან. მაღალ ნიჭიერთა შორის ასეთები ცოტაა, უფრო მეტია

დიდი ნიჭის პატრონები, რომელთაც ერთი მიმართულებით, სინამდვილის გარკვეულ სფეროში შესძლეს ძალიან დიდი წარმატების მიღწევა მაგალითად, მათემატიკაში, ბუნების-მეტყველებაში, მწერლობაში, მუსიკაში, ფერწერაში და ა. შ. მათ ტალანტებს ეძახიან. ტალანტები ფლობენ სპეციალურ ნიჭს. სპეციალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლე ბრწყინვალედ სწავლობს შესატყვის საგანს, მაგრამ სხვა საგნებს შეიძლება არც ისე წარმატებით ეუფლებოდეს. მას სწორედ იმ საგანში სჭირდება ხელშეწყობა, რომელიც მას ასე ადვილად ეძლევა.

ნიჭის განვითარების დონეს ცოდნის შექმნაში აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მაღალნიჭიერი ადამიანი უფრო სწრაფად იძენს ახალ ცოდნას და, რაც ყველაზე მთავარია, ის ისეთ პრობლემებს აგნებს და გადაწყვეტას პოულობს, რასაც ნაკლებნიჭიერი ვერ ახერხებს. ნიჭიერი ადამიანი პრობლემებს წყვეტს სწრაფად და ხარისხიანად, თანაც პოულობს ყველაზე სწორ ვარიანტს. როცა ნიჭიერი ადამიანი დიდ ცოდნას დააგროვებს, მასზე იტყვიან ბრძენიანო. ძალიან ნიჭიერ ახალგაზრდაზეც კი ჯერ არ ამბობენ ბრძენიანო. მას ჯერ კიდევ, ცოდნა აქვს დასაგროვებელი. ნიჭის მაღალი დონე და დიდი ცოდნა ხდის ადამიანს ბრძენად.

### **6.13.3. ნიჭიერი ბავშვებისადმი დახმარების საჭიროება**

ნასახის განვითარება და ამ გზით ნიჭის ფორმირება ურთულესი საქმეა. ის რთულია პედაგოგებისათვის და უალრესად ძნელი მოსწავლისათვის. რთულია პედაგოგებისათვის იმიტომ, რომ ყველამ როდი იცის თუ როგორ მოუაროს ასეთ ბავშვს. ძნელია ბავშვისათვის იმიტომ, რომ მას მისი ნიჭის განსავითარებლად კოლოსალური შრომა მოუწევს., თანაც მან არც იცის, როგორ უნდა გააკეთოს ეს. ამიტომ ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის ორი ასპექტია უმთავრესი: პირველი, მასწავლებელს სწორი წარმოდგენა ჰქონდეს ნიჭიერებაზე და მისი არაადეკვატურ პირობებში განვითარების შესაძლებლობაზე. საჯარო სკოლებში

არ არსებობს ნიჭიერ ბავშვთა პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციის პირობები. იქ არც მოთხოვნა არსებობს საამისო და არც პედაგოგიური გამოცდილება თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს. ვილაცა უნდა დაეხმაროს სკოლის პედაგოგებს ამ საკითხის მოგვარებაში. ასეთი ვილაცა დღეისათვის სკოლის ფსიქოლოგია.

მეორე, როგორც ითქვა, ნიჭის დიდი პოტენციის განვითარებას დიდი შრომა სჭირდება. შეუძლია კი ბავშვს ამის გაკეთება? მას მეცადინეობის გარდა, თამაში, გართობა სჭირდება. მეცადინეობით ხანგრძლივმა დაკავებამ შეიძლება მას საერთოდ დაუკარგოს სწავლის სურვილი. გამოცდილება კი გვეჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ირწმუნებს, რომ ის მართლაც დიდი ნიჭის პატრონია, თუ მას გაუჩნდება მისი გამოყენების ძლიერი მოტივაცია. როცა ეს მოხდება, მშობლები ბავშვს ძალით აშორებენ სამუშაოს, რათა ცოტა დაისვენოს, სული მოითქვას. ამის გაკეთება მხოლოდ მასწავლებელს შეუძლია, მაგრამ ამაშიც მას დახმარება სჭირდება და ესეც ფსიქოლოგმა უნდა გააკეთოს.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის ქართულიც, მოიარა ინფორმაციამ საოცრად ნიჭიერ სამხრეთკორეულ ბიჭუნაზე, რომელიც რვა წლის ასაკში თავისუფლად ერკვეოდა თანამედროვე ფიზიკის რთულ პრობლემებში. როცა ამით დაინტერესებულმა ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ტესტებით შეამოწმეს ბავშვის ნიჭიერება, აღმოჩნდა, რომ მისი კოეფიციენტი IQ 208 ყოფილა. თუ ჩვენ ბავშვს ნიჭიერების კოეფიციენტით 120-ს ზემოთ მაღალი ნიჭის პატრონად ვთვლით, ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ ეს ბავშვი რა განძის პატრონია. აქ კიდევ ის გარემოებაა საინტერესო, რომ ბავშვს სკოლაძველ ასაკშივე მიაქციეს ყურადღება და ისე გაიტაცა მუშაობამ, რომ ვერ აშორებდნენ მას. ამიტომ შეუდგინეს დღის რეჟიმი, რომელიც აუცილებლობით გულისხმობს დღის განმავლობაში მის რამდენჯერმე გარეთ გაშვებას დასასვენებლად.

აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. სწავლაში ბავშვის დიდ წარმატებას ნიჭი სჭირდება, მაგრამ მისი მიღწევა



შესაძლებელია სხვადასხვანაირად. ერთ შემთხვევაში, სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას ბავშვი ეუფლება დიდი შრომით, როცა სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, თავაუღებლად მეცადინეობს და მთელ მის ხელთ არსებულ დროს ამას ახმარს. მეორე შემთხვევაში, მოსწავლე ამას სწრაფად აკეთებს და კიდევ საკმარის თავისუფალი დრო რჩება. იმ მოსწავლემ, რომელიც მაქსიმალური დატვირთვით აღწევს წარმატებას, ისწავლოს როგორც აქამდე აკეთებდა. ისიც ნიჭიერია, მაგრამ არა იმ დონისა, რომელიც ტალანტის ჩამოყალიბებას ეძება საფუძვლად. აი, მეორე ბავშვი კი უსათუოდ იმსახურებს სპეციალურ დახმარებას მისი დიდი პოტენციის რეალიზაციაში.

#### **6.13.4. როგორ დავეხმაროთ ნიჭიერ ბავშვებს?**

დიდი ხანი როდია, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში და, ცხადია საქართველოშიც, სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური შემოიღეს. ჩვენში დღესაც ძალიან ცოტა სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. სკოლის მესვეურები ნიჭიერ ბავშვებს მანამდეც აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ ეს იყო ბედნიერი გამონაკლისები და მას არაორგანიზებული სახე ჰქონდა. საჩუქაროდ, ძალიან ბევრ სკოლაში ნიჭიერი ბავშვები სადმე დახმარება მათი ქებით ამოიწურება. არის შემთხვევები, როცა ისინი საყვედურსაც იმსახურებენ ამა თუ იმ საგანში დაბალი აკადემიური მოსწრების გამო. საქმე ისაა, რომ სპეციალური ნიჭის მქონე მოსწავლე შეიძლება ზოგიერთ საგანს არც ისე წარმატებით ეუფლებოდეს. ჩ. დარვინი სკოლაში სწავლის დროს საბუნებისმეტყველო ხასიათის გამოკვლევებსაც კი აქვეყნებდა, მაგრამ ზოგიერთ საგანს ისე ცუდად სწავლობდა, რომ უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ვერ შესძლო მოწყობა და თეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ამიტომ სპეციალური ნიჭის მქონე მოსწავლეებს ორი მიმართულებით სჭიდებიათ დახმარება. ერთი, საჭიროა მისი ნიჭის დიდი

პოტენციალის განვითარებაზე ზრუნვა და მეორე, დახმარება იმ საგნების დამაკმაყოფილებლად დაძლევაში, რომლებშიც მას უჭირს.

ლიტერატურაში მოტანილია საინტერესო მაგალითები იმისა, თუ რისი გაკეთება შეუძლია სკოლას ნიჭიერ ბავშვთა დასახმარებლად. ვ. პეკელისს ( 56 ) მოჰყავს მრავალი მაგალითი იმისა, თუ რამდენად სასიკეთოდ მოქმედებს ნიჭიერ ბავშვზე მასწავლებლების მხრივ ყურადღების მიქცევა. ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე მოეწყო 12 წლის საშა დვორაკი. მას სკოლაში, როგორც ნიჭიერ ბავშვს, თავიდანვე მიაქცევს ყურადღება და ზოგიერთ სასწავლო წელს ორ კლასს ამთავრებდა. ამიტომ დაამთავრა ათწლელი თორმეტი წლის ასაკში. მან უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ფრიადზე ჩააბარა და ჩაირიცხა, თუმცა ამის გაკეთება არ იყო ადვილი. კონკურსანტთა შორის იმდენი ოქროსმედალოსანი ითვლებოდა, რამდენიც იყო მისაღები კონტინგენტი. ქ. კემეროვოს ერთერთ საშუალო სკოლაში ყურადღების ობიექტი გახდა უაღრესად ნიჭიერი მოსწავლე ოლეგ ჩურბანოვი. მისდა საბედნიეროდ, მას, ჯერ კიდევ მეორე კლასის მოსწავლეს, ყურადღება მიაქცია ქიმიის მასწავლებელმა, რომელიც იმავე დროს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეც იყო. მან მეორე კლასელი მოსწავლე დაასწრო ქიმიის გაკვეთილებს მე 7-ე კლასში. ბავშვს ისე მოეწონა ქიმია, რომ არც ერთ გაკვეთილს არ აცდენდა და ცოდნით მეშვიდე კლასელებს სჯობნიდა. მასწავლებელი მას დაფასთან იძახებდა მაშინ, როცა სხვები დასმულ კითხვაზე ვერ პასუხობდნენ და საჭირო იყო მათი ხსნა “შერცხვენისაგან”. მეორეკლასელი 8 წლის მოსწავლე მეშვიდე კლასში ქიმიაში ფრიადოსანი იყო. ბავშვის ქიმიით დაინტერესებას მოჰყვა მისი ასაკის “შეუსატყვისო” ლიტერატურის გაცნობა. მას მაგიდაზე ედო დიდებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა არაორგანულ ქიმიაში ყურნალი “ХИМИЯ И ЖИЗНЬ”, ხოლო კედელზე თავს იწონებდა მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემის დიდი ცხრილი. ბავშვი გატაცებით მუშაობდა მისი ნიჭის დიდი პოტენციის განვითარების მიმართულებით.

არა ერთი შემთხვევაა ცნობილი, როცა ნიჭიერ ბავშვებს ბელმა გაუღიმა და პატრიოტმა მასწავლებლებმა თავისი ინიციატივით ზიარაღება და შედეგმაც არ დააკონა. მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათობაა. რამდენი ნიჭიერი ბავშვი რჩება ყურადღების გარეშე და მისი ნიჭის განვითარება საკმარის ზარადღება. ამიტომ ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობას ორგანიზებული ხასიათი უნდა ჰქონდეს. რა საშუალებები იარსებებს ამ მხრივ სახელმწიფოებრივ დონეზე (სპეციალიზებული სკოლები, კლასები, სტიპენდიები, საზღვარგარეთ მივლინება და ა. შ.), ეს სხვა საკითხია. თუ ასეთი შესაძლებლობები არსებობს, ცხადია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ასეთმა ბავშვმა ისარგებლოს ამ სიკეთით., მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში სკოლებში მაინც გვეყოლებიან ნიჭიერი ბავშვები, რომელთაც თვითონ სკოლა უნდა დაეხმაროს. იმ სკოლებში, ფსიქოლოგი რომ ჰყავთ, ეს საქმე მან უნდა გააკეთოს.

რისი გაკეთება შეუძლია ფსიქოლოგს? ის, თუ კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს ფსიქოლოგმა ნიჭიერ ბავშვთან დასახმარებლად, დამოკიდებულია ქვეყანაში იმ დროისათვის არსებულ სიტუაციაზე, რასაც ეს ეს არის შეეხეთ. გარდა ამისა, თუ ტარდება ასეთ ბავშვთათვის განკუთვნილი ღონისძიებები (ოლიმპიადები, კონკურსები და სხვა), იქ გასაგზავნად მოამზადონ ისინი. მაგრამ ასეთი ღონისძიებები ეპიზოდურად ტარდება და მასში მოსწავლის ჩართვა, რასაკვირველია საჭიროა, მაგრამ მისი როლი ბავშვის ნიჭის განვითარებისათვის საკმარისი არ იქნება. ნიჭიერი ბავშვი კი ყოველდღე, სისტემატურად უნდა მუშაობდეს მისი დიდი პოტენციის განსავითარებლად.

ამათ გარდა, არის ღონისძიებათა რიგი, რაც ფსიქოლოგის ხელმძღვანელობით უნდა გაკეთდეს. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს მოსწავლის ნიჭიერების დონე. დღეისათვის ფსიქოლოგია ფლობს ამისათვის საჭირო დიაგნოსტიკურ მეთოდებს. უკვე იყო აღნიშნული, რომ მოსწავლის მაღალი აკადემიური მოსწრება უდაოდ მიუთითებს მის მაღალ პოტენციალზე, მაგრამ ამ მხრივ ბავშვებს შორის დიდი განსხვავებაა. ვთქვათ,

ერთი მოსწალის IQ=120, მეორისა კი 150. ცხადია, მეორე მოსწავლე პირველზე უფრო ნიჭიერია. თუ ისინი ბეჯითად სწავლობენ, ორივე წარჩინებული მოსწავლეა. მაგრამ ის მოსწავლე, რომლის ნიჭიერების კოეფიციენტი 120-ია, ამას აღწევს დიდი, დაძაბული შრომის შედეგად. ამაზე მეტი დატვირთვა მისთვის შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს. მეორე მოსწავლეს, რომელსაც მეტი მონაცემი აქვს, დახმაც სჭირდება დახმარება. იმ მუშაობით, რასაც თანაკლასელი ეწევა, მისი დიდი პოტენცია ბოლომდე არ რეალიზირდება. მას მეტი მუშაობა სჭირდება. მეტი მუშაობა არა დროის ხარჯვის თვალაზრისით (გამოიყვანოს სამის მაგიერ ათი, მისთვის მსუბუქი ამოცანა და მაგალითი), არამედ იმუშაოს ისეთ მასალაზე, რომელიც დაძაბულ ფიქრს, აზროვნებას მოითხოვს. როცა ბავშვს ამის შესაძლებლობა გააჩნია, მისი თავისუფალი დროის ერთი ნაწილი ამ საქმეს უნდა დაეთმოს. ამიტომ, როცა დაისმება საკითხი ნიჭიერი მოსწავლისადმი დასახმარებლად სპეციალურ ღონისძიებათა გატარების შესახებ, ჯერ მისი ნიჭიერების პოტენციური შესაძლებლობის შესახებ მონაცემი უნდა იყოს წარმოდგენილი.

ანამნეზური მასალის მოპოვება. მოსაპოვებელია ზოგიერთი ისეთი ანამნეზური მონაცემი, რომელიც ბავშვის სწავლით საქმიანობას ეხება. მშობლებისაგან საჭიროა იმის გაგება, თუ როგორ მეცადინეობს ბავშვი, აქვს თუ არა მტკიცე დღის რეჟიმი. სახელმძღვანელოების გარდა კითხულობს თუ არა სხვა ლიტერატურას, კონკრეტულად რა სახის ლიტერატურას ეტანება. საქმიანობის რა სფეროთია დაინტერესებული(მეცნიერება, ტექნიკა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ხელოვნება და ა. შ.). შეესატყვისებიან თუ არა ისინი ბავშვის ნიჭის მონაცემებს. მშობლები თუ აქცევენ ყურადღებას ბავშვის ნიჭს და როგორ ეხმარებიან შვილს მის განვითარებაში.

ძალიან მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დადგენა, თუ რა შრომის ფასად უჯდება ბავშვს სწავლაში ძალადი წარმატება. დიდი ენერჯის დახარჯვით აღწევს ამას, თუ შედარებით იოლად. რა დრო რჩება ბავშვს მეცადინეობის დამთავრების შემდეგ

თავისუფალი და როგორ იყენებს მას. ხომ არ დაჰყავთ ბავშვი სამეცადინოდ სხვადასვა წრეებში თუ კერძო მასწავლებელთან და როგორია ბავშვის რეაქცია ამზე (ზოგჯერ ბავშვს მეცადინეობას აშორებენ მისი სურვილის წინააღმდეგაც კი) .

ანალოგიური მონაცემები უნდა მოგროვდეს მისი მასწავლებლისაგანაც, არა მხოლოდ იმათგან, ვინც ამჟამად ასწავლის, არამედ იმათგანაც, ვინც ადრე, ქვედა კლასებში ასწავლიდა. საინტერესოა იმის გაგება, შეიცვალა თუ არა ბავშვის დამოკიდებულება სწავლისადმი და თუ შეიცვალა, რა მიმართულებით (უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ). გამორჩეულად უყვარს თუ არა რომელიმე საგანი. დეტალურადაა საჭირო იმის გაგება, თუ აქამდე რა ღონისძიებები გატარდა ბავშვის ნიჭის განსავითარებლად.

ამ მონაცემების შეგროვებისა და შესწავლის შემდეგ ფსიქოლოგი იწვევს კონსილიუმს, რომელშიც შეიძლება მონაწილეობა მიიღონ: დირექციის წარმომადგენელმა, მასწავლებლებმა (საგნის მასწავლებელმა უსათუოდ), მშობელმა. კონკრეტულ სიტუაციებში შემადგენლობას ფსიქოლოგი ადგენს. აქ დეტალურად უნდა განიხილონ შექმნილი ვითარება. ფსიქოლოგს მოაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბავშვი ნამდვილად მაღალნიჭიერია, აცნობს დამსწრეებს მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას და გამოთქვამს მოსაზრებას ბავშვისათვის შესაძლო დახმარების შესახებ. სხვებიც გამოთქვამენ თავიანთ აზრს, რის შემდეგ ფსიქოლოგი აცნობს დამსწრეებს მის გეგმას ბავშვისთვის დახმარების შესახებ.

კონსილიუმზე მტკიცდება მოსწავლისადმი დახმარების გეგმა, სპეციალურ სკოლაში გაგზავნის მცდელობის ჩათვლით. აქვე დგინდება კონტროლის მექანიზმიც. ყველა, ვინც დაინტერესებულია ბავშვის ბედით, ლებულობს დავალებას. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აღებულები ვალდებულება ფორმალურად არ იქცეს. ყველამ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. არადა, სჯობია ის პირი, ვინც საეჭვოა შეასრულებს თუ არა ვალდებულებას, საერთოდ განერიდოს საქმეს.

მოკლედ, შეჭერდეთ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უმთავრეს როლს თამაშობენ ნიჭიერ ბავშვთან მუშაობაში. საჭიროა შეიცვალოს მასწავლებლის დამოკიდებულება ნიჭიერი მოსწავლისადმი. ოდნავადაც გამორიცხულია, რომ მასწავლებელმა ბავშვის ნიჭიერება ვერ შეამჩნიოს. ის უღაოდ აფასებს ამას, მაგრამ ის ოდნავადაც არ უწყობს ხელს ნიჭის განვითარებას, თუ მასწავლებლის ხელშეწყობა ამით ამოიწურება. მასწავლებელი უნდა განეწყოს მის დასახმარებლად, განიმსჭვალოს იმის შეგნებით, რომ აქ საქმე მარტო კონკრეტულ ბავშვს კი არ ეხება, არამედ დიდი ეროვნული საქმეა გასაკეთებელი. ზრდის დამთავრების შემდეგ, ასეთი ადამიანები აკეთებენ დიდ ეროვნულ და, ზოგჯერ საკაცობრიო საქმეს. მას იმის შეგნებაც უნდა განუმტკიცდეს, რომ მოსწავლისათვის დახმარების საქმეში მთავარი ფიგურა თვითონაა. უმთავრესი ფიგურა იმ საგნის მასწავლებელია, რომელშიც ბავშვი დიდ წარმატებას უჩვენებს.

ნიჭიერი ბავშვის დასახმარებლად ჰელაგოვის განკარგულებაში მრავალი საშუალება არსებობს. მასწავლებელმა მას უნდა მისცეს უფრო რთული საშინაო დავალებები, ვიდრე დანარჩენებს აძლევს. არსებობს ასეთი მშვენიერი მეთოდი. მასწავლებელი, ვთქვათ გეომეტრიაში, კლასს საშინაო დავალაბად აძლევს სამ ამოცანას. ამათ გარდა, აძლევს აგრეთვე გაცილებით რთულ ამოცანასაც და ეუბნება, რომ ის დამატებითა და შეფასებისთვის არ არის გათვლილი. თუ ვინმე გამოიყვანს, ჩემს მაღლობას დაიმსახურებს.

მასწავლებელი ნიჭიერ მოსწავლეს ბევრს უნდა ესაუბრობოდეს ამ მეცნიერების განვითარების ისტორიიდან, უყვებოდეს ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიებს. მას შეუძლია დამატებითი მეცადინეობებიც ჩაუტაროს ბავშვს., მოამზადებინოს კარგი მოხსენებები სხვადასხვა სახის სამეცნიერო წრეებისა და კონფერენციებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მის მონაწილეობას სხვადასხვა რანგის კონკურსებში, ვიქტორინებში და ყველგან, სადაც ბავშვს მისი ინტელექტის გამოჩენა შეუძლია. მასწავლებელს უსათუოდ ექნება სამეცნიერო-

პოპულარული ლიტერატურა მის საგანში. ათხოვოს ის მოსწავლეს, დაეხმაროს ისეთი რამის გაგებაში, რაც ბავშვის დამოუკიდებლად უჭირს. მშობლებთან ერთად უზრუნველყოს მოსწავლისათვის საქმინობის ისეთი სფეროების გაცნობა, რომლებიც ბავშვის ნიჭს შეესატყვისებინან. ასეთია მუზეუმების დათვალიერება ფერწერის ნიჭის მქონე ბავშვის მიერ, მცენარეებისა და ცხოველების ჯიშების გამოყვანაზე მომუშავე დაწესებულებების (სადგურების, ბაზების) ბუნებისმეტყველებით გატაცებულთათვის, საკონსრტუქტორო ბიუროებისა მათემატიკის ნიჭის მქონეთა მიერ და ა. შ. ასეთ დროს ჯერ ერთი, ბავშვი ინტერესდება ისეთი პრობლემებით, მის ნიჭს რომ შეესაბამება და მეორე, პედაგოგსა და მოსწავლეს შორის მყარდება უაღრესად თბილი დამოკიდებულება და ეს უკანასკნელი მასწავლებლის ყველა დავალებას ასრულებს.

საჭიროა მოსწავლემ ირწმუნოს თავისი დიდი შესაძლებლობები, ნიჭის განვითარების საქმეში ყველაზე მთავარი ფიგურა თვითონ მოსწავლეა. მან უნდა ირწმუნოს მისი ნიჭის განვითარების დიდი შესაძლებლობა და განეწყოს იმისათვის, რომ დაძაბულად იმუშაოს ამ ამოცანის მისაღწევად. მან ბევრ ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე უნდა თქვას უარი და გამოთავისუფლებული დრო სწავლას დაუთმოს.. ასეთი სიამოვნებები მისთვის არსებობას წყვეტენ იმის შემდეგ, რაც ის იპოვნის სააზროვნო ობიექტს, რაც მას პრობლემები გაუჩნდება. აღწერილია არა ერთი შემთხვევა, როცა უნიჭიერესმა ბავშვებმა (ე. წ. ვუნდერკინდებმა), სულ მცირე ასაკში დიდი ნიჭი და კოლოსალური შრომისმოყვარეობა გამოავლინეს, სამუშაოს არ შორდებოდნენ და ზოგიერთი მათგანი მალე დაიღუპა კიდევ. ბავშვის ჯერ კიდევ სუსტმა ნერვულმა სისტემამ ვერ გაუძლო ასეთ დიდ დატვირთვას. ადამიანებმაც ჭკუა ისწავლეს და დღეს ასეთი ბავშვი ისეთ რეჟიმში ჰყავთ, რომ საკმაო დრო ეთმობა დასვენებას, გართობას, ჯანმრთელობის გაკაჟებას. თუ რას ნიშნავს ნიჭის განვითარებისკენ მიმართული საქმიანობით ბავშვის

დაინტერესება, ჩანს იქიდან, რომ 7 ან 10 წლის ბავშვს გარკვეულ საათებში ძალით უშვებენ გარეთ ტოლებთან სათამაშოდ ან უბრალოდ სასეირნოდ. ასე ხდება მაშინ, როცა ბავშვი მიაგნებს ისეთ სააზროვნო ობიექტს (სფეროს), რომელზე მუშაობაც მას სიამოვნებას ჰკვირის, ე.ი. მას შეუყვარდა თავისი ნიჭის შესატყვისი საგანი. თუ მას შემეცნების მოტივი გაუჩნდა, მისი საქმიანობა სულ აქეთკენ იქნება მიმართული.

საჭიროა საქმეში ჩაბმული ყველა პირის კოორდინირებული მოქმედება. მასწავლებლის მოვალეობას მოკლედ შევეხეთ. ამ საქმეში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს აგრეთვე სკოლის დირექცია. ის გარდა იმისა, რომ სულ საქმის კურსში უნდა იყოს ბავშვთან მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ოპერატიულად უნდა აგვარებდეს ისეთ ორგანიზაციულ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლის ოლიმპიადებისა და კონკუსებში მონაწილეობისათვის მომზადება და ბავშვის გაგზავნა იქ, სადაც ტარდება სპეციალიზებულ სკოლაში მისი გაგზავნის შესაძლებლობა. და ა. შ. საჭიროა მშობლებთან მუდმივი კონტაქტი, რათა პედაგოგებისა და მათი მოქმედება იყოს შეთანხმებული. ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა მოსწავლის საჭირო ლიტერატურითა და მასალა-ხელსაწყოებით მომარაგებაში.

არ გადავტვირთოთ ბავშვი საზოგადოებრივი დავალებებით. ასეთ ბავშვს იმის გამო, რომ ის სანიმუშო მოსწავლეა, ორჩვენ სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმირებებში, რთავენ სხვადასხვა ჩასატარებელ ღონისძიებებში. ის კიდევ, როგორც დისციპლინირებული პირი, მონაწილეობს ასეთ საქმიანობებში. კარგავს დიდ დროს ისეთი რამისათვის, რაც მას არაფერს აძლევს. თუ ეს საჭიროა, ის უნდა ჩაერთოს ისეთ სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში, როგორიცაა: სამეცნიერო წრის მუშაობა, შიდასასკოლო კონკურსები, ოლიმპიადისათვის მზადება და ა.შ.

სოციალური განმტკიცება. სოციალურ ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ როცა ადამიანები გარკვეულ წარმატებას აღწევენ საქმიანობაში, მიღწეულის შენარჩუნებასა და შემდგომ წინსვლაში



მათ ძალიან ეხმარება იმ სოციალური წრის მხარდაჭერა, რომელსაც ეკუთვნის. მოსწავლისათვის ასეთია, პირველ რიგში, პედაგოგები, შემდეგ კი ყველა პირი, ვისთანაც მას შეხება აქვს. ასეთი მხარდაჭერის საშუალებებია: ბავშვის ზომიერად შექება, მისი ნიჭის დიდი პოტენციის ხაზგასმა, იჩნება ეს მშობელთა კრებებზე, სკოლის კედლის გაზეთის ფურცლებზე, მასმედიის საშუალებით., როცა მას კონკურსზე ან ოლიმპიადაში გამარჯვების შემდეგ აჯილდოებენ.

აუცილებელია ნიჭიერი მოსწავლის მუშაობაზე სისტამატური კონტროლი. არსებობს ორი სახის საშიშროება. არ მოხდეს ისე, რომ რაიმე მიზეზის გამო ბავშვმა უკლოს მეცადინეობას. ფრიადზე სწავლა არ არის იმის გარანტია, რომ ის სრული დატვირთით მუშაობს. ამის შესახებ ყველაზე მეტად მასწავლებელი უნდა იყოს ინფორმირებული. მეორე საშიშროებაა ბავშვის განებივრება. ბავშვის ქებასა და დაფასებაში საჭიროა ზომიერების დაცვა, თანაც რაც უფრო პატარაა, მით უფრო მეტად. არსებობს იმის საშიშროება, რომ ზედმეტი მასობრივი ქების გამო ბავშვი გაყოფილდეს და არა მარტო მეცადინეობას მოუკლოს, არამედ თანატოლებთან ურთიერთობაშიც კონფლიქტური გახდეს. ასეთ დროს მას ისე მკაცრად უნდა მოვთხოვოთ, როგორც სხვა ბავშვებს ვთხოვთ..

## თავი 14

### ფსიქონერვული გადახრების მქონე ბავშვებთან მუშაობა

---

აქამდე საქმე გვექონდა ნორმალური ფსიქიკური წყობის მქონე ბავშვებთან, რომელთაც ან ბრწყინვალედ შეეძლოთ სწავლა ან ხელს უშლიდათ ისეთი ფაქტორები, რომლებიც პათოლოგიური ხასიათის არ არიან. მაგრამ სკოლებში არც ისე ცოტა რაოდენობით გვხვდებიან ბავშვები, რომელთაც სწავლაში ხელს

უშლით მათ ფსიქიკაში მომხდარი პათოლოგიური ძვრები. მათ გააჩნიათ სხვადასხვა სახის ნერვული და ფსიქონერვული გადახრები, რომლებიც აისახებიან ბავშვის ფსიქიკაში, მის ქცევაში ან ორივეში ერთად. ნერვულ ბავშვთა კატეგორიაში ვაერთიანებთ ისეთ ბავშვებს, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა სახის ფსიქონერვული გადახრები, რომლებიც მათ ემოციურ სფეროში მომხდარი ძვრების ანარეკლია. ინტელექტი ამ დროს ნაკლებადაა დაზიანებული, მაგრამ მის ნორმალურ ფუნქციობას უდაოდ ეშლება ხელი.

ანომალიები. რომლებზეც ჩვენ შეეჩრდებით, არ არიან ისეთი ინტენსიობის, რომ ბავშვი ავადმყოფად ჩაითვალოს. მაშინ ის კლინიკის პაციენტი იქნებოდა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბავშვის ფსიქიკის ემოციურ სფეროში მომხდარი დარღვევები ხელს უშლის მის ქცევას, მათ შორის სწავლით საქმიანობას და აუცილებლობით საჭიროებს კორექციას. მათი კორექცია უნდა მოხდეს ბავშვის სწავლისაგან მოუწყვეტლად. სკოლის ფსიქოლოგი შეიძლება არ ფლობდეს (მეტწილად ასეცაა) კორექციისათვის საჭირო მეთოდებს, მაგრამ მას უნდა შეეძლოს, დიაგნოსტიკის გზით, იმის დადგენა, გააჩნია თუ არა ბავშვს ნერვული გადახრა. თუკი ასეთი რამ დადასტურდა, კონსილიუმი, რომელშიც ფსიქონერვოლოგი იქნება ჩართული, დაადგენს, როგორ უნდა ჩატარდეს მკურნალობისთვის საჭირო თერაპიული პროცედურები..

### **6.14.1. ფსიქონერვული გადახრების მქონე ბავშვის ცნება**

ბავშვები ხასითის მრავალ განსხვავებულ თვისებას ავლენენ. მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც შეიძლება მასწავლებლებს არ მოსწონდეთ, მაგრამ ისინი ქცევის პათოლოგიებად არ ჩაითვლებიან. ქცევის ასეთი გამოვლინებებიდან ზოგი ტემპერამენტის ტიპის დამახასიათებელი ნიშანია, ზოგი აღზრდის ბრალია. ისინი არ წარმოადგენენ პათოლოგიებს, თუ კი ბავშვს

ხელს არ უშლიან იმ ქცევის შესრულებაში, რომლის განწყობაც აქვს. ფსიქონერვულ გადახრებს ვუწოდებთ ბავშვის ფსიქიკაში მომხდარ ისეთი სახის ცვლილებებს, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში ხელს უშლიან მას ქცევის ნორმალურად განხორციელებაში ასეთი გადახრები ბავშვზე მავნე აგენტების ზემოქმედებითაა გამოწვეული. ასეთ ზემოქმედებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ორსულობისას ნაყოფზე მავნე ზემოქმედების, მშობიარობის ტრავმებისა და ჩვილობაში გადატანილი ინფექციური დაავადებების სახით.. ბავშვის ნერვიულობის აღმოცენებაში მინც სოციალური ფაქტორები დომინირებენ.

ცხოვრების რიტმის არნახულმა დაჩქარებამ, ინფორმაციის მოცულობის განუწყვეტელმა ზრდამ, ოჯახურ აღზრდაში დაშვებულმა შეცდომებმა და სწავლასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა შექმნეს ხელსაყრელი პირობები ბავშვებში ნერვიულობის აღმოცენებისათვის. ამას ემატება მოუწესრიგებელი სოციალური გარემოს ზემოქმედებაც. ამიტომ, სამწუხაროდ, რაც დრო გადის ნერვულ ბავშვთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. საჭიროა ამ ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლა.

ბავშვთა ნერვიულობის წინააღმდეგ ბრძოლა ოჯახისა და სკოლის უპირველესი მოვალეობაა. მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ბავშვებში ფსიქიკური გადახრების ლიკვიდაციის საქმეში. კიდევ მეტი, მათ შეუძლიათ საქმის ცოდნით დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობით, საერთოდ თავიდან იქნას აცილებული ასეთი ანომალიების აღმოცენება. დადასტურებულია, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია იმ ბავშვების მიმართაც, რომელთაც მიდრეკილებაც კი აქვთ ამა თუ იმ ფსიქონერვული გადახრის აღმოცენებისადმი. ჩვენ რომ ბავშვებს ისე ვზრდიდეთ, როგორც საჭიროა, ნერვულ ბავშვთა რაოდენობა გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ბავშვთა ნერვიულობის პროფილაქტიკაში და აღმოცენებულის ლიკვიდაციის საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლია სკოლას. იდეალური პირობები ბავშვთა ნერვიულობის წინააღმდეგ ბრძოლაში იქმნება მაშინ, როცა ოჯახი და სკოლა საქმის ცოდნით, კოლექტივურად ებრძვიან ამ მოვლენას.

ნერვული ბავშვები პედაგოგებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთ ბავშვებთან სწორად დაყენებულ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და, საჭიროების შემთხვევაში, დროულ მკურნალობას, შეუძლია კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს ბავშვისა და მოზარდის ფსიქიკურ განვითარებაზე. დროთა განმავლობაში შესაძლებელია ანომალიის სრულიად აღმოფხვრა. მაგრამ ვიმეორებთ, ამის გაკეთება მოითხოვს სკოლისა და ოჯახის ერთიან, კოორდინირებულ მოქმედებას. ასეთი კოორდინატორის ფუნქციის შესრულება ყველაზე უფრო ფსიქოლოგს შეუძლია და მოეთხოვება კიდევ ამის გაკეთება.

ბავშვის ნერვიულობის გამოვლინებები. ბავშვის ნერვიულობის სახელწოდებით ავლნიშნავთ ფსიქონერვულ გადახრათა მთელ ჯგუფს, რომელთაც სხვადასხვა გენეზი და განსხვავებული გამოვლინებები გააჩნიათ. ზოგი მათგანი ორგანული წარმოშობისაა, ზოგიც სოციალური ფაქტორებითაა გამოწვეული. ყველა მათგანი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ადაპტაციურ მექანიზმზე და ამახინჯებს მის ქცევას. იმ ფსიქონერვული გადახრებიდან, რომელთაც ცენტრალურ ნეურულ სისტემის პათოლოგია უდევთ საფუძვლად, აღსანიშნავია: ნევროპათია და ფსიქოპათია.

### 6.13.2 ნევროპათია

ნევროპათია ანუ თანდაყოლილი ნერვიულობა აღმოცენდება ვეგეტატიური სისტემის ან ცენტრალური ნერვული სისტემის იმ განყოფილების განვითარების შეფერხებისა და ფუნქციის დარღვევის შედეგად, რომელიც ორგანიზმის ე. წ. “შინაგანი გარემოს” მუშაობას განაგებს და ახდენს ცალკეული ორგანოების ან ორგანოთა სისტემების ფუნქციობის რეგულირებას.

ადრეულ ბავშვობაში ნევროპათოლოგიური სინდრომისათვის დამახასიათებელია ძილის დარღვევა. ბავშვი ძნელად იძინებს, ხშირად იღვიძებს, უძნიშვნელო ხმაურზე შეკრთება. ზოგჯერ ბავშვს მთელი

ღამე არ სძინავს, წევს მშვიდად, თვალებგახელილი. უხალისოდ წოვს ბუბუს. უფრო გვიან ეწყება პირის ღებინება, კუჭის აშლა. სუსტ გამლიზიანებელზეც ძლიერ რეაქციას იძლევა (წამოიყვირებს).

სკოლამდელ ასაკში ნევროპათ ბავშვს უვითარდება თითის წოვის, მთელი სხეულით რწვეის, ფეხების ერთმანეთზე ხახუნის და რიგი სხვა ჩვეულება. კვლავინდებურად გრძელდება ძილის ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა, ჭირვეული ხდება ჭამის მიმართ (დიდხანს უღვეს პირში ლუკმა, არ ღეჭავს და, ცხადია, არც ყლავს). მოუხედავ ამისა, ბავშვი ფიზიკურად ნორმალურად ვითარდება: იზრდება სიმაღლეში, მატულობს წონაში. თუმცა ნევროპათი ბავშვი ფიზიკური განვითარებით. ნორმას სერიოზულად არ ჩამორჩება, მას მაინც დაქვეითებული აქვს გარეგანი მავნე აგენტების ზემოქმედებაზე წინააღმდეგობის გაწვევის უნარი. მასთან მძიმედ მიმდინარეობს ინფექციებით გამოწვეული ავადმყოფური პროცესები, ხშირად უვითარდება სასუნთქი ორგანოების დაავადება, კრუნჩხვა, ხველების შეტევები, ლარინგოპლაზმის მოვლენები.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნევროპათ ბავშვს დაწეული აქვს მგრძნობელობის ზღურბლი, ამიტომ ის კრთება უმნიშვნელო გამლიზიანებელზეც, ეპართება ხახის კუნთების სპაზმა, გაბრაზებისას აღრიალებული ეცემა იატაკზე.

ქცევის გამოვლენილი ნიშნების მიხედვით, ნევროპათ ბავშვებს ორ ჯგუფად ყოფენ. ერთისათვის დამახასიათებელია\_ ზედმეტი ავზნებადობა. ასეთი ბავშვი მოუსვენარია, სულ ფუსფუსებს, უწყვეტად მოძრაობს, ხშირად ეცვლება გუნება-განწყობილება, ყურადღება გაფანტულია. მეორე ჯგუფის ქცევა ამის საპირისპირო ნიშნებით ხასიათდება.. არიან გაუბედავები, ზედმეტად მორცხვები, პასიურები, თავის თავში დაურწმუნებლები. ადვილად იღლებიან და ამიტომ უჭირთ ყურადღების კონცენტრირება.

ნევროპათ ბავშვებს ინტელექტი შედარებით კარგად აქვთ შენარჩუნებული. ზოგიერთი მათგანი დამაკმაყოფილებლადაც სწავლობს. მაგრამ უდაოა, რომ ნევროპათებს კარგად სწავლაში ხელს უშლის მათი ფსიქიკის ზემოთჩამოთვლილი ნაკლოვანებები,

განსაკუთებით ადვილი დალღადობა, საშუალო და ძლიერ გამლიზიანებლებზე არაადექვატური რეაგირება, ყურადღების კონცენტრაციის სისუსტე და ა. შ.

ნევროპათი ბავშვები ყურადღებას იმსახურებენ ორი მიმართულებით. ჯერ ერთი, ასეთ ბავშვს უჭირს გარემოსთან ადაპტირება და ამიტომ, თუ სათანადო დახმარება არ გაეწია, გაუჭირდება ნორმალურად სწავლა. მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნევროპათია ის ბაზისია, რომელზედაც ადვილად აღმოცენდება სხვადასხვა ნევროზი. ზემოქმედება, რომელიც ნორმალურ ბავშვში კვალს არ ტოვებს, ნევროპათებში ადვილად წარმოშობს გარკვეულ ნევროზს. ამიტომ ბავშვში ნევროპათიის ნიშნების დადასტურებისას, საჭიროა დროზე იქნას მიღებული სამკურნალო და საკორექციო ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

### **6.14.3. ფსიქოპათია**

ფსიქოპათია პიროვნების ქცევის პათოლოგიური გამოვლინებაა. მართალია, რიგი ფსიქოპათოლოგიური გამოვლინებებისა ჰგავს ნევროპათიის ნიშნებს, მაგრამ მათ შორის ძირითადი განსახვავება ისაა, რომ ფსიქოპათიის დროს ანომალურია ადამიანის ქცევა, რომელიც ნევროპათს უკეთ აქვს შემონახული. ფსიქოპათს უჭირს თავისი ქცევის გაკონტროლება, ამიტომ ძნელად ამყარებს ნორმალურ ურთიერთობას გარემოებებთან. სისტემატურად აწუხებს მათ და უძნელებს ცხოვრებას. მოუხედავად ამისა, ფსიქოპათი მინც არ ითვლება სულით ავადმყოფად. ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ინტელექტი არა აქვს დარღვეული. ის სწავლობს, მუშაობს, ხელსაყრელ პირობებში კონტროლს უწევს თავის ქცევას, მაგრამ რამდენაღე ექსტრემალურ სიტუაციაში აშკარად ვარდება კალაპოტიდან და კარგავს კონტროლს თავისი მოქმედებისადმი. ამკე დროს მას შეუძლია ობიექტურად შეაფასოს თავისი საქციელი, მაგრამ ქცევის მიმდინარეობის დროს ვერ აწესრიგებს მას.

აღინიშნა, რომ ფსიქოპათებს ინტელექტი არა აქვთ დარღვეული,

მაგრამ მათი დიდი ნაწილი მაინც თავის შესაძლებლობაზე უარესად სწავლობს. განსაკუთრებით უჭირთ ყურადღების კონცენტრაცია. ახალ სამუშაოს, როგორც წესი, დიდი გატაცებით იწყებენ, მაგრამ მალე ბეზრდებათ და იშვიათად ამთავრებენ. მუდამ აწეული გუნება-განწყობილების გამო ადვილად ღიზიანდებიან, რაც ჩხუბითა და უსიამოვნებით მთავრდება ხოლმე. კონფლიქტი მოსდით როგორც თანატოლებთან ისე პედაგოგებთან.

არის ორგანული დაზიანების მქონე ფსიქოპათ ბავშვთა ერთი ჯგუფი, რომელთაც ახასიათებთ ინსტინქტებისა და ვიტალური მოთხოვნილებების გაუკუღმართება. ამის გამო, ბავშვი ვერ იცავს ზომიერებას ჭამაში, გამოირჩევა უსუფთაობით, არა აქვს ზიზღის გრძობა, ავლენს საღიზმის ნიშნებს, აწვალებს ცხოველებს, უმცროსი ასაკის ბავშვებს, ვერ გრძობს საფრთხეს იქ, სადაც ნორმალური ბავშვი ადვილად ამჩნევს მის არსებობას და ა. შ. სპეციალური საკორექციო ზემოქმედების გარეშე დარჩენილი ბავშვის მდგომარეობა განსაკუთრებით რთულდება გარდამავალ ასაკში, როცა მოზარდის პიროვნების ფორმირებას ისედაც ბევრი სიძნელე ელობება

ფსიქოპათიას სხვადასხვა მიზეზი იწვევს. მათ შორის უმთავრესია: პათოლოგიური მექანიკიზაცია (კონსტიტუციური ფსიქოპათია), მანე ზემოქმედებით ტვინის მსუბუქი დაზიანება და სოციალური ფაქტორები. გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც არახელსაყრელ სოციალურ ზემოქმედებას აქვს. მკვლევარები თანხმდებიან იმაში, რომ ტვინის დაზიანებით გამოწვეული პათოლოგიის დროსაც, ქცევის დარღვევის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს სოციალური ფაქტორები თამაშობენ.

#### **6.14.4. ნევროპათ და ფსიქოპათ ბავშვებთან მუშაობა**

ფსიქონერვული გადახრები ბავშვებს ადრეული ასაკიდან ემჩნევათ. ამიტომ ძალიან ღირებულა მათი დროულად შემჩნევა და იმთავითვე, საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობასთან

შეხამებული საკორექციო ღონისძიებების დაწყება. სამწუხაროდ, ამას იშვიათად აქვს ადგილი. მშობელთა საკმაო ნაწილი ამას ნორმალურ მოვლენადაც თვლის. “ჯერ ბავშვია და რომ წამოიზრდება ჭკუაში ჩავარდებაო”, ფიქრობენ ისინი. ხდება კი პირიქით, ბავშვს სულ უფრო უფიქსირდება ქცევის პათოლოგიები. არც საბავშვო ბაღია ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზე. მართალია, იქ ბავშვს თამაშის სიტუაციებში უხდება ყოფნა, რაც ქცევის დარღვევების მაქსიმალურად გამოვლენას ხელს არ უწყობს, მაგრამ დაკვირვებული აღმზრდელი მაინც შეამჩნევს ნერვული ბავშვის საქციელის შეუსატყვისობას სიტუაციისადმი. აღმზრდელსაც ის შეეცდომა მოსდის, რაც მშობელს. ისიც ფიქრობს, რომ თანდათანობით მდგომარეობა გამოსწორდება. ჩვენში არსებობს ბაღის ფსიქოლოგის შტატიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით იშვიათად ჰყავთ ბაღებს ფსიქოლოგები. არადა, ნერვული ბავშვების დროზე შემჩნევა და მათთან საკორექციო მუშაობის ჩატარების ორგანიზება მათ ევალებათ.

სწავლის დაწყების შემდეგ ნევროპათ და ფსიქოპათ ბავშვთა მდგომარეობა მკვეთრად უარესდება. ახლა მათ უხდებათ დისციპლინირებულ გარემოში, მიზადასახული ქცევის განხორციელება-სწავლა. სწავლა ქცევის ისეთი ფორმაა, რომელიც მოითხოვს გარკვეული დროის განმავლობაში გაკვეთილზე მშვიდად და ყურადღებით ყოფნას, ხოლო სახლში დაბრუნების შემდეგ, გარკვეული დროით, თამაშისაგან თავშეკავებას და მეცადინეობას. ყველა შემთხვევაში ბავშვს სჭირდება დღის განმავლობაში საკმაოდ ხანგრძლივი დროით თავშეკავება. ნევროპათ და ფსიქიპათ ბავშვებს სწორედ ეს აკლიათ. უადრესად სუსტია მათთან შეკავების პროცესი, რისი შესატყვისი ფსიქოლოგიური ფენომენია ნებისყოფა. ნერვულ ბავშვებს, მათი ასაკის ნორმალურ ბავშვებთან შედარებით, ძალიან სუსტად აქვთ განვითარებული ნებისყოფა. აქედან წარმოსდგება მათთვის დამახასიათებელი დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უუნარობა და ყურადღების კონცენტრაციის სისუსტე.

ნევროპათი და ფსიქოპათი ბავშვების მკურნალობის



საკითხებს აქ არ შევეხებით. თუ აუცილებელი გახდა საექიმო ჩარევა, ის შესატყვისი სამედიცინო დარგის სპეციალისტებმა უნდა მოაგვარონ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები, რომლებზეც საუბარია, არ არიან სულით ავადმყოფები. ისინი სკოლაში სწავლობენ., მაგრამ შედარებით სუსტი ფსიქონერვული გადახრები მათ ხელს უშლის სწავლაში, ამიტომ საჭიროა კორექციის გზით გადახრის გასწორება. მკურნალობა ამ შემთხვევაში, უნდა იყოს კორექციის ხელშემწყობი საშუალება. მარტო მკურნალობით ბავშვისათვის ნერვულობის მოხსნა შეუძლებელია. მას ქცევის ორგანიზება უჭირს და სწორედ თავისი ქცევის მოწესრიგებას უნდა მიეჩვიოს. ამ გზით უნდა გაძლიერდეს მისი შეკავების პროცესი.

აქაც ძალაში რჩება ის ძირითადი მოთხოვნა, რაც ყველა საკორექციო ღონისძიებებს ეხება. კერძოდ, რაც ადრე მოხდება ბავშვის ნერვულობის დადასტურება და დაიწყება საკორექციო ღონისძიებების გატარება, მით უფრო კარგი შედეგი მიიღწევა, თანაც საკმაოდ მოკლე დროში. მაგრამ თუ ბავშვის ნევროპათიურ და ფსიქოპათიურ სინდრომებს სკოლაძლეულ ასაკში არ მიექცა ყურადღება და ბავშვი ისე მოხვდა სკოლაში, ფსიქოლოგმა უნდა დაადასტუროს ბავშვის ნერვულობის ფაქტი და დასახოს საკორექციო ღონისძიებები. აქაც ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაკეთდეს.

გასათარებელ ღონისძიებებში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ კომპონენტებს: 1. ბავშვის სუსტი შეკავების პროცესის გაძლიერება უნდა მოხდეს თანდათანობით. პრაქტიკულად ხდება მიხი აღზრდა. ამ პროცესში საჭიროა ბავშვზე მოქმედებდეს რაც შეიძლება მეტი ახალი შთაბეჭდილება. სიახლე იზიდავს მის ყურადღებას და თუ ის მისთვის საინტერესოა, ხალისით ერთვება საქმიანობაში. ნაცნობი გარემო, ერთფეროვანი სიტუაცია თავშეუკავებელს ხდის ბავშვს. ყოველი ახალი და საინტერესო შთაბეჭდილება გარკვეული დროით აჩერებს მის ყურადღებას, აღვიძებს ცნობისმოყვარებას, აამოქმედებს რიგ ინტელექტუალურ პროცესებს: აღქმას, მეხსიერებას, აზროვნებას და ა. შ. იმ ხნის:

განმავლობაში, რაც ბავშვი ახალი შთაბეჭდილებითაა დაკავებული, მისი აგზნების პროცესის ჭარბი ენერგია შემეცნებით აქტივობაზე იხარჯება. ამით სუსტი შეკავება ძლიერ მხარდაჭერას ღებულობს და ახერხებს თუნდაც მცირე ხნით შეაჩეროს ბავშვის იმპულსური მოქმედებები. ასე თანდათანობით უნდა მოხდეს თავშეკავების უნარის გაძლიერება, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს აგზნების პროცესის დაქვეითებას.

მოკლედ, გასატარებელია შემდეგი ღონისძიებები: 1. ნერვული ბავშვი სკოლაშიც უნდა ღებულობდეს ბევრ ახალ, საინტერესო შთაბეჭდილებას. ის გაკვეილზე შედარებით წყნარად ზის და უსმენს, როცა მასწავლებელი იყენებს თვალსაჩინოებას, ატარებს ექსპერიმენტს, გაკეთილს ამღიდრებს საინტერესო ფაქტებით. 2. ნერვული ბავშვი ისეთ საქმიანობაში უნდა იქნას ჩართული, რომელიც ენერგიის ხარჯვას მოითხოვს. ასეთია მაგალითად სპორტული ღონისძიებები, ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები და სხვა. 3. ძალიან კარგია ბავშვისათვის ისეთი დავალებების მიცემა, რომლებიც ინიციატივის გამოჩენასა და პასუხისმგებლობას საჭიროებენ. ასეთია ჯგუფზებლობა, პასუხისმგებელ მორიგედ დანიშვნა და ა. შ. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ასეთ მოუთვინიერებელ ბავშვს დიდი მონდომებით შეუსრულებია მისთვის მინდობილი საპასუხისმგებლო საქმე., ოღონდ საჭიროა სისტემატური კონტროლი, რათა მან არ გადააჭარბოს დაკისრებულ მოვალეობას და კონფლიქტური სიტუაცია არ შექმნას. 4. როგორც სკოლაში შესვენების დროს, ისე განსაკუთრებით სახლში, ბავშვს უნდა მიეცეთ საშუალება, გაერთოს მოძრავი თამაშებით. შეიძლება მან იცელქოს, იხმაუროს, მაგრამ უნდა შევეურიგდეთ ამას. არაფერი არ არის ასეთი ბავშვისთვის ისე აუტანელი, როგორც უძრაობა. 5. ნერვულ ბავშვს უნდა ავუკრძალოთ რაც შეიძლება ცოტა, მაგრამ თუ რამეს ავუკრძალავთ, უნდა ავუკრძალოთ კატეგორიულად. დაუშვებელია რაღაცის აკრძალვის შემდეგ, როცა ბავშვი იტირებს, აკრძალვის გაუქმება. ეს ცუდია ნორმალური

ემოციური წყობის ბავშვისათვის. მას აჩვენებს ჯიუტობას. კიდევ უარესია ნერვიულისათვის. ამასთან მას უნდა გაეაგებინოთ აკრძალვის აუცილებლობა. 6. უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის მიმართ მოთხოვნათა ერთიანობა. დაუშვებელია ბავშვს ერთმა აუკრძალოს რაღაცა, ხოლო მეორემ ნება დართოს. ეს ეხება ყველას, ვისაც ბავშვთან აქვს შეხება, მაგრამ განსაკუთრებით მშობლებს. ყველაზე ხშირად მათთან ხდება ასეთი რამე. მამა უკრძალავს, დედა ნებას რთავს, დედა უკრძალავს, ბებია აუკმებს მას. 7. ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური განმტკიცების მეთოდის გამოყენება, რომელსაც აქამდე რამდენჯერმე შევეხეთ. თუ ბავშვი დავალებას თავს გაართმევს, უნდა მოუწონოთ, შევაქოთ. ეს აძლიერებს ბავშვის თავმოყვარეობას და ეხმარება მის სუსტ ნებისყოფას სხვა საქმეების ბოლომდე მიყვანაში.

### 6.14.5. ნევროზები

სკოლის მოსწავლეთა შორის უფრო ხშირია ემოციური სფეროს არა ორგანული წარმოშობის დარღვევები, რომელთაც ნევროზებს ეძახიან. ტერმინი ნევროზი(ბერძ. neuron-ნერვი) მედიცინაში შემოიტანა შოტლანდიელმა ექიმმა უ. კულენიმ 1796 წელს. ნევროზს ეძახიან ფსიქოტრაუმული ფაქტორების: გამოწვეულ ფსიქიკურ მოშლილობას, რომლის დროსაც ადამიანი კარგავს თავისი ქცევის მართვის უნარს, თუმცა აცნობიერებს მის არაადეკვატურობას.. ნევროზი არის ფსიქიკურ მოშლილობათა მთელი ჯგუფის კრებადობითი სახელი. ნევროზის გამომწვევია ფსიქოსოციალური ფაქტორები, რომლებიც მძიმე სულიერ ტრავმას აყენებენ ადამიანს. ერთიდაიგივე ტრავმატული ფაქტორი ყველა ადამიანში არ იწვევს ნევროზს. აქ გარკვეულ როლს თამაშობენ სომატური კომპონენტები, მემკვიდრეულის ჩათვლით. ნევროზის აღმოცენების ხელშემწყობ ფაქტორებად თვლიან: მემკვიდრეობას, ტემპერამენტის ტიპს, ხანგრძლივ ავადმყოფობას, ფიზიკურ გამოფიტვას და სხვა.

არც ერთ აღნიშნულ ფაქტორს თავისთავად ნევროზის გამოწვევა არ შეუძლია, მაგრამ მენე სოციალური და ფსიქოტრავმული ფაქტორების არსებობისას აადვილებენ ნევროზის აღმოცენებას. ნევროზის გამოწვევი ფაქტორებია: არახელსაყრელი სოციალური პირობები, როგორცაა მშობლებს შორის კონფლიქტი, მძიმე ცხოვრებისეული პირობები, არასწორი აღზრდა და ა.შ. ფსიქოგენური ფაქტორებია: შეშინება, საფრთხის მოლოდინი, ხანგრძლივად გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, საზოგადოებაში დაბალი სოციალური სტატუსი, კონფლიქტურ სიტუაციაში საქმიანობა და სხვა.

ნევროზების კლასიფიკაციაში არ არსებობს ერთსულოვნება. ამიტომ დაკმაყოფილებით იმ უმთავრესი ნევროზების მოკლე აღწერით, რომელთა არსებობა არავის ეეჭვება.

### **6.14.6. ნევრასთენია**

ყოველდღიურ მეტყველებაში, როგორც ბავშვების, ისე ღილების ნერვიულობის დასახასიათებლად ვხმარობთ გამოთქმებს: გაღიზიანებადობა, მოუსვენრობა, ადვილი დაღლადობა, ცუდი ძილი, ტკივილი სხეულის სხვადასხვა ადგილას და ა. შ. ყველა აღნიშნული სიმპტომი წარმოადგენს ნევრასთენიის ნიშანს. როგორც ვხედავთ, ნევრასთენიის დროს თითქმის არ ვვხვდებით ისეთი სიმპტომები, რომლებიც ნორმალურ ბავშვებსაც არ ახასიათებდნენ. მაშინ ისმება კითხვა, რა განსხვავება ნევრასთენიას და ნორმალურ ბავშვს შორის? განსხვავება, ძირითადად, რაოდენობრივი ხასიათისაა. ნევრასთენიკს შვერბების ზღურბლი დაწეული აქვს და საშუალო ან ღიდი ინტენსივობის გამღიზიანებელს ვერ იტანს. თუ ასეთი გამღიზიანებელი მაინც იმოქმედებს, ნევრასთენიკი წონასწორობას კარგავს და მასზე არაადექვატურად პასუხობს: სწუხს, ჩივის მათზე. ხოლო თუ მათგან განრიდების შესაძლებლობა არა აქვს, შეიძლება ავადაც გახდეს. ამიტომ ნევრასთენიკი მოსწავლე ვერ იტანს ხმაურიან თამაშებს, ვერ მეკადნიერებს ოთახში ან ბიბლიოთეკაში თუ ოდნავი

ზმაური მაინც არის.

ნევრასთენიკი ძნელად ეგუება უფროსებთან ურთიერთობას. ვერ იტანს შენიშვნის მიცემას ან რაიმეს აკრძალვას. ასეთი რამ არც ერთ ბავშვს არ უყვარს, მაგრამ ჯანმრთელი ბავშვი ან არ იძლევა ამაზე რეაქციას ან ცოტას იჭიჭყინებს და მერე ჩერდება, ნევრასთენიკი წონასწორობას ჰკარგავს და შესაძლებელია მეტად უსიამოვნო სცენაც კი გაითამაშოს.

ნევრასთენიის წარმოშობის მიზეზია არა ნერვული სისტემის ორგანული დეფექტი, არამედ ის არახელსაყრელი სოციალური გარემო და ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელშიც ბავშვი იმყოფება. მოსწავლეებში ეს ნევროზი ძირითადად ვითარდება ბავშვისადმი განხორციელებული არასწორი აღმზრდელობითი და სწავლითი ზემოქმედების შედეგად, არასწორ აღმზრდელობით ზემოქმედებას შეიძლება ოჯახშიც ჰქონდეს ადგილი და სკოლაშიც.

თუ ნევრასთენიის მსგავსი სინდრომი ბავშვს უვითარდება ორგანიზმის დასუსტების გამო, მაშინ საქმე გვაქვს ფსევდო ანუ ცრუ ნევრასთენიასთან. ეს უკე ნევროზი არ არის და საჭიროა გადახრის არა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კორექცია, არამედ მკურნალობა. უნდა აღმოიფხვრას ის მიზეზი, რომელიც ბავშვის ორგანიზმს ასუსტებს და ის გამოჯანსაღდება. აი, რას წერს ამის შესახებ ცნობილი ნევროპათოლოგი ს. ფაინბერგი “ნევრასთენიკი ბავშვი, პირველ რიგში, წარმოადგენს არასწორი აღზრდის პროდუქტს, ხოლო ყოველგვარი სომატური დამაუბლურებელი მომენტი (ინფექციები, დაუეუილობა, ცუდი კვება და ა. შ) თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ მხოლოდ ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ნევროზის განვითარებისათვის”(87, 59).

ნევრასთენიის წარმოშობაში ძირითად როლს ბავშვის ძლიერი ურყოფითი ემოციები თამაშობენ. ბავშვის ემოციური სფერო, ისე როგორც მისი ჩვევები და ჩვეულებები, ყალიბდებიან დიდების ზეგავლენით: მათი გამიზნული მოქმედებით ან მათდამი მიბაძვით. ამიტომ, თუ ბავშვი იზრდება ნერვულ გარემოში, თუ ის

სისტემატურად უყურებს უფროსებში ნერვულობას, სხვადასხვა სახის უარყოფითი ემოციების გამოვლენას, როგორცაა: წყენა, აგრესია, შიში და ა.შ., მაშინ ისინი გავლენას ახდენენ მასზე.. ხშირად ასეთი ძლიერი უარყოფითი ემოციები უშუალოდ ბავშვისადმი არ არიან მიმართული, მაგრამ მასზე მაინც ცუდად მოქმედებენ. სწორედ ასეთ გარემოში მცხოვრებ ბავშვს უვითარდება ნევრასთენია.

ცხადია, უფრო ცუდი შედეგი მოსდევს, როცა ძლიერი უარყოფითი ემოციები მიმართულია უშუალოდ ბავშვისადმი.. ზოგიერთ ოჯახში ბავშვს დღის განმავლობაში რამდენჯერმე უჯავრდებიან, ატირებენ, ყელაფერს უკრძალავენ და ამით ნევრასთენიის წარმოშობის პირობებს ქმნიან. ეს ხდება მაშინაც, როცა ბავშვი ადვილად შეიძლება ავარიდოთ ძლიერ უარყოფით ემოციებს, მოვხსნათ ის უსიამოვნო ფონი, რომელიც მის ცხოვრებას ამძიმებს. სამწუხაროდ, ბევრ მშობელს არ ესმის ამისი მნიშვნელობა და არც ის იცის, როგორ მოიქცეს.

ნევრასთენიკთა შორის, რეაქციების გამოვლენის თაღსაზრისით, ძირითადად ორი კატეგორიის ბავშვები გვხვდებიან. ნევრასთენიკთა ერთი ნაწილი ხასიათდება ნელი რეაქციებით, წყნარი, მშვიდი ქცევით, სიმფრთხალით, ტირილისადმი მიდრეკილებით. ამას ნევრასთენიის ასთენიკურ ფორმას უწოდებენ. საპირისპიროა ჰიპერასთენიკური ფორმა, რომლის ნიშნებია: ჩქარი რეაქციები, მოუსვენრობა, თავშეუკავებლობა, ხმაურიანი თამაში, სირბილი და ა. შ.

## 6. 13. 7. ისტერია

ისტერია(ბერძ.histera-საშვილოსნო. ძველად ისტერიას საშვილოსნოს დაავადებად თვლიდნენ). ხალხში გავრცელებული შეხედულებით, ისტერია ხასიათდება მშფოთვარე, თავშეუკავებელი რეაქციებით. ეს ასეც არის, მაგრამ ეს არ იქნებოდა ისტერიის სიმპტომის ამომწურავი დახასიათება. ცნობილი თითქმის ყველა დაავადების ფორმა. ამიტომ მას “უდიდეს

სიმულანტსაც” ეძახიან. ს. ფაინბერგი შესაძლო ისტერიულ გამოვლინებებს ასე ახასიათებს, “ერთს აწუხებს შეტევები კრუნჩხვებითა და კივილით, რომელიც თავს იჩენს ყოველგვარი უსიამოვნო განცდისა და კონფლიქტის დროს, მეორე უეცრად დამუნჯდა, მესამეს ხელი გაუშეშდა, მეოთხეს კი ფეხი, მეხუთე დაბრმავდა, მეექვსეს, სრულიად ჯანმრთელი კუჭის პატრონს, დაუოკებელი პირღებინება დაეწყო, მეშვიდეს შეცდომით ორსულობის დიაგნოზიც კი დაუსვეს. ყველა ამ დარღვევის მიზეზი ერთია, - ისტერია”(87, 46).

ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება შეიქმნას, თითქოს ისტერიას შეუძლია ადამიანი დაამუნჯოს, დააყროს, დამბლა დასცეს და ა.შ. ეს მთლად ასე არ არის. ისტერიით დამუნჯებული ალაპარაკდება, ხოლო დამბლადაცემული სიარულს დაიწყებს, როგორც კი გაივლის ის უსიამოვნო თუ საფრთხის მომტანი სიტუაცია, რომელმაც ნევროზი წარმოშვა. ამასთან, ის შეიძლება კვლავ აღმოცენდეს, თუ მსგავსმა სიტუაციამ ისევ იჩინა თავი.

შეიძლება ისტერიკი სიმულანტობს და ამით ცდილობს უსიამოვნების თავიდან აცილებას? არა. დამტკიცებულია, რომ ისტერიით შეპყრობილს მართლაც არ შეუძლია სიარული, ლაპარაკი, არ ესმის სხვისი ნათქვამი. გული რომ ერევა, ეს ხომ ცხადია. ამგვარად, სიმულანტობს არა ავადმყოფი. არამედ ისტერია. მაშინ რაშია საქმე? როდის და რატომ აღმოცენდება ისტერია? ისტერია აღმოცენდება მაშინ. როცა ინდივიდი ღებება მისი სიცოცხლის ან პიროვნული ღირსების შელახვის საფრთხის წინაშე. ისტერია გამოდის როგორც ერთგვარი, საფრთხისაგან თავდასაცავი ფარი. ამგვარად, ისტერია არის ისეთი ფსიქიკური მოშლილობა, რომელიც აღმოცენდება ბავშვში მისი ფსიქიკისათვის ტრავმის მიმყენებელი სიტუაციის ზემოქმედების შედეგად.

ბავშვებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისტერიული რეაქციები. ყველაზე ხშირია მოძრაობითი სფეროს დარღვევები. გამოკვეთილია ე.წ. ასთაზია-აბაზია, რომლის დროსაც ავადმყოფს არ შეუძლია ფეხზე დგომა და ცხადია, სიარული და ეს იმ

დროს, როცა ბავშვს შენარჩუნებული აქვს ყველა სახის მოძრაობისა და მოძრაობათა კოორდინაციის უნარი. შეიძლება განვითარდეს ჰიპერკინეზები: კიდურების ან მთელი სხეულის ცახცახი, ზოგჯერ ვითარდება მეტყველების მოშლა: სიმუნჯე, აფონია (ხშიანობის დაკარგვა), სურდომუტიზმი (ყრუ-მუნჯობა), საჭმლის მომწელებელი ორგანოების მუშაობის მოშლა და ა.შ.

არ არის გამორიცხული ისტერიის უფრო ძვირფას ფორმების განვითარება, რომლის დროსაც ადგილი აქვს გულყრას. ამ დროს ისტერიკის ცნობიერება მთლად დაბინდული არ არის, მაგრამ საკმაოდაა შევიწროვებული, ამიტომ ის ისე ცუდად არ ეცემა, რომ სერიოზული დაზიანება მიიღოს.

ისტერია არ არის ორგანული დაზიანებით გამოწვეული, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ის უპირატესად ისეთ ბავშვებს უვითარდებათ, რომლებიც არიან ფიზიკურად სუსტი, ასთენიკური კონსტიტუციის, აქვთ მგრძობელობის დაბალი ზღურბლი. ისტერიის აღმოცენების ფსიქიკური საფუძველია აწეული ემოციური მგრძობელობა, მერყევი გუნება-განწყობილება, წყენიანობა. ასეთი ნიშნები ახასიათებს ტემპერამენტის ქოლერიკულ და მელანქოლიკურ ტიპებს (ც.ნ. სისტემის ძლიერი გაუწონასწორებელი და სუსტი ტიპები).

ტემპერამენტის აღნიშნული ტიპები ხელს უწყობენ ისტერიის აღმოცენებას, მხოლოდ აადვილებენ მას. შეიძლება ამ ტიპის ადამიანმა ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვროს და ისტერიის არაფერი დაეტყოს. ისტერიის აღმოცენებისათვის სამი პირობის არსებობაა საჭირო. ესენია: ტემპერამენტის (ც.ნ. სისტემის) შესაფერისი ტიპი, ბავშვზე განხორციელებული არასწორი აღმზრდელობითი ზემოქმედება და ფსიქოლოგიური ტრავმის მიმყენებელი სიტუაცია.

ისტერიის წარმოშობის წინააღმდეგ ბრძოლა. ითქვა, რომ თუ მოსწავლეს ისტერიული ქცევა ახასიათებს, საჭიროა მისი მოხსნა სათანადო საკორექციო ღონისძიებებით. მაგრამ კიდევ უფრო კარგია, რომ ის ბავშვს საერთოდ არ აღმოუცენდეს.



ამის მიღწევა სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებითაა შესაძლებელი. ბავშვებში ისტერიის ფორმირებაში ყველაზე მეტად სკოდავს ოჯახი, ხოლო შემდეგ სკოლა. ისტერიის აღმოცენებისათვის ხელსაყრელი ის სხეულებრივი ცვლილებები, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, უფრო მეტ ბავშვს გააჩნია, ვიდრე რეალურად გვყავს ისტერიკები. ამის მიზეზი ისაა, რომ ბავშვთა ნაწილი იზრდებოდა მშვიდ, წყნარ გარემოში. მას სისტემატურად არ აღიზიანებდნენ, არ თრგუნავდნენ მის სურვილებს, მოთხოვნილებებს. ორგანიზმის სისუსტე, გაღიზიანებადობის მაღალი დონე და ა.შ. ხელს უწყობს ისტერიის აღმოცენებას.

უნდა ვეცადოთ, ბავშვი გვყავდეს სიყვარულით გარემოცულ ატმოსფეროში, ნაკლები აკრძალვებისა და მუქარების ქვეშ. თუ რამეს აეუკრძალავთ, აეუხსნათ, თუ რითია ეს გამოწვეული.

ხოლო აკრძალვა უსათუოდ დაეტოვოთ ძალაში. ამ საქმეში ზშირად მასწავლებლებიც სკოდავენ. კლასშიც ისეთივე თბილი, მშვიდი ატმოსფერო უნდა სუფევდეს, როგორც ოჯახში. ზოგჯერ მასწავლებლის ყვირილი სხვა ოთახებში მომეცადინეთაც ესმით. ლანძღვა და ფიზიკური შეხებაც არ არის იშვიათობა. ეს ცუდად მოქმედებს არა მხოლოდ იმ ბავშვებზე, ვისკენაც აკრესიაა მიმართული, არამედ კლასის სხვა წევრებზეც.

თვით ასეთ მძიმე ატმოსფეროშიც ბავშვს, მეტწილად, მაშინათვე არ უვითარდება ნევროზი., მაგრამ ემოციურ სფეროზე ყოველი უარყოფითი ზემოქმედება კვალს ტოვებს მის ფსიქიკაში, ხდება მათი სუმაცია და ერთ მომენტში ისტერიული რეაქციის სახით იფეთქებს. სამწუხაროდ, ეს რეაქციაც ზშირად ჩათელიღია, როგორც ბავშვის კაპრიზობა. არადა, ის ისტერიის გამოვლენაა და რაც ადრე შევუდგებით მის აღკვეთას, მით უფრო სწრაფად მივიღებთ სასურველ შედეგს.

### **6.14.8. აკვიატებულ მღვომარეობათა ნევროზი**

ნევროზთა ამ ჯგუფში გაერთიანებულია სხვადასხვა ფაქტორებით გამოწვეული ემოციური მოშლილობები, რომელთაც

ზოგიერთი ავტორი ცალ-ცალკე ნევროზებად თვლის. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, არ ვთვლით საჭიროდ ასეთი გაგების სისწორის დადგენას. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ მკითხველმა გაიგოს ნევროზის ბუნება და წარმოდგენა ჰქონდეს მის გამომწვევ ფაქტორებზე.

ბავშვები და მოზარდები მრავალნაირ ძლიერ განცდას ღებულობენ, რომელთა თავიდან აცილება ყოველად შეუძლებელია და არც არის საჭირო. ასეთი ძლიერი ემოციები ზოგიერთ ინდივიდში კვალს არ ტოვებს., მაგრამ არიან ისეთები, რომელთა ფსიქიკაზე ისინი ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ და ცვლიან მათ ქცევას, ხდინან მას სიტუაციის არაადექვატურს. ეს უკვე ნევროზია. როგორც ირკვევა, ნევროზის წარმოშობისათვის მარტო ძლიერი ემოციური განცდის არსებობა არ არის საკმარისი. მაშინ ყველა, ვისაც ასეთი განცდა ჰქონდა, ნევროტიკი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ნევროზის აღმოცენებისათვის ძლიერი ემოციური მდგომარეობის გარდა საჭიროა კიდევ მას ჰქონდეს დიდი სიღრმე, დიდი პიროვნული წონა. მაშინ ხდება ნევროზის აღმოცენება.

ბავშვის ფსიქიკაზე ტრავმის მიმყენებელი სიტუაციის ზემოქმედებით აღმოცენებულ ფსიქიკურ მოშლილობას, რომლის დროსაც ქცევა სიტუაციის აშკარად შეუსატყვისი ხდება, აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზს ეძახიან. აკვიატებული მდგომარეობა მრავალნაირია, რაც გაპირობებულია ტრავმის გამომწვევი სიტუაციების სიმრავლით, პიროვნული წონით, ზემოქმედების ხანგრძლივობით, ბავშვის ჯანმრთელობით, მისი ასაკით. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს: ტემპერამენტის ტიპს, გადატანილი ავადმყოფობით ორგანიზმის დასუსტებას და ა.შ. სიტუაცია, რომელიც ერთ ბავშვში ნევროზს წარმოშობს, მეორისათვის მშვიდად ჩაივლის. მაგალითად, ძლიერმა შიშმა ერთ ბავშვში შეიძლება მწვავე ნევროზი გამოიწვიოს, მაშინ როცა მეორისთვის მსგავსმა შეშინებამ უმტკივნეულოდ ჩაიაროს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ტრავმის მიმყენებელ სიტუაციას როგორი

ფსიქოფიზიკური მახასიათებლების მქონე ბავშვი ხვდება. აკვიატებული მდგომარეობები მრავალფეროვანია. მაინც ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი ნევროზები: აკვიატებული წარმოდგენები, აკვიატებული აზრები, აკვიატებული შიში, აკვიატებული სურვილები, აკვიატებული მოქმედებები.

ბავშვს ყველაზე მეტად ორი რამ აკვიატება: შიში გარკვეული საგნებისა და მოვლენების მიმართ და იმპულსური მოქმედებები, რომელთა შესრულება მის სურვილზე არ არის დამოკიდებული. ერთიც და მეორეც ვითარდება ბავშვზე ისეთი სიტუაციების შემოქმედების შედეგად, რომლებიც მის ფსიქიკაში მძიმე სულიერ ტრავმას იწვევენ. მათ შორის ხშირია ძლიერი შიშის აღმძვრელი ფაქტორები. მაგალითად, 6 წლის გოგონა ვერ იტანდა ჩაკეტილ ოთახში ყოფნას. ზამთარ-ზაფხულ სახლის კარი ღია უნდა ყოფილიყო. ექიმი, რომელთანაც ბავშვი მიიყვანეს, იძულებული გახდა კაბინეტის კარი ღიად დაეტოვებინა, სანამ გასინჯავს არ მორჩა. ნევროზის აღმოცენების მიზეზი გახდა ის რთული სიტუაცია, რომელიც აღმოცენდა გემით მგზავრობის დროს. გემი მჭრეზე დაჯდა. ძლიერი დარტყმის შედეგად კაიუტის კარი გაიღუნა და რაკი დედამ ვერაფრით გააღო, პანიკური კვილი მორთა. ამ გაწამაწიით შეშინებულ ბავშვს განუვითარდა ჩაკეტილ სივრცეში ყოფნის შიშის ნევროზი. მეორე ქალიშვილს ამის საწინააღმდეგო ნევროზი აღმოუცენდა. ვერ ძლებდა ოთახში თუ მისი კარი ღია იყო. მიზეზი გახდა ის, რომ აგარაკზე ყოფნისას ღამე ჩიტის შემოფრინდა ღია ფარჯრიდან, დაამტკრია ბავშვის წინ მდგარი ლამფა, ჩიტს გადაესხა ნავთი, გაუჩნდა ცეცხლი და დაიწვა. ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ ბავშვს აღნიშნული ნევროზი შერჩა. რამდენიმე წლის შემდეგ, ბავშვს თითქმის არ ახსოვდა აღწერილი სიტუაცია, მაგრამ ნევროზი მოქმედებდა.

ნევროზის აღმოცენებაში და განსაკუთრებით მის რეაბილიტაციაში უაღრესად ღირებულია ის აღმზრდელობითი შემოქმედება, რომელსაც ბავშვზე ოჯახი და სკოლა ანხორციელებენ. ითქვა, რომ ნევროზის აღმოცენებისაკენ მიღრეკილ პირსაც შეიძლება არ განუვითარდეს ის, თუ მისი ზრდა-

განვითარება და საქმიანობა ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს. კიდევ მეტი, მშვიდ, თბილ ატმოსფეროში ყოფნა ბავშვის აღმოცენებული ნევროზის მოქმედების ნიველირებასაც უწყობს ხელს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის მის აღსაკვეთად. ისეთი ზემოქმედებები, რომლებიც ხშირად აღიზიანებენ ბავშვს და წონასწორობიდან გამოჰყავთ ის, უფრო მეტად აფიქსირებენ და ანმტიციკებენ ნევროზს. სამწუხაროდ, ამ მხრივ არც სკოლაა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე.

სრულიად ნორმალური ფსიქიკური წყობის 5 წლის გოგონა ჭაში ჩაეარდა. ძლიერი შიშის გამო ენაბლუობა განუვითარდა. სკოლაში პირველი ორი წელი ნორმალურად სწავლობდა. ძალიან არ ეტყობოდა ენაბლუობა. ამას ხელს უწყობდა მასწავლებლის გულისხმიერი დამოკიდებულება ბავშვისადმი, რომელიც არა მხოლოდ გულთბილად ექცეოდა ბავშვს, არამედ იცავდა მას თანაკლასელების დაცინვისაგან. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მესამე კლასიდან, იმის შემდეგ, რაც კლასი ახალი მასწავლებლის ხელში გადავიდა. ის ბავშვს უწყრებოდა კიდევ, თუ სწრაფად არ უპასუხებდა დასმულ კითხვაზე. თანაკლასელებმა კი დაუწყვეს დაცინვა. ამის გამო ბავშვის მეტყველება მკვეთრად გაუარესდა. მან ჯერ გაკვეთილების მოყოლაზე განაცხადა უარი, ხოლო შემდეგ საერთოდ შეწყვიტა სკოლაში სიარული.

დიაგნოსტიკურმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ ბავშვი სრულიად ნორმალური ინტელექტის პატრონი იყო. საკორექციო ზემოქმედებამ, რომელშიც ლოგოპედიური მუშაობა შეხამებული იყო მასწავლებლის ტაქტიან დამოკიდებულებასთან, კარგი შედეგი გამოიღო. მნიშვნელოვნად შერბილდა მეტყველების ხარვეზები. ბავშვი არა მხოლოდ დაუბრუნდა სკოლას, არამედ ნორმალურად დაიწყო სწავლა. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ბავშვის ძლიერი ნევროზის მიზეზი იყო არა მხოლოდ გადატანილი დიდი შიში, არამედ ის არახელსაყრელი სოციალური ფონიც, რომელიც ენაბლუობის განვითარებას მოჰყვება. მან კიდევ უფრო გაართულა და დაამძიმა ნევროზი.

აკვიატებული ნევროზის ერთერთი სახეა სისტემატური

“ნერვული” გულისრევა. თანაც ეს მოხდის ბავშვს, რომელსაც სრულიად ჯანსაღი კუჭნაწლავი აქვს. უფრო მეტი სიხშირით გვხვდება ისეთი აკვიატებული მოძრაობითი ნევროზები, როგორებიცაა: თვალის ნერვული ზამზამი, მხრების აჩქვა, ტოკვა, თითების წოვა და ა. შ. შეიძლება თავი იჩინოს შარდის შეუკავებლობამ. მწვავე რეაქტიული ნევროზის გამომწვევი სიტუაციის გამოვლენისას ზოგჯერ ჩნდება ე. წ. “ბინდისებური ცნობიერება”. ნევროზის გავლის შემდეგ ანდივიდს არ ახსოვს ზოგი რამ ჩადენილი საქციელიდან.

ზემოთჩამოთვლილ შემთხვევებში შენარჩუნებულია ბავშვის ინტელექტი. თუ შეიმჩნევა რაიმე ჩამორჩენა გონებრივ განვითარებაში, ეს იმის შედეგია, რომ ბავშვი ამოვარდნილია სწავლასთან დაკავშირებული სიტუაციებიდან, არ არის ჩართული საკლასო მეთადინებაში, ნორმალურად ვერ მეცადინეობს სახლში.

### **6.14.9. ნერვულ ბავშვთა პედაგოგიკა**

მასწავლებლები, როგორც წესი, თვლიან, რომ ნერვული ბავშვები სამკურნალოა და ეს ექიმების გასაკეთებელია, ხოლო თვითონ ამ საქმეში დიდი არაფერი მოეთხოვებათ. ეს მცდარი აზრია. თუ ბავშვი სამკურნალოა, ცხადია, ეს სპეციალისტებმა უნდა გააკეთონ., მაგრამ არ არის აუცილებელი ასეთი ბავშვი უსათუოდ კლინიკის პაციენტი იყოს. უაღრესად მნიშვნელოვანია ის აღმზრდელობით-პედაგოგიური ზემოქმედება, რომელიც ნერვულ ბავშვზე ხორციელდება როგორც ოჯახში, ისე სკოლაში. სკოლაში ყოფნამ ნერვული ბავშვის მდგომარეობა შეიძლება საკმაოდ გააუმჯობესოს ან, პირიქით, გააუარესოს კიდევაც. ყველაფერი დამოკიდებულია ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომაზე.

ნერვული ბავშვი პედაგოგთა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ბავშვი დაცული უნდა იყოს ყველა ისეთი ზემოქმედებისაგან, რომელიც მას აანერვიულებს, მოსვენებას არ აძლევს. ასეთი შეიძლება იყოს მისადმი მასწავლებლის მკაცრი დამოკიდებულება, თანაკლასელების დაცინვა და სხვა. მასწავლებელს ბევრი რამის

გაკეთება შეუძლია ასეთი ბავშვის დასახმარებლად. მაგალითად, პედაგოგმა შეამჩნია, რომ მოსწავლე ძალიან გაღიზიანებულია და ამის მიზეზია წინა გაკვეთილზე მასწავლებელთან მომხდარი კონფლიქტი. მაშინ მან თავი უნდა შეიკავოს მისი გამოკითვისაგან, თუნდაც ის დაგეგმილი ჰქონოდა. კიდევ მეტი, მან მომხდარის შესახებ უნდა გააფრთხილოს ის მასწავლებლებიც, რომელთაც მომდევნო გაკვეთილები აქვთ იმ კლასში.

გამოცდილ მასწავლებლებს ნერვულ ბავშვებზე სწორი ზემოქმედების ბევრი შესაძლებლობა გააჩნიათ.. ერთი შეხედვით, ზოგიერთი მათგანი თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ნერვული ბავშვისათვის მეტად ღირებულა. ასეთია მაგალითად, გაკვეთილზე პატარა ინდივიდუალური დავალებები, რომელიც ცოტა ხნით გამორთავს მოსწავლეს ერთფეროვანი დამლული მუშაობისაგან რომ ცოტა სული მოითქვას. მაგალითად, გავიდეს კლასიდან და დაასველოს ჩვარი, მოიტანოს სამასწავლებლოდან ცარცი და ა.შ. ამის შემდეგ ის უფრო მეტი ხალისით ერთვება გაკვეთილის მსვლელობაში.

შესვენების დროს ნერვულ ბავშვს სჭირდება თავშეკავება, თვითდამუხრუჭება. კარგია თუ მას დაუძახებთ, რაღაცას შევეკითხებით ან უმნიშვნელო რამეს დავალებთ. ყველა შემთხვევაში, ბავშვი უნდა გრძობდეს მასწავლებლის ყურადღებასა და კეთილგანწყობას. მათთან ურთიერთობაც გარკვეულ ტაქტს მოითხოვს. უკეთესია მათ ველაპარაკოთ ნელა, რაც შეიძლება მშვიდად. არ არის საჭირო ზედმეტი ფესტიკულაცია, ჭარბი ემოციების გამოჟღავნება, თუნდაც ის უშუალოდ ბავშვისადმი არ იყოს მიმართული. კარგია მისი ფლეგმატიკ მოსწავლესთან დაახლოება (იმეცადინონ ერთად).

ნერვული ბავშვი უნდა ჩავაბათ ისეთ საქმიანობაში, რომელიც გარეთ სუფთა ჰაერზე ყოფნას საჭიროებს, ის უნდა იქნას ჩართული სპორტულ საქმიანობაში (კალათბურთის თუ ფეხბურთის გუნდი), იაროს ცურვაზე და ა.შ. მნიშვნელობა აქვს ნერვული მოსწავლეებისათვის მხატვრული ლიტერატურის კითხვისა და მუსიკის მოსმენის რეკომენდაციასაც. მათ უნდა

ვურჩიოთ მხატვრული ლიტერატურა ბუნების შესახებ, მეცნიერულ-პოპულარული გამოცემები. არ არის რეკომენდირებული მძაფრ სიუჟეტიანი ნაწარმოებები, როგორცაა: სათავედასავლო, დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებები. იგივე ითქმის მუსიკაზე. მათთვის რეკომენდირებულია კლასიკური და მელოდიური ხალხური მუსიკალური ნაწარმოებები. ძალიან ცუდია როკმუსიკა და ყველაფერი, რაც მათზე აღმზნებ ზეგავლენას მოახდენს.

სკოლებში და განსაკუთრებით სკოლა-ინტერნატებში ყურადღება უნდა მიექცეს საკლასო და საცხოვრებელი ოთახების კედლების, ავეჯის ფერს. ისინი არ უნდა იყოს შეღებილი ე.წ. აღმზნები ფარებით: წითლით, ყვითლით, ნარინჯისფრით. ისინი აღმზნები ფერებია და ნერვულ ბავშვებზე უარყოფითად მოქმედებენ. ამგვარად, ნერვულ მოსწავლეებთან მომუშავე პედაგოგების ხელში ბავშვზე დადებითი ზემოქმედების ბევრი საშუალებაა, რომელთა მხოლოდ ნაწილი ჩამოვთვალეთ.

ნერვულ ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის კიდევ ერთი ასპექტია სისტემატური კონტაქტი მათ მშობლებთან. ისინიც ანალოგიურ ზემოქმედებას უნდა ანხორციელებდნან. ამ საქმის კოორდინატორი სკოლის ფსიქოლოგი უნდა იყოს.

მოსწავლეებში ძალიანაა გავრცელებული აკვიატებული მდგომარეობის ნევროზი. მათი აღმოცენება სულ მცირე ასაკიდან იწყება. ამიტომ სკოლაში მოსულ ბავშვს ის შეიძლება უკვე ჰქონდეს. სწორი აღმზრდელითი ზემოქმედების შემთხვევაში ბავშვთა ნაწილს ის გაუვლის ისე, რომ მკურნალობა არ დასჭირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, გამეორდა თუ არა ის სიტუაცია, რომელმაც თავიდანვე წარმოშვა ნევროზი. განმეორებისას ფიქსირდება ადრინდელი მდგომარეობა და იშლება კორექციის შედეგი.

აღმზრდელების, განსაკუთრებით მშობლების, ყურადღება გვინდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას. დაუშვებელია ბავშვის ყურადღების გამახვილება ნევროზის გამომწვევ ფაქტორზე, მისი ხშირ-ხშირად შეხსენება. არც ისე იშვიათად ხდება, რომ ნევროზის გამომწვევი სიტუაცია არ გამეორებულა, მაგრამ მშობლები დრო

და დრო ეკითხებიან შვილს მის შესახებ, რათა გაიგონ ახსოვს თუ არა ის ბავშვს. სტუმარს, შვილის თანდასწრებით, დეტალურად და საკმაოდ დრამატიზებულად უყვებიან მომხდარის შესახებ. ამის გამო, ბავშვს მკაფიოდ ახსენდება მომხდარი და ნევროზიც აქტივიზირდება. თუ ასე გაგრძელდა, ის არ ჩაქრება.

არც ის ვარგა, როცა ვცდილობთ რა შევარბილოთ გადატანილი ტრავმის გავლენა, ვცდილობთ დაეხატოთ სიტუაცია არც ისე საშიშად, მაგრამ ბავშვს მაინც ვახსენებთ მომხდარს და ამით ცუდ საქმეს ვაკეთებთ. დავიწყებისკენ მიმავალი განცდის განახლებას ვახდენთ. თუ სიტუაცია არ გამოირებულია და ნევროზი შესუსტებისკენ მიდის, არავითარ შემთხვევაში არ გავახსენოთ ბავშვს მომხდარი.

ყოველად დაუშვებელია, აკვიატებული მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლა მუქართა და შეშინებით. მაგალითად, თუ ბავშვს სიბნელის ეშინია, ვითომ მიჩვევის მოტივაციით, მისი ბნელ ოთახში ჩაკეტვა, თუ წყლის ეშინია, წყალში შეყვანა და ხელის გაშვება და ა.შ. ამით ბავშვი მსგავს სიტუაციებს არ მიეჩვევა, შიშის ნევროზი კი განუვითარდება, ხოლო თუ ჰქონდა, კიდევ უფრო გაუმძაფრდება. ისიც არ ვარგა, როცა ზოგიერთი მშობელი შვილის თანდასწრებით გამოხატავს შემფოთებას, სიბრალულს, რომ შვილი ასეთ დღეშია, ეცოდება ის და ა.შ. ბავშვიც ატყობს, რომ მასი ახლანდელი მდგომარეობა ხელსაყრელია მისთვის. ამიტომ ნევროზი არა თუ არ გაუვლის, კიდევ უფრო გაუფიქსირდება.

ანალოგიური სიტუაცია სკოლაშიც შეიძლება აღმოცენდეს. მოსწავლე არ უნდა გრძნობდეს, რომ მასწავლებელს ეცოდება ის მისი შეჭირვებული მდგომარეობის გამო. წახალისების მიზნით ზოგჯერ მაწავლებელი უფრო მაღალ შეფასებას აძლევს მოსწავლეს, ვიდრე იმსახურებს. ეს არ არის ცუდი, მაგრამ მოსწავლემ არ უნდა იცოდეს, რომ ეს მისი ნერვულობის საფასურია. თუ ის დარწმუნდა, რომ მისი ნევროზი მას იცავს სწავლასთან დაკავშირებული სიძნელებისაგან, მაშინ ის კი არ გაუვლის, არამედ კიდევ უფრო გაუფიქსირდება. ბავშვის გარკვეული მიზნით



შეშინების მოყვარულებმა უნდა იცოდნენ, რომ შეიძლება მას მაშინ არ განუვითარდეს ნევროზი, მაგრამ მოხდეს მისი სტიმულირება მოზრდილობისას, თუკი ის ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რითაც აშინებდნენ.

თუ აკვიატებული მდგომარეობა მტკიცედაა გაფიქსირებული და დროთა განმავლობაში არ სუსტდება, მაშინ საჭირო ხდება მის მოსახსნელად სპეციალური ღონისძიებების გატარება. ამის ორგანიზატორი სკოლის ფსიქოლოგი უნდა იყოს. მას დასჭირდება კოლოკეიუმის მოწყობა და საჭირო ღონისძიებების დასახვა. აკვიატებული მდგომარეობის ნევროზის მოხსნა შესაძლებელია კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი ღონისძიებების გატარებით. მარტო ფსიქოთერაპევტი ვერაფერს გახდება თუ ოჯახი და სკოლა გვერდში არ ამოუდგებიან და ერთობლივად არ გაატარებენ საჭირო ღონისძიებებს. და კიდევ, საჭიროა სისტემატური კონტროლი რეაბილიტაციის მიმდინარეობაზე, რაც ასევე ფსიქოლოგის მოვალეობაა.

### **6.14.10. ნევროზის პროფილაქტიკა**

ნერვულ ბავშვთა დიდ ნაწილს სკოლაში შესვლის დროისათვის ესა თუ ის ნევროზი უკვე აქვს, ამიტომ შეიძლება გაჩნდეს აზრი, რად სჭირდება სკოლის ფსიქოლოგს ნევროზის პროფილაქტიკა. საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, ზოგ ბავშვს ნევროზი სკოლაში სწავლის პერიოდში აღმოუცენდება, ზოგს ურთულდება. მაგრამ უფრო მნიშვნეოვანია ის, რომ მასთან ამ საკითხზე საკონსულტაციოდ შეიძლება მივიდნენ მშობლები, რომელთაც ნევროზთან დაკავშირებული რიგი საკითხები აინტერესებდა. ფსიქოლოგი კი მზად უნდა იყოს ასეთი შემთხვევებისათვის.

აღმოცენებულ ნევროზს მკურნალობენ, რითაც ხდება აღმოცენებული აშლილობის აღკვეთა. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ თუ ბავშვს, თუნცაც ის ჭარბი ემოციურობით ხასიათდებოდეს, ხელსაყრელ სოციალურ და პედაგოგიურ პირობებს შეეუქმნით, ნევროზი საერთოდ არ

აღმოუცენდება. ამიტომ განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო, რათა თავიდანვე აღიკვეთოს ნევროზის აღმოცენების შესაძლებლობა.

ნევროზის აღმოცენების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე საკმაოდ ვილაპარაკეთ. ახლა კი გვინდა ერთ უაღრესად მტკივნეულ საკითხზე შევჩერდეთ. ესაა ბავშვის შეშინება. ამ მხრივ, განსაკუთრებით სცოდავენ მშობლები. ხშირია მშობლებისაგან დამოუკიდებლად ბავშვის შეშინების შემთხვევები. ამისგან ბავშვის აბსოლუტურად დაცვა არავის შეუძლია. სამწუხაროდ, მშობლები ხშირად შეუგნებლად ქმნიან ისეთ საშიშ სიტუაციას, რომელსაც ნევროზის აღმოცენება შეუძლია.

ბავშვი ყოველთვის არ იქცევა ისე, როგორც ჩვენ გვინდა. ასეთ დროს, ხშირად ბავშვის ფიზიკურად დასჯის ნაცვლად მიმართავენ მის შეშინებას. მიზანია, დაშინებით აალებინონ ხელი არასასურველი საქციელისაგან. თუ ბავშვი არ იძინებს, ეუბნებიან “ღაიძინე, თორემ მოვა მგელი და შეგჭამს”. თუ ბავშვი ტირის და სხვა საშუალებით ვერ აწყნარებენ, ემუქრებიან, “გარეთ დადის ბუა და გაჩუმდი თორემ შენს ხმას გაიგონებს და წაგიყვანს”. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რითი აშინებენ ბავშვს, მთავარი ისაა, რომ იყენებენ ისეთ ობიექტებს, რომელთაც ბავშვის შეშინება შეუძლიათ. ძნელი წარმოსადგენი არ არის იმ ბავშვის ძილის ხასიათი, რომელსაც ძილის წინ მგლის შეჭმით აშინებენ. ერთი ასეთი შემთხვევა, ალბათ, ნევროზს არ ქმნის, მაგრამ თუ მსგავს ქმედებას ხშირად მიმართავენ, შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს.

ნარჩენი ემოციური ტრავმები ჯამდებიან და ნევროზიც იჩენს თავს. სამწუხაროდ, ზოგ ოჯახში ბავშვს დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ აშინებენ, თანაც სულ სხვადასხვა “ბუებით”. ცხადია, ამდენი შიში ბავშვისთვის უკვალოდ არ ჩაივლის. როცა ცხოვრებაში მართლაც შეიქმნება იმის მსგავსი სიტუაცია, რითაც ბავშვს ადრე ხშირად აშინებდნენ, შესაძლებელია მას ნევროზი აღმოუცენდეს. ბავშვს ცირკში დათვის დანახვაზე ისტერიული შიშის შეტევა მოუვიდა. ეს მოხდა მაშინ, როცა ველოსიპედზე ამხერდებელი დათვი პარტერის მიმართულებით წამოვიდა. მესამე

რიგში მჯდარ ბავშვს კანკალი დააწყებინა და ეს იმ დროს, როცა მისი ტოლები სიცილ-ხარხარით მიაცილებდნენ ფილატოვის დათვს. რამ წარმოშვა ეს ნევროზი? თურმე სულ პატარას ბებია ამინებდა დათვით, “დამოჯერე, თორემ მოვა დათვი და წაგიყვანსო” და აი, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ცოცხალი დათვი ბავშვის მიმართულებით გამოქანდა, დაუყოვნებლივ იჩინა თავი პანიკურმა შიშმა.

აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეული მიზნის მისაღწევად ბავშვის წინასწარ განზრახულ შეშინებასთან, რაც ყოვლად დაუშვებელია. მაგრამ, არც ისე იშვიათად, ბავშვს ვამინებთ მისი შეშინების განზრახვის გარეშე. მაგალითად, დედას ძლიან ეშინია თავვის და ამას აშკარად გამოხატავს პატარის თანდასწრებით. “იქ თავვი არ იყოს, თორემ გაგვიჯდებაო” ბევრჯერ უთქვამს დედას ბავშვის თანდასწრებით. და აი, ერთ დღეს გოგონამ კარადის კარი გააღო თუ არა, იქიდან თავვი გამოხტა. გოგონას ისე შეეშინდა, რომ გაფითრდა და ერთხანად მეტყველების უნარი დაკარგა. შემდგომში თავვის ხსენებაზეც კი ისტერიული შიში ეუფლებოდა. ბავშვის თანდასწრებით მშობლები ასევე ამჟღავნებენ შიშს გველის, ფუტკრის და სხვა არსებათა მიმართ., რამაც შემდეგში ბავშვში შეიძლება ნევროზი გამოიწვიოს. ამიტომ, არ არის გამართლებული ბავშვის თანდასწრებით ძლიერი შიშის გამოვლენა გარკვეული ობიექტების თუ ბუნების მოვლენების (ქუხილის, ქარბუქის და სხვათა) მიმართ.

ასევე არ არის მიზანშეწონილი ბავშვის თანდასწრებით ძლიერი შიშის გამოხატვა ჩვენი ან ოჯახის რომელიმე წევრის ჯანმრთელობის მიმართ. ნ. მილერს ასეთი მაგალითი მოჰყავს. ორ ბიჭუნას გამოცდების დღეს, სკოლაში წასვლის წინ, ავადმყოფური სიმპტომები უვითარდებოდათ. ერთს გულის სისხლძარღვთა სპაზმა ემართებოდა, მეორეს კი კუჭი ეშლებოდა. ამის მიზეზი გახდა მშობლების განსაკუთრებული წუხილი შეილების ჟანმრთელობის მიმართ. საინტერესო ისაა, რომ შეილებს განუვითარდათ ისტერიის სიმპტომი იმ ავადმყოფობის მიმართ, რომლის შიშიც დედებს აწუხებდათ.

ნევროზების წინააღმდეგ ბრძოლა პროფილაქტიკით უნდა დაიწყოთ. ნევროზების აღმოცენებისაგან ბავშვის აბსოლუტურად დაცვა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი შემცირება ან იმის მიღწევა, რომ წარმოშობილი აშლილობა არ იყოს ძალიან ძლიერი, რაც მის მოხსნას გააადვილებს. უნდა შევეცადოთ, შესაძლებლობის ფარგლებში აღმოვფხვრათ მათი გამომწვევი ფაქტორები. ამ ფაქტორებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შიშსა აქვს. სამწუხაროდ, შიშში გეყავს ბავშვი არა მხოლოდ ოჯახში, არამედ საბავშვო ბაღში და სკოლაში და არ ვითვალისწინებთ იმას, რომ ამან შეიძლება დააზიანოს მისი ემოციური სფერო და ნევროზს გაუხსნას გზა. მაგალითად, საბავშვო ბაღის აღმზრდელი სავსებით სწორად ითხოვს აღსაზრდელისაგან დაიცვას პირადი ჰიგიენა, ჭამის წინ დაიბანოს ხელები, მაგრამ ეს მოთხოვნა ბავშვს გაზვიადებულად წარედგინება “თუ ხელი არ დაიბანეთ, მიკრობები შეგეჭრებათ ორგანიზმში, რასაც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს” და მიდის ამ საშიში შედეგების ჩამოთვლა. ასეთი ნოტაციის ხშირმა მოსმენამ ზოგიერთ შთაგონებად ბავშვს დაბინძურების მიმართ შეიძლება შიშის ნევროზი განუვითაროს.

ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებს ს. ფაინბერგი “ზოგიერთ ფხუკიან მშობელს ან აღმზრდელს ბავშვები ჰყავთ განუწყვეტელი შიშის ქვეშ, რომ ყოველგვარი შეგნებული დანაშაულის გარეშეც, შეიძლება დასჯილი იქნან. ხშირად გამოყენებული დასჯის (ზოგჯერ დაუმსახურებელის) დროს სუსტი ტიპის ბავშვს უვითარდება შიში იმისა, რომ რაღაც შეიძლება მოხდეს. ძლიერი ტიპის ბავშვები ეჩვევიან დასჯას, ხდებიან მის მიმართ გულგრილნი და დასჯა მათზე უკვე არ მოქმედებს” (87, 63). აღზრდის მიმართ ერთერთი აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს ხელის შეწყობა იმისათვის, რომ ბავშვს თამაშისა თუ სწავლისათვის ჰქონდეს რაც შეიძლება მშვიდი, წყნარი ატმოსფერო, რომ ის ნაკლებს ნერვიულობდეს. ჩვენ რომ შეგვეძლოს ბავშვებს სულ პატარა ასაკიდან შევუქმნათ ასეთი პირობები, ნევროზიანი ბავშვი თითზე ჩამოსათვლელი იქნებოდა.

ამასთან დაკავშირებით გვინდა გამოვთქვათ აზრი პატარებისათვის საშიში შინაარსის მქონე ზღაპრების მოყოლის შესახებ. ზღაპრებში ეს საქმე მშვენივრადაა მოგვარებული. ყოველი ზღაპარი კეთილად მთავრდება, ზღაპრის კეთილი დასასრული იმდენად სასიხარულოა, იმდენად სასიამოვნო ემოციებითაა გაჯერებული, რომ მთლიანად ჩრდილავს იმ შიშს, რაც ბავშვმა აქამდე განიცადა. ამიტომ ის არ იწვევს ბავშვებში რაიმე სახის ნერვულ მოშლილობას. მიუხედავად ამისა, ალბათ, კარგი იქნება, თუ მშობლები ძალიან საშიში შინაარსის მქონე ზღაპარს არ მოუყვებიან ბავშვს უშუალოდ დაძინების წინ. შეიძლება ბავშვს დაესიზმროს მოსმენილის მსგავსი საშინელი სცენები, ძილშიც შეაწუხოს და გამოფხიზლების შემდეგაც შერჩეს სიზმრის შინაარსის სახით.

### **6.14.11. ვასწავლოთ ბავშვებს ემოციების მართვა**

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის შინაგანი კულტურის ერთერთი ნიშანია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ემოცია ყველას აღმოუცნდება. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ერთნაირი ტემპერამენტის ადამიანებიდან ერთი დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ ავლენს მჩქეფარე ემოციას მაშინ, როცა მეორე, მსგავს სიტუაციებში, საკმაოდ თავშეკავებულად იქცევა. ამაში გადამწყვეტ როლს აღზრდა თამაშობს. ტემპერამენტს თანდაყოლილი ფიზიოლოგიური საფუძველი (ცენტრალურ-ნერვული სისტემა) გააჩნია და მისი გადაკეთება არ ხერხდება, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში ტემპერამენტის ტიპის უარყოფითი მახასიათებლების ნიველირება შესაძლებელია. ეს კი აღზრდით მიიღწევა.

ემოციების მართვას ადამიანი ბავშვობიდან უნდა მიეჩვიოს, ამისათვის ორი რამაა საჭირო: პირველი, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ბავშვის გარშემო, როგორც ოჯახში ისე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, უნდა შეიქმნას

საქმიანობისათვის საჭირო წყნარი, მშვიდი ატმოსფერო. ამ საქმეში მისაბაძი ღიღები უნდა იყვნენ. ბავშვის გაღიზიანება შეუძლია არა მარტო უშუალოდ მისადმი მიმართულ აგრესიას, არამედ ჩვენს მშფოთვარე რეაგირებას მოვლენებზე, რომლებიც მას უშუალოდ არ ეხებიან, მაგრამ თანადაძმსწრეა. მშობლის ან მეგობრის მძიმე სულიერი მდგომარეობა ადვილად გადაედება ბავშვს. ვის ბაძავს ბავშვი, პირველ რიგში? მშობლებს და თუ ჩვენ ხშირად ვაკლენთ აგრესიას რაიმე საგნების თუ მოვლენების მიმართ, ან ადვილად გვეუფლება ძლიერი აღელვება, ბავშვიც მსგავსი ქმედებისათვის განეწყობა.

მეორე პირობაა, თვითონ ბავშვის მიჩვევა მშვიდი, წყნარი, აუღელვებელი საქმიანობისადმი. სისტემატური ზემოქმედებით თვით ქოლერიკული ტემპერამენტის მქონე ბავშვიც შეიძლება მივაჩვიოთ თავშეკავებას. მართალია, ამის მიღწევა უფრო ძნელია, ვიდრე ვთქვით, ფლუკმატიკთან, მაგრამ შეუძლებელი არ არის. დარიგება, იმოქმედოს მშვიდად, საქმეს არ შეველის. ბავშვი მას სისტემატურად პრაქტიკულად უნდა ანხორციელებდეს. მთავარია, მას ფსიქოლოგიურად შევავაროთ მშვიდ ატმოსფეროში ყოფნა, ხოლო აღელვებისა და აფორიაქების უსიამოვნოდ განცდა. ეს ნიშნავს თავშეკავების მიმართ დადებითი, ხოლო მძაფრი ემოციებისადმი უარყოფითი განწყობის შემუშავებას. როცა ასეთი განწყობები გაფიქსირდება, ისინი უკვე ადამიანის პიროვნულ თვისებად იქცევიან.

## ლიტერატურა

- 1 ინკლუზიური განათლების მომავალი საქართველოში: პრობლემები, დაბრკოლებები, გადაწყვეტის გზები (მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები), თბილისი 2003.
- 2 ინკლუზიური და სოციალური განათლების პრობლემატიკა საქართველოს EEFA-ს ეროვნულ პროგრამაში.(ეროვნული სემინარის მასალები, თბილისი 2002 წლის 26-29 ნოემბერი).
- 3 კახიანი დ. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი. თბილისი 2002.
- 4 კიონივი კ. სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოსტიკა. თბილისი 2003.
- 5 უნარშეზღუდული ბავშვების სოციალური ინტეგრაციის პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო ასპექტები. თბილისი 2002.
- 6 უზნაძე დ. შრომები ტ. 5 (ბავშვის ფსიქოლოგია). თბილისი 1967
- 7 უზნაძე დ. პედოლოგია. თბილისი 1933
- 8 უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. ტ. 1. 1925. ტ. 2. 1934.
- 9 ყოლბაია მ. ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი, 2005.
- 10 ყოლბაია მ. დეფექტოლოგიის საფუძვლები. თბილისი 1989.
- 11 ყოლბაია მ. ძნელი ბავშვები. თბილისი 1985.
- 12 ცარციძე ნ. ყურადღება, ბავშვი. თბილისი 1998.
- 13 Активные методы в работе школьного психолога Сб. научных трудов. Редакт. И. В. Дубровина и др. Москва-1989
- 14 Активные Методы в работе школьного психолога. Под ред. И. В. Дубровиной.Москва-1993
- 15 Бернштейн М. С. К Методике составления и проверки тестов. /Вопросы психологии/ 1968 1.
- 16 Бодалев А. А. Ковалев Г. А. За системну организаций школьной психологической спужбы. /Вопросы психопогии/ 1985 2.
- 17 Борисова "Е. М. Индивидуальность и выбор профессии /школа и производство/ 1989. 4.
- 18 Бузин В. Н. Краткий отборочный тест. Москва 1992

- 19 Бурмеснкая Г. В., Карабанова О. А., Лидерс А. Г. и друг. Возрастно-психологический подход в консультировании детей и подростков. Москва 2002
- 20 Веселова В. В. Психолого-педагогическая служба "Гайденс" в средней школе США /Советская педагогика/ 1982 б.
- 21 Возрастные особенности психического развития детей. Москва 1982.
- 22 Захаров А. И. Психотерапия неврозов у детей и подростков. Москва 1982.
- 23 Вопросы практической психодиагностики и консультирования в Вузе. Под. ред. Н. Н. Обозова. Ленинград 1984.
- 24 Вульфсон Б. А. Педагогическая мысль в современной Франции. Москва 1983.
- 25 Головей А., Грищенко М. Психологическая служба в школе. Москва 1987.
- 26 Готовность детей к школе. Диагностика психического развития и коррекция его неблагоприятных вариантов. Методические разработки для школьного психолога Ред-ры: Е. Л. Бутрищенко, А. Венгер, К. Поливанова, Е. Сушкова. Москва 1989.
- 27 Гуревич К. М., Актуальные методы в работе школьного психолога. Москва 1990.
- 28 Гуревич К. М. Диагностическая и коррекционная работа школьного психолога. Москва 1987.
- 29 Гуревич К. М. Диагностика учебной деятельности интеллектуального развития детей. Москва 1981.
- 30 Гуревич К. М. Современная психологическая диагностика. /Вопросы психологии/ 1982 1.
- 31 Гуревич К. М. Что такое психологическая диагностика. Москва 1985.
- 32 Детский практический психолог. Под. ред. И. В. Дубровиной. А. М. Прихожан. Москва 1990.
- 33 Диагностическая и коррекционная работа школьного психолога. Москва 1987.
- 34 Диагностика учебной деятельности и интеллектуального развития детей. Москва 1981.
- 35 Диагностика учебной деятельности и интеллектуального развития детей. Ред. Д. Б. Ельконин, Л. А. Венгер. Москва 1981
- 36 Дубровина И. В. Школьная психологическая служба. Вопросы теории и практики. Москва 1991.
- 37 Забрамная С. Д., Боровик О. В. Практический материал для психолого-педагогического обследования детей. Москва 2002.



- 38 Зейгарник Б. В., Братус Б. С. Очерки по психологии аномального развития личности. Москва 1980.
- 39 Кабанов М. М. и друг. Диагностическая и коррекционная работа школьного психолога. Москва 1987.
- 40 Кала У. В., Раудик В. В. Психологическая служба в школе. Москва 1986.
- 41 Клапаред Ел. Как определять умственные способности школьников. Ленинград 1927.
- 42 Климов Е. А. Как выбирать профессии. Москва 1984.
- 43 Колесов Д. Б., Сельверова Н. Б. Физиолого-педагогические аспекты полового созревания. Москва 1978.
- 44 Коррекционная педагогика. Под ред. Б. П. Пузанова. Москва 2001.
- 45 Кошчо И. Служба психологической консультаций в ЧССР /Вопросы психологии/ 1984 4.
- 46 Левченко И. Патопсихология теория и практика. Москва 2000.
- 47 Марищук В. Л. и др. Методики психодиагностики в спорте. Москва 1990.
- 48 Методико-индивидуальной профконсультации. Москва 1982.
- 49 Мухина В. С. Шестилетний ребенок в школе. Москва 1986.
- 50 Настольная книга практического психолога в образовании. Москва 1995.
- 51 Научно-методические основы исследования в школьной психологической службе конкретных психодиагностических методик. Москва 1988.
- 52 Научно-практические проблемы школьной психологической службы. Тезисы докладов Всесоюзной конференции Под. ред. К. Бабанского, А. А. Бадалева и И. В. Дубровиной. Москва 1981.
- 53 Новикова Е.В. Научно-методические основы использования в школьной психологической службе конкретных психодиагностических методик. Москва 1988.
- 54 Научно-практические проблемы школьной психологической службы. Москва 1987.
- 55 Овчарова Р. В. Справочная книга школьного психолога. Москва 1984.
- 56 Пекелис В. Твои возможности человек. Москва 1984.
- 57 Положение о психологической службе народного образования. Москва 1989.
- 58 Психологическая диагностика. Проблемы и исследования Под. ред. Л. М. Гуревича. Москва 1981.
- 59 Психологическая диагностика. Москва 1981.

- 60 Практикум по психодиагностике. Москва 1981.
- 61 Психологическая служба в школе(круглый стол. /Вопросы психологии/.1982 З.
- 62 Психологическая служба в школе. Круглый стол. /Вопросы психологии/ 1984. З. 4.
- 63 Психодиагностика и школа. Тезисы симпозиума .Таллин 1980.
- 64 Психодиагностика. Теория и практика. Москва 1986.
- 65 Психологическая диагностика. Проблемы и исследования. Москва 1991.
- 66 Психология личности. Тексты. Под ред. Б. Гиппенрейтер. А. Пузыря. Москва 1982.
- 67 Психолого-педагогическая диагностика. Под ред. И. Левченко С. Д. Забрамная. Москва 2005.
- 68 Психологическая коррекция умственного развития учащихся. Под. ред. К. М. Гуревич. Москва 1990.
- 69 Психологическая служба в школе. Москва 1984.
- 70 Психологическая служба в школе.(Тезисы докладов Всесоюзной конференций). Таллин 1983.
- 71 Психолого-педагогическая консультация. Методические рекомендации (Под ред. Л. И. Шипициной). СПб 1998.
- 72 Психодиагностика. Теория и практика I .Москва 1987.
- 73 Психологическая служба в ВУЗ-е сборнику Казань 1981V
- 74 Психодиагностика. Теория и практика. Под Общую ред. Н. Ф. Тализиной. Москва 1996.
- 75 Практическая психодиагностика. Ред. Д. Я. Райгородский. Самара 2000.
- 76 Жутикова Н. В. Учитель. о практике психологической помощи. Москва 1988.
- 77 Рабочая книга школьного психолога. Под ред. И. В. Дубровиной. Москва 1991.
- 78 Регнер М. Помощь трудным детям. Москва 1993.
- 79 Рогов Е. И. Настольная книга практического психолога в образовании. Москва 1996.
- 80 Семья в психологической консультации. Под ред. А. А. Бодалова, В. В. Столина Москва 1989.
- 81 Синица И. Е. О такте и мастерстве. Киев 1976.
- 82 Степанов С. С. Диагностика интеллекта методом рисуночного теста. Москва 1985.
- 83 Уленкова У. В., Лебедева О. В. Организация и содержание специальной психологической помощи детям с проблемами в

развитии. Москва 2002.

84 Шванцара и кол. Диагностика психического развития. Прага 1978.

85 Шевандрин Н. И. Психодиагностика. Коррекция и развитие личности. Москва 1998.

86 Школьный тест умственного развития. Штур. Методические рекомендации по работе с тестом для дошкольного психолога. Москва 1987.

87 Фаинберг С. Г. Почему ребенок стал нервным. Москва 1967.

88 Фридман Л. , Кулагина И. Психологический справочник учителю Москва 1991.

89 Худик В. А. Психологическая диагностика детского развития. Методы исследования Киев 1982

90 Bardon J. L. Bennett D. C. School Psychology, N Y 1974.

91 Downing June E. Including Students with Severe and Multiple Disabilities in Typical Classrooms. Baltimor-London. Paul H. Brooks Co 1996.

92 Reynolds C. K. Cutkin T. B. Elliots W. Witt J. S. School Psychology. Essentials of Theory and Practics N. Y. 1984.

## სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . .	3
-------------------------	---

### პირველი განყოფილება

სკოლის ფსიქოლოგიურისამსახურის საჭიროება და მისი თანამედროვე მდგომარეობა . . . . .	5
---	---

#### თავი 1. სიძნელეები ბაეშვის პიროვნების ფორმირებაში 5

1. 1. 1. პიროვნების ფორმირებაზე ხელმძღვანელობის საჭიროება . . . . .	5
1. 1. 2 ბაეშვის განვითარების ფაქტორები . . . . .	6
1. 1. 3. ფსიქოლოგიური სამსახურის ცნება . . . . .	12
1. 1. 4. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ცნება . . . . .	14
1. 1. 5. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საჭიროება . . . . .	17

#### თავი 2. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საფუძვლების შემზადება. . . . . 21

1. 2. 1. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნის პირობები . . . . .	21
1. 2. 2. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის თანამედროვე მდგომარეობა . . . . .	25
1. 2. 3. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ფორმები . . . . .	37
1. 2. 4. სკოლის ფსიქოლოგია და სპეციალური ფსიქოლოგია . . . . .	41
1. 2. 5. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურა და პედაგოგიკა . . . . .	43

#### თავი ვ. ფსიქოლოგი სკოლაში . . . . . 47

1. 3. 1. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის წინაშე მდგარი მოთხოვნები...47	
1. 3. 2. მოსალოდნელი სიძნელეები . . . . .	50
1. 3. 3. ახლაბედა ფსიქოლოგის პირველი ნაბიჯები . . . . .	54
თავი 4. სკოლის ფსიქოლოგის კონტაქტები . . . . .	59
1. 4. 1. ფსიქოლოგის კონტაქტი მოსწავლეებთან . . . . .	59
1. 4. 2. ფსიქოლოგი და სკოლის პედაგოგიური კოლექტივი . . . . .	64
1. 4 3. ფსიქოლოგის კონტაქტი მშობლებთან . . . . .	69
1. 4. 4. კლასში თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა . . . . .	73

### მეორე განყოფილება

ფსიქოლიაგნოსტიკური მუშაობა სკოლაში . . . . .	77
--	----

#### თავი 5 ფსიქოლიაგნოსტიკური გაზომვები . . . . . 77

2. 5. 1 ფსიქოლიაგნოსტიკის შინაარსი . . . . .	77
2. 5. 2. ტესტების საფუძვლები . . . . .	81

2. 5. 3. ტესტების მეთოდი . . . . .	81
2. 5. 4. ტესტირების მოკლე ისტორია . . . . .	83
2. 5. 5. გონებრივი განვითარების ღონის დადგენა . . . . .	86
2. 5. 6. ნიჭიერების კოეფიციენტი . . . . .	87
2. 5. 7. ნორმის ცნება . . . . .	88
2. 5. 8 გონებრივი განვითარების ღონის დადგენისადმი კომპლექსური მიდგომა....	93
2. 5. 9. ფსიქოლოგიური დიაგნოზი . . . . .	94
2. 5. 10. ფსიქოლოგიური დიაგნოზის ალბათური ხასიათი . . . . .	98

**მესამე განყოფილება**

სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის შინაარსი . . . . .	100
---	-----

თავი 6. ფსიქოლოგის მუშაობის მიმართულებები . . . . .	100
3. 6. 1. დაგეგმვა და მისი სახეები . . . . .	100
3. 6. 2. ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსილიუმი . . . . .	103
3. 6. 3. ფსიქოლოგიური კონსულტაცია . . . . .	108
3. 6. 4. კონსულტირების პრინციპები და სტრატეგია . . . . .	112
3. 6. 5. ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობა . . . . .	118
3. 6. 6. მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე მუშაობა . . . . .	122
3. 6. 7. პროფესიული კონსულტაცია . . . . .	125
3. 6. 8. პროფესიული შერჩევა . . . . .	129
3. 6. 9. პროფესიული ინტერესის ფორმირების ასაკობრივი საფეხურები.	131

**მეოთხე განყოფილება**

სკოლის ფსიქოლოგის ადგილი პრობლემურ ბავშვთა სწავლებაში . . . . .	135
---	-----

თავი 7. პრობლემური ბავშვისადმი დახმარება . . . . .	135
4. 7. 1. პრობლემური ბავშვის ცნება . . . . .	135
4. 7. 2. უნარშეზღუდული ბავშვის ცნება . . . . .	141
4. 7. 3. პირველადი და მეორადი შეზღუდვები . . . . .	143
4. 7. 4. უნარშეზღუდვისადმი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მიდგომა. . . . .	145

თავი 8. უნარშეზღუდვის დაძლევის მექანიზმები . . . . .	147
4. 8. 1. კომპენსაციის მექანიზმი . . . . .	148
4. 8. 2. კორექციის მექანიზმი . . . . .	150
4. 8. 3. რეაბილიტაციის პროცესი . . . . .	151
4. 8. 4. სკოლის ფსიქოლოგის ადგილი ინკლუზიურ და ინტეგრირებულ სწავლებაში . . . . .	154

4. 8. 5. მშობლების ინფორმირება უნარშეზღუდულ ბავშვთა სწავლების შესახებ . . . . .	157
---	-----

**მეხუთე განყოფილება**

სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის ეთიკური ასპექტები და პროფესიული განათლება .. . . . .	162
---	-----

თავი 9. სკოლის ფსიქოლოგის მუშაობისადმი ეთიკური მოთხოვნები . . . . .	162
5. 9. 1. სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობა . . . . .	163
5. 9. 2. სკოლის ფსიქოლოგის პროფესიული განათლება . . . . .	168

**მეექვსე განყოფილება**

სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის ძირითადი მიმართულებები (პრიორიტეტები) . . . . .	173
--	-----

თავი 10. ფსიქიკური განვითარების შეფერხება . . . . .	173
6. 10. 1. ფსიქიკური განვითარების შეფერხების ცნება . . . . .	173
6. 10. 2 ფსიქიკურ განვითარება შეფერხებულ ბავშვთა კონტინგენტი ..174	
6. 10. 3. ფსიქიკურ განვითარება შეფერხებულ ბავშებისადმი დახმარება. . . . .	179

თავი 11. სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეები . . . . .	182
6. 11. 1. სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეთან მუშაობა . . . . .	183
6. 11. 2. სწავლაში ხელშეშლელი ფაქტორები . . . . .	185
6. 11. 3. სწავლაში ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა . . . . .	201

თავი12. ძველად აღსაზრდელებთან მუშაობა . . . . .	206
6. 12. 1. ცნების განსაზღვრება . . . . .	206
6. 12. 2. ძველად აღსაზრდელი ბავშვის ფსიქოლოგიური პორტრეტი . . . . .	208
6. 12. 3. ძველად აღსაზრდელობის გამოწვევები ფაქტორები . . . . .	211
6. 12. 4. ოჯახურ აღზრდაში დაშვებული შეცდომები . . . . .	221
6. 12. 5. მიკრო-სოციალური წრის გავლენები . . . . .	229
6. 12. 6. ბავშვის ძველად აღსაზრდელობის ფსიქოლოგიური მექანიზმი.231	
6. 12. 7. ბავშვის ძველად აღსაზრდელობის ჩამოყალიბების პროცესი . . . . .	235
6. 12. 8. ძველად აღსაზრდელთან მუშაობა . . . . .	236
6. 12. 9. ძველად აღსაზრდელობის პროფილაქტიკა . . . . .	246

თავი 13. ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობა . . . . .	...253
6. 13. 1 საკითხის აქტუალობა . . . . .	..253
6. 13. 2 ნიჭის განვითარება . . . . .	..255
6. 13. 3. ნიჭიერ ბავშვებისადმი დახმარების საჭიროება . . . . .	..259
6. 13. 4. როგორ დავეხმაროთ ნიჭიერ ბავშვებს? . . . . .	..261
თავი 14. ფსიქონერვული გადახრების მქონე ბავშვებთან მუშაობა . . . . .	...269
6. 14. 1. ფსიქონერვული გადახრების მქონე ბავშვის ცნება . . . . .	..270
6. 14. 2. ნევროპათია . . . . .	.....272
6. 14. 3. ფსიქოპათია . . . . .	..274
6. 14. 4. ნევროპათ და ფსიქოპათ ბავშვებთან მუშაობა . . . . .	..275
6. 14. 5. ნევროზები . . . . .	..279
6. 14. 6. ნევრასთენია . . . . .	..280
6. 14. 7. ისტერია . . . . .	..282
6. 14. 8. აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი . . . . .	..285
6. 14. 9. ნერვულ ბავშვთა პედაგოგიკა . . . . .	..289
6. 14. 10. ნევროზების პროფილაქტიკა . . . . .	..293
6. 14. 11. ვასწავლოთ ბავშვებს ემოციების მართვა . . . . .	..297